UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2014 / 4 / (14)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

უფლის საგალობელი

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...

ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის"
გული ფეთქავს.

უწმინდესი და უნეტარესი
ილია II

* * *

უწმინდესი მყავს
რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

სიკვდილი მოვკალ მეუფეო შენი წყალობით
მერე იმედი გავახარე სულის არეში
უკვე ვიმღერებ ერისათვის ლექსის გალობით
აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში.

გულნაზ ხარაიშვილი

ძლევის წმინდა გიორგი

ხატმწერი: *გიორგი ლარიაშვილი*

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

მომიშუშდეს... იქნებ მართლაც გულის დაღი.
ყველა ტკივილს მიუხურავ მაშინ კარებს...
დღევანდელ დღეს ცრემლით თვალებს აღარ დავღლი,
ღამის ვარკვლავს, ღმერთთან თხოვნას დავაბარებ...
არ ტიროდეს, მტრის ჯვარცმებით საქართველო,
ბასრი ეკლით გულის კუნთი არ ეწვოდეს...
ბედის ნისლმა, ერი აღარ დამირთვილოს,
დამიბრუნოს, რაც კი ჩემი იყო ოდეს...
გულში მძივად შემოვიბნევ ბრილიანტად...
მერე სტუმარს დავპატიჟებ ტკბილ მოსურნეს,
არ გავყიდი, მიწის მტკაველს მილიარდად...
არც ვიქცევი, არასოდეს სხვის მოშურნე.

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად

საიუბილეოდ დღეებში გამოიცა აკაკის "წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში", რომელიც მანამდე არც ერთ ტომში არაა შეტანილი, პირველი გამოცემები შესრულებულია 1906 წელს გუტენბერგის სტამბაში, გამომცემელი "ჯვარი ვაზისა", და 1908 წელს აკაკის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავზე, დიდი ქართველი მეცენატის მიტროფანე ლაღიძის მიერ ქ. ქუთაისში, ივანე კალაძის სტამბაში. გამოცემის ეგზემპლარები ინახება საჯარო, ლენინის საჯარო, სალტიკოვ-შჩედრინის და აკადემიის ბიბლიოთეკებში. (ქართული წიგნი, ბიბლიოგრფია, ტ. I, წიგნის პალატის გამოცემა, თბილისი 1941 წ. გვ. 325).

ერთი ეგზემპლარი ამ წიგნისა ინახება აკაკის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

პოეზია

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

მზეო მაღალო

შენ აღგვიყვავე თეთრი დილები
უშენოდ ტკივილს რა დაგვიამებს,
შენ გეძIებენ ტყის ყვავილები,
შენით უხარით ადამიანებს.
ხარ მაღალი და ხარ გულკეთილი
და სულ მფარველობ ადამის ძესა,
რაც თავი გვახსოვს მხოლოდ სიკეთეს
და მარადიულ სიყვარულს თესავ.
დარი რომ იყოს ზეცის თაღს, ნაწვიმს,
კრძალვით შეაბამ ნაზ ცისარტყელას,
რა ბედნიერი იქნება კაცი,
ამქვეყნად შენ რომ გბაძავდეს ყველა.

ზღვაო

როცა ნაპირზე ვწვები დაღლილი,
შენ მოდიხარ და მეჩურჩულები,
მოგაქვს სიკეთე, ჩუმი ძახილი
და სიხარული მოგაქვს ულევი.
ზღვაო, საფრენი ფრთები მეხმევა,
როცა შენ გიმზერ, შენ, ასე ზვიადს,
ვერცხლის ტალღებით მეალერსები
და თითქოს მანდობ გულის ხვაშიადს.
ხანდახან ქარი ისე გაღელვებს,
რომ მეგობრობას ივიწყებ წამით
და სინანულით ირხევა მაშინ
სასალამურე ერთი ლერწამი.

გაჭირვებულთა კეთილისმყოფლებს

ღმერთმა დაგლოცოთ, კეთილნო,
ღვთიური მადლის მთესავნო,
ეგ მოწყალება დაგიხსნით,
დიდი განკითხვის დღესაო.
ვაქებდეთ სამყაროს გამჩენს,
მბრწყინავ სიმართლის მზესაო,
ვინაც დაბადა ქართველი
და ჩვენი სანათესავო.
თუმცა დღეს წამებულნი ვართ,
ნუ უხარია მტერსაო,
მოგვხვედავს ქვეყნის გამჩენი,
ვერ შეგვიცვლიან ფერსაო.
ვადიდოთ ჯვარი და ხატი,
ვიფიქროთ ერთურთზედაო,
ვინც აქ სიკეთეს დათესავს,
იქ გაუნათებს მზედაო.
სამშობლოს მომავლის აღზრდა
გვერჩიოს ყველაფერსაო.

მთები

უხსოვარ დღიდან ამ მთებს, ამ გორებს
მზე ეფერება, მზე უამბორებს...
მათ არასოდეს უგრძვნიათ დაღლა,
არც დაუხრიათ თავები დაბლა.
დაფიქრებულნი დგანან და დგანან
და გათეთრებულ ღმერთკაცებს ჰგვანან...
მიწის ელჩები – მარად ფხიზლები,
დგანან შემკულნი ყველა ღირსებით,
ზვავს აქუხებენ, სწუხან ნისლებით
ეს ბუმბერაზი დარბაისლები.

მზესთან სულ ახლოს იდგნენ სვანები

ამ მოგონებას გვერდს ვერ ავუვლი,
ის დილა მახსოვს, ვით სასწაული:
ცაზე ზღაპარი – ცისკარი ენთო,
მთებზე შუქთვალა დღე მოსცურავდა.
და სასწაულთა შემქმნელი ღმერთი,
მზით, ქათქათა თოვლს, ოქროდ სწურავდა,
ფართოდ ვახელდი თვალებს – ზმანება
მეგონა ცხადი ეს სინამდვილე,
მზესთან სულ ახლოს იდგნენ სვანები.
და ჰოი, რა ტკბილად მღეროდნენ „ლილეს“,
ქარი შორს სდევდა გაფრენილ ნისლებს,
ემძივებოდა ცვარი ბალახებს...
ო, ღმერთო ჩემო, ნუ მომკლავ ისე,
იმგვარი დილა კიდევ მანახე.

1969წ.

წმინდანები

სარწმუნოებით მეფეთ მომრევნო,
მართლის მოქმედნო,
სიმართლის მთმელნო,
დამწველ ცეცხლითაც ვერარა გევნოთ,
საკვირველებით გამოუთქმელნო...
გამძვინვებული ლომ-ვეფხვ-ავაზა
ფეხქვეშ წვდებიდა ხილვით ცის კადრის...
ო, თქვენ იცხოვრეთ ისე ლამაზად
სხივთა მფენლობით მზეს თუ შეგადრით...
რწმენის სიმტკიცით გულის ფიცარზე
გადაიტანეთ ტანჯვა რამდენი,
ვიდრე სამოთხით დედამიწაზე
აანთეთ მადლის დიდი კანდელი...
სძლიეთ დაბრკოლება ჟამის... მანძილის...
გახდით სიცოცხლის მახარობელი...
ზეცის სიკეთის ხართ მონაწილე
და შემოგნატრით ესე სოფელი.

1995წ. 7 დეკემბერი.

ვაჟას ჩარგალში

აქ აფეთქდება გული ლექსებად
და ცისარტყელას შუქით იალებს,
კვლავ დამწვავს მისი ცეცხლად კვესება
და აღტაცების დავცლი ფიალებს...
მოვა სტრიქონი სურნელის კმევით,
ქართულ ლექსს რაღა მოაკლებს „ვაშას“,
აქ დაიბადა შაირის დევი, –
აქ გადურწიეს აკვანი ვაჟას.
მიწის ელჩებად დამდგარან მთები,
უკვდავებასთან მოსაუბრენი...
მე მენატრება მსუბუქი ფრთები.
და შორს მიცურავს თეთრი ღრუბელი.
მზით ავსებულა ყველა კუნჭული.
მუხის ჩრდილს გზები გადუქარგია,
მე მესმის მწვანე ფოთლის ჩურჩული
და ყველაფერი ახლა კარგია.

1973წ.

ფშაველს

წინაპართა ფუძეზე
დანთებულო სანთელო,
მტრისა მტრულად დამხხვედრო,
მოყვრის მხარგამმართველო...
შენ იცოცხლე მარადის,
გაგიმარჯოს, ქართველო!...



მამა დიმიტრი

მზის ყანა

ოქროდ გადაშლილ ფერდობზე,
სადაც მთებს იქით ხევია.
წინაპრებს პურის ყანასთვის,
„მზის ყანა“ დაურქმევიათ.
შტერად დამდგარან ქედები
და გზას გაცქერენ მოლიპულს,
მთები კი ჩუმად ნატრობენ –
დიკას,
შავხას და
დოლის პურს.

ნინო ჯაბადოჯიელს

წმინდა ქალწულო, დედაო!
ვითარცა დიდი ფშაველი,
მეც, შენზე ლექსებს ვბედაო.
ვაზის ჯვრით მტერი შემუსრე,
ბოდბეში ზედიზედაო...
ახლაც, ჩვენს შორის გვეგულვით,
მიტომ ვართ ასე მხნედაო.

არაგვს

რამ დაგადონა არაგვო!
ჩამოგიყრია ყურები.
თვალები ცრემლით გევსება,
ვისზე ხარ დანამდურები?!
კოპალას ქვასთან მოისმის,
დევთა ყაყანი ულევი,
თვითონ კოპალა არა ჩანს,
და მთებს უსკდებათ გულები.

ღუდას ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია

უხსოვარ დროში აქ, –
გუდაურთან,
უშენებიათ ჩვენს დიდ წინაპრებს,
ეს ეკლესია ცამდე აწვდილი,
რომელიც ახლა წარსულს
გვილამპრებს.
და თუკი უფალს მადლსაც შევწირავთ
ქვას აქცევსს ბალღად,
აკვანს დაურწევს,
და აუსრულებს რასაც ინატრებს.

* * *

ისევ მოისმის კვნესა და ოხვრა,
სადღაც სიკვდილი სიცოცხლეს ჩაგრავს.
ცხოვრება მაინც იმედის თოხით
ღულის ჭალაში – მზის ყანას მარგლავს.

მე და ჩემი ეთერი

ეს, ისე, ვითა ზღაპარში,
მე და ჩემი და ეთერი.
სულ ტანჯვით დავიზარდენით,
ვითარცა ობლებს შეფერის.
„მამა ლაშქარში მოგვიკლეს“,
დედა კი სხვასთან წავიდა!!!
მაგრამ ჩვენ აღარ გავყევით,
ჩვენი ცოცხალი თავითა.
თუმც გვპირდებოდნენ პატარებს,
სულ ახალ-ახალ „ბაჩიებს“,
მაგრამ ჩვენ მამინაცვლობას,
სულ უმამობა ვარჩიეთ.
ასე განვლიეთ დღეები,
გაუხარელი დიდადა.
ალბათ, სულ ასე ვიქნებით,
სანამ ვიქცევით მიწადა.
ნურავის გაუკვირდება,
ობლობა მეტად ძნელია!
აქ, რაღა არის სოფელი,
ალბათ, იქ უფრო ბნელია!

რუსუდან-ანასტასია კალანდაძე

უმშვენიერეს ქალბატონს გულნაზ ხარაიშვილს

ცის ლაჟვარდიდან მატკბობს მშვენება,
და მოხიბლული ვგრძნობ რომ დავთვრები...
ქართველი ქალის დიდებულება,
შენში სჩქეფს როგორც მთებში ჩანჩქერი!
ვუცქერი იას, შენ გხედავ მასში,
ვუცქერ ღიღილოს, გრძნობებით სავსეს,
ყველა ყვავილში შენ შეგიცანი,
ყველა ყვავილში შენ დაგინახე.
ქართული სახლის დიდო დარბაზო,
სულ სიყვარულით მოგიძღვნი ვარდებს...
მასაც შენსავით ახლავს ეკლები,
შენსავით ებრძვის ტკივილს და დარდებს.
დაღლილი სახით უცქერ სამშობლოს,
სული ვერ იტევს ზვირთსა და ქაფებს,
ქართული სულის დიდო პორტრეტო...
ვით იალბუზი, გასცქერი ნათელს.
და შენი სული შერთვია ზეცას
სამშობლოსათვის თავდადებული,
ქართველი ქალის მთელი მშვენება
ყველა შენშია დავანებული.

მარტის თვე 2014წ.

ლამაზიც რჩება უსიყვარულოდ

"მას ყველა ხედავდა, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა."
("პიკის ქალი" ა. პუშკინი)

არსებობს ქვეყნად უხილავები
ანგელოზები, ზეცის ძალები
იმათ ვერასდროს თავს ვერ დააღწევ
და ვერც ვერასდროს დაემალები.
როგორც არ უნდა ლამაზი იყო
ზეცას რაც უნდა ის გებედება,
უჩინარ ფარდას ჩამოგაფარებს
არ დაინახონ შენი მშვენება.
ამიტომ ტირის ზოგი ყვავილი
რომ ვერ ხედავენ მშვენებას, მისას,
ლამაზიც რჩება შეუმჩნეველი
ეჰ, რას გაიგებ განგებას ღვთისას.
მხოლოდ ამაო ლოდინით ცოცხლობს
და ბედმა კარი გაიჯახუნა,
ვერავინ ამჩნევს მიწაზე ყვავილს,
რომელიც ზეცამ დაისაკუთრა...

27.05.2014

დედაშვილობა

ლეგენდა მალავს იმ შვილის სახელს
ვისაც სხეულში შეუძვრა, გველი,
ხანჯლით განგმირა გული დედისა
და ავ ცოლს ლანგრით მიართვა, ცხელი.
გზას მიმავალმა ქვას ფეხი წაკრა,
ვაი სოფელო, უგნურთა მტელო,
მაინც ატირდა გული დედსა:
- „ხომ არაფერი გეტკინა, შვილო!"
ჩემთვის დედაა მეორე ღმერთი
და უიმისოდ სიცოცხლეს ვიგლოვ
თუ წავიქეცი არავინ მეტყვის
„ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
დაიხურება ყველა სარკმელი
როს დედის სუნთქვა დატოვებს ჩემს გულს
ვიცი დარდები მომიღებს ბოლოს
და წამიღებენ სადღაც შორს უფსკრულს...
ამოუცნობი არის სოფელი
და როდი უცხობს კვერს მუდამ ობოლს,
თუ სიყვარული არის მავალი,
დედაშვილობა ერთია მხოლოდ.
ყველა სიმწარე როდი ნელდება,
ჩემი სიცოცხლე ტკივილებს მიაქვს,
მითხარი დედავ ამ სამყაროში
ვინ შემიყვარებს შენსავით ტკბილად.
ან ვინ მაკოცებს შენსავით სუფთად,
არც გულში თბილად არ ჩამიხუტებს,
ან ვინ მინაღვლებს დაჭრილ შველის ნუკრს
და სულში ცრემლებს არ ჩაიგუბებს.
წაქცეულს ყველა მომაბჯენს მახვილს,
როცა მპოვებენ მე მარტოხელას.
იქნებ მასწავლო ბრძენო მშობელო,
როგორ გავუძლო ამ განშორებას.
დედა-შვილობა მარადჟამ მინდა
ვით ბავშვის გული სიყვარულს ვითხოვ,
თუ წავიქეცი, არავინ მეტყვის:
„ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
მე ვიცი უფრო ძვირფასი დედაც,
უდიადესი და სასახელო,
ვისაც მრავალჯერ მოვუკალთ გული
მისი სახელი არს საქართველო
გლოვობს სამშობლო მამულიშვილებს,
აბელოვ, ჩემო დაღვრილო სისხლო.
და გულმოკლული ჰკითხავს კაენსა,
- „ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
რა გინდა რომ ჰქნა მართალმა კაცმა
მამულზე თუ ხარ შეყვარებული
ორივე მხარემ მტყუან-მართალმა
დედა-სამშობლოს გავუპეთ გული!..

კახა ბაციკაძე

* * *

დღეს პოეზიის ღამე იქნება,
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები;
მე რა ვქნა, – ბედმა ასე ინება
და უსათუოდ შემიყვარდები.
ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს
მიეძალება, როგორც თოლია,
და მოედება თვალების ბაღებს
შემოდგომათა მელანქოლია...

მშვენიერება
(ყოფნა-არყოფნის თეორი ზღვარი)

დიდი ხანია, თვალებს აღარ ახელს.
(ასეც საოცრად ლამაზია).
რატომ აკეთებს ამას? –
აღთქმა დადო.
დედათა მონასტერში ცხოვრობს.
მონაზვნები პატრონობენ, ეხმარებიან...
თავადაც გადაადგილდება, –
შეეჩვია გარემოს...
მიზეზი რაა მისი აღთქმისა? –
არ ვიცი, თუმცა
ის კი ნამდვილად შემიძლია გითხრათ,
რომ ულამაზესია.
თავდახრილი, ყვავილებთან რომ ზის,
გეგონება, ესაუბრება მათ
დახუჭული თვალებით.
ასევე ესააუბრება მწვანე ფოთლებსაც,
პატარა წყაროსაც...
თითქოს სულ ტირის,
თითქოს იმიტომ არ ახელს თვალებს,
რომ წამითაც არ შეუძლია
არ იტიროს და,
ცრემლებს მალავსო, გეგონება.
მაინც ეტყობა ცრემლი
ასეც ეტყობა, თვალდახუჭულსაც,
და ეს უფრო ამშვენებს...
საოცრებაა... გული მიკვდება...
უფალმა მზე შექმნა
თუნდაც იმისთვის, რომ ანათოს;
ყვავილი – სურნელი რომ აფრქვიოს,
მზერა დაგვიტკბოს;
მთები – რომ
თეთრი თოვლი გააუკვდავონ;
გული – სისხლისფერი რომ იყოს
(მეწამული, ლურჯიც, ანუ –
ფერი ზეცის სისხლისა);
ზოგი ადამიანი კი – იმიტომ,
რომ სევდის კვირტები გამოისხას,
სევდის ყვაოდეს...
იგი, დიდი ხანია,
თვალებს აღარ ახელს.
დედათა მონასტერში ცხოვრობს...
ულამაზესია, ღმერთო ჩემო!...

რუსთაველი

მე პოეზიით ვარ შეპყროილი,
როგორც იესო – ჯვარცმის სურვილით...
მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
სამყაროს ზღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,
სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;
კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში
გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...
მე მსურს, შევხედო, უფალს, თვალებში...
ეს ნატვრა თითქოს სიზმარს ედრება,
და სული რჩება სიმწუხარეში...
ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
ისმის მთებიდან თეთრი ხმა – ყინვის,
შეხედეთ, – თვითონ იესო მადგამს
მე პოეზიის ეკლიან გვირგვინს!..
ვგრძნობ: პოეზიით ვარ შეპყრობილი...

ლურჯი ჯოხი

ყველაფრიდან ჩანდა, რომ
პოეტად ვიყავი დაბადებული.
აი, მაგალითად:
ბავშვობაში
ჩემი ყველაზე გამორჩეული სათამაშო
იყო ლურჯი ჯოხი,
ლურჯი, ზეცისფერი;
საერთოდ, ლურჯი ჯოხი,
ლურჯი, ზეცისფერი;
საერთოდ, ლურჯი ფერი ხომ
განსაკუთრებულია პოეტებისთვის;
ვფიქრობ,
საკმაოდ სიმბოლური მომენტია...
ვიზრდებოდი და
უფრო და უფრო ვიახლოებდი
ზეცას,
რომელიც, ლურჯი ჯოხივით,
ჩემი მეგობარი შეიქმნა,
და მას მერე
დამაქვს ზეცა ხელით,
როგორც ლურჯი ჯოხი,
რომელიც არ მაძლევს საშუალებას
რომ დავეცე...
იქნებ ჩემი გულიც
ლურჯი არის? –
მე ხომ
არ მინახავს იგი...

პირამიდები

ცისფერ ღამეში დაიმსხვრევა პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან ნაღვლიანი ქრისტე ჩიავლის.
და ბეთჰოვენის სიმფონია შეშლის უდაბნოს,
ქარის მუსიკა ბებერ ქვიშას ტალღებად გაშლის...
შენ პოეტი ხარ, და ოცნებას ქრისტეს უამბობ,
რადგან, ამქვეყნად, ქრისტეც იყო, ოდესღაც, ბავშვი.
თუკი კაცი ხარ, სიხარული ვეღარ მოგიცდის.
(მკვლელის ხელებმა ყვავილების ბაღი გააგეს).
ამ ქვეყანაზე, კაცობისთვის, ის ხალხი იცლის,
რომლებმაც უკვე, ცხოვრებაში, ძლიერ წააგეს!...
ცისფერ ღამეში დაიმსხვრება პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან სევდიანი ქრისტე ჩაივლის...

მაყვალა გონაშვილი
მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

აღსარება

ვერც კი მიცანით,
მე კი მეგონა,
თუმცა, მე რაღა
აღარ მეგონა,
ათასგვარ სურვილს
ვანდობდი დღიურს,
ჩემს კეთილსა და
ერთგულ მეგობარს.
სანამდის უნდა ვიდგე ხესავით,
სანამდის უნდა
მწეწონ ქარებმა?
რამდენჯერ უნდა გავიმეორო
ამ თეთრ ფურცელთან
მე აღსარება?
ერთხელ მოვსულვართ
ამ ქვეყანაზე,
ღმერთმა გვიბოძა
გზა ერთი ციდა,
წამი არ გვრჩება
სიყვარულისთვის,
სიძულვილისთვის,
რამდენიც გინდათ,
ამ შეშლილ დროში
როგორ ვიცვლებით,
ვერც კი გვამჩნევენ
ჩვენი დედები,
უცებ ვიზრდებით,
თვალს და ხელს შუა,
უცებ ვიცლებით,
უცებ ვბერდებით.
მხოლოდ წამით თუ
ვიხსენებთ წარსულს,
მომავალს რწმენით
როდი გავყურებთ,
ისე ადვილად
ვკარგავთ ერთმანეთს,
ვით ალერსისას
ვერცხლის საყურეს.
რამ დაგვაბრმავა,
რატომ ვერ ვხედავთ,
ერთურთის თვალებს
და გულის წადილს?
გზა ამერია;
რად გეღიმებათ?
თქვენ საკუთარი
ბილიკით წადით.

ფერისცვალება

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი,
მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს,
ხან ეჭვიანად მითვალთვალებდა,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავხარბდი,
ანდა დავეცი, გულს მოიოხებს
ზეცა ხარხარით და მუქლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება;
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.
ნუთუ არ იცის ცამ, ყოვლისმცოდნემ,
ფერისცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული,
თვით ანგელოზიც სუსტი ქალია,
ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

რაც ჩემი და შენია

როცა ბინდი ეწვევა
ამ საოცარ მზიანეთს,
როცა ჩემი ბატონი
ძლიერ დაიგვიანებს,
როცა ღამის პეპლები
ლამპიონებს მორთავენ,
როცა იჭვი მეწვევა,
ყველა დარდის მოთავე.
ვიწყებ ლექსით გართობას,
თან ლოდინით ვთავდები.
ქარის შეურჟოლებაზე
ვნებით კრთიან ფარდები.
ჟამი გადის ტაატით,
იწურება პირველი,
გულიც ჩამომეწურა,
გულო, ასე ვის ელი?
აჰა, შემობრძანდება
ცოტა ნაბახუსევი,
უხერხულად მიღიმის,
როგორც პირველკურსელი.
მე ცასავით ვმრისხანებ,
ის თამაშობს მონის როლს,
ამდენი ხნის სინათლე,
ლამის ეჭვმა მონისლოს.
მე დუმილით ვქვავდები,
ის დაკარგვით მაშინებს,
მერე ღამე გვარიგებს,
მერე ღამე გვამშვიდებს.
მე ვთამაშობ სეფე ქალს,
ის თამაშობს მეფის როლს,
ლამის ვნების პერანგი
ტანზე შემომეფლითოს.
ასე გადის წამები,
ვნებითა და წამებით,
ასე გადის დღეები,
ასე გადის ცხოვრება,
რაც ჩემი და შენია,
რაც არ განმეორდება.

* * *

მე მეშინია შენი დაკარგვის,
აბურდულია ეჭვის გორგალი,
ნუ შეყოვნდები, აიღე მშვილდი,
ფურირემივით, მოდი, მომკალი,
გზა-გზა გაფანტე ჩემი ლექსები,
მზეზე გაფინე ჩემი ცრემლები,
ჩემი ძვლებიდან ამოვალ ალვად
და მწვანე ჩრდილად შემოგევლები.
ჩემთვის ცხოვრება გადიქცა ზღაპრად,
ჩემთვის ზღაპარი იქცა ცხოვრებად,
მე ავირჩევდი იგივე ტანჯვას,
კვლავ რომ მეღირსოს განმეორება.
ბედნიერი ვარ, მიყვარხარ რადგან,
შენით გავიგე სოფლის ავ-კარგი,
ვლოცავ და ვწყევლი ბედსა და გამჩენს
და მეშინია შენი დაკარგვის.

* * *

აქციები... მაქციები...
ყალბი ინფორმაციები.
გაჟღენთილა ჩვენი ჰავა
სიძულვილის ბაცილებით.
მე ასეთი არ მიყვარდი,
მე ასეთი არა მსურდი,
თუკი მაინც გამყიდიდი,
რად მინდოდა თამასუქი?
თავზე გვაზის ხეპრე, ვინმე,
სხვისი ოფლით განასუქი.
მახრჩობს უხმო შეძახილი,
მეშინია უხმლო მტრების,
შენთანა ვარ და გეძებ ყველგან,
გავრბივარ და მენატრები.
ანდა, საით გაგექცევი,
ხე ვარ მუხლში გადაჭრილი,
შენ თუ კარგად მეყოლები,
რას მიქვია გასაჭირი.
გულის გულში მისვენიხარ,
პატარავ და სასურველო.
სატრფოვ ჩემო, შვილო ჩემო,
დედავ ჩემო – საქართველო!

ვაჟა ეგრისელი



დიდი ჰაემანი ზურაბს და დაჩის

ჩემი დროც მოვა,
ჟამი დარეკავს დიდი
პაემნის...
თქვენ ძმები ხართ და...
ღმერთმა გაშოროთ ბედი,
შავ-ბედი
აბელ-კაენის...
კაიკაცობა, –
შეურყვნელი ღვინოა ძეგლი,
რომელსაც მუდამ ღვთის მადლი და მირონი
შვენის.
ჩემო სამშობლოს –
სიყვარულის
დამადგით ძეგლი...
და... უკვდავება იქნება ჩემი.

ბახტრიონი

სივრცეებს ზარავს უმხედრებო
ცხენთა ჭიხვინი,
სიკვდილი დაჰქრის ფრთების ისრების...
დამარცხდა მტერი...
კარგად ვიომეთ! –
ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარის...
წარსულის მძიმე ომის კვამლში
წევს ბახტრიონი,
ვითა ცხადი და... ვითა სიზმარი.

* * *

პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხველი:
– ცაში მნათობი ვთვალე...
ვთვალე...
ვეღარ დავთვალე
და აჰა, ასი მიიწურა
ზაფხულ-ზამთარი.
ღამე კი,
ღამე მოვერცხლილი მთვარის სათვალით,
ვარსკვლავთა წიგნებს კითხულობს და...
ვეღარ ამთავრებს.

ზის და მკარნახობს

ჩემში უფალი ზის და მკარნახობს
ცხოვრების წიგნს და...
როს შეეშლება,
მამაზეციერს მინდა ვუყვირო:
კმარა!
შეჩერდი!
პოეზიის ამ სიუხვეში,
ჩემი ლექსები არის ჩემებრ
მთლად გულუბრყვილო,
ჩემებრ დიდგულა,
ჩემებრ ფიცხი,
ჩემებრ უხეში.

შეხედეთ ზეცას

პოეზიის სისხლი გახლავთ
მზე მეწამული...
ახლა დამეა თვალბრიალა, და განა ბეცი.
ჩვენ კი მარადის ფიქრით ვიწვით
და ვიღვინთებით...
შეხედეთ ზეცას!
პოეტებო!
შეხედეთ ზეცას!
დაწინწკლულია
პოეზიის
სისხლის წვეთებით.

* * *

ეალერსება ჩემი მზერა
კოლხურ სანახებს:
თივა ბოხოხად ახურავს ფიწალს,
მოგვდევს სალხინო,
და ხელს გვიქნევს შორით
კიწია...
ზღვა სიცხსაგან გათანგული
ნაპირთან იწვა,
ჩემს დანახვაზე შეკრთა,
ფეხზე წამოიწია;

* * *

მე უნდა მოვკვდე...
წვეთი იმედი
აღარ არსებობს აქ გადარჩენის.
სანამდე ვცოცხლობ,
ჰე, მამულო,
მამყოფე ახლო
შენს კეთილ გულთან, რადგან, ჩემო,
დღიდან გაჩენის,
შენ ჩემში სახლობ..

მზის ეკლესია

გადმოგვცქერის ცა –
ვარსკვლავებით
დასახლებული
და განთიადზე აღმოსავლეთით
რეკავს სინათლეს
მეწამული მზის
ეკლესია.
ჩვენ ამოვდივართ ფესვებიდან
ჩვენი წინაპრის,
რადგან მიწაში წინაპრები უხვად თესია.

მარინე ცხვედიაშვილი

მონატრება

შენ გაზაფხული უბით მოგქონდა,
მზის სარეცელზე იწვა კახეთი,
და გაბაწრული ეგდო გომბორთან
ღამე, ეშმკაის რჯულზე ნახედნი.
თვინიერ ჟამთა ცბიერი ხელი
ცისფერ საკინძეს გიხსნიდა ხარბად
და ცახცახებდა ალაზნის ველი,
დაწაფებული სიამის შარბათს.
თვეში ჩამდგარი ქალივით სავსე,
თრთოდა ზვრები და პურის ყანები
და ივრისპირას ჩამომხდარ მთვარეს
ჩუმი ალერსით ისე დანებდი,
როგორც ხანგრძლივი წვიმების შემდეგ
მზის სხივს პაწია მინდვრის ღიღილო.
მომეცი ნება, რომ კიდევ ერთხელ,
ჩაგეხვიო და სიზმრად გიხილო.
შენით სავსეა ჩემი არსება
და მელოგინე ქალივით მტკივა,
ის, რაც სხეულში აღარ თავსდება
და რაც შენს გულთან ლექსებად მივა.
მე ვწერდი წუხელ ვიდრე დილამდე,
შემოვიარე მთები პიტალო,
და ასე ძლიერ რომ არ მიყვარდე,
ხვალ სისხლი უნდა გამოვიცვალო.
ვიცი, წამლეკავს გრძნობის მორევი
თუ მონატრებამ კვლავაც იძალა,
და შენს წადილში ისე მოვკვდები,
როგორც კიბის ქვეშ ერთ დროს ნიკალა.

ნატვრა აღდგომის ღამეს

მიწის, პურისა და კაცის
სუნს ნუ მომანატრებ, ღმერთო,
თუკი მწყურვალისთვის დამცლი
და თუ სანთლად უნდა ვენთო,
სუნთქვა გამაგონე შვილის,
სიო მაგ ზეციურ ჰანგთა,
მერე ერთ მშვენიერ დილით
ლოცვად დამაყუდე კართან.
ლიბოდ მომიქციე ძვლები,
ანდა გამიყენე ბექობს,
ოღონდ დაკარგული გზები
ისევ მაპოვნინე, ღმერთო!

მანდილი

ხსოვნა ქორივით ჩაგფრენია,
ბოლთას სცემს ჟამი გამთვალავი,
მანდილი შენთვის სამშვენია,
ჩემთვის – ცრემლების სამალავი.
სეფე სიზმრებში გახიზნულა
წელთა მიმქრალი ჩირაღდნები,
მთოშავს იღბალი ზამთრისგულა,
ვკვდები და ისევ ვიბადები.
ყოფნა არყოფნის საშველია,
ჰოდა, ბევრი ვარ სათვალავით,
მანდილი სხვისთვის სამშვენია,
ჩემთვის – ცრემლების სამალავი.

ერთგულება

უნდა გეაჯო და გედავითნო,
თავი მოგაწონო საფიხვნოთი,
ნეტავი შენი დედა ვიყო,
სიყვარულს ვედარ გამიყოფდი.
სულში ამოზრდილო ბაზილიკად,
მადგახარ როგორც მეხამრიდი,
შენს უბეში რომ გავზრდილიყავ,
ვერავის ვედარ შემადრიდი.
ღმერთი მამის რჩეულს მირონს მცხებდა,
სულით გვამსგავსებდნენ მძვინვარეთი,
და ამ სიყვარულზე ილოცებდა
ყველა ტაძარი და მინარეთი.
ჟამმა უხეირომ მომქილიკა
დღეთა უმანკოთა სიშიშვლენი,
შენი დაი რომ ვყოფილიყავ,
ხანჯალს ხომ მაინც იშიშვლებდი.
ამბობენ, უწინ რა დრო იყო,
ზურნით, შოთებით და მამიჯვრითი,
ნეტავი, ბიჭო, სატრფო ვიყო,
მომავლის სარკმელს გამიჭრიდი.
რკინის ქალამანი მეცმებოდა,
ნაცვლად დათბილული ფაჩუჩების,
მერე ოცნებების კენწეროდან
ნანატრ ქალ-ვაჟებსაც გაჩუქებდი.
ხე ხარ სიცოცხლის და ბებერ ნუჟრებს
ახლა თუ მიუგებ, არც რა ვიცი,
იქნება ფრთებქვეშ შეგეყუჟე
ვითომ ნათლია და დათნაფიცი.
ფიქრობ, ამ სიყვარულს გადაურჩი,
როცა ხსოვნის სახრით მიგერიებ,
როგორც ლორეთით და არტანუჯით
ფლოქქვეშ ჩანავლებულ მისტერიებს.
მეც რა გზაწვრილები გიფარდაგე,
თითქოს არ გყოფნიდა სადარდელი,
ყველა სურვილზე რომ ხიდად გამდე,
განვლე ამ სულეთის დარდანელიც,
მჯობნი აღარავინ მეგულება,
როცა სიზმარშიაც უხმოდ გეტრფი,
გფარავდეს ჩემი ერთგულება –
ქვეყნად ყველა მდედრზე უფრო მეტი.

ქეთევან ნათელაძე

***

ქარია გარეთ, არსად არ ხარ, ჩემთანაც არ ხარ,
ფორთოხლისფერად ედებება ამ თვეს მაჯები,
მე ფოთოლი ვარ, შესაძლოა შენ ქარებს გავხარ,
განშორებებით, სურვილებით, ეპატაჟებით.

ქარია გარეთ, არსად არ ვარ, შენთანაც არ ვარ,
და მეღიმება - უნიჭოა ქარის მონტაჟი,
ფოთოლი დუმს და ქარს მიმართავს - მე ისეც წავალ,
რა საჭიროა ეს შფოთი და აჟიოტაჟი...

ქარია გარეთ...

* * *

ჯერ არასოდეს ვყოფილვარ ასე,
დავცარიელდი, დავსუსტდი ერთობ,
სული მარტოობს, რამეთუ ჯვარზე,
ჩემს სულშიც გაცვეს უგულოდ ღმერთო...
ველარ გრძნობს ქუჩა წვიმას უცაბედს,
ცა თვალებივით ვარსკვლავებს ხუჭავს,
მე არ გავდივარ დღეს ამ ქუჩაზე,
დღეს ჩემს ნერვებზე გადის ეს ქუჩა.
მე არ ვითვლიდი, დღეებმა მთვალეს,
გამომეცვალა გრძნობაც, იერიც,
დადის მინდვრებში ყოველღამ მთვარე -
- ამ შემოდგომის კაბალიერო.

უკვე არაფერს გიყვები ჩემზე,
მხოლოდ ვკითხულობ, ვერაფერს ვერ გთხოვ,
როცა გყიდიდნენ ოცდაათ ვერცხლზე,
რა გრძნობა გქონდა იმ წუთში ღმერთო...
მჭირდები ახლა ყველაზე უფრო,
ეს ქუჩა ახლა არაფერს არ ჰგავს,
ალბათ ეს წუთიც ჩაივლის უბრად,
ალბათ ეს ქარიც ჩადგება მაგრამ...
დღესაც ჩემს სახლში შენდამი ლოცვა,
განუკურნელის ცრემლივით ენთო,
რა გააყუჩებს ტკივილებს როცა,
ყველა ჭრილობა გტკივდება ღმერთო...

შენს ხსოვნასთან

ცუდად ვარ ძვირფასო, მზე აღარ განათდა
ამ ცაზე, რაც არ ხარ, რაც წარსულს ბარდები,
და როგორც ტკივილად დარჩენილ საფლავთან,
მომაქვს შენს ხსოვნასთან დღეს თეთრი ვარდები...
ისმენენ ხატები მდუმარე ვედრებას,
ამ ოთახს საწვიმარ ღრუბლების ჭერი აქვს,
ჩემს სახლში გაცივდა ჩაი და კედლები,
ჩემს სულშიც ყინვიან ამინდის ჯერია...
არავინ არ მოდის ამ ეულ ბინაში,
არავის არ იღებს ეს ცივი ოთახი,
გარეთ ნოემბრი სველდება წვიმაში,
ასეთ ამინდებში მზე მოდის ცოტახნით...
რომ იქნებ გამათბოს... ძვირფასო ცუდად ვარ,
ძვირფასო, მწუხარე მოდიან ფიქრები,
რჩებიან ლოცვები უბრალო მუდარად,
როცა აღარა ხარ და აღარც იქნები...
სეზონი გაცივდა და კვლავ გაზამთარდა,
და რაღაც ძალიან მარტივად ვმთავრდები...
როგორც დაუვიწყარ და ძვირფას საფლავთან,
ვდგავარ შენს ხსოვნასთან თოვლისფერ ვარდებით...

შენ რომ გამაცილე შენიდან...

თოვლსაც შევეცოდე, ზამთარსაც, ისე მარტოდ-მარტო გამიშვი,
ისე ვშორდებოდით, მარტივად, ფიფქებს მაშორებდი თმებიდან,
ქარი ფანტელებით ავსებდა ჩემი შავი პალტოს კაპიშონს,
გარეთ იანვარი ყინავდა, შენ რომ გამაცილე შენიდან...
წასვლა მატარებელს უმძიმდა, მხოლოდ მატარებელს კი არა,
ცრემლებს ვყლაპავდი და ვუმზერდი ცივი ლიანდაგის იარებს,
ქარი ნერვიული მანერით ხეებს უკიდებდა იანვარს,
და შენც ნერვიულად ზედიზედ ისევ უკიდებდი სიგარეტს.
მაშინ ერთნაირი განწყობა გვქონდა, ასე მჯერა მირიან,
მე ხომ მეტისმეტად სუსტი ვარ, თანაც მეტისმეტად პოეტი,
წელსაც ჩემს განწყობას უშენოდ ვხედავ გაავდრების პირი აქვს,
წუხელ დამესიზმრა იდექი ზამთრის ყინვაში და მოვედი...
წუხელ დამესიზმრა უსიტყვოდ როგორ გპატიობდი ყველა ქალს,
რადგან უსაშველოდ მიყვარდი და უსაშველოზე მეტადაც,
უკვე გარდაცვლილი დღეები თოვლის კუბოებში ელაგა,
მე შენ მყვარებოდი ვბედავდი და ცა გათოვებას ბედავდა.
აღარ დავბრუნდებით არასდროს, ღმერთიც შენნაირად მაკლდება,
ამგვარ სიყვარულზე სამყაროს რჩება კიდევ ერთი იგავი,
მე ხომ მიყვარდი და არ ვნანობ, თუკი ქვეყნად ასე არ ხდება,
გმადლობ ყველაფრისთვის მირიან, შენთან ბედნიერი ვიყავი.
თოვლსაც შევეცოდე, ზამთარსაც, ისე მარტოდ-მარტო გამიშვი,
ისე ვშორდებოდით, მარტივად, ფიფქებს მაშორებდი თმებიდან,
ქარი ფანტელებით ავსებდა ჩემი შავი პალტოს კაპიშონს,
გარეთ იანვარი ყინავდა, შენ რომ გამაცილე შენიდან...

მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ...

დუმს ავის მთქმელად ბოლო დროა ეს ცივი სახლი,
მე ბოლო დროა ვერაფერი მხიბლავს და მანთებს,
ვერ გადავიტან ამ ნოემბერს ტკივილით დაღლილს,
მე არც ისეთი ძლიერი ვარ გავუძლო ამდენს.

ქარი აუშლის ფოთლებს ქალაქს, ღრმა ძილით მძინარს,
ჩამობმულ თოკზე საბოლოო გაკრთება წამი,
დაავიწყდება აღარასდროს ჩემს ჩამქრალ ბინას,
ხმა შემზარავი ფეხებს ქვემოთ წაქცეულ სკამის.

ამასაც ჩვეულ გულცივობით ეტყვიან ქალაქს,
და ჩვეულებრივ კვლავ პირველი ფიფქები მოვლენ,
გამოსათხოვარს დაგიტოვებ ერთ მარტივ ბარათს
სულ სამ სიტყვიანს - მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ...

სიცივესავით მარტოობა ფერს უცვლის თითებს,
ვერ გადამიტანს ნოემბერი ამდენად ეულს,
შენი ხელების ვეღარაფერს უშველის სითბო,
ჩამობმულ თოკზე ცოტახნის წინ გაყინულ სხეულს...

დუმს ავის მთქმელად ბოლო დროა ეს ცივი სახლი...

ვახო კამკამაძე



ეჰ, სიყვარულო ჩემო
მტრედებად აღიქვამ ყვავებს,
ვიცი სიყვარულის გემო
თუ მოისურვა ის აგაყვავებს.
შენ გულის კარებს თითქმის სულ ხურავ,
შენ ჩემი ლექსის ხარ ტაეპი.
მე სიყვარულის მორევში ვცურავ
და ამ მორევში ერთხელ გაები.
ეს ჩემი გული ბრძოლას განაგრძობს
როგორც ფუტკარი გაიღებს ნექტარს
და ზოგიერთის გული განა გრძნობს
რომ ყოველივეს ვწირავ ნეტარს.
მე რომ მიყვარხარ მთებმაც იციან,
შენ ვერ დაგხატავს ვერცერთი ფუნჯი...

* * *

პირველად რომ ვიხილე შენი სილამაზე
მაშინ დავიჯერე როგორ მყვარებია.
მერე გავიპრანჭე, თავი ვილამაზე...
მასში დამნაშავე შენი თვალებია.
გული თავგანწირვისთვის მზადაა
გული - სიყვარულში ჩაძირული...
მებრძოლი გულთან არამზადაა,
მიზანი მისი - ნაძირლური.

ყველა სხვამ მარცხი იწვნია
შენთვის ფერები მაქვს მხოლოდ ლურჯი.
ნიავი მივლის ცივ მინდორ-ველის
შენზე ვლოცულობ მე ყოველ კვირას.
გული შენ მოსვლას ისევე ელის
გული მისული სიკვდილის პირას.
გული გასკდომას ლამის აპირებს...
მასზე სიყვარული ითქმის.
გრძნობა სცილდება ტანის ნაპირებს
ეს სიგიჟეა თითქმის!
შენ ჩემ გულში ეძებ ვერაფერს,
ჩემი ფიქრები - სულ მთლად თავხედნი...
მე კი ვიპოვნი შენში ყველაფერს
და მაგ შენს გულსაც მჯერა გავხედნი.

წარსულს ვიგონებ

რატომ ვისწრაფვით ყველა ქონებისკენ?
ვერაფერს ვნახავთ ამაო ქონებაში.
დროა გავიწიო იმ ცხოვრებისკენ
მართლა არ მიმართლებს ამ ცხოვრებაში.
მე განაჩენის სიმკაცრეს ველი
და იმედია აღსარება იქნება წრფელი.
ცრემლებისაგან თვალნო იყავით სველი,
ზეცას შევმატოთ ერთი ქართველი.
მე ვწუწუნებდი გაჭირვებისგან,
გსაყვედურობდი განსხვავებით სხვებისგან,
შენ მაპოვნინე ღმერთი ქალში,
ვერ დავიჯერე და დაგრჩი ვალში.
მე ვიღამებდი ლექსში ქალისთვის...
არადა ზეცა იყო მზიანი,
არ მიფიქრია ცოდვა-ბრალისთვის
ვიცი უფალო არის გვიანი.
მე ხომ ტყუილიც მჩვეოდა ადრე,
ათს რომ ვამბობდი, - მქონდა რვიანი...
თვითონ ვამბობდი: „ეს როგორ მკადრე?!“
ყველას ვეგონე ზრდილი, ჭკვიანი.
ხმადაბლა გეტყვი, რადგან ძნელია
დღეს ეს ცოდვები გახდეს საჯარო.
და ის ვინც მალავს მისთვის საშინელია,
ჩემთვის იქნება მხოლოდ სამსჯავრო.

სასჯელნი ჩემნი რომც მძიმე გახდეს
სხვაზე ვერ ვიტყვი, თუნდაც რომ მახლდეს.
იცი უფალო, ნუღარ მცდი, იცი...
აღარ გჭირდება ცოდვილის ფიცი.
რა გავაკეთე ეშმაკო კარგი?
ნუღარ შემაცდენ, ვიყავი ხარბი.
ზღვაში წვეთებად ვყრიდი სიკეთეს
და ზღვისოდენა მე გამიკეთეს.
მოდი უფალო, მიშველე ჩქარა,
თვითონ დააწესე ეს სასამართლო
აქაც ეშმაკი არ მინდა, არა...
და გევედრები შენ მასამართლო.
იცი უფალო ტანჯვამ რა მიყო?
სული ცოდვისგან რომ გაიწმინდა
გრძნობამ იმ ქვეყნად გული გამიყო
და ერთადერთი ეს მქონდა წმინდა.
თუმც ვერაფერში დაგრჩი უვალო
ვინმესთვის ვცოცხლობ, არა - რამისთვის.
გთხოვ განაჩენიც საიდუმლო იყოს უფალო,
რათა ბრძოლა ღირდეს დღეს ამ წამისთვის.
ცხოვრებას სწორად თუ არ მივყვები
რა შავდებაო თითქოსდა ამით?
ნუ შეგაშინებთ ხალხო სიტყვები,
წარსულს ვიგონებ სულ რაღაც წამით.

სიყვარულის ისტორია

როცა შევერთდეთ სამარადჟამოდ
მეტი არ გვინდა ლხინება.
რომ არ ვატაროთ დრონი ამაოდ
და ავირჩიოთ სწორი დინება.
წავალთ მთებშია საცხოვრად,
ვიყო მთოხვნელი, მბარავი...
გრძნობა პირველი ჩაგვესახება მაცხოვრად
და არ წაგვართმევს არავინ.
წავალთ მაშინვე როგორაც
მოგვენატრება სოფელი.
არვინ ყოფილა რადგანაც
მუდმივ ერთისა მყოფელი.
ჩვენი სოფლისა შარაზე
დავდგათ პატარა კარავი,
სადაც ბოროტი არ სახლობს,
არაა გრძნობის მპარავი.
ტყეში წავალ დილას სისხამ
„კაციც შენ იყავ სახლში, ქალიცო“.
გაკვირვებისგან სახეს წყალს ვისხამ
თითები მაშტერებს, არა - „კალიცო“.

დაგხედავ ერთხელ, კოცნას გაჩუქებ
სიყვარულსა და სურვილ ნარევსა.
როცა დავბრუნდე შენ გამიყუჩებ,
კოცნით მირჩენდე ნაიარევსა.
კარზე როდესაც მოდგეს გრძნეული
პირველ დავხვდები გრძნობის არ გასაყოფად!
მკვდარს დამაფინე თმები ხვეული,
მაგ სილამაზის უკვდავსაყოფად.
დავთმეთ ყოველი ამქვეყნიერი.
ცაც კი ტიროდა იყო მქუხარე
და ერთადერთი რაც მშვენიერი
იყო უმანკო სახე მწუხარე.
მთავარია რომ მძორად არ მოვკვდი,
არ დამესივნენ მომკვდარს სვავები
და სამოთხეში თუკი არ მოვხვდი
მიმაცილებენ ქალის შავები.
დღეს მე მშვიდი ვარ როგორც არასდროს,
როგორც ზაფხულს თბილი ბუნება,
შენ ჩემს თვალებში წუხელ და ამ დროს
რადგან დაიფიცე ეგ ერთგულება.

ის ჩემს სიტყვებს მგონი არც ისმენს

უარმა ფიქრი სულ არ აცალა,
ბოლოს დაუწერა კითხვა - ძახილი
მე გრძნობებისგან ლამის გამცალა -
ყვირის ეს ჩემი ამოძახილი.
აღარ გყოფნიდა ღონე,
დრო აღარ გქონდა ფიქრის,
მე სიყვარული მეგონე
ჩემსკენ სწრაფად რომ მიქრის.
გეკითხები: - სიყვარული თუ როდესმე გათავდება?
ეს არ მოხდება მე კი მგონია,
შენი ჩემს გულში კვლავ არ მთავრდება
ეს საუკუნო ჰეგემონია.
ღვარე ახლა მისთვის მელანი,
გულში ისარი მწარედ გავირჭე,
ბევრი ვიომე, დავეც ყველანი...
კარი მიხურეს, როგორც კარიბჭე.

უშენოდ მაინც ვიცი მკვდარი ვარ,
ვიცი არავის არ სადარი ვარ,
შენ კარს ატუზული ვიღაც უცხოა,
ჩემი სახეა რომ გეუცხოა.
დახურულია ჩემთვის კარები,
კარში წერილი მსგავსად ქვითარის,
მაინც მიყვარხარ, ვერ გეკარები...
შეგრძნება არ გაქვს არავითარის.
ის ჩემს სიტყვებს მგონი არც ისმენს...
დახურული აქვს ჩემთვის გონება,
ის სიყვარულზე მეტყვის „არც ისეს“...
ცეცხლად ამომწვავს მე მოგონება.
საკუთარს ჰყვარობს, მოჰგავს ნარცისებს,
მეც სიყვარული ის მეგონება,
ის ჩემს სიტყვებს მგონი არც ისმენს...
დახურული აქვს ჩემთვის გონება.

სისულელეა გულახდილობა

დაკარგულია ხალხში ზრდილობა,
აქ უწმაწურად ასე დარბიან...
სისულელეა გულახდილობა,
როცა ცხოვრება ასე ყალბია.
არ მჯერა კაცის შეციების,
არ მჯერა გრძნობის გაციების,
საფლავს გამხმარი იების,
დავიწყებული ტრადიციების.
გზებიც დაილევა სავლელი,
მაგრამ გაქრება განა გამვლელი?!
წლები იომებს ერთურთში მრავალი
მოხდება ათას თავგადასავალი.

შენარჩუნდება მხოლოდ ეპოქა,
გრძნობა კაცობას თუკი ეყოპა.
არ ინახება სიტყვები ბევრი,
სიტყვა ჭკვიანი და არა მჭევრი.
ვთქვით სულ ესა, სულ ისა...
საკუარზე სიტყვა არ დავძარით,
განწმენდა გვინდა სულისა,
თუკი მიგვიღებს ტაძარი.
დაკარგულია ხალხში ზრდილობა,
აქ უწმაწურად ასე დარბიან,
სისულელეა გულახდილობა
როცა ცხოვრება ასე ყალბია.

ლამზირა შეყილაძე

* * *

მინდა ავფრინდე, არ მიშვებს მიწა,
სიმართლით ნაგებ სიმაღლეს ავწვდე.
სიკვდილი მინდა, მაგრამ არ მინდა
ნისიად ნაყიდ კუბოში ჩავწვე.

* * *

სიცოცხლევ ჩემო, დარდის წამალო,
შემასვი სითბოს აბი, მარცვალი...
ისე ცივი ხარ ახლა ზამთარო.
როგორც კაპასი დედინაცვალი.

ყველას გვეყოფა

უმშვენიერეს და უსაყვარლეს ჯუნას

შენ გაჩნდი ქვეყნად ყვავილობისას
და ყვავილივით გველამაზები.
მოამჩქეფარებ წყაროს მთებისას,
ზღვა სითბოს აფრქვევს შენი თვალები.

სიყვარულით გაქვს გული ავსილი,
უწონელ შუქს და მადლს დაატარებ.
ცისარტყელა ხარ, ცაზე გაშლილი,
შურს და სიცრუეს გულს არ აკარებ.

სამშობლოს გულში ენათელები
და ოთხ შვილს უზრდი მამულს, სალოცავს.
ყველას ტკივილებს ესაკმევლები,
სიმართლით მავალს ღმერთი დაგლოცავს.

არ უშინდები წვიმებს, თქეშიანს,
ხშირად გებრძვიან ქარაშოტები...
როს შუქი არ ჩანს და წყვდიადია,
დილის მზესავით ამობრწყინდები.

შენს გულში მიყვარს ღმერთის არსობა,
შენი თვალების მზერა მზიანი.
ეგ გულის სითბო ყველას გვეყოფა
და შენი სული, ცისებრ მზიანი.

სიცრუის ომი

თუ სწავლული ხარ, და სხვას აჩვენებ,
ვერ აგიტანენ საქმოსანს, გამრჯეს.
თუ დაინახეს რომ ააშენე,
დაუნანებლად გაჭრიან მარჯვენს.

და თუ კვლავ აღსდექ, არ წაიქეცი,
გამოგაცლიან ხელიდან საყრდენს.
მოგაძახებენ; მიწად იქეცი...
გაგაყოლებენ ქარსა და ნამქერს.

დილის ცისკარი

ამომიბრწყინდი, ვითარც პირიმზე,
მზე ოქროსთვალა, მონაშიშხლარი,
დაფლეთილ გულზე მომეთილისმე
უსაყვარლესი, ტკბილი სიზმარი.

მოგაქვს სიცოცხლე ბედნიერების,
გულანთებული ვარდი ისხარი,
სითბო მაშხეფე ბედნიერების,
გამინათელე დილის ცისკარი.

შენა ხარ ცეცხლი იდუმალური
შენში ანთია ჩემი მშვენება,
შორიდანა მწვავს გრძნობა ალური,
ახლოს რომ მოხვალ, რა მეშველება?!

* * *

როდესაც გელი დრო ითვლის წამებს,
გულში მიჩნდება მრავალწერტილი,
როცა მიდიხარ საათს შევყურებ,
ვრჩები საათზე გულდაწყვეტილი.

* * *

მომკლა ამდენმა წვალებამ,
უსამართლობით დავშვრი...
ნეტავი სულ არ ეჭამა
ევას ედამის ვაშლი.

ოღონდაც გნახონ დაცემული და
დაიოკებენ ვამპირულ წყურვილს,
ამოგაცლიან გულიდან ჯიგარს,
რას დაეძებე შენს გულის წუხილს.

მძულს და მაგიჟებს სიცრუის ომი
ძილშიაც ვებრძვი უსამართლობას,
უფალო, ჩადექ მე და მათ შორის,
მხოლოდ ზეციდან ველი წყალობას.

* * *

შური სიყვარულს არასდროს ეძებს,
მისთვის ეს გრძნობა უცხო ხილია.
შმორის სუნი აქვს ნოტიო კედლებს,
სადაც სიყვარულს არ უცხოვრია.

რით იმსახურებ ამდენს?!

მე შენს სიმდიდრეს არ ვეძებ
არ მსურს სასახლე შენი.
ტკივილიანი გული მაქვს
გულზე დამადე ხელი.

გასწავლი ჩემი გულის გზას
მოსვლა რომ გაგიადვილო,
არც ხოხობი ვარ, არც მწყერი,
ტყვიით რომ მომინადირო.

სადაც წავედი იქ დამხვდი,
შენი თვალები დამსდევს,
სიყვარულს რომ მთხოვ ვაჟაო,
რით იმსახურებ ამდენს?!

მას ეყვარები განა?!

იდგა გაბადრულ სახით,
გვერდით რომ ქალი გყავდა...
სიყვარულს სვამდით თასით,
მე კი წყურვილი მკლავდა.

თვალს გადევნებდი მალვით,
გული ითხოვდა დანას...
ჩემებრ ლოცვით და კრძალვით
მას ეყვარები განა?!

გიჟო, გეხუმრე

ხავსმოჭიდებულ იმედს შევყურებ,
მიმზერს უიღბლო მრავალწერტილი.
დავრჩი ეული, ბედის შემყურე,
ბედის ამარა გულგაგლეჯილი.

მორღვეულია სატალკვესონი,
ჩემივე სისხლის ამბოხი მტანჯავს.
შენში ვთავდები სრულიად, მგონი,
სიკვდილის ლანდი მისინჯავს მაჯას.

ჩემს სათვალმზეოს მოვავლე თვალი,
მზე ცახცახებდა ჩემი შემყურე.
ვიწექ მიწაზე, ვით ცოცხალ-მკვდარი,
შენ ჩამძახოდი: – გიჟო, გეხუმრე!...

* * *

მასწავლებელო, მზე ხარ ბრიალა,
სიცოცხლესავით მზე პირნათელი,
სამშობლოს გულში დნები მთლიანად,
ვით ხატების წინ წმინდა სანთელი

შეგხვდა სამძიმო ეპოქა

სულმშვენიერ ქალბატონს – ალმარი ლომიძეს

ამოვარვარდა გულიდან,
ლექსი ექსპრომტად ნასხლეტი,
სიცრუეს ებრძვი ოდითგან,
მუდამ სიმართლის დამთესი.

ყველას ტკივილის სალბუნო,
შეგხვდა სამძიმო ეპოქა.
იმხელა სითბოს ატარებ,
მთელ საქართველოს ეყოფა.

დედას

ცხრა შვილს გვიმღერე ნანინა,
ცხრა ათეული ათვალე,
უფალი გფარვის მაღლიდან,
ქვეყნის გული რომ ახარე.

შეუბღალავი ქალი ხარ
მამულის ნატვრის თვალია,
შვილიშვილებიც ბევრი გყავს
შვილთაშვილების არმია.

თეთრად ათევდი ღამეებს,
დილას ხვდებოდი მღიმარი,
ახლაც სიცოცხლით მახარებს,
თვალები მირონმდინარი.

მოგვავარაყე სიკეთით
მადლი გვაფრქვიე უხვადა,
აგვავსე ლამაზ ფიქრებით,
გული აგვინთე შუქადა.

ჩვენც დავალთ შენებრ მზეობით,
რაც გაგვატანე მზითვადა,
სამშობლოს კეთილდღეობის
ვართ ცის და მიწის ხიდადა.

არვინ მოსულა საჩივრით,
არვინ გვაგინებს დედასა,
ნეტავ ვხედავდე ამქვეყნად
დედებს შენსავით ნეტარსა.

ჩვენს გულებს დღესაც ახარებ
ამქვეყნად შენი ყოფნითა,
ახლა ჩვენ ვიხდით ქვეყნის ვალს,
შენებ თმენით და ლოცვითა.

პეტრე ჯაჯანიძე

* * *

ვით გაელვება, ქუხილის ხმაზე,
წამებში ქრება ფუჭი დიდება
და კუდიანი ვარსკვლავი ცაზე
ობობასავით დაეკიდება.

ქვეყნად არა ჰყავს შემბრალე ორი,
მაინც ანათებს ღამეს მთოვარე,
დრო კი მსახიობს, ვით გრიმიორი,
მიცვალებულის ნიღაბს მოარგებს.

ჯულიანა

ცეცხლს უნთებს ცისკრის არენას,
როცა გადადის მალაყებს,
მზადა ხარ ცაში საფრენად,
მოჭიდებული ბალახებს.

ილოცებს, ღამე ათიოს
ვისაც ერთხელ ჰყავს ნანახი,
თან ეკვრის, თან კი პარტნიორს
უსხლტება, როგორც კალმახი.

არ ყოფნის სცენის ფართობი,
აქვს პირუეტი ლამაზი,
ვეფხვივით სწრაფი ნახტომი
და მოქნილობა ავაზის.

გხიბლავს ტერფების შეხებით,
მისი კიბეზე სირბილიც,
დედოფალია ცეკვების,
სიცოცხლის ტოლი ღიმილით.

როდესაც მოჰქხს სიჩქარით
როგორც ჩანჩქერი ანხელი,
იტყვი, მესიზმრა სიზმარი,
ამ საოცრების მნახველი.

ნახონ, მრავალნი ელიან,
მისი როკვა და ნარნარი,
მთის საკალმახე ჩქერია,
თუ ჯულიანა ბარგნარი.

პოეტთა სუფრა

ოქროს ფიალით ვაჟა თამადობს,
შორიდან ისმის ყვავილთა სუნთქვა,
ჩარგალში მზისებრ უკიდეგანო,
ზეიმობს ქართველ პოეტთა სუფრა.

აბაშიძეებს სურთ, რომ დალიონ,
გამსახურდია აქებს ჩაუქებს,
პირისპირ უზის ნოეს ალიო,
ომი ვერ აკრთობს ფიცხელ ჭაბუკებს.

იწვის შამფურზე მწვადები ირმის,
ილია ჯავრობს მოწყენილ მამულს,
ბარათაშვილის მერანი მიქრის
და რობაქიძე უცდის გაზაფხულს.

მოსაშვილი კვლავ გომბორზე ფიქრობს,
აბაშელს აკრთობს მზე და ჰაერი,
ქართველი დედა ატირებს სიმონს,
სიცხიანია, არ სვამს გრანელი.

უჭირს დასტამბვა ლადოს ნაწერის,
ლაღობს აკაკი სუფრას ამშვენებს,
ტანმოვერცხლილი ჯიხვის ყანწები
უხმოდ შეუსვამთ ცისფერყანწელებს.

გრიშაშვილი წერს ლამაზებს ამკობს,
გოგლა გართულა ყივჩაღზე ფიქრში,
თავისთვის ზის და არაფერს ამბობს
სამადაშვილი ალუბლის ჩრდილში.

დალოცა ერი, ვაჟა ღვინოს სვამს,
გალას სულს უმღვრევს ვიწრო ქვეყანა,
ჩახუტებია კრავი ფიროსმანს,
და „ურმულს“ მღერის დედასლევანა.

იმერეთში

იმერეთში წყევლით გამკოს უნდა,
ჭიშკართან, რომ დაგინახავს გლეხი,
მოთრეულა ვიღაც მაჯლაჯუნა,
უი, შენ კი გაგხმობია ფეხი.

მერე უცებ ცვლა სახეზე ფერთა,
ვარდი ფურცლად ეფინება ბაგეს,
„ბეჩა შენ კი გაგახაროს ღმერთმა,
ჩემ ბაკეში მოსული, რომ გნახე“.

გეგებება, თავს მანდილი შვენის,
წინსფარზე ცომიან ხელს იწმენდს,
დაგამშვიდებს გამოხედვა შველის,
გულს და ჭიშკარს სიხარულით გიღებს.

მიგიღებენ ვით არწივის მართვეს,
წესი არის ჩვენს კუთხეში ოდით,
მასპინძელი მარჯვენას რომ გართმევს,
მარცხენიდან ხაჭაპური მოდის.

* * *

არც მახრჩობდა არც მიყვარდა,
არც სიყვარულს არ მიხსნიდა,
არც ვუყვარდი , არც მიყვარდა,
ვმეგობრობდით დიდი ხნიდან.

არ გეგონოთ მეტიჩარა,
მანქანასაც ატარებდა,
მისი სიტყვა მე კი არა,
გენიოსსაც გადარევდა.

„შენ მიყვარხარ“ მითხრა „ეგზომ“,
არ მყოლია ქალწულს მდადე,
რომ მომკვდები, მხოლოდ ერთს გთხოვ,
ჩემს ქელეხში ითამადე.

ცრემლით ჰქონდა სავსე თვალი,
გამეყინა ლამის გული,
თამადად ვარ საღი ქალის
დაკრძალვაზე დანიშნული.

თუმცა არ ვარ მე უგულო,
ვით გავუძლო ამდენ დარდებს,
თხოვნა როგორ შევუსრულო
იქნებ ვკვდები მასზე ადრე.

* * *

ამქვეყნად ვისაც დაუხია ყოფნის გრაფიკი,
გონდაკარგული დააშორა ჩოხიან ყანწებს,
სიკვდილმა ყველა შეაჩერა ფოტოგრაფივით,
ახლა ცალ-ცალკე მათ სურათებს ქვებზე ამყღავნებს.

ტაბიძის ქუჩა

ჩემი ლოდინით კვლავ დარდი უჩანს,
ადრე მუდამ რომ ერთად ვმღეროდით,
სტვენით შევყვები ტაბიძის ქუჩას,
ახალგაზრდული უდარდელობით.

მოველ ტირილით, მოვდივარ მუნჯად,
დარდად მიმყვება სევდა უფლისა,
ხელებში თმები უჭირავს ბღუჯად,
ცრემლებს მაბკურებს მზე ნაგუთისა.

თვალს გადავავლებ მოუვლელ ბაღებს,
ჩემ ბავშვობაში რომ იყო კოხტა,
ხელის კანკალით ჭიშკარს შევაღებ
და აღმოვჩნდები საყვარელ ქოხთან.

ობობას ქსელს რომ ვიფარებ ქუდად,
შანდალს უქარგავს სანთელი პერანგს,
ორიოდ სტრიქონს გიგზავნი ხურდას,
და ველოდები როგორც ბუმერანგს.

ჩემს მეგობრებად მუდამ რომ ვთვლიდი,
ძმრის სუნი დაჰკრავს ყანწებს და თასებს,
შორს სევდიანად ჭიკჭიკებს ჩიტი
და ეს ჭიკჭიკი მთელ ოთახს ავსებს.

* * *

კვლავ მომენატრა ვარდის სურნელი,
ბევრი ვიარე დღითა და ღამით,
დამსკდარ, სისხლიან ფეხის გულებით,
ცხელ უდაბნოდან დავბრუნდი მგზავრი.

აქ ადრეული ზამთარი დამხვდა,
ვით მამინაცვლის ალერსი თბილი,
ძლიერი წლები სილაში დამრჩა,
გზები კი ყველა საფლავთან მიდის.

უგულოდ მავალ სხეულთა ჩრდილი,
ვერ დავიტირე ალალი ცრემლით,
ვით ვეფხვის დედამ მოკლული შვილი
და ჩემს გაჩენას უღმერთოდ ვწყევლი.

* * *

დარჩი ნალექით ხსნადი ყავიდან,
ხანდახან გიჟი ყვავილსაც ისვრის,
რამდენი დღე და ღამე გავიდა ,
მაგ სიხარულში და სიმძიმილში.

მზე გაზაფხულებს აღარ გიქადის,
ვერც აპრილივით ვერ მოირთვება,
ვერც ისე, ვით ჩვილს სხივი სინათლის,
თვალს ვერ აგიხელს ლოგარითმები.

უშანგი მოსიაშვილი

გულის ტკივილი

როცა გაწუხებს გულის ტკივილი
გტანჯავს სიბერე დრო გასულისა,
მოგენატრება წარსულის ხილვა
და გახსენება სიყვარულისა.
მოგაგონდება ზღვა სიხარული
და დავიწყება სიძულვილისა.
მაშინდა იგრძნობ რომ ცოცხალი ხარ,
არ გეშინია თვით უფსკრულისა.
ალბათ ამ გრძნობამ გადაარჩინა
ყველა ქართველი და მიწა ძველი.
მე მუდამ ვნატრობ რომ გავმთლიანდეთ
და დავიბრუნოთ მამული ჩვენი.
დავდივარ ასე ჩაფიქრებული
და ვხედავ მუდამ წარსულის ლანდებს
და მუდამ ვფიქრობ რით მოვერიოთ,
რა მოვუხერხოთ ულმობელ ბანდებს.
როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ,
რომ ეს ქვეყანა, ქვეყანას ჰგავდეს
ხალხს დაუამოთ ყველა ტკივილი,
აღარ გვესმოდეს მათი ჩივილი.

2014წ.

მეფე ფარნავაზი

მე ლექსის წერა მიტომ დავიწყე
სიკეთე ვერ ვქენ რაც მე მინდოდა
და ის სიკეთე რაც ძველი გვქონდა,
სულ წავახდინეთ ჩვენ არ გვინდოდა.
ჩვენ ფარნავაზმა დაგვმოძღვრა ძველად
და დაგვილოცა ქართული ენა,
აზოს აჯობა ჭკუით და გონით
ჩვენი ქვეყანა წაართვა ომით.
ქართველებმა მას ამაგი
დაუფასეს დადეს ფიცი.
გააღმერთეს და აუგეს
სალოცავი არმაზისი.
სამოცდახუთ წელს იმეფა
არ წაიღო ჯავრი სხვისი,
საქართველოს ყველა კუთხე
მადლიერი იყო მისი.

2014წ.

შალვა ილურიძეს

მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა
ავახმიანო კალამი,
ძმობილო მინდა მოგწერო
დაუვიწყარი სალამი.
შენი ხმატკბილი ჰანგები,
გულს რომ უხარებს ყველასა,
ყველა მეგობარს უყვარხარ,
შენგან მოელის შველასა.
ბუნების ნაბოძები გაქვს
სიყვარული და კაცობა.
მრავალი მეგობარი გყავს
მეც მინდა მათი გაცნობა.
კაცები ბევრი ვიქნებით
ერთურთს მოვუტანთ შვებასა,
ღმერთიც ხელს წამოგვაშველებს,
დავიმსახურებთ ქებასა.

2014წ.

ტაშისკარი

გიორგი აბა რა დაგვავიწყებს
სხერთის ჭალასთან შენ ნამოქმედარს,
შენ ვაჟკაცობით მზე დაუბნელე
სამტროდ შემოსულ უამრავ მხედარს.
გზა გაუმრუდე, სხვა მხარეს ვლიდნენ
შენ მხედრობას მალ-მალე სთვლიდნენ
მალე შეგროვდა ქართული ჯარი
ეს უკვე მტრისთვის სიკვდილის დარი.
შენ ვაჟკაცური გამბედაობით,
სწორად განჭვრიტე ბრძოლის რაობა.
მტერი შეშინდა, შედრკა უდრეკი
რა ნახა შენი გამბედაობა.
ტაშისკარს შედგა ეყო მხნეობა,
რომ აიცილოს ჯარმა ტყვეობა.
მთლად გაამაგრეს ტყე და ველები
არ დაგვიტოვეს მისასვლელები.
შენ არ აჩქარდი, თავს არ დაესხი
და საუდუმლოც არვის გაეცი
მტერმა იფიქრა რომ მზად არ იყავ
ბრძოლის ველიდან რომ ჯარს გაიყვან.
ოსმან ფაშას ამ ფიქრებმა,
გული ცოტა გაუმაგრა,
მაგრამ მისი ჯარისათვის
ამ ამბავმა არ ივარგა.
სააკაძის სწორმა გეგმამ
გასჭრა ისე ვით მის ხმალმა,
ოსმალთ ჯარში იგრიალა
ქართველთ ჯარმა ვით გრიგალმა.
დაბნეული და შემკრთალი
განადგურდა ოსმალთ ჯარი.
ტაშისკარის მიდამოებს,
ეტყობოდა სისხლის კვალი.
ბრძოლის მერე მათ მებრძოლებს
ყველას მძიმე დაღი აჩნდათ,
სამშობლოში ამბის მთქმელ
მათ არავინ აღარ დარჩათ.
1609 წელს ჯერ სხერთის ჭალასთან კასპის
რაიონში და შემდეგ ტაშისკართანაც
გაანადგურა სააკაძემ ოსმალთა 60 ათასიანი
ჯარი ქართველთა 10 ათასიანი ჯარით.

2014წ.

ვახტანგ გორგასალი

ვახტანგ მეფე ახოვანი
ტანით იყო დიდზე, დიდი.
მან ქვეყანა მუშტად შეკრა
მოიშორა ყველა ფლიდი.
თხუთმეტი წლისა გამეფდა
შეუდგა ქვეყნის შენებას.
იმ დროს ყველა ინატრებდა,
მის ვაჟკაცობას, მშვენებას.
ირანის შახმა გამოცდა
ჩაუტარა ინდოეთში,
მან ვაჟკაცურად იომა
გაიმარჯვა ყველა ომში.
ოსებსაც მიუტრიალდა
ჯავრი იყარა მათზედა,
მთლად გაუწყვიტა ლაშქარი
კაცი შესწყვიტა კაცზედა.
თავის და წამოიყვანა
გატაცებული მათ მიერ,
დაიმორჩილა ქვეყნები
ამიერი და იმერი.
ეკლესიასაც მიხედა
და მოიყვანა ჭკუაზე
ვინც კი არ დაემორჩილა
ყველა გააპო შუაზე.
ირანელებსაც აჯობა
და აგრძნობინა ძალაო,
რომ მასთან ომი და მტრობა
აღარ უნდოდათ არაო.
მაგრამ ურჯულო ჯაშუშმა
დასჭრა მოწამლულ ისრითა,
დაჭრილმა მაინც იბრძოლა
მტერს არ დანებდა ნებითა.
ჩვენ დაგვიტოვა სამშობლო
სახელოვანი ძლიერი.
მან ვაჟკაცურად ქვეყანას
სულ შეუცვალა იერი.

2014წ.

შალვა ილურიძე

ქარჩოხის ბრძოლა

/გიორგი სააკაძეს/

ქსნის თავზე ციხეს ნაგებსა
ლომისა უდგას ზურგითა,
ნოსტედან კაცი მოვიდა
თავის აბჯარით და შუბითა,
ლაშქარიც მოჰყვა რჩეული,
ცამ გადიდარა შუქითა...
ეს გიორგია ნოსტელი,
ოხირის ციხის დამცველი,
გვერდით ლომა ჰყავს ზარიძე,
მტრის გულში ხანჯრის ჩამცემი,
ქსნელი ვოჟებიც გვერდში ჰყავს,
რისხვის და მეხის დამცემი.
ყაენის ლაშქარს ელიან
ლმისის მთიდან მავალსა,
ირანელ ვირთხა თაგვებსა
აქ დაუყრიან წამალსა.
გზას უღობავენ ქსნელები
ოხირისაკენ სავალსა.
თორმეტ ათასმა ურჯულომ
გათელეს არამარეო,
მძორით აივსო ოხირი,
სუნიც გამოდის მწარეო,
ქსანი რეცხავდა მათ სისხლსა,
ორ კვირას გლოვდა მთვარეო...
დიდება შენსა მარჯვენას
შენ გმირო საკაძეო,
ქარჩოხის ბრძოლა დარჩბა
იმ დღეთა მოკამკამეო.
ბებერი ციხე ისევ სდგას
მხრებგამართული მთაზეო.
შენს საგმიროსას ვიმღეებთ
განა ნაკლებად სხვაზეო?
ქსნის ბრძოლა ოხირის ხევში
გვიწერის გულის ფარზეო,
ვარდნიც, ყოილნიც, აჰყვავდეს
სააკაძეანთ კარზეო!..

სერგი ლომაძეს

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრის, კარგი პოეტის, კარგი მწერლის, 21-ე საუკუნის კარგი მოაზროვნის და კარგი კრიტიკოსის შენიშვნა პატარა ლექსის მოქმელებზე! მან ასეთი სიტყვა სთქვა აკადემიის წევრების პოეზიის საღამოზე!

– აი ეს ფრაზა – მე, დავჟავი პოეტები სამ ჯგუფად, დიდი პოეტები, პოეტები და მოყვარულებიო.

თუ ამ კატეგორიას არ აკმაყოფილებს შენი გონება, თავი უნდა დაანებო ლექსის წერასო:

ამ მოყვარულებში ისეთი ხალხი ჩამოთვალა, გამაურჟოლა ტანში, როგორ შეიძლება კაცი ლეგენდა, კაცი პოეტი, კაცი ყურებამდე შეყვარებული თავის სამშობლოზე, რომელსაც თვალიდან ცრემლი გადმოსდის, როცა ლექსს კითხულობს. პოეტად არ ჩათვალო.

ჩემი უსაყვარლესი ერთ-ერთი პოეტი ლექსის მოყვარულთა სიას მიაკუთვნა, მე მეწყინა და სერგის ეს პატარა კაფია იმავე სადამოს დავუწერე. მე ჩემი ტკივილი მაწერინებს თუ არა, რა ლექსის დამწერი ვარ, ერთი საწყალი კაცი, ჩემს ქვეყანაში დევნილი, სად, რას და ვის გავანდო ჩემი ტკივილი?

ჯაფია

მთიდან ღრიალით ჩამოვყე,
როგორც მდინარე თერგი,
ბოლელ დევნილსა ტკივილი
რად მამიმატე სერგი!..
მე ხომ პოეტი არა ვარ,
მსურდა გადმერგო ნერგი,
თბილ მეგობრების ძებნაში,
შენ შემეყარე, სერგი...
კერა, ბან-კალო დავკარგე,
ნავთ-საყუდელიც, ნერგიც,
ძვალს ჩაკირული ტკივილი,
რით მოვირჩინო, სერგი...
ხალხურ სიმღერას ვუდგავარ,
წინ, როგორც აისბერგი,
სიმღერა აბა ულექსოდ
როგორ დავწერო სერგი...
ჩაკრულოს მომღერალი ვარ,
ვგუგუნებ როგორც თერგი,
იმასაც აღარ უნდივარ,
დევნილი რომ ვარ, სერგი.
გატყობ, რომ შენც ვერ მიმიღე,
ვერც ჩემი ლექსის ნერგი.
ერთი საწყალი მთქმელი ვარ,
არ შეგაწუხებ, სერგი...
იქნება სხვა რამ გზა ვნახო,
სხვამ მიმეგობროს სერგი.
მაპატიე!.. რომ შენს ბაღში
გადავრგე ლექსის ნერგი!..

ტარიელ ხალხელაურს

ტარიელ ხალხელაურო,
შენს ლექსებსა ვცნობ სერითა,
სტრიქონის ფარებს გავხედავ,
ლივლივებს უფლის ფერითა,
ლარებს დავძაძღავ ფანდურზე,
ვეღარა ვძღები მღერითა...
ნაბადში მინდა გავეხვე,
ჩავთბე ქალაის ხვევნითა,
ნეტავი შეგვკრან წაწლები
შენის ლექსების წნელითა,
გადაუღებო თოლები,
მაგ შენი კალმის მელნითა.
ვაჟას ფესვი ხარ, ძმის გულო,
შენის ნიჭით და სმენითა,
თიანეთიდან მოსდიხარ,
ქალაქს ბილიკით, ფეხითა,
თან მოგსდევს ლექსის სურნელი,
ნაირ-ნაირის ფერითა.
მარგალიტების მთესველო,
შენის დაკოჟრილ ხელითა.
გაავლე, ხნული გაავლე,
გუთნითა, ხარის მკერდითა,
შვილთა შვილებში ჩამიტკბი,
წმიდა უფლისა ნებითა.
ასი წელ ჯამთელი მყავდი,
ტკბილი ლექსისა წერითა,
არ იწერება ლექსები.
თუ არა უფლისნებითა,
მთელის დიდო ტკბილო მგოსანო,
ქსნელი ვამაყობ შენითა!..

ერეკლე გასვიანს

უშბის მთასავთ ჩამჯდარი,
კაცი გავიცან ძმასთანა,
შავხედე, მესიამოვნა
ქსნელს საუბარი მასთანა.
ლექსს დაუკიდა სახნისი,
ცეცხლ წამიკიდა თმასთანა...
სვანი კაცია ერეკლე
გასვიანია გვარადა,
ტკბილი ლექსები მასმინა,
ჩამოუკვერავს თავადა,
ასეთი ტკბილ-მოუბარი
პირველად შემხვდა თამადა.
ქართველი კაცის ჭირიმე
ჯიშით, სისხლით და ფესვითა,
ხნული გაავლე ნაფუძარს,
მამა პაპისა წესითა,
უშბა-უშგულის ბოკვერო,
არწივო ვაჟას ფერაო,
სვანი კაცი ხარ მთის შვილი,
უფრო მეტს დასწერ მჯერაო
შენს კალამს რომ მოუნდება
ძველებურ ლილეს მღერაო.
შენ მოგავლინა უფალმან,
ლექსში სთქვა სიტყვა ღვთისაო,
ქრისტეც იმიტომ ეწამა
ჩვენის ცოდვებისთვისაო,
ძმამ ძმის ძმობა თუ არ იცის,
ძმა ვერ გახდება ძმისაო.
ოთხი პოეტი გაკურთხათ
თქვენ პატრიარქმა ღვთისაო,
მანანა, თემო, ტარიელ,
ერეკლე უშბის მთისაო,
მარგალიტები გეთესოთ,
ოთხივეს მრავალ გზისაო...
ქსნელი კაცი ვარ ბოლელი,
გლოცავ დევნილის გულითა.
არ იყიდება ძმის გული
არც ოქროთ, არცა ფულითა,
ჩვენსა დაჭრილსა სამშობლოს
უწამლე შენის სულითა
შენის ნაჭედი ლექსით და
შენის ენაით, თქმულითა!..

დათო ახლოურს

ქარჩოხზე ქარმა, ჩოხა გადმიხსნა,
ტანზე მომეხვა, როგორც ხეს სურო,
შენ გენაცვალე!.. ქსნელო ვაჟკაცო,
ახლოურთიდან ლექსით მოსულო.
ქარმა აგანთო, კვარი ცეცხლადა,
ჩაუდგა ბუხარს თბილი ღადარი,
დათო ქსანზე რომ ლექსს გამოსჭედავს,
ნაწრთობსა ზეთში გორდას სადარი.
მჟავე წყლის კალმახს ეალერსება,
გორიდან მის მთებს იხუტებს სულში,
პატარა ბიჭი ცალ-ცალ ჩუსტება,
აქ დაიბადა ქარჩოხის გულში.
მთის კალმახივით ქსანს გაჰყვა ბარში,
გუდით წაიღო ლექსები პაპის,
ძველი გუდით და ახალი ლექსით,
გორის ქუჩებში კაცურად დადის.
ქსნელო პოეტო, ლექსების მწვნელო,
ნაკლები არ ხარ, შენს კალმით სხვაზე,
ასი წელ უნდა ლექსები წერო,
ქვენიფნევზე და ჩვენს ბებერ ქსანზე!

მიმოზა ცანავა

ნარცისი

სულ თავდახრილი რადა ხარ მითხარ,
და შენს ანარეკლს რად უცქერ ჟინით,
აღარ გბეზრდება სულ თავის ცქერა?!
არ დაგეღალა ეგ თვალენისჩინი?!
იქნებ ცხოვრების ამაოებით,!
გარინდული ხარ,გაფიქრებს ხვალე.....
თავი ზედმეტად სულაც არ გიყვარს,
რაღაც გვეშლება შენ გენაცვალე,
მითხარ, ყვავილო, რისთვის ან რატომ,
მისჩერებიხარ ამ შენს ორეულს,
იქნება მართლა ცილი დაგწამეთ
რაღაც გაწუხებს სევდამორეულს.

პეპელა

ფრთები რად აიკეცე
ფრთახატულა პეპელავ,
ამ ლამაზ სამყაროში
ყელყელაობ და ელავ,
რაღაც წამი გაჩუქა
ძუნწმა წუთისოფელმა,
ამ სამყაროს ბატონმა,
და მბრძანებლად მყოფელმა,
ახლა რა საჭიროა
ჩემი გამოსარჩლება,
შენი მშვენიერება
მარადისად დარჩება.
ზოგი ჟამთა სიმრავლით
კვალსაც კი არ დატოვებს,
შენ სიამე აჩუქე
ჩემს მტირალ სიმარტოვეს,
ყვავი სამას წელიწადს
ცოცხლობს შავად მორთული,
გულბოროტი დაგვჩხავის,
ცბიერი და ორგული.
უძლეველი რამ არის
შენი მშვენიერება,
საბრალომ რა იცოდა
ასე ვერ იელვებდა.
სიშავე და სითეთრე
ერთმანეთს ვერ ეხება
შენ სიჭრელე მოგცა და
ყვავი შავად შეღება.
ბოროტება-სიავე
სულ გვერდი-გვერდ დადიან,
და ვინ იცის რამდენ კარგს
ან რამდენ ცუდს ჩადიან.
სამყაროს პატარძალო,
მოხატულო მზედ ელავ,
გულში სხივად ჩაღვრილო,
მშვენიერო პეპელავ!

ღიღილო

დაიღიღინე ღიღილოვ,
ღარღლი ღიმილით შეცვალე,
ღონემიხდილმა დღეებმა
დამღალა შენ გენაცვალე.
დაიღიღინე ღიღილოვ,
ღამემ ამიწვა თვალები,
ღუღუნა მტრედებს შეეკარ,
აგრემც კი გენაცვალები.
დღე მშვიდობისა დალოცე,
დროვ,უღიმღამოდ ჩავლილო,
ჩემო ერთგულო დობილო,
ჩემო ღიღინა ყვავილო!

ჩვენ ვართ საქართველო!

ლაფში ამოსვრილა კაცის ღირსება,
ვიღაცას ვიღაცის იმედი უქრება,
შენ ხარ საქართველო,,მე ვარ საქართველო,
ჩვენ ვართ საქართველო და ჩვენ გვქვს უფლება!
წინაპრის ნათელი საფლავი ფლიდობით,
სიავით, სიმრუდით ურცხვად არ გათელო,
შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო,
ჩვენ ვართ საქართველო!
ნაკლებად მაშინებს გარეშე მტრები,
მტრობა შინაურის უფროა ძნელი,
ღმერთი არ გაგიწყრეს ძმისკენ არასოდეს,
არასდროს აღმართო ლაჩრულად ხელი!
ცოტანი შემოვრჩით მშობლიურ სამშობლოს,
გაფანტულები ვართ სხვადასხვა მხარეს,
შენ ხარ საქართველო ,მე ვარ საქართველო,
მოშურნეს, გამყიდველს ნუ გავახარებთ,
წიფელმა ყლორტები უხვად ამოყარა,
დაჭრილი გულები ნდობით გავამრთელოთ,
დიდი თაყვანი და დიდი მოკრძალება
ახალგაზრდობას ახალ საქართველოს!
ერეკლეს, დავითის, თამარის გენია,
ასე რომ აენთო ასე კახაბერობს,
ალგეთს ჯიშიანი ლეკვნი დაზრდილან და
ფეხზე წამოდექი ჩემო საქართველოვ!
ერთი ცის ერთი მზის შვილები გვქვია და
ერთად გავიტანოთ ერთგულად ლელო,
ღვთისმშობლის წილნაყარ მშობლიურ მიწას,
სიცოცხლით დავიცავთ,ჩვენ ვართ საქართველო!

მოწყვეტილი ყვავილი ვარ...

მოწყვეტილი ყვავილი ვარ ახლა,
უშენობით დარდებს ღამეს ვანდობ,
ყოჩივარდებს დაჰკარგვიათ ფერი,
თავდახრილან ენძელები კარგო,
უსურნელო ყვავილი ვარ ახლა,
როგორ მტკივა უსუსური მხრები,
შენ ღრუბლებში ჩამალული მზე ხარ,
დღესაც შენი სიყვარულით ვთბები.,
იმ წლებს ახლაც მოწიწება ახლავს,
გიგონებ და ღამე წვება სულში,
გაფრენილან სიყმაწვილის წლები,
ყველაფერი თითქოს იყო გუშინ,
მონატ რებამ, ტრფობის მძაფრმა ტალღამ,
შემიტყუა მოგონების ზღვაში,
დღესაც შენი სიყვარულის ტალღას
თავი ვანდე ასე ფაფარაყრილს.
მოწყვეტილი ყვავილი ვარ ახლა,
ფერწასული მიგდებული ბაღჩას,
რაც ძალიან მიყვარდა და მწამდა,
ყველაფერი ის წარსულში დარჩა.

ქრიზანთემა

გაზაფხულის რიჟრაჟო,
სიხარულო ჩემო,.
ოქროსგულა პეპელავ,
სიყმაწვილის ცრემლო,
ღამის თეთრო ნათებავ,
მზერავ ღუბლებს იქით,
დაგეღარა ღაწვი,
ნაღველით და ფიქრით,
შემომენთო ცეცხლი,
მწუხარების ალი,
ნეტავ რად გეძახიან
შენ სიკვდილის ყვავილს?!

გულნაზ ხარაიშვილი

ვიცი

ვიცი ეგ სითბო გადაწვდება
ამერს და იმერს...
იყო კეთილი, შენთვის არის
ცხოვრების კრედო...
ცოტაც რომ გქონდეს, გაუწოდებ
მათხოვარს მცირედს...
ციდან ხომ არ ხარ მოფრენილი,
ლამაზო მტრედო?

გამოვათენე

შემომეპარა სარკმელში დარდი,
წარსული ისევ თავს კვლავ მახსენებს.
უიმედობა მბარდნის და მბარდნის,
ქარიც დაძრწის და აღარ მასვენებს.
მოგონებებმა ფიქრებს დათოვა,
გულში ღრუბლები ისევ გამოჩნდა...
ღამემ სიმშვიდე აღარ მათხოვა.
და უძილობა თავთან ჩმოჯდა.
დილა კი თვალების ფშვნეტით
ამოლასლასდა...

ღრუბლების ფარა

ვუძლებ ჩემეულ ბედსა და ვარამს,
დარდწამოსხმულ ქალს, კვლავ მკენწლავს
ქარი...
თავს დამტრიალებს ღრუბლების ფარა,
სევდას აღარ აქვს არაფრის ზაღვარი.
არავის ვგავარ... არც მინდა ვგავდე,
არ მემეტება მტერიც ამ ხვედრით,
შეიძლებოდა?.. ვარდებს ვრგავდე და...
შვილმკვდარი დედის მქონოდა ბედი?

შემოდგომაა

გულით ნასეტყვი, ნაღვლიანად ქუჩებს
გავყურებ,
შემოდგომაა... ხე ფოთლებით
აფენს ხალიჩას...
მოგონებებით დარდიან გულს დავაპურებ და...
სევდანარევი იმედები ჩემთან დამირჩა.
ახლა ამ წუთში, ისევ-ისევ გამახსენდება
სკოლის წლები და სტუდენტობის
იწილ-ბიწილო...
მერე წუთებიც, კვლავ წარსულში
გადასვენდება,
ცაო, დამინდე, დღევანდელ დღეს
აღარ იწვიმო!

დიდო ჯორიფევ
(რეზო მიშველაძეს)

დიდო კორიფევ, სიკეთის და მადლის
მფრქვეველო,
მსოფლიოს სწვდება, შენი ნიჭის
ათინათება...
სიბრძნის კონა ხარ,
ჯანსაღ მარცვლის პურის
მთაველო...
ეგ ნოველები, ვარსკვლავებად
გამონათდება.
სულს ამშვიდებენ, ოქროს ყდებით
ტომეულები...
სიმდიდრე კაცთა, ამ ცხოვრების
ცოდნის არია...
მგზავრად დაგყვება, ლოცვა წლობით
გამოულევი...
ვუცქერ სიმდიდრეს...
ნუღარ გიკვირთ რა მიხარია.

მთვარეს

სევდიანი ღამეები, მთვარევ, ბევრჯერ
ვათიე...
ეგ კაშკაში, როცა ვსტირი,
რავქნა ვერ გაპატიე.

დავადება ხარ

მგზავრი კი არ ხარ,
გზაზე შემხვედრი..
დავადება ხარ! მე ასე ვფიქრობ.
წიგნიც რომ შექმნა,
ჩემთვის შედევრი,
არ წავიკითხავ შენს არცერთ
სტრიქონს.

ნიღაბი

ნიღაბი გაიკეთე და წლები ისე კაფეო, მიჩიჩინებდი...
ვერ შევძელი, რადგან ანგელოზი
ვიყავი უფრთო...
შენი ორგულობით ყოველთვის მაშინებდი,
არ მენანები.. შენს თავს სხვებს ვუთმობ...

ახლა ვიცი

ახლა მოძღვარს აღსარებას
ჩავაბარებ...
სურვილებს კი ვუჩურჩულებ
მაცხოვარს...
მერე? რწმენით გამოვაღებ
საყდრის კარებს...
ღმერთი ვიცი შემისრულებს
სათხოვარს.

მთელი სიცოცხლე

ნათქვამს მოჭორილს სიტყვებს არ ავდევ...
ფიქრსაც გაურბი სხვისკენ ძრომიალს...
მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთს ვანდე...
შემოიხედეთ... გულში ომია,

ვიფიქრე

ზამთარმა ყინვის საფენებში შემახვია,
ვიფიქრე... ყვალეფერი დამთავრდა უკვე!
უნდა გავძლო, რადგან გული
უბედობის სამარხია,
გავყევი წლების გზებს უკლევს!!!
მოვხვდი სიბნელის სახლში,
დამაფარეს თოვლის საბანი,
ამოვარდა ქარიშხალი და...
ზეცამ ხოშკანკალა
დამიშინა.
ძალა მოვიკრიფე, აქ არ უნდა დავრჩე
აქ არაფერია დასანანი.
ბედი დამცინოდა, მარტოობამ შემაშინა...
ღრუბლებში ვარ, მტერს
და მოყვარეს ვეღარ
ვარჩევ...

ნდობის სანთლები

ნდობის სანთლები ისევ
მისთვის უნდა დამენთო,
გრძნობათა ღველფი გამეჩხრიკა,
ნაცარ-მიყრილი....
ვიფიქრე, როგორ ვიარსებოთ
უერთმანეთოდ,
უერთმანეთოდ გადაჭკენება
გულის აპრილი...
ავაშენებდით ერთგულების
ლამაზ სასახლეს...
და დავიწყებდით დიდი საქმის
ჩხირკედელობას...
უსასრულობის ქვეყანაში
დავსახლდებოდით
გული ჩამიკლა... არც ემჩნევა უდარდელობა....

შენ გაახარე
(ლეო კვიჟინაძეს)

მე პოეზიის ცეცხლში ვიწრთობი,
ლექსის რითმებში მგონი შენც იწვი...
თვალზე მდუღარეს ძლივსღა ვიშრობდი.
მერე სულ დავრჩი ლაბირინთებში...
წერე პოეტო, თუკი გულს უნდა...
კლდეც კი ლექსია ჭიათურის მხარეს...
მე თუ სტრიქონი გადამიხუნდა,
ლექსის ნერგები შენ გაახარე.

რაც მაწუხებს

რატომ მითრთის ხშირად ყინვით სხეული
ახლაც მეწვის ქარით ნაზი ლოყები.
დარდი არის ჩემთან შემოჩვეული...
რაც მაწუხებს კალმით როგორ მოვყვები.
ამ ცხოვრებას ფეხი როგორ აუწყო,
ქვიშასავით წვიმამ ლამის დამლამოს,
თუ დავსველდი კალამს უნდა ვაუწყო,
ტკივიელბი ისევ ჩემში დამალოს.
ჩხუბს და კამათს ო, ძალიან განვიცდი...
მძულს და ქართან ყოფნა არ მიხარია...
ეროგულების სითბოს მუდამ დაუცდი,
მას დავეძებ უკვე კარგახანია.

შენ დედისერთავ
(ჟუნა ბიწაძეს)

შენს სულის სარკეს დათამაშებს
ათინათები...
იმკი სიყვარულს... რადგან ხალხში
სიკეთეს თესავ...
საქართველოსთვის აგინთია
შვილო, სანთლები,
ღმერთმა გიმრავლოს ოთხი შვილი
შენ დედისერთავ.

იწამე

ჩემში ისეთი გულია მადლის...
კაცობრიოვობას ეყოფა სითბოდ.
იწამე შენ თავს არასდროს გადრი,
გზასაც ყოველთვის მხოლოდ შენ გითმობ.

წვიმის ცრემლები

მოვთელე სულის ბასრი ეკლები,
აკაციები ავაყვავილე...
ლექსით გავაშრე წვიმის ცრემლები...
ცა სიყვარულის სხივით გავლილე...

* * *

გაუფერულდა... არაფერი არ მინდა შენგან....
აღარც ცუდს გეტყვი, აღარც ავი სიტყვით შეგამკობ....
არ გამოდგები, არავისთვის სიცოცხლის ნერგად....
სითბო არ გინდა?... წადი ქარში... წადი შეკაცო!

ლერი ბუიღლიშვილი



მიძინების ეკლესია

მიძინების ეკლესია, აღარ ისმის ზარი,
არც ბერების ჩუმი ლოცვა, არც გალობა წყნარი
მიძინების ეკლესია, აქ ჰქრის მხოლოდ ქარი,
აღარ ჰღვივის საკმეველი და არც ცეცხლის კვარი.
ბევრი ვძებნე, ვერ მოვძებნე წინაპარის კვალი,
სამცხეს მფლობელს ვერსად ვკიდე, ცნობიერი თვალი.
გაძარცული ეკლესია, არის თითქოს მკვდარი
და მონასტრის ტალანებში დაჰქრის ქარიშხალი.
მიძინების ეკლესია, ერთ დროს რჯულის ფარი,
ჩემი დიდი წინაპარის წმინდა სალოცავი.
დღესაც ბრწყინავს ნაშთი ძველი, ძეგლი საოცარი,
ადრე ერის სახატე და ფუძის შესაყარი.

გახსენება

ჩემი სოფელი - ეს იმერეთი,
ღობე ჯარჭული, ღობე ტყრუშული
ურმის ღრჭიალი იმ ორღობეში
და მთვარიანში ქალის ჩურჩული...
მომაგონდება ხოლმე წარსული,
გაროზმოსხმული მორცხვი ასული.
მარნებში დგანან ინდურიანი
და უინდურო საწნახელები...
მერე, ონჭარო, წბერი, ჭახრაკი,
დიდთავიანი ორშიმოები.
კოპე-ორკაპე, სირო-ოფსირო.
და უამრავი ღვინის ხრიკები.

ღარებს, საწურებს, ძაბრებს და ნიჩბებს -
ვეღარ აუვა სიტყვა ულევი.
სარცხებს, კრაზანებს, დოქებს და თუნგებს -
ჰქვიათ სახელი გამოულევი.
თაროდან მიცქერს მწვანე კრახუნა,
ასეთი ღვინო არ დანახულა!
ჩემი სოფელი - ეს იმერეთი,
ღობე ჯარჭული, ღობე ტყრუშული,
თვალს ვერ ვუსწორებ სხვენზე აკიდოს,
თითქოს ჩამესმის მისი ჩურჩული...
მომაგონდება ხოლმე წარსული
და ყრმობა ჩემი აწ გარდასული.

დედა

დედა ზღვაა!-
ზღვა მღელვარე
სიყვარულის ტალღა,
ჩანჩქერია მომჩქეფარე,
მან არ იცის დაღლა.
დედა ტბაა!-
ტბა უძირო
უსასრულო რამე.
გრძნობით ხელში რომ აგიყვანს,
გაგინათებს ღამეს.
წყაროცაა!-
თავ-ანკარა,
უკვდავების წყალი.
შენ კი მისი საოცნებო
ზღაპრის ნატვრისთვალი.
იგი შენი აკვანია
და სულისთქმა შენი,

შენი ცრემლის შემშრობი და
სიცოცხლის მომცემი.
იგი შენი ტირილია -
ღვთაებაა შენი.
მან გასწავლა სიყვარული
და სხვა დანარჩენი...
დედისათვის?!
კაცი მახვილს,
ცეცხლსაც შეჰგებია!
გრძნობით ვინც არ დააფასოს
ის დედური ღვაწლი,
ის დედური ტანჯვა...
ვისთვის დედა აღარ ჰფასობს?
წყეულ იყოს!!!
და ტკბილი რძე დედის
შხამად შერგებია!

ლიანა ოსიაშვილი–მელიქიძე

სურათზე რეზო ჩხეიძე, ლიანა ოსიაშვილი

რეზო ჩხეიძეს

კინო-გმირი ყველა ჰპოვე ნიჭით,
რაც შეეძლო, მხოლოდ ბრძენს და მამაცს,
თავადა ხარ „მენახშირე ბიჭიც”,
ყველა ქართველ „ჯარისკაცის მამაც”.
ერთი არა, თქვენი ფილმთა რიცხვი,
რამისა აიკინძოს ჯარად,
საქართველოს მატიანეს რაიც
დაეტვიფრა დიდებად და ჯვარად.
ვერ აღვნუსხავ, თქვენს დიდ ნამოღვაწარს,
ქართულ კინოს ფუძევ და სიმდიდრევ!
სასურვოა თავად თქვენებრ გმირი
ივერიას დაებადოს კიდევ.

მეუფე თადეოზს

(მირიან იორამაშვილს)

მუხლმოდრეკილნი ამბორით
კრძალულად გეალერსებით,
მთელ საქართველოს რომ მოძღვრავთ
წმინდა ლოცვით და ლექსებით.

მაყვალა გონაშვილს

ლაჟვარდშია ქალთა მუზის სავანე
და წრიაპით ვიცი მხოლოდ შენ ახვალ,
იქ სამოთხის უკვდავ სამბრძანებლოში
პოეზიის დიდ მზეთა-მზე შენა ხარ!
ვიცი ბევრი გესათუთა ლექსებით
მიგიდარეს სილამაზე ღმერთთა-ღმერთს,
რუსთაველი დღეს რომ იყოს ცოცხალი
საგალობელს მოგაგებდა ერთად-ერთს.

დავით ტიგინაშვილს

შენი ლექსების აკვანი
საგარეჯოში ირწევა,
სალექოთდ რომ გამოდიხარ
ქვეყანა განზე იწევა.

სერგი ლომაძეს

თუმც ბევრი ჩხაპნის დღეს შენ ხარ,
ლიტერატურის გენია,
რომ სიტყვასამართლიანობ
ღმერთმა გიკურთხოს გენია

ჯახა ბაციჯაძეს

მუზით რომ ხარ დამთვრალი
ტატოს გადრი ამადა,
გულმწვდომი სიმღერით და
ლექსითა ხარ თამადა.

ქეთი ნათელაძეს
სითბოს თესავ და არასდროს,
აურას არა ყინავ,
ასაკითა ხარ უმცროსი
დიდ პოეტებში ბრწყინავ.

რევაზ მიშველაძეს
ვაღმერთებ თქვენი კალამის
უკვდავ ფესვების გადგმას,
ქართული პროზის სამეფო
თავზე გვრგვინი გადგას.



ვაჟა დოლბაიას
(ეგრისელს)
ცეცხლია თქვენი რითმა და
ბრძნული ფსალმუნის სონეტი,
დადიხარ საქართველოში
პირველი მეფე პოეტი.

გულნაზ ხარაიშვილს
დიდსულოვანო ქალღმერთო!
ვინაა შენი სადარი,
გულზე ეკლად რად დაესოთ
როცა გიწოდეს თამარი.

ნუგზარ ნადარაიას
ზუსტად რომ მოგესადაგოთ
სიტყვა სახოტბო სად არი,
საერო მრავალ საქმეთა
თქვენა ხართ მთავარსარდალი.

გვანცა ხარაიშვილს
დადიხარ უმშვენიერეს
სამემკვიდრეო იერით,
კლასიკურად რომ აზროვენბ
გვარით მოგერგო ძლიერით.

ნანა სხირტლაძეს
(რუსთაველ მოსწავლეს)
ალალი არის შენზე ლაჟვარდი
უსასრულო ცა, ქართვლის ნანინა,
შენს ტოლებს ჯერაც ნაჭუჭში სძინავთ
შენ ფრდაგაშლილი ცაში დაფრინავ.

გოგიტა მელიქიძეს
(ჭეშმარიტ გმირს)
ღვიძლ საქართველოს ფესვი ხარ!
გათრობს სამშობლოს სურნელი,
თავდადებული, წრფელი და
ერის სიკეთის მსურველი.
ქართული რჯულის მლოცველი,
სიცოცხლით მასზე თავმდები,
ემრავლოს საქარისტიანოს
გმირები შენისთანები.

არასდროს

ფიქრები მარად თავს მათოვს
დასალიერში, ყველგანა,
არცერთი მხიბლავს არასდროს
სხვისი ნაქები ქვეყანა.
აქ კი ოცნებაც მაამებს
ჩემს ლამაზ მთა და მდელოზე,
ჟრუანტელსა მგვრის სიმღერაც
ვარამქმნილ საქართველოზე.

ღმერთო!

რადგან ყველას მიჯობს ჩემი
ხალხი, ზეცა, მთა და მდელო,
ღმერთო! შენ ხომ მოწყალე ხარ,
დამილოცე საქართველო!

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

აუგ სიტყვას არასოდეს
არაფრისთვის არ ლესავ,
ხალხისთვის კი აურაცხელ
სიკეთეს და მადლს თესავ.
თაყვანს სწორედ ამადა გცემთ
პირადზე რომ არ ზრუნავ,
რომ ყველაზე წინ აყენებ
საზოგადო საზრუნავს.
თუმცა ხდება ლაფსუსებიც
სიკეთეს არ ხედავენ,
ნეტავ შენთან მოტოლებას
ზოგნი როგორ ბედავენ.
მოენეებს ჟინს აუგის
არასოდეს უკლავდი,
სანაცვლოდ კი ხალხს შეუქმენ
„ათინათი“ უკვდავი.

ბელა ნავდარაშვილი

ნაკვალევი

მე გამოვყვები ცის ნაკვალევს,
ვარსკვლავიან ცას...
მე დაგინახავ ცისფერ ხესთან,
ჩემსკენ მომავალს...
მე დავინახავ შენს ლურჯ თვალებს,
ზღვას რომ ასე ჰგავს...
მე დავინახავ მოცურავ გედს უკანასკნელად...
მე დავინახავ იმ მთას, იმ ზღვას
ნისლი რომ ფარავს...
იმ ყვავილებსაც დავინახავ
ცვარი რომ ნამავს...
ოქროსფერ თავთავს დავინახავ
ქართან მოტრფიალს...
და გავიგონებ იმ მუსიკას,
ჩანჩქერს რომ უყვარს...
წყაროს ჩუხჩუხსაც გავიგონებ
წყურვილს რომ გვიკლავს...
და იმ პეპლების გუნდს გავყვები
ცისარტყელამდის ...
მზის ნაკვალევზე ვისრიალებ
წვიმის წვეთივით.

ოთარ მჭედლიშვილი

შემოდგომის გზები

გზები განუსაღვრელ სევდას
სერავს შემოდგომის მტვერით,
მე კი ვერ ვისურვებ ფრენას,
რადგან მოკლე არის ფრთები.
მთვარე... სწორუპოვრად ჩუმი..
ზეცაგადაღეღილ ფიქრებს
ისევ მიგნება აქვს სუსტი,
ზეცა მაღალია ისევ...
ხიდი წყალგარღვეულ ხევში
უძლებს, ზღვა ნიაღვარს უძლებს
ჩემგან არ დაზოგო ცრემლი,
ფრთები კვლავ მიმიგავს სულელს...
ნისლი ტოტებაწვდილ მთების
რაღა ნოსტალგიით მტვირთავს.
ახლაც შემოდგომით ვთვრები,
ახლაც ფოთლებაყრილს მძინავს.
9 სექტემბერი 2013 წელი.

ო, ესმერალდა

მე შენ გიწოდებ ესმერალდას, კოცნის წადილით!
და რბილ ტუჩებში ამოვიცნობ კიდეც მოახლეს,
ძველ, ბრილიანტის საყურით და ლურჯი მანდილით.
ო, ესმერალდა გამისწორე თვალი, მომანდე.
მე მინდა წამი დავიჭირო, მაგ თვალებიდან
არ გამეპაროს ჟანას სევდა, ქუთუთოებიც
(გულის ფანცქალიც რომ ეტყობა) ფუნჯის ვნებიან
ნელ მონასმებით ვანებივრო და ამ მოთელვის
შემდეგ ვთქვა: „დიახ, ეს დუელი უთუოდ დღესვე
შედგეს“ და თუნდაც არ დავბრუნდე ჩემივე ფეხით
გამხმარ ფოთლებს კი ვეღარასდროს ვაწერდე ლექსებს
მზად ვარ ცხელ სიტყვებს შევაგებო ხიფათის ეშხი...
ო, ესმერალდა, გესმის, გუშინ ატეხილ ღელვას
სულ დაულეწავს ჯებირები, ამბობენ, მსხვერპლიც
კი ყოფილაო... ღმერთო ჩემო! დაქცეულ ზეცას
ის აღარ ეყო, მოეგლიჯა ნიღბები ჩვენთვის.
ო, ესმერალდა ხედავ, როგორ ახელებს ცხენი?!
სიკვდილადაც ღირს უაღვუროდ მისი ჭენება
და ვინც იკამრებს, აღესრულოს ისე, რომ მხეცის
ამოსუნთქვით ხარს კორიდაზე აღარ შეებას
ის სულელია, მე კი – უფრო და მაგ თვალებსაც
ერთ-ერთ ტილოზე გადატანით ხოტბას შევასხამ
და მაშინ, ჩემს თავს ჩავჩურჩულებ, როგორც თავნება:
არ გამეპარა ჟანას სევდა, ო, ესმერალდა...
26 იანვარი, 2014წელი.

დავით ტიგინაშვილი

მშობლებს!

დედავ, შემინდე ცოდვები
ქალო, რა განზე გადექი,
ო, სიცოცხლეში ძვირფასო.
როგორ ვერ გამოგადექი
ნეტა, იცოდე, დედილო!..
შენთან რას მომიხარია
შენი ღვთიური საფლავი,
ჩემთვის სამოთხის კარია!
ვიცი, ეს მწარე ცრემლები
დღეს ხვალ დამასამარებს,
საფლავზე მუხლდაჩოქილი
ცრემლით მივარღვევ, სამარეს.
ამაზე წმინდა ადგილი?!
ღმერთო, რა არის, სხვა წმინდა,
ო, დედაჩემის საფლავო!..

მონატრებულო მთაწმინდავ!..
უფალო, მიწა გატოკდა!..
დედავ, გამიღე კარები,
ო, უპატრონო ძაღლივით,
ცოდვილი დავიარები.
მამავ, შემინდე ცოდვები...
ღმერთო, კაცობით მათრობდი
ნეტავი, თუ გაგიმართლე
ჩემს გაზრდას, როგროც ნატრობდი.
აგერ, მთვარე და სანთელი,
ამაღრიალე, არაგვო,
ადექი, შე დალოცვილო,
ცოტა ხანს ვილაპარაკოთ...
საცაა დამეთენდება
მალე ცისკარი იალებს
მოგონებებში სიმწრისგან
ჩემს, გულში ცეცხლი ბრიალებს!
ეხლაც, შენი ხმა მგოსანო,
მეხივითა ჰქუხს მთა-ველად.
შენ ჩემო, მთების არწივო,
შენ ჩემო ვაჟა ფშაველავ!
ვაი, რა მეხი დამეცა!..
გულში მაძგერეთ მახვილი,
ნეტავ, თუ გესმით ჩემი ხმა...
და ჩემი გულის ძახილი.
ლექსო, შე ოხერ-ტიალო,
ო, სისხლ ძარღვებში ნადუღო,
ლამის ამ ოხერ-სტრიქონებს,
კალამი ზედ დავადუღო.
ნეტა რა ფერის არიან,
თქვენი სამოთხის ფრთოსნები
თითო ბწკარს გამოვატანდით,
ღმერთო, ბებერი მგოსნები!...
ზედ გულზედ გადამატარეთ
მუზის ღვთიური ჩარხები
რა ბედნიერი კაცი ვარ,
თქვენს გვერდით დავიმარხები.
ო, ლექსზე მოხეტიალეს
მგოსანს მნათლავენ მთამსვლელად,
მარტო, ეს ლექსი გეყოფათ
ცოდვების გამოსახსნელად.
დიდება შენდა უფალო!
ქვეყნად თუ კაცი მქვიაო...
ო, ჩემი წილი სამოთხე!...
მე თქვენთვის მიჩუქნიაო!..

21.09.2014წ.
ღვთისმშობლის შობა

მთვარე დაეშვა გომბორზე!

მთვარე დაეშვა გომბორზე,
რითმა დაუსხლტა ცურზე,
ჩემო ღვთიურო ქვეყანავ,
შემოგადნები გულზე.
გამოიღვიძეთ, ლომებო,
ბოღმით არ გასკდე, მტერო,
მრავალჟამიერ ვიმღეროთ
ჩემო ლამაზო ერო!
დღე და ღამ შენს გზას მივსტირი,
გალაკტიონის მერი,
ღმერთო, არ გადააშენო
ქართველთ მოდგმა და გენი.
სულ მალე ჩვენი შვილები
იზეიმებენ ქორწილს,
მე კი ამ ლექსით ამირანს
ავაწყვეტინებ ბორკილს.
დაჟანგებულო გუთანო,
ყანებს მქროლავო ქარო,
ნიშნიანიძის ლექსიდან
გამოვარდნილო ხარო.
მიდი, იყივლე, მამალო,
იხარე, არემარევ!
შენ დააპურე ქვეყანა,
ჩემო მზეო და მთვარევ!
ამ გაზაფხულზე ასკდება
ნუში, ატამი, მსხალი,
კალმახის ენით იმღერებს
ღმერთო, არაგვის წყალი.
ლექსო, მოდი და წამლეკე
ტყუილად არ გაიხარჯო,
აბა რა, უნდა მაწამო,
უნდა მაკივლო, მტანჯო.
ამაიწივლე, კალამო,
ვით ტამერლანის ხმალი,
ლექსის რითმებზე ღრიალებს
სამი არაგვის წყალი...
ო, რა მადლია, უფალო,
ღვთით ბოძებული ნიჭი,
ამაღღიალე, არაგვო,
ლექსის გიჟი ვარ, გიჟი...
მთვარე დაეშვა გომბორზე,
რითმა დაუსხლტა ცურზე,
ჩემო ღვთიურო ქვეყანავ,
შემოგადნები გულზე.

გამოიღვიძე, ზაფხულო

გამოიღვიძე ზაფხულო,
ყველგან გაშალე კოკრები,
შეამკე ტურფა ბუნება,
გულით ახარე ობლები.
ბუნებავ, ჩემი სული ხარ,
ჩაუქრობელი ლამპარი,
ვგიჟდები, გულში სისხლი დუღს,
ტანთ მაწვიმს ცეცხლის ავდარი.
არა მნელდება ბეჩავსა,
ფიქრი მკლავს დაუთმობელი,
სიზმარშიც მთები მაბოდებს,
ჩემი გამზრდელი, მშობელი.
გადმოვიკივლებ ხარივით
და ხმას მივაწვდენ ღმერთთანა,
იქნება ერთხელ მესტუმროს,
ვაპურმარილებ ჩემთანა.
ვერ შეგელევი, ოხერო,
ლექსო, ცოცხალი თავითა,
სანამდის არ დაგადუღებ
მანავის მწვანესავითა.

რა დრო დაგვიდგა...

რა დრო დაგვიდგა, ო, ღმერთო,
ძმისგან გულსა გჭირს იარა,
შავმა წარღვნამ და ღვარცოფმა
ზედ გულზე გადაგვიარა!
რაინდობას რომ დაღადებ,
ყანწები მაინც ავირწყათ,
ქართულ სუფრაზე ლამაზი
ქეიფი რამ დაგავიწყათ?
შენ მომავალი გიყურებს,
რას ლანძღავ ავკარგიანებს,
განა იმიტომ არა ვსვამთ,
რომ დავტკბეთ, ჩავთაფლიანდეთ?!
თუ პირველობას ვერ აღწევ,
ზრდილობა მაინც გქონოდა,
დამშვიდდი, ჩემო სიცოცხლევ,
აგრე რამ გაგაბოროტა?
ილიას ორჯერ ესროლეს...
მართლა არა ხარ ქართველი! –
ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე,
კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი.

გამაგრდი, ჩემო ბერმუხავ

თვალი დაგიდგეს, მამულო,
ძმებმაც ჩაგარტყეს ხანჯალი,
დაიღრიალე, ლომგულო,
აგვასხი ხმალი, აბჯარი!
ჩამოქცეულხარ, ქვეყანავ,
გაგხუნებია ელფერი,
მშიერ-მწყურვალი ბალღობა
თვალცრემლიანი შეგცქერის.
დრო მოვა, სეტყვის ღრუბლები
მზის სხივით გადალღვებიან,
სამშობლოს მოღალატენი
მიწისგან აღიგვებიან!
გამაგრდი, ჩემო ბერმუხავ,
შენთვის ღიღინებს მთვარეო
ო, ივერიის ვარსკვლავო...
გაბრწყინდებოდე მალეო...



ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
"პლანი", "პლანიო", სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტრებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

ნუგზარ ხუციშვილი

"მზე დედამიწას ანათებს,
მთვარე, მამა ღამისა,
ჩვენი სიცოცხლე გაელვებაა
ამყაროს ერთი წამისა."

ნუგზარ ხუციშვილი დაიბადა 1953 წელს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო, პოეტის ნაწარმოებები- ლექსები, მოთხრობები სხვადასხვა თემებზეა დაწერილი: სიყვარულზე, ომის თემაზე და 9 აპრილის ტრაგედიაზე, რომელიც მასაც შეეხო, რელიგიურ თემაზე, ეროვნულ თემაზე, დღევანდელ რეალურ ცხოვრებაზე, ლეგენდების მიხედვით და სხვა. მის მიერ გამოცემულ ყველა კრებულს წინ უძღვის სიტყვები: "უფალო შენ დაიფარე ჩემი ერი და მთლიანად საქართველო."



ქალი აყვანის მთა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში, ნეკრესის მონასტრის და გრემის მონასტრის შუალედში, კერძოდ შილდის ტერიტორიაზე.

მთის წვერიდან ხელისგულივით მოსჩანს, გადაშლილი ალაზნის ველი და ჭალები, ხოლო მთას ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან, ზემოდან დაჰყურებს ნეკრესის მთები. ლეგენდა ვაჭაცისა და გოგოს სიყვარულის შესახებ ოდითგანვე თაობიდან–თაობას გადმოეცემოდა ხოლმე, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია.

მოპოვებული ინფორმაციით ლეგენდის საწყის პერიოდად მიიჩნევა მე-16 საუკუნე, როდესაც გრემი იყო კახეთის სატახტო ქალაქი. უნდა აღინიშნოს, რომ ქალიაყვანის მთაზე, სიყვარულის თემა აქტუალურია დღევანდელ თაობაში, გზადმიმავალი ბევრი წყვილი ჩერდება ქალიაყვანის მთის ძირში და მდუმარებით სთხოვენ სურვილებს ლეგენდარულ მთას.

ლეგენდა სიყვარულის მთაზე
ქალიაყვანა
მოთხრობა

ეს ამბავი მოხდა 1570 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში.

კახეთის დედაქალაქში, ქალაქ გრემში, ლევან კახთა მეფის სასახლისა და მთავარანგელოზის სახელობის მონასტრის შუალედში გამავალ ქუჩაზე, ერთ პატარა ეზოიან საკუთარ სახლში ცხოვრობდა სასულიერო პირი, მღვდელი მამა-იოანე, თავის მეუღლესთან და

ოცი წლის ქალიშვილთან გვანცასთან ერთად, მამა-იოანე იმ პერიოდში მსახურობდა გრემიდან ერთი საათის სავალ მანძილზე ნეკრესის მონასტერში, სადაც თავისი ორცხენიანი შარაბანდით, ყოველ კვირადღეს დადიოდა ღვთისმსახურებაზე, მამა-იოანეს ხშირად თან ახლდნენ მისი მეუღლე და ქალიშვილი გვანცა, რომელიც საკმარისად განათლებული გოგო იყო, მაგრამ ძირითადად ქსოვა იყო მისი საქმიანობა, ქსოვდა ტანსაცმელს, პატარა ხალიჩებს, პირსახოცებს და ხელსახოცებს, მართალია უკვე 20 წელს მიაღწია, მაგრამ მისი თანატოლებისაგან უფრო გამოირჩეოდა ბავშვური ქცევებით, თავის თანატოლებთან შედარებით განსაკუთრებულად ლამაზი გოგო იყო გვანცა, ქალაქში მცხოვრები ბევრი ახალგაზრდა მამაკაცი ნატრობდა მის გვერდით ყოფნას, მაგრამ რატომღაც ვერავინ ვერ მოახერხა მისი გულის მოგება. კვირაობით, მამა-იოანე ოჯახთან ერთად ნეკრესში მისვლამდე, გზად სოფელ შილდაში აზნაურ ზურაბიშვილებს სტუმრობდა ხოლმე, ისინი მამა-იოანეს კარგი მეგობრები იყვნენ და ასევე დადიოდნენ კვირაობით ნეკრესის მონასტერში სალოცავად. აზნაურ ზურაბიშვილს ახალგაზრდა ვაჟი ჰყავდა, სახელად გიორგი, რომელიც დაახლოებით 25 წლის იქნებოდა, შეძლებული აზნაურის სახელი ჰქონდა იმ პერიოდში ზურაბიშვილების ოჯახს, მათ ბევრი ძროხა და ცხვარი ჰყავდათ, მართალია სხვა მწყემსებიც ჰყავდათ ოჯახს, მაგრამ საქონლის სამწყემსავად ზოგჯერ გიორგიც მიდიოდა, დაუზარელი ვაჟკაცი იყო, კარგი სპორტული აღნაგობის, მუსიკალური სმენით იყო ღვთისაგან დაჯილდოვებული, სხვებისაგან განსხვავებით სალამურის დაკვრის უბადლო ოსტატი იყო, მეგობრები ხან და ხან ხუმრობით იტყოდნენ ხოლმე, როდესაც გიორგი სალამურს უკრავს, ჩიტები გალობას წყვეტენ და გიორგის უსმენენო, გარდა მუსიკალური ნიჭისა გიორგი კარგი მხედარიც იყო, მან რამოდენიმე საცხენოსნო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ გამარჯვებაც მოიპოვა, გამოწრთობილი მხედარი იყო, გამოცდილებაც ჰქონდა, იგი სამი წლის განმავლობაში მსახურობდა ლევან კახთა მეფის ჯარში, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში, სადაც მეფის მხარ და მხარ იბრძოდა, მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მებრძოლმა.

მამა-იოანეს და აზნაურ ზურაბ ზურაბიშვილს ოჯახებით უკვე დიდი ხნის ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, აქედან გამომდინარე გიორგი და გვანცაც ბავშობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, ამიტომ როდესაც მამა-იოანე წირვაზე მიდიოდა ნეკრესში, გვანცას იმედიანად ტოვებდა გიორგისთან, ახალგაზრდების ამდენი ხნის მეგობრობამ და ერთად ყოფნამ თანდათან სულ სხვა ელფერი მიიღო და მათ გულებში შეპარულად გაიღვიძა სიყვარულის გრძნობამ, მართალია რამოდენიმე წელი უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ დაოჯახების შესახებ საუბარს, ყოველთვის თავს არიდებდნენ.

სოფლის ბოლოში საშუალო სიმაღლის მთის ძირში, მაღალი, ლამაზი მუხის ხე იდგა, სადაც ძალიან ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს გიორგი და გვანცა, მუსაიფობდნენ, უყვებოდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ამბებს, გიორგი ხშირად სალამურის დაკვრით ართობდა გვანცას. ასე ბედნიერად შეჰყურებდნენ და შეჰნატროდნენ ერთმანეთს თვეებისა და წლების განმავლობაში შეყვარებულები.

ერთ მშვენიერ დღეს გიორგიმ როგორღაც გაბედა და გვანცას უთხრა, ჩვენ უკვე იმ ასაკში ვართ, რომ შესაძლებელია შევქმნათ ოჯახიო, ასევე ჩემი შენდამი ერთგულებისა და სიყვარულის დასადასტურებლად მინდა ხელი გთხოვო და ცოლად გამომყვეო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ გვანცამ გულიანად გადაიკისკისა და თავისი ჩვეული კეკლუცობით უპასუხა, მე გამოგყვები ცოლად თუ შეასრულებ ჩემს პირობასო. გიორგი გაჩუმებული უსმენდა და ფიქრობდა ნეტავ რა პირობაზე მელაპარაკებაო, მაგრამ მერე ცნობის-

მოყვარეობამ დასძლია და უთხრა, მითხარი რა არის შენი პირობაო, გვანცამ ისევ ჩვეული კეკლუცობით უპასუხა, გიორგი ხომ ხედავ მთას, აი იმ მთის წვერზე ხელში აყვანილი თუ ამიყვან-გამოგყვები ცოლადო. გიორგიმ მზერით შეავლო თვალი მთას და ჩაფიქრდა, ერთი თვის განმავლობაში ფიქრობდა გიორგი, იგი ძლიერი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ იცოდა, რომ იმ მთაზე ასვლა ორმაგად დამძიმებულს გაუჭირდებოდა, ამიტომ დღეს და ღამეს ლოცვაში ატარებდა, ღმერთს ევედრებოდა რათა გვანცას პირობა შეესრულებინა, მან ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ხელში აყვანილი გვანცა აეყვანა მთის წვერზე, შეხვედრის ადგილიც დათქვეს მთის ძირში, სადაც თავისი ჩვეული კეკლუცობით გამოცხადდა გვანცა, გიორგიმ პირჯვარი გადაისახა, აიყვანა გვანცა ხელში და ციცაბო მთას შეუდგა ფეხით. გიორგი ხელში აყვანილ გვანცასთან ერთად მიაბიჯებდა ციცაბო მთაზე და ფიქრობდა, აი სადაცაა მივაღწევ მთის წვერს და ასრულდება ჩემი ოცნებაო, როდესაც გვანცა მეტყვის, გიორგი თანახმა ვარ ცოლად გამოგყვეო: ძალიან გაუჭირდა გიორგის მთის წვერზე ასვლა, მაგრამ მაინც ავიდა გვანცასთან ერთად, ორივენი ბედნიერების გრძნობით იდგნენ მთის წვერზე, გიორგიმ ხელი მოხვია გვანცას, ტუჩებზე ეამბორა და

გრემი

ნეკრესი

უთხრა: მე შევასრულე შენი პირობა ჩემო სიყვარულო, მაგრამ აი ეს არის ბედის ირონია, ამდენ დატვირთვას ვეღარ გაუძლო გულმა, გიორგი მიწაზე დაწვა გვანცას ფეხების წინ და სამარადისოდ განისვენა. გაოგნებული გვანცა მთის წვერზე იდგა და ტიროდა, ქვემოთ მოსჩანდა გაზაფხულის პერიოდში ახლად გამწვანებულ ფოთლებში ჩასმული ჭალა, რომელიც მდინარე ალაზანს ცისარტყელას ზოლივით გასდევდა, ზემოდან კი თავს დაჰყურებდნენ ბუმბერაზი კავკასიონი და ნეკრესის მთები. დიდხანს იდგა მტირალი გვანცა მთის წვერზე, იგი ღმერთს ევედრებოდა, დამიბრუნე ჩემი სატრფო და უკან მიმაქვს ჩემი პირობაო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, აი ეს არის ბედისუკუღმართობა.

იმავე საღამოს შეიტყო ქალაქმა გრემმა და მთელმა კახეთმა მამაკაცის და გოგოს სიყვარულის ტრაგიკული ამბავი, გლოვა გამოაცხადეს, ერთმანეთს უყვებოდნენ მომხდარის შესახებ. კავკასიონის მთების ერთ-ერთი კალთის ბოლოს მდგარი საშუალო სიმაღლის ლამაზი მთა, ამ ტრაგიკული ამბავის შემდეგ იქცა“სიყვარულის მთა”- ლეგენდად და ეწოდა “ქალიაყვანა”.

სოფელ შილდაში დიდი პატივით დაკრძალეს ახალგაზრდა კაცი გიორგი, რადგანაც გიორგის უფროსი ძმა მეფის კარზე მსახურობდა, ამბობენ ცერემონიალს ლევან კახთა მეფეც დასწრებიაო. გიორგის გარდაცვალების შემდეგ, საბრალო გვანცას მშობლების სახლის ეზოში განმარტოებით მდგარ პატარა ოთახში, ლოცვაში გაუტარებია თავისი დარჩენილი ცხოვრება იქამდე, სანამ 1614-1616 წლების დროს, როდესაც შახ-აბასმა ააოხრა და დაანგრია ქალაქი გრემი, ხოლო ნაწილი მოსახლეობისა ტყვედ წაიყვანა სპარსეთში, რომელთა შორის გვანცაც ყოფილა. ამბობენ იქ ირანში, 70 წელს მიღწეული საბრალო გვანცა მოულოდნელად გარდაცვლილა, ქართველებს უანგაროდ, ერთსულოვანი დახმარებით დაუკრძალიათ ფე-



რეიდანში ქართველების სასაფლაოზე, ხოლო იმ ადამიანებმა ვინც იცოდნენ გვანცასა და გიორგის სიყვარულის ამბავი, წმინდა ქალწული,- გვანცას საფლავის ქვაზე ამოუტვიფრიათ წარწერა- "გიორგის ქვრივი ქალიაყვანიდან".

ლეგენდის მიხედვით, თურმე "ქალიაყვანის" მთის წვერზე დღესაც ტრიალებს გარდაცვლილი გიორგის სული და გვანცას სულს ელოდება.

თბილისი, 2012 წ.

პირველი სიყვარული

ფრთაგაშლილო ანგელოზო,
შენ კოცონი ხარ, ცამდე ასული,
მინდა ტუჩებზე გეამბორო
და გავაბათილო ჩემი წარსული.
შენ ბავშვი იყავ, როცა გიხილე,
ღიღილოსავით ღიმილი გქონდა,
ფერიასავით ნაზი იყავი,
მე შენი კოცნის სურვილი მქონდა.
მე პირველად მზეს შეგადარე,
შენ ისეთი მწველი იყავი,
შენი სხივი, ყველას ათბობდა,
მე ყოველთვის ჩრდილში ვიყავი.

სიყვარულისთვის უნდა მებრძოლა,
პირველად გაჩნდა სათუთი გრძნობა,
თანდათან წლები მემატებოდა,
გრძნობებმა იწყეს ნელ-ნელა დნობა.
პირველი დნობა, პირველი ტკბობა,
შენ გააღვიძე ჩემს გულში გრძნობა,
ჩემი პირველი სიყვარულისთვის,
ბევრჯერ მომიხდა ღვინით დათრობა.
ვისთვის პირველი, მარადიული,
ვისთვის მეორე, სიყვარული ხარ,
შენ ჩემთვის ისევ, ძველი კოცონის,
ჩაუქრობელი ნაპერწკალი ხარ.

თბილისი, 1975 წ.

კაფია

მინდა გესროლო კაფია,
ძვირად რომ ამბობ კარგსაო,
ერთგულად უნდა მიხედო,
ჯერ ცოლს და მერე თავსაო.

პასუხი

ჩვენ შორის, ქალო-ფშაველო,
გაბმულა წვრილი ძაფია,
შუადამისას მესტუმრა,
შენგან ნასროლი კაფია.
მეგონა ბავშვი იყავი,
დაქალებულხარ ძვირფასო,
მოდი სიმართლე მითხარი,
იქნება ვინმე გიყვარსო.
მძიგებად შემოგევლები,
თუ მიატოვებ ფშავსაო,

ცივ ნიავს არ მოგაკარებ,
ჩემთან წაგიყვან კახსაო.
ზემოდან გადმოგევლები,
აყვავებულო მთა-ველო,
არწივად მოგევლინები,
ლამაზო ქალო-ფშაველო.
თუ შევეჭიდეთ სიყვარულს,
ვეღარ გაწყდება ძაფია,
როცა წაგიყვან ცოლადა,
ერთად ვისროლოთ, კაფია.

თბილისი, 1975 წ.

შვილის წერილი

გვიან საღამოს, მოხუცი დედა,
ჩუმად გაშლიდა, ოჯახში სუფრას,
ჭიქაში ღვინოს ასხავდა, მამა,
ჩუმად ამბობდა, დიდება უფალს.

სარკმელში ჩანდა ბუხრის ნათება,
სიჩუმე იყო გარეთ და სახლში,
ჩუმად ჩურჩულებს მოხუცი დედა,
ნეტავ სად არის, ახლა ის ბავშვი.
რამდენი წელი უნდა ველოდოთ,
რამდენჯერ უკვე აყვავდა ვარდი,
ბევრი ზაფხული, ბევრი ზამთარი,
აღარ განელდა მათ გულში დარდი.
აი გათენდა, ნანატრი დილა,
ორივე ერთად, კითხულობს წერილს,
თითქოს ბუნებაც შეიცვალაო,
მაღლა ღრუბლებში, ტოროლაც მღერის.
ჩემო ტკბილო მოხუცებო,
წერილსა გწერთ ძვირფასებო,
არ გეგონოთ, თავს ვიმართლებ,
თქვენს სიყვარულს ვაფასებო,
ჩუმად ტიროდა მოხუცი დედა,
მამამ კი ღვინით, შეავსო თასი,
ხანმოკლე არის წუთისოფელი,
ნეტავ რა არის სიცოცხლის ფასი.
თბილისი, 2013 წელი

ОЖИДАНИЕ

Это было давно,
Любимая моя,
Прилетела ко мне,
С далекого края.
Когда тебя слышу,
Я свободно дышу,
Когда тебя вижу,
Ни куда не спешу.
А когда уходишь,
Иногда мне грустно,
В долгих ожиданиях,
В сердце стало пусто.
Но придет время,
Выяснится правда,
Ты далеко будешь,
Поздно будет тогда.
И все равно день и ночь,
Я не буду спать,
С любовью всегда,
Вечно буду ждать.
Москва, 1975 г.

პოეტებს

დღეს, რუსთაველის პოემას,
არ ვიცი რა შეედრება,
უფალო შენ დაგვიფარე,
ეს არის ჩემი ვედრება.
სულხან-საბა და დავითი,
ვაჟა, აკაკი, ილია,
ბევრი ლექსი და არაკი,
მრავალი, დაწერილია.
ანა, მაყვალა, გულნაზი,
გოგლა, მუხრანი, ჯანსუღი,
ჩვენს პოეზიას მღეროდა,
უცხოტომელი აშუღი.
ყველა თავისას ამბობდა,
რეზო, ლადო და ნოდარი,
ლამაზად დაატრიალეს,
მათ, პოეზის ბორბალი.
უკვდავი არის გალაქტიონი,
მისი სიტყვა, ხომ სეფეა,
სიმართლე არ გეწყინებათ,
ის, პოეტების მეფეა.
ახალგაზრდებო თქვენს კალამს,
ვუსურვებ არ შესციოდეს,
ყოველთვის თქვენი მუზიდან,
ბრძნული აზრები ცვიოდეს.
უფლის სასწორზე ჰკიდია,
კაცის ბედი და ირონია,
მეისრე ჩემი ლექსისა,
პოეტი გორდონ ბაირონია.
2014 წ., ქ. თბილისი

თეთრი ღამე

დღე სიარულში გავლიეთ,
არაფერი გაგვიგია,
მაგრამ, ღამე არსად ჩანდა,
თითქოს, სადღაც დაილია.
ღამეც იყო და დღეც იყო,
ყველაფერი აირია,
აქ, ლამაზი მხარე არის,
მაგრამ სულ სხვანაირია.
ჩვენი ქვეყნისთვის უცხოა,
ღამე გქონდეს თეთრი,
განსხვავებაც ამაშია,
ცვლილებაა მკვეთრი.
შენ, ხომ ჩემს გვერდით იყავი,
ჩემო გულის მეინახე,
ჩვენ, რომ იქ დრო გავატარეთ,
საიდუმლოდ შეინახე.
ღამე თუ არ დაიძინე,
დაგაკლდება ნეტავ რამე?
სიზმარივით თან დაგვდევდა,
მოკაშკაშე თეთრი ღამე.

ქ. ჰელსინკი, 1990 წ.

ჩანაწერი უბის წიგნაკიდან

1995 წელს სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რამოდენიმე თვე მომიწია მუშაობა ყვარლის რაიონში. ზაფხული იყო. სამსახურის საქმეზე თბილისში მომიწია წასვლა. ორი დღის შემდეგ შუადღე იქნებოდა, რომ დავბრუნდი. ჩემდაუნებურად ყვარლის შესასვლელში მდგომ ბანერს შევხედე, რომელზეც გამოხატული იყო ილია ჭავჭავაძის სურათი, აშკარად ეტყობოდა, რომ თუნუქი იყო დახვრეტილი, როდესაც სამსახურში მივედი ვიკითხე, რატომ არის ილიას სახით გამოხატული ბანერი დახვრეტილითქო, რაზედაც მიპასუხეს, გასულ წელს ავტომატის ჯერი ესროლესო. თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა, ისე აღვიქვი, ცოცხალ ილიას ესროლესთქო. მთელი ღამე არ მეძინა, ვინმესთან მინდოდა დალაპარაკება, სულ მარტოდ ვიგრძენი თავი, მაშინ ავიღე ჩემი უბის წიგნაკი გავბედე და რამოდენიმე სტრიქონი დავწერე, მე მეგონა იმ წუთში ველაპარაკებოდი ერის მამას, ილია ჭავჭავაძეს.

ილიას

გავბედავ და სიტყვას გკადრებ,
შენს წინაშე ქედმოხრილი,
შენ ერთ-ერთი წმინდანი ხარ,
ყვარლის მთების გამოზრდილი.
საგურამოში, ჩუმად წახვედი,
შენს გულის სწორთან საუბნოდ,
აქ ლექსები დაგვიტოვე,
ყვარლის მთებთან სასაუბროდ.
თავისუფლების ლოდინში,
ილოცებოდი ქართულად,
ალბათ ეს ვერ გაპატიეს,
ტყვია გესროლეს მზაკვრულად
გულმოდგინებით ცდილობდი,
მწვერვალზე, ერის აყვანას,
ბევრი, მსხვერპლად შეეწირა,
ქვეყნის, სწორ გზაზე წაყვანას.
მგოსანო, ერის მამა ხარ,
გლოცავენ შენი შვილები,
ყველა ეპოქას ჰყოლია,
თურმე, ბერბიჭაშვილები.
ახლა ვდგავარ ყვარლის მთაზე
და შევცქერი ვარსკვლავს ცაზე,
სამარადისოდ, მაღლა ასულხარ,
მამადავითის, წმინდანთა მთაზე.
შედარებას თუ დავარქმევ,
მე ვარ, პატარა ნემსი,
ბოდიშს მოგიხდი თუ გითხარ,
გულში ნადები ლექსი.

ყვარელი, 1995 წ.

რეალობა

მე არასოდეს მიცდია,
რეალობისგან გაქცევა,
ზოგმა უგონომ ეცადა,
ჩემი, ბეჭებზე წაქცევა.
ვერ აისრულა სურვილი,
ვერც მტერმა, ვერცა მოყვარემ,
ჩემი ცხოვრება გავლიე,
ეკლესიასთან მდგომარემ.
მე ისევ მყარად დავდივარ,
ღმერთის ნაბოძებ გზაზე,
ყოველ დილით ვილოცები,
მამა დავითის მთაზე.
ეს, ყველამ უნდა იცოდეს,
ჩვენი წინაპრის წესია,
იმას მოიმკი ყოველთვის,
რაც, ოდეს დაგითესია.
ჩვენ უნდა დავიმახსოვროთ,
რომ, არ დავკარგოთ თავიცა,
ვინც რეალობას გაექცა,
ყველა, უმალვე წაიქცა.

ქ.თბილისი, 2012 წ.

ანა ჯავახიშვილი

ბუხარმა ამოსუნთქა შმორი და სინესტე,

პაპა დალეული ტუჩებით უბერავს
ჰაერს ამოყვება გული და ლოყებთან
ნაოჭის ტოტები ჰგავს,როგორც კუნელას
ხნიერს და უწყლობით დაფუტრულ ნაზროალს.
თვალებში ცურაობს ჯერ ჩვილი საღამო,
გამხდარი ხელებით ებრძვის ცივ ნაკვერჩხალს
და მისი სისუსტე ცხარეა ამაოდ,
როგორც სამოსახლო ძველი დაკარგული.

თხელ მხრებზე ანგელოზს იმედი ჰკიდია,
პაპა დაბნეული თავის კალენდარში,
აღარც შფოთიანი და აღარც მშვიდია.
ჩუმად დაბანცალებს ფიქრების ნუშნარში,
თითო ნუშს ჭაღარა სულ თეთრი გულიდან
ახსოვს სილამაზე,თითქოს დაუსრული
და იქაც მარტოა,მარტოა სრულიად.
ახსოვს პაპაობა და მათი ძეობა,
კისერზე შესმული ჯაფის მაჯლაჯუნა,
ახსოვს ჩიტუნია იმედის,ნუშიდან
გული რომ ამოკენკა და სხვაგან დასკუპდა.
ახლა ეძარღვება ლურჯი სინანული,
მისი სასაფლაო მის ტანზე დიდია,
პაპა დაბნეული,შიშით,მოლოდინით,
აღარც შფოთიანი და აღარც მშვიდია.
...სახსრებში მოტეხავს,უთუოდ იწვიმებს,
ბუხრის ნაკვერჩხალებს საჩხრეკით აღვიძებს,
ნაღველი ჩაწვეთავს ღამის სამოვარში
და პაპა აკოცებს ბებიას სათითეს.

პილატე!

შენ რომ ხელი დაიბანე,
მაშინ დავიღალე.
სწორედ მაშინ ამომიდგა
მხრებში სირცხვილი და
ცრემლის გუნდები,
ციდან ჩამოსული
თოვლად დავინახე.
შენი სახე პილატე!
ხსოვნაში ვისაფლავე
ისე რომ,ხორხოშა
მიწის ნაცვლად
ჩემივე დაქარგული
კვართი მივაფარე.
პილატე!
შენ რომ ხელი დაიბანე.
მიწისკენ მაშინ დავიხარე,
ჩემი უძალობა
მთლიანად წამოვკრიფე
და კალთაში ჩავიყარე.
მაშინ შემომხედა
ყველამ გაკვირვებით.
ზურგს მწვავდა სიბრიყვე.
პილატე!
მაშინ გამიცრუვდა
პირველი იმედები.
შენგან დაქცეული
წყლის წვეთის სიმლაშეც
იმ წუთას ვიწვნიე
პილატე!
რატომ მიღალატე,
შენ წინ დახრილი და
მტვერში არეული
ვერაფრით დამინახე.
იდარდე...
თვალში აგერეკლა
პირთამდე ავსებული
შიშის წყალი.
ბრიყვულად მჯეროდა რომ,
ვერაფრით შეძლებდი და
ვერაფრით გაბედავდი.
პილატე!
შენ რომ ხელი დაიბანე
მაშინ დავიღალე,
მაშინ დავინახე,
როგორ დააქციე
სირცხვილი მიწასა და
პირში მის ჩაგუბვას
ჩვენც როგორ შეგეხარბეთ.
მაშინ დავიზაფრე...
მაშინ ამომიდგა
სირცხვილი მხრებში და
ცრემლის გუნდები
ციდან ჩამოსული
თოვლად დავინახე.
პილატე!
შენ რომ ხელები დაიბანე.

მე გიცანი!

როგორ ისეთი მოლურჯო
გამოხედვა შეგრჩენია,
როგორ ისეთივე
არავისგამო გაღიმება
დაიხსომე.
ეს ბარტყისმსგავსი გულისცემა
რომ შეინმიერე
და არ დაივიწყე.
მე კი რა...მე
მეხისფერმა გამოხედვამ
სახე დამიბერა,
ჩიტები მხოლოდ
ნარჩენებით გამოვკვებე.
თვალები სარკესთან
ერთად გამეზარდა და
ისე გამოვწურე,
როგორც მკერდი
მშიერი შვილისთვის.
ახლა გიცანი!
მიმიკარე რაა სულ ერთი
სუნთქვით,სულ ერთი
ისრის ახტუნვამდე
შემიგუე.
ასე როგორ მომიშორე,
ასე როგორ შემაჩვენე!
ჩვენ ხო ერთად ჩავისახეთ,
ჩვენ ხო ერთად ვიხმაურეთ
პირველი გამოჩენა.
მე გიცანი!
ახლა გიცანი,
როცა ზღვას ფოთოლივით
დავეკარი და წამიღო
ახლა გიცანი,
სამწუხაროდ და
მხოლოდ ახლა გაგიხსენე.

რა ცა... თვითონ მიწა წვიმს,

როცა მიყვარს!
რა ცა... ჭიამაიებს ვიწმინდავ მხრებზე,
მაჯასთან სისხლი ალუბლად მიდგას,
როცა მიყვარს და როცა ვიხსენებ
როგორ ვეხვევი სიმშრალეში,
როგორც ქაოსში,
გზა საცაოსი
მავიწყდება,როგორც ლექსი,
არა პოეტის არა,
გენიოსის.
წვიმს და ფრთები ასტკივდათ ჭიამაიებს,
მე თუ მიყვარს,
არ არსებობს ყინვა,სიცივე!
იწვის სხეულში წარმოსახვის
ცეცხლების ომი,
თვალებს ეკვრებათ უხერხული
ფიქრის ბადურა,
ვნების საწურთან
მივხვდი ბევრი უნდა დამეთმო,
მაგრამ რა ცა...
მე თუ მიყვარს თვითონ მიწა წვიმს,
თვითონ სუნთქვა მთვლის,
უმართავი საათის ბუდე,
ვღელავ მინდორში მორჩენილი
ხორბლის ტბასავით,
რომელმაც იცის ჩამოივლის
მცელავი უკვე.
რა ცა... თვითონ მიწა წვიმს
როცა მიყვარს!
მიწა წვიმს,ჭიამაიებს ასტკივდათ ფრთები,
მაჯასთან სისხლი ალუბლად წვეთავს
და ჩვეულებრივ ჩამოვიცლები
როცა მიყვარს,რა ცა...
თვითონ მიწა წვიმს!



ელგუჯა სხირტლაძე

მებრძოლე,
სადამდეც გინდა, მებრძოლე!...
მესროლე,
რამდენიც გინდა მესროლე!....
დაჯიჯგნე,
ეს ჩემი გული დაჯიჯგნე!...
ვერ ხვდები?!
მე, სული უფალს დაუნთე.
არ წარვიკვეთავ სასოს ჯინაზე,
მთლად, რომ სამყარო დასცე ყირაზე.
რიტ ვერ გაიგე,
ბედო უმოწყალოვ!...
მე, კაცად მოველ დედამიწაზე!

* * *

რა უღიმღამოდ გარბიან წლები,
დადუმებულა ცხოვრება თითქოს,
სულში ზამთარი დაბუდებულა,
და, გაზაფხულის შველას მოითხოვს.
როგორც გასხლილი ვაზის ლერწმიდან,
სისხლის ცრემლები, იარებს მილბობს,
და, ზამთრისაგან ხავს მოდებული,
ჩემსავე თვალწინ, მოვხუცდი თითქოს.

* * *

თუ მესვრი, პირდაპირ გულში მიმიზნე,
მუხანათურად, რად დამზდევ უკან,
თავადაც იცი, ყველა, ღმერთს მივანდე,
დე, ისე იყოს, მას როგორც უნდა.
ვერას დამაკლებ, ბედო უმოწყალოვ,
მზად ვარ ვიცოდე, გებრძოლო მუდამ,
დამიხვდე, ყველა დროის გზაჯვარედინზე,
ნაბიჯითაც, კი ვერ დამხევ უკან.
ვერას წამართმევ, მივეცი უკვე,
გული სიყვარულს, სული კი უფალს,
ვერ დამიმონებ, მთელი სამყარო,
შავი ბარხატით შემოსო თუნდაც.
ჩემი ტკივილით, თავად შენ დაგღლი,
მე, შევეჩვიე, მარტოობის ნაცნობ ტკივილსაც,
ეს, ადრე იყო, ზეცას რო სძრავდა,
კვნესა, გოდება, ჩემი სულისა.
შენს წასაღებად, არას ვიტოვებ,
მე, გაურიგდი უფალს, მერმისად,
მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ვუთმობ,
ჩემს სიყვარულთან, ღამის ჯერისად.

* * *

ნეტავ სადა ხარ ბედნიერო,
ჩემო ორეულო,
ოდესღაც ძლიერო,კადნიერო,
ცოდვას მორეულო,
ღვთის მოშიშო,სიმართლისთვის,
მახვილ მოღებულო,
საიქიომდე,
ჩემსგან განსხვავებით,სიკეთეში,
გზა-კვალ არეულო,
კეთილშობილების,უანგარო,
ტკბილო მზარეულო,
შორიდან გნახო,
როგორ მომენატრე,ჩემი ცოდვით,
ფუჭად გაბნეულო,
ჩემო ორეულო,მაგრამ ჩემგან,
უკვე შორეულო.

* * *

სიტყვით მნათეო,გამანათე,
მე უღირსს,გაბრიელობა დამანათლე,
ძალაც მომეცი,რომ გავუმკლავდე,
ცოდვებს,რომელიც ამდენი ვნახე.
მომეცი,განცდა სინანულისა,
ამ გრძნობით ვივლი

იქნებ,როგორმე მდუღარე ცრემლით,
გზა გავიკვლიო გოლგოთს ბოლომდე.
იქნებ მეც გავხდე,ღირსი სინათლის,
მცირედით მაინც,

შენს ხელს,თუ არა,შენს კალთას მაინც,
მოკრძალებულმა,ხელი შევახო...

დედას

როგორ მენატრები,ეს ღმერთმა იცის,
როგორ მენატრება,შენს მკერდზე ტირილი,
ნატრული გავხდი,შენი ჩახუტების,
წყეული ცხოვრება,ყოფილა ირიბი.
წასულა ბავშვობა,მისდევენ დღეები,
ვინ მოსთვლის,რამდენჯერ აყვავდნენ ხეები,
დავღალე ეგ გული,ლოდინით დავღალე,
დავაჭკნე,ესოდენ ლამაზი ხელები.
გასცქერი სარკმლიდან,დაღალულ თვალებით,
ლოცულობ ყოველ დღე,ანთებულ სანთელით,
რომ შვილთან შეხვედრას დაადგეს საშველი,
და მოსულ გაზაფხულს გაჰყურებ ნაღველით.

* * *

მერამდენედ გაზაფხულდა უშენოდ,
მერამდენედ აყვავილდა ნუში.
დრო,კი ისე შეუმჩნევლად გაქრა,
თითქოს იყო ყველაფერი გუშინ.
თითქოს გუშინ,ჩაგიკარი მკერდში,
თითქოს გუშინ,საწადელი ახდა,
და,დღევანდელ ყვავილების ეშხში,
გუშინდელი მოგონება ჩარჩა...

მე მაპატიე...

მე მაპატიე, ეს თავბრუს ხვევა,
და გულს ტკივილი,რაც მოგაყენე,
მე მაპატიე, ეს სიყვარული.
გაზაფხულივით კარს მოგაყენე.
მე მაპატიე, არ მაქვს უფლება,
არც სიყვარულის, არც შენთან ყოფნის,
და, რომ არც ახსნის უფლება არ მაქვს.
და,რომ არც ახსნის სიმხნევე მყოფნის.
გაფრენილ ტყვიას ვერ დააბრუნებ,
არვის ადარდებს სიზმარი ჩემი,
ალბათ ტყუილად მივენდე უფალს,
მონატრებული,გადანაჩვევი.
და ეს ფიქრები,ღამე ნათევი,
თვით წამებაზეც კიდევ მეტია,
უშენოდ ჩემში მოკვდება რწმენა,
შენი თვალები,ჩემთვის ღმერთია.
უშენოდ ყველა გამვლელი ქრება,
და სულში ისევ, მხოლოდ ლოდია,
მე მაპატიე დუღილი სისხლის,
და სიყვარულის ეს მელოდია.

ხაბავშვო განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

გიორგის სიზმარი

(პიესა)

ავტორი: ქეთევანი და პატარა გიორგი დედასთან ერთად საგულდაგულოდ რთავდნენ საშობაო ნაძვის ხეს.

გიორგი: – დედა, დედიკო, მითხარი, რას ნიშნავს შობა?

დედა (ღიმილით): – შობა ჩვენი მაცხოვრის, უფალ იესო ქრისტეს დაბადებას ნიშნავს. იგი 25 დეკემბერს დაიბადა ანუ იშვა.

ქეთევანი: – დიახ, მე ვიცი, რომ უფალი იესო ქრისტე ბეთლემის გამოქვაბულში ქალწულ მარიამისგან იშვა.

გიორგი: – როგორ თუ გამოქვაბულში? რატომ?

ქეთევანი: – ჰო, გიორგი, ისეთ გამოქვაბულში, სადაც ცუდ ამინდში მწყემსები საქონელთან ერთად თავს აფარებდნენ.

დედა: – ყოჩაღ, ქეთევან, მართალი ხარ... და ხვალ სწორედ შობის ბრწყინვალე დღესასწაულია.

გიორგი: – დედიკო, ქეთევან, მომიყევით რა იესო ქრისტეს შობის შესახებ, ძალიან მაინტერესებს...

ქეთევანი: – ძილის წინ მოგიყვები.

გიორგი: – დედიკო, ხვალ ეკლესიაში წაგვიყვან?

დედა: – თუ ადრე დაიძინებთ და ძილს დაისრულებთ, აუცილებლად წაგიყვანთ სამების ტაძარში ღამის თევით.

ავტორი: ბავშვები დასაძინებლად წავიდნენ. ქეთევანმა შეუსრულა დანაპირები და პატარა გიორგის უამბო იესო ქრისტეს შობის ამბავი. მთელი დღის ფუსფუსითა და ცელქობით დაღლილ ბავშვებს მალე ჩაეძინათ. დილით კი გიორგი ასე უყვებოდა ღამის სიზმარს დედიკოს:

დამესიზმრა გიორგი ბიჭს,
შობის წინა ღამესო...
ბეთლემის ველზე მშობლებმა
მწყემსებს მიმაბარესო.

ჯარასავით ვტრიალებდი
ველის ყველა მხარესო,
უცხო მწყემსებს მოვეწონე,
გულით შემიყვარესო.

ცხვრის ფარას თავს ვევლებოდი,
ვით ფუტკარი მართვესო,
შავი ნაბადი, ბოხოხი
საჩუქრად მომართვესო.

სწორედ ფარას ვდარაჯობდით
იმ სასწაულ ღამესო,
უცბად ნათელი დაადგა
ირგვლივ არემარესო.

შეგვეშინდა... ვერ ვამსგავსეთ
ვერც მზეს და ვერც მთვარესო,
თავად შეშინებულებმა
ნაბადს შემაფარესო.

წარმოგვიდგა ანგელოზი,
ვუსმენთ უფლის მაცნესო,–
დაგვამშვიდა, – ნუ შეშინდით,
გიხაროდენ ამ დღესო.

ბეთლემს იშვა მაცხოვარი,
ყველას გაახარებსო,
წადით, საქონლის ბაგაში
ნახავთ მწოლიარესო.

გაჩნდა ციური ლაშქარიც,
შემოერტყა მაცნესო,
გალობდნენ, ღმერთს ადიდებდნენ,
მათაც შობა გვამცნესო.

როცა ზეცისკენ ამაღლდნენ,
ჩვენ გავწიეთ ბეთლემსო,

მივადექით გამოქვაბულს,
მის ნესტიან კედლებსო.

დაგვხვდა კიდევ სასწაული
სასწაულთა მნახველთო,
იქ ვიხილეთ ყოვლადწმინდა,
ვადიდეთ და ვაქებო.

მუხლმოყრით თაყვანი ვეცით
ღვთისმშობელს ბედნიერსო,
იქვე ბაგაში ნებივრად
მძინარე ყრმა იესოს.

მოგვემადლა დიდი რწმენა
განმწმენდი ჩვენ სულისა,
უფლის დიდება და გრძნობა
მოყვასთ სიყვარულისა.

დედა: – პატარავ, ეს რა სასწაული სიზმარი გინახავს?
სწორედ უფლის შობა გიხილავს, ჩემო გიორგი.
გიორგი: – დედიკო, იცი რა ლამაზი იყო მარიამ ღვთისმშობელი? გამიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. ალბათ, მოვეწონე.
დედა: – ღვთისმშობელს ყველა ბავშვი უყვარს, შვილო, უფრო მეტად მშობლების დამჯერნი და ჭკვიანები.
ქეთევანი: – დედიკო, რომ შეგვპირდი, ტაძარში ღამისთევით წაგიყვანთო, ხომ წაგვიყვან?
დედა: – რა თქმა უნდა, წაგიყვანთ... ჩვენც ვიზეიმოთ უფლის შობა და ღვთისმშობლის სიხარული გავიზიაროთ.
ბავშვები: – ვიშ, რა კარგია... წავიდეთ, წავიდეთ, დედიკო...
ქეთევანი: – წავიდეთ და მთელ საქართველოს, ყველა ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანს მივულოცოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული...

ბატონ რევაზ ჩხეიძეს

მამულის ჭირისუფალო,
ქვეყნისთვის თავდადებულო,
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწისა
მეხოტბევ, შეყვარებულო.

თქვენი შრომა და ნაღვაწი
მარად არს გაუხუნარი,
გვიმრავლდეს დიდხელოვანი
თქვენებრ ნიჭით და უნარით.

თქვენი ფილმების გმირები,
ოჰ, როგორ შემყვარებია,
მათთან ერთად მიცინია,
ერთადაც აგვტირებია.

კაცურ კაცობით გალიე
ცხოვრების მძიმე წლებია,
საქართველოზე ფიქრებით
რამდენჯერ დაგთენებია.

ჩვენი ბედკრული სამშობლო
ცრემლებით გიპკურებია,
მისგან ნაბოძი ჭრილობით
სიცოცხლე გაგმწარებია.

მგზნებარე მამულიშვილო,
მშვიდობა მოგნატრებია,
თქვენს სურვილს მეც ვუერთდები
ნობათით ყამარ ბებია.

პროზა

რეზო მიშველაძე

რას ამბობს ბატონ რეზო მიშველაძის ნოველებზე
პროფესორი ლუარა სორდია

ოცდამეერთე საუკუნე ტოტალური კატაკლიზმებით, სისხლისღვრით, ნგრევით, უზნეობით, ტრადიციულ ღირებულებათა ულმობელი გადაფასებით გამოირჩევა. ღვთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს ჩამოეცალა რომანტიკული ბურუსი, ამოქმედდა „მსოფლიო ნიველირების ცხელი უთო“(რ. მიშველაძე).

ჩვენს დროში აპოკალიფსის მეექვსე ბეჭდის მოხსნის ნიშნებს ხედავენ ღვთისმეტყველნი.

ძალზე ბევრი იცის მეფისტოფელის საუკუნის ადამიანმა, მაგრამ მას ზნეობის ანაბანაც დავიწყებია.

ადამიანის არსს უტრიალებდნენ თეოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები.

სიახლისადმი რწმენა დაიკარგა, იმდენი ითქვა სამყაროს მთავარ ქმნილებაზე, ცხოვრებაზე. „უკანასკნელი საზღვრის“ შიში სერავს განედებს. უფრო და უფრო ძნელი ხდება დაეჭვებული, ისტერიამოძალებული ადამიანის ყურადღების მიპყრობა და დამოძღვრა.

და თუ კიდევ ვინმე გვაოცებს სულის საიდუმლოებათა წვდომით, სიტყვის ფენომენის დაურვებით, ის მართლაც ალქიმიკოსის სიჯიუტით გამოირჩევა, უხილავის მხილველია და ღვთით მომადლებული მოგვი.

დიდი ლიტერატურა ყოველ დროში ერის სულის მზრდელი იყო და ჭეშმარიტ მწერალს, ნიჭიერებასთან ერთად, აუცილებლად ამშვენებდა ინტელექტუალური რაინდობა, „გამბედაობის დიდი გენია“, თემიდას ერთგული სამსახური.

განსაკუთრებით ძნელი იყო სიმართლის ლამპრით სიარული ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელის ერთ პროვინციად, სუფრა-რესპუბლიკად აქცია ბედისწერამ ჩვენი ქვეყანა.

60-იან წლებში, სამოთხედ სახელდებული ჯოჯოხეთის საშინელებათა ზეობისას დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა რევაზ მიშველაძემ.

იგი გაკვალულ გზას კი არ ტკეპნის, წინაპართა ნაღვაწის გასიგრძეგანებით თვით უდებს სათავეს ახალ ტრადიციებს, ახალ მერიდიანებს ავლებს სულის გლობუსზე.

რევაზ მიშველაძის შემოქმედება კლასიკოსების მიერ ჩამოკრული ზარის ექოს ინახავს, ერის წყლულის განსაკურნავ წამალს ეძებს, აქტიური ეროვნული იდეოლოგიით გვამახსოვრებს თავს. მას გამოარჩევს სულის ახალი მატერიკის ძიება, ლოკალური თუ გლობალური სატკივრების ახლებური მოაზრება.

წინამორბედი კლასიკოსების დარად, „სამთელქვეყნოა! ჩვენი დროის ნოველისტის შემოქმედება, დიადი უბრალოებით, რვალიზმის ნათელით გაბრწყინებული, ამასთან, მის სათქმელს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ეპოქის შინაარსით და სულიერი ინდივიდუალობით განპირობებული იგავურ-სიმბოლური მეტყველება, მოვლენათა და პიროვნებათა გაიდუმალება.

წითელ სატანასთან, წითელი ცენზურის აზრთამმუსვრელ ცელთან ჭიდილი, თავისუფლებისა და შემართების ისეთი ხარისხი, რომელიც ყოველგვარი ჯაჭვების, „ავადმოჭერილი არტახების“ მსხვრევას გულისხმობს, „თავისუფლების აბჯრის“ ჭედვაში გამოჩენილი ძალისხმევა რევაზ მიშველაძეს განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობაში.

პირველხარისხოვანი მეცნიერი და კრიტიკოსი, შეუდარებელი ძალის პუბლიცისტი, საუკუნის გამორჩეული ნოველისტი, საქვეყნო გზების მაძიებელი მოღვაწე, რედაქტორი, ეროვნული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტი – ასეთად იცნობენ რევაზ მიშველაძეს არა მხოლოდ ჩვენში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, აკაკი წერეთლის, მემედ აბაშიძის, საქართველოს სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატს სახალხო მწერლის პოპულარობა აქვს მოპოვებული მთელს ერში.

ყინულოვანი გიგანტის სიცივით, წარღვნებით, შეთქმულება-მუხანათობებით აღშფოთებული მწერალი ნიღაბს ხდის იმპერიის წითელ გველეაპს და მის ნაირსახოვან მხეცებს. ხმის ჩახლეჩამდე მოძღვრავს, ჩაძინების საშუალებას არ აძლევს თავის ერს, სიფხიზლის ზარებს არისხებს, მებრძოლ აზროვნებას ასწავლის, ქვეყნის გადარჩენის გზებს ეძებს. გამუდმებით „შეურიგებლობის ფანდურს“ აჩხაკუნებს, აკაკი წერეთელივით აფურთხებს „შე-

გუების ეტლში“ შებმულებს, „მარიონეტთა ტაბლას“ მიმსხდართ, ოსპის წვენით მოსყიდულებს, ხელმწიფის ნავში ჩამსხდართ.

ორი საუკუნეა დაამოკლეს მახვილი დაჰკიდა ბედისწერამ ჩვენს თავზე, არ ცხრებოდა ჩრდილოელი თეთრი დათვი, ხან სად გვიდებდა ნაღმს და ხან სად, მთელი ერის გადასახლებისა და გაქრობის იდეაც არსებობდა, ბოლოს მაინც დავკარგეთ სამაჩაბლო და აფხაზეთი.

უსაზღვრის გაიდეალებას, ცრუ კერპების თაყვანს ითხოვდნენ ბოროტების იმპერიის მესვეურები, არარსებული წარმატებების ხოტბა ახშობდა „წყურვილს ადამიანურს“. ანტიქრისტეს მოვლინებით ცნობილ ეპოქაში გაითელა ყოველგვარი სიწმინდე.

ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ეროვნულ სულს, ძალადობით შეკოწიწებული სახელმწიფო-მონსტრის სამშობლოდ აღიარებას მოითხოვდნენ პატარა ქვეყნებისაგან, პატრიოტიზმი პროვინციალიზმად, ფაშიზმად ცხადდებოდა, უნდა დაგვიწყებინა არსებობის უმაღლესი საზრისი, სიყალბის, სისხლის წყურვილი უნდა გამოგეცხადებინა ბუნებრივად, მედროვის მანტია უნდა მოგერგო, ყალბი ზეიმის უაზრო პათოსს უნდა შეჰგუებოდი, სასაფლაოზე უნდა გეცხოვრა, უდანაშაულოდ განწირულთა ცხედრებზე გევლო, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა და გმირულის გაუკვდავებაზე უნდა გეფიქრა, რაინდული უნდა გეძებნა მოსყიდულთა, გამცემთა, ლაჩართა წრეში. დამურადქცეულს ტაში უნდა დაგეკრა შენი რასის გაქრობის, დემოგრაფიული გადაშენების პოლიტიკისათვის. აღტაცებით უნდა შეხვედროდი ჭიშკრების, საზღვრების მოშლას, „უღობო ინტერნაციონალურ ქვეყნად“, „სუფრა-რესპუბლიკად“ ქცევას და უბეში უნდა შეგეფარებინა „სტუმარგველები“, შენს მიწაზე უნდა მოგემრავლებინა მტრები.

რევაზ მიშველაძემ დამოურჩილებლობის ჰანგზე მომართა თავისი ჩონგური და პირველი კრებულიდან (1961 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „შიგნიდან გატეხილი ციხე“) დაწყებული დღემდე გაბედულად უპირისპირდება ჩრდილოეთის დრაკონს განუმეორებელი მხატვრული სიტყვით.

„ჭეშმარიტ ლიტერატურას ოფიციალურ ხელისუფლებასთან დრამატული შერკინებაც ბადებს“ – ასე სწამს რევაზ მიშველაძეს და ამ რაინდული შეტევების მაგალითებით სავსეა მისი შემოქმედება.

ილია ჭავჭავაძის „მოყვარეს პირში უძრახეს“, აკაკი წერეთლის „ფურთხის ღირსი საქართველოს“ მაღალი პრინციპები დაუდო თავის სათქმელს რ. მიშველაძემ დავით გურამიშვილის ზნეობრივი კრედოს მიმდევრად დარჩა: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“. ნიკოლოზ ბარათაშვილივით, მომძეთათვის სავალი გზის გაადვილება დაისახა მიზნად.

იმპერიებისა და პატარა ერების მიმართება, ქართული ძირი, ქართული გენი, ჩვენი მიწა და ენა, ჩვენი ქვეყნის ბედი და ადგილი სამყაროში – აი, რითაც შეძრულია მწერლის არსებობა. გულისგამგლეჯი შფოთვა ემეზობლება ამ საფიქრალს...

ნოველისტმა გილიოტინასთან გაიყვანა, ერის სამსჯავროს წარუდგინა ყოველი ანტიქართველი დამედროვე, ყოველი თოჯინა და ტიკინა, აქვე გამოუტანა უკომპრომისო განაჩენი, დანტესავით სამოთხე თუ ჯოჯოხეთი განუწესა დამსახურებისამებრ თავისი ქვეყნის მოქალაქეებს. უფსკრულში იხილა დღეს აღზევებულნი და ამა სოფლის მტარვალნი.

რქები მოსტეხა ყალბი ზარ-ზეიმის ორგანიზატორთ, მიესალმა ინტერნაციონალიზმის უბალავრო კოშკის დანგრევას, გაამათრახა გადაგვარებული კოსმოპოლიტები და გაამხნევა საკუთარი წისქვილის მოდარაჯენი. ანდერსენის ზღაპრის ბავშვივით აღიარა ხელმწიფის სიშიშვლე და იწინასწარმეტყველა წითელი ურჩხულის გადაშენება.

აწმყოს მომავლიდან შეხედა, მომავალს აწმყოდან მიაწვდინა მზერა და ერის არგადაშენების სიმღერა იგალობა (დიახ, სიმღერას, მუსიკას უახლოვდება მისი პროზა), დღევანდელობის „მწუხარე მესსა“ მოგვასმენინა, იერემიასებურ გოდებად ამოხეთქა სამშობლოს ხელახალი დამონების ტკივილმა.

განუმეორებელი იუმორით გვაცინა, ცრემლის წვიმა გვაღვრევინა, ხვალინდელი დღის იმედებით გვკვება, ცადაღვლენილი სიტყვის გაოცება მოგვგვარა, უძირო უფსკრულებში მოგვატარებინა მზერა.

კეისრებიდან დაწყებული, მის ნოველებს ამშვენებენ მსოფლიო მასშტაბის ტირანები თუ რეფორმატორები, ხელმოცარულნი და შემოქმედის მადლით გასხივოსნებული პიროვნებები.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თითქოს ხელახლა აღმოაჩენს მწერაი სულიერი სამყაროს ახალ წახნაგებს, ახალ დიოგენს, სოლომონ ბრძენის გადასახედიდან გაზომავს და აოწნის საკაცობრიო სიბრძნეს.

მის სულში თავს იყრის ფილოსოფიურ აზრთა უკიდეგანო მდინარება, თანაც ისე ბუნებრივად, თითქოს წვიმა ეშვებოდეს ციდან.

მთელი საუკუნის არსებითი მომენტები, მთავარი მამოძრავებელი ძალები ცოცხლდებიან, სამოთხედ სახელდებული ჯოჯოხეთის დაგმანული კარები იღება, რომელთა გასაღები ბელადად აღიარებულ აპოკალიფსურ მხეცებს ეპყრათ და ტრაგიკომედიის, ნიღბოსნების კარნავალის სურათები გაძრწუნებს. დანტეს ჯოჯოხეთის, გოეთეს ვალპურგის ღამის ტოლფასი ხილვები შეგზარავს.

ახალი აზრის მშობელი განახლების პაროლების დამამკვიდრებელი, ზნეობრივი სრულყოფის აუცილებლობის მქადაგებელი, ეროვნული გენის მარადიულობისათვის მლოცველი, ქმედითი იდეოლოგიის მპყრობელი – ასეთია რევაზ მიშველაძე.

რამდენი ვინმე ფუჭად „ბრძენმოძღვრობს“, აქ კი არცერთი „მარცხუიღბლობა“.

საუკუნის უპირველესი ნოველისტი „ქართული სიტყვით, ქართული მიწიდან ამოსული, ქართულ ნიადაგზე დამყნილი, ქართულ ჩანგზე, ქართულ სიმებზე დაკრული სიმღერით ამხნევებს ერს ჩამუხლულს და იმედგაცრუებულს“ (თენგიზ სანიკიძე).

ამასთან, რამდენი რამ არის მწერლის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნააზრევში მსოფლიოსკენ მიმართული, მთელი კაცობრიობის მოსასმენად გამიზნული და პლანეტის უკეთეს შვილთა ყურადღების ღირსი.

„თუ კეთილმოსურნე მკითხველი ერთ კონიუნქტურულ ნოველას, საბჭოთა სისტემის თუნდაც ერთ ხოტბა-ქებას აღმოაჩენს და დამიდებს წინ, უარს ვიტყვი მთელს ჩემს შემოქმედებაზე“ („მხოლოდ კეთილი სურვილით“, „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“, გვ.227), სამართლიანად აცხადებს მწერალი.

მანკიერებების მგმობელი სული ვლინდება რევაზ მიშველაძის არა ერთ ან რამდენიმე წიგნში, არამედ მის ოთხ ათეულ კრებულში ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ჩვენი თანამედროვე ნოველისტის შემოქმედებაზე ფიქრისას გვაგონდება გალაკიონისადმი მიძღვნილი სტრიქონები მერაბ კოსტავას ლექსიდან: „ვერა, მგოსანი ვერ დათმობს იოტს, თუ არის სიტყვით ნათლისმცემელი. რა აბადია ჭეშმარიტ პოეტს კეისრისათვის წარსაცემელი? ის ვერ დაჯდება იმის ქორწილში როგორც თამადა, როგორც მაყარი, იმის ხოტბაში არ უდევს წილი, არსად სჩანს მათი გზათშესაყარი“.

დიახ, მწერალი სიტყვით ნათლისმცემელია, რომელიც წყლით (ცრემლით), შთაგონების ეცხლით, გულის სისხლით, სულიწმინდის მადლით იწმინდება და ინიციაციის უმარლეს საფეხურს აღწევს.

რ. მიშველაძის შემოქმედებაში ახალ ელვარებას იძენენ ლიტერატურის მთავარი ლაიტმოტივები და მოარული იდეები, მწერლის სულის სარკეზე ახლებურად ირეკლება სიბრძნეთა სიბრძნე და ხდება ყოველგვარი სტანდარტის, შტამპის დაძლევა.

მწერალმა გვაზიარა არა მარტო უკვე მოცემულის და შექმნილის სიდიადეს, არამედ საზღვარდაუდებელი ფანტაზიით შეთხზულ-გამონაგონის, ნაცნობი უცნობების გამოძეერწვით გააოგნა გაოცებასგადაჩვეული და „გაუკვირვებელი“ მკითხველი.

ეს შესაძლებელი გახდა უკიდეგანო ეროვნულით უცხოური ტრადიციების შემოქმედებითი გათავისებით, წინაპართა ნააზრევში კორექტივის შეტანით.

კონსტანტინე გამსახურდიდა ბრძანებდა: „ვერც ენა, ვერც მწერლობა წინ ვერ წაიწევს, თუ ახალ მწერალს ძველის კორექტივის უფლება აღვუკვეცეთ“.

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ გრძნობს, რა თამამია რ. მიშველაძის წიაღსვლები ამ ასპექტით.

ნოველისტი ფლობს მთეკისა და დეტალის, კერძოსა და ზოგადის, ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის მიგნებისა და შეთავსების უტყუარ უნარს, ხასიათების, პიროვნებათა პორტრეტებისა და სულის გამოძერწვის განუმეორებელ ხელოვნებას.

მწერალი თავს გრძნობს მსოფლიოს ცენტრში, წარმატებით გვიჩვენებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ფსიქოლოგიას.

„ყოველი მწერლისათვის უდიდესი გამოცდა ის მომენტი, როცა იგი თავისი ტომის, თავისი რის ყოფის მიჯნებს გადააბიჯებს და უცხო მასალის დამუშავებას ხელს მიჰყოფს“ – შეგვაგონებდა კონსტანტინე გამსახურდია.

სიტყვის დოღზე რ. მიშველაძე ქართ ლი სიტყვით, ქართული ფიზიონომიით წარდგება. მისი პერსონაჟები კოსმოსშიც ქართულად საუბრობენ და პლანეტის შუაგულში მოქცეულნი. ქუთაისს. ბალახვანს, საირმეს, კიბულას, აჯამეთს, მწვანეყვავილას ეთაყვანებიან (ნაპატივები მტრედი თავის უბადრუკ პატრონს და ჩანგრეული ქოხის სახურავს უბრუნდება – რაოდენ მიგნებულია ეს სიმბოლო). ნოველა „კოსმოსის“ კითხვისას გვაგონდება იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, მეორედ მოსვლისას ახმიანებული ქართულის ექო გვწვდება.

ადამიანის სიდიადის განცდას რ. მიშველაძის ნოველებში ენაცვლება ადამის ნაშიერის არასრულყოფილების ტკივილი, ფიქრი იმაზე, როგორი იქნება მომავლის ადამიანი, მომავლის სამყარო და რა ადგილი ექნება მასში ჩვენს ერს.

რ. მიშველაძის შემოქმედებაში დონკიხოტის აჩრდილი გველანდება, მისი პერსონაჟები მამის აჩრდილისაგან განდობილ ჰამლეტს გვახსენებენ, რომელიც მიღმურში გადაიხედა და ლანდების საუფლოს საიდუმლოებები შეიცნო.

ქართველმა ნოველისტმა ახლებურად შეხედა ადამიანის ფენომენს, იპოვა და გმაოძერწა კაცი-მიმინო, კაცი-ღამურა, კაცი-ბეღურა, კაცი-მწერი, კაცი-კუ, კაცი-პინგვინი, კაცი-ვეშაპი, კაცი-ურჩხული, კაცი-ვირი, ხალხი-ნახირი, ადამიანი-მაიმუნი, ადამიანი-ცხვარი, ადამიანი-აქლემი, ადამიანი-ჯაგლაგი, ადამიანი-ფინია, ადამიანი-მანქანა, ადამიანი-ტოროლა, ადამიანი-საფრთხობელა, ადამიანი-მაჩვი, ადამიანი-თეთრი ყვავი, ადამიანი ტიკინა, თოჯინა თუ ქამელეონი, ზნედაცემულები და ამაღლებულები, ქურდები და წმინდანები, სატანები და ანგელოზები. და, რაც მთავარია, დაგვაჯერა, რომ მუდამ მართალი, მუდამ პატიოსანი და წმინდანი ადამიანები ჰაგიოგრაფთა სურვილების ნაყოფია, სინამდვილეში ადამიანი უფრო ცოდვის შვილია.

ცხოვრების განსჯა – გაანალიზებაში, ადამიანის სულის გაშუქებაში, არსებობის აზრის ძიებაში დაშვრნენ მსოფლიოში ცნობილი მოაზროვნეები.

პიროვნების მოქმედების, მისი ცხოვრებისეული გეზისა და საქციელის წარმმართველი იმპულსები დაიჭირა რ. მიშველაძემ, ბედნიერებისა თუ უბედურების თავისებური ფორმულები შეიმუშავა, ადამიანური თავისუფლებისა და ამაღლების გზებზე მიგვანიშნა, მონური არტახების მსხვრევისაკენ მიმართა მთელი ძალისხმევა, სიკეთის ფლუიდები აფრქვია.

სამართლიანობისა და კანონის საყოველთაოდ მიღებული კოდექსები გაისიგრძეგანა, ახალი ორიენტირები შენიშნა.

მედროვეთა კომპექსებით, ნეგატიური მოვლენებით, ეროვნული ტკივილით და ქვეყნის გადარჩენის გზების ძიებით, საქართველოში მიმდინაერ პროცესებით დაინტერესდა, ქმედითI და პროგრესული იდეოლოგია შემოგვთავაზა.

ქალი, მამაკაცი, სიყვარული, ოჯახი – ამ ძველთუძველეს თემსაც არასტანდარტული, ახლებური პასუხები გასცა.

რ. მიშველაძის ნოველებში დომინანტურია არა რომელიმე საწყისი, არამედ გულისა და გონების ძალა ერთდროულად, მხატვრის თვალი, მუსიოსის სმენა, რითაც სიმღერას, ლექსს, ლოცვას დაუახლოვდა პროზა.

ნოველისტმა ხელახლა მოიხელთა, მოათვინიერა და დაგესა მარადიულო ლომი – ქართული სიტყვა, მიანიჭა მას ახალი ძალმოსილება. ერთის მხრივ, ხალხურ ხატოვან აზროვნებასთან სიახლოვე, ამასთან კილოკავებში მოძიებული მასალა და ძველქართული მეტყველების ნელსურნელება დაუდო საფუძვლად თავის წარმატებულ ძიებებს.

ურთულესი ფენომენია რ. მიველაძის ენის ლექსიკა, რომლის 2 ათასი ახალი ერთეული საფუძვლიანად შეისწავლა და განმარტებებით ერთ ცალკე წიგნად მიაწოდა მკIთხველს პროფესორმა თენგიზ სანიკიძემ.

რ. მიშველაძის შემოქმედება სავსეა საყურადღებო გამონათქვამებით, მწერლის მიერ მოხერხებულად გამოყენებული ანდაზებით, ხატოვანი სიტყვა-ფრაზებით, იდიომებით, ორიგინალური სემანტიკური სიტყვაშეთანხმებებით, მის ნოველებში ერთდროულად არის მიწიერი და ზეციური სიბრძნე.

ჩვენს მიერ შედგენილი კრებული მიზნად ისახავს თემაატურად დაყოფილი მასალებით შეუქმნას მკითხველს მიახლოებული წარმოდგენა მწერლის ინტერესებზე, ძირითად პრობლემებზე, და ამასთან, წარმოაჩინოს მისი ხატოვანი მეტყველების განუმეორებლობა, რაც ეფუძნება როგორც ხალხური აზროვნების სალაროს, ისე მწერლის სამყაროსეული წვდომის, ჩვენი ერის სტიქიაში, მის უფსკრულებში ჩახედვისა და სიტყვათქმნადობის, უნაპირო გამომგონებლობის უნარს. საბოლოოდ ყოველივე ეს, ნოველისტის სტილის ორიგინალობას წარმოაჩენს.

მასალა, რა თქმა უნდა, ამომწურავი არ არის. დარწმუნებული ვართ, ამ მიმართულებით კიდევ დაინტერესდებიან მისი შემოქმედების მოვალი მკვლევარები და ერწმუნებიან ახლებური სიტყვის სიღრმე-მადლს, იუმორისა თუ ცრემლის განუმეორებლობას.

მჯერა ასევე, რომ ხატოვანი ხალხურის ხიბლს არათუ ტოლს არ უდებს, არამედ განიცდის, ჭვრეტისა და განსჯის, ქართ ლი ენის ამოუწურავი შესაძლებლობების ახლებურ რეალიზებაში უნაპირო ძალისხმევას ავლენს ჩვეინ დროის ნოველისტი და ქმნის საკუთარი ხელწერით გამორჩეულ სიტყვიერ ქსოვილს, საკუთარ ენას, თვითმყოფობით, ინდივიდუალური ელფერით მსუნთქავ მხავტრულ სამყაროს.

რევაზ მიშველაძის ფიქრის სასახლეს ათასწლოვანი ბურჯები ამაგრებენ, სიტყვის ქარვა, ალმასები, იაგუნდები, ლალები, მარგალიტები აქვს სამკაულებად. მასში ქარივით მომწყვდეულია ქართული სურნელოვანი სული. „რაიონისპირული აბრეშუიანი სიო“ უბერავს ამ ნაგებობის შემოგარენს და მსოფლიოს მღვრიე ქარებიც ეხლებიან...

მწერლის ოცნების ხოლმალდი კი სიტყვის არაფრით მიაპობს წუთისოფლის ზღვას, სულის ჩირაღდნით ანათებს პლანეტარულ ქაოსს, მიესწრაფვის კოსმიურ სინათლეს...

სერგი ლომაძე

რევაზ მიშველაძე — 75

(საიუბილეო თარიღისა და ოცდახუთტომეულის
გამოცემის აღსანიშნავი წერილი-სტატია)

მოგეხსენებათ, რომ ქართული პროზა, ისევე, როგორც სხვა რჩეული სფეროები ჩვენივე ხელოვნებისა, უვრცესი და უმდიდერესი სამყაროა. ეს სამყაროც თავიდან აღმოაჩინა კოლუმბივით, გააცოცხლა დიდმა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებმა, ხოლო უკვე აღარც ოცდამეერთე საუკუნეს ეთქმის პატარა, მოხდა დიდნი საკაცობრიო ძვრანი, წიაღსვლანი, რომელნიც ჩვენს პატარა ქვეყანასაც ძალუმად შეეხო. მეცხრამეტე საუკუნეს პროზის ისეთი მეფე ჰყავდა, როგორც ყაზბეგი იყო, ხოლო იმას არც ბარნოვი ჩამოუვარდებოდა. მერე გამოჩნდა რობაქიძე, რომელსაც, „ცისფერყანწელთა“ პოეტური თორმეტ-ცამეტეულის ერთ-ერთ მასწავლებელს, უამრავი პოეტი და პროზაიკოსი მოჰყვა ფეხდაფეხ. ყანწელები პირდაპირ გამეფდნენ (გალაკტიონთან და გრანელთან ერთად) და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ცხრაასთექვსმეტი წლიდან, სადღაც ცხრაასოცდაოთხ-ოცდახუთ თუ ოცდაექვს წლამდე, აზანზარებბდნენ სივრცეს. მე თუ მკითხავთ, ბევრი იმათგანი სიკვდილამდეც ყანწელად დარჩა... მაგრამ ეს პოეზიაა, პოეზია! – სიმბოლისტები სამამულო პოეზიისა!.. ხოლო პროზაში კი ჯავახიშვილი აღწევდა (მიხეილი, დიდი ივანეს მოგვარე), გამსახურდია, გურამ რჩეულიშვილი და სხვანი და სხვანი. აგერ, – ამირეჯიბი, ჭილაძე, ჩოხელი, იოსელიანი, დოჩანაშვილი... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, – ეს უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარმა გვიბოძა; და დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა, ოდესღაც, შიო არაგვისპირელს ლამის ერთადერთ ოსტატად მიიჩნევდნენ ფსიქოლოგიური ნოველების ჟანრში, და როცა ნიკო ლორთქიფანიძის გამოჩენით ჩათვალეს, რომ არაგვისპირელის სახელი ობლად აღარ იგრძნობდა თავს...

საერთოდ კი, ქართული პროზა ჩვენი უძველესი მითოსიდან და აგიოგრაფიიდან იღებს სათავეს, და შედევრები, რაღა თქმა უნდა, ადრეც იწერებოდა (მაშ რაღაა, თუ არა პოეტურ-პროზაული შედევრი, ვთქვათ, გიორგი მერჩულეს ქმნილება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ, და ორი-სამი მას შეტოლებული სხვა აგიოგრაფიული გრანდ-ქმნილე-

ბა?!) მაგრამ, ვიმეორებ, – მეცხრამეტე-მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეებმა სამამულო პროზაშიც, და საერთოდ – მთელს ქართულ ხელოვნებაშიც, რევოლუცია მოახდინა...

რევაზ (რეზო) მიშველაძე მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის ის ხელოვანია, პროზისა, რომელიც გაუტოლდა ამავე ჟანრის ყველა დროის ქართველ ოსტატებს, დიდოსტატებს. ასეთნი როგორც წესი, სამი კატეგორიისა: ძირითადად დიდ ქმნილებებზე (რომანებზე) აქცენტირებულნი; მოთხრობა-ნოველებზე აქცენტირებულნი; და ორივე ამ ხაზის თითქმის თანაბრად დამჭერნი, თუ-თავისებური დამპყრობელნი. ვთქვათ: ყაზბეგი ორივე ხაზში, სფეროში, ცდილობდა თავისი ძალმოსილების დამტკიცება-განმტკიცებას, ხოლო რჩეულა (რჩეულო), ეგებ ახალგაზრდულ ასაკში დაღუპვის გამო, ჯერ მხოლოდ მოთხრობა-ნოველებზე იყო აქცენტირებული და აკი კიდევაც შექმნა საუკუნის ქართული მოთხრობა – „ალავერდობა“.

რეზო მიშველაძის ოცდახუთტომეულის თუნდაც ზერელე შესწავლის შემდეგაც კი ნათელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნოველების სწორუპოვარ დიდოსტატთან, თუმცა მისივე დიდი რომანი – „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ გვაგრძნობინებს, – ბატონი რეზო ამ ჟანრშიც შეუდარებელი იქნებოდა, რომ შეექმნა რომანთა დიდი ციკლი თუმცა ასეთ გრანდიოზულ სამუშაოს უდიდესი დრო უნდა, ხოლო ბატონი რეზო მხოლოდ მწერალი კი არა, საზოგადო მოღვაწეც არის, ამავე დროს – იგია თაობათა აღმზრდელიც (მე და კახა ბაციკაძე, ორივენი, მისი ნასტუდენტარნი ვართ. უნივერსიტეტიდან ორი რეზო: პროფესორები – რეზო მიშველაძე და რეზო სირაძე განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ასევე უნდა აღვნიშნო ტარიელ კვანჭილაშვილი, ლეილა გეგუჩაძე და ზოგი სხვაც)... ამ ყოველივეს კი დროის დიდი ნაწილი მიაქვს პროფესიონალი ხელოვანისთვისაც კი.

და აი, თუმცა სამოცდათხუთმეტი წელი შეასრულა პროზის რაინდმა, თუმცა რეკორდულად დიდი – ოცდახუთი ტომი გამოსცა და ყველა სიმაღლე-აღიარებასაც მიაღწია (ვთქვათ: რუსთველის პრემია, მწერალთა კავშირის თავჯდომარეობა და ასე შემდეგ), მაინც უნდა აღვნიშნო, რომ რომანთა გრანდიოზული ციკლი მას არ შეუქმნია, არადა, „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ როცა წავიკითხე, გავიფიქრე, – ამ ადამიანმა აუცილებლად უნდა გააგრძელოს ამ ჟანრში მუშაობა! არ შეიძლება ასეთი დიდი შესაძლებლობების შეჩერება, მითუმეტეს მაშინ, როცა ნოველათა სივრცე სრულიად დაპყრობილი აქვს (ეს მან უკვე მეოცე საუკუნეშივე მოახერხა), და ერთ-ერთ პირველ პროზაიკოსთაგანს, როგორც ჩანს, ახლაც კი ამ – სოლიდურ ასაკშიაც, ჯერ კიდევ უამრავი რამ შეუძლია! მერედა, ოთარ ჭილაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ, უდიდესი რომანისტები, ფაქტიურად, აღარ დაგვრჩა, და განა როდემდე უნდა შევცქეროდეთ ამ ერთ გურამ დოჩანაშვილს?! გასაგებია, რომ მის „სამოსელ პირველს“ ზოგი ყაზბეგის და ბარნოვის რომანების გვერდითაც კი აყენებს (ვთქვათ – „მოძღვარი“, „მიმქრალი შარავანდედი“ და სხვანი), მაგრამ „სამოსელი პირველის“ შექმნის შემდეგ ძალიან, ძალიან დიდი დრო გავიდა, ბატონი გურამი კი დღესდღეობით ნაკლებადშედევრულია, ნაკლებადპროდუქტიული, თუმცა, რაღა თქმა უნდა, კლასიკოსად რჩება.

რაც შეეხება რეზო მიშველაძეს, იგი ათწლეულების მანძილზე ერთი წამითაც კი არ ისვენებს, და აგერ, დღესაც კი, როცა კავშირის დირექტორატის (ხუთი მმართველი, პლუს საპატიო თავჯდომარე-მმართველი) ყველაზე გავლენიანი წევრია, კალამს არ უშვებს ხელიდან. ვიტყოდი, რომ იგი ყველაზე უფრო პროდუქტიული პროზაიკოსია, მარადიული პროზაიკოსი, რომელიც, ამავე დროს, სრულიადაც არაა მოკლებული პოეტურ აზროვნებას; პირიქით; მიუხედავად იმისა, რომ მისი თხრობანი, ძირითადში, ჭეშმარიტად კლასიკურად პროზაულია (თანაც წერა უყვარს არა მარტო სუფთა სალიტერატურო ენით, არამედ – სხვადასხვა კილოკავითაც.. აშკარაა: იგი ქართულ ენასა და მის განშტოებებს უაღრესად საფუძვლიანად იცნობს), რიგ შემთხვევებში პოეტურ პროზასაც გადავაწყდებით ხოლმე აქ, და ეს სფეროც, შესაბამისად, მკვეთრ სიმაღლეზეა აზიდული.

ბატონი რეზოს ხელოვნების სიძლიერე არაერთ ხაზზე, არაერთ საფუძველძე დგას, და სულაც არაა აქ მთავარი მარტო მისი დიდებული იუმორი, როგროც ეს ზოგს ჰგონია. აქ საქმე გაცილებით უფრო რთულადაა, რაღა თქმა უნდა, და ერთი რაიმე ხაზის გამორჩევა არც ხერხდება, რაც დიდმა ოცდახუთტომეულმა საუკეთესოდ დაადასტურა, მაგრამ მაინც მინდა სპეციალურად აღვნიშნო, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, უმთავრესი დამახასიათებელი: ესაა თემების, პრობლემების საოცარი მრავალფეროვნება, რაშიაც ბატონი რეზო აბსოლუტური ჩემპიონია. ესაა სრული რეალიზმი, დიდი რეალიზმი, აღქმული

უაღრესად დაკვირვებული და მოკრიტიკე, კრიტიკული ადმიანისაგან. უამრავ პრობლემას ებრძვის, სვამს კითხვებს, და ეძებს პასუხებს... როცა ჯგუფ „ზღვარის„ ერთ-ერთ სიმბოლოს და ჩემს მეგობარს – კახა ბაციკაძეს (იგი რამოდენიმე აკადემიის წარმომადგენელია, ასევე წევრია მწერალთა კავშირის გამგეობისა) ვკითხე, თუ რას ფიქრობდა ჩემსავე ამ დაკვირვებაზე, მოხდენილად მიპასუხა, – ძალიან ძირფასი დაკვირვება იქნებოდა, მაგრამ დაუკვირვებლადაც კი თვალშისაცემია შენი სიტყვების ჭეშმარიტება, თუნდაც ამ ოცდახუთტომეულის ზერელე გადახედვითაც.

არის რამოდენიმე მწერალი, რომელნიც ცდილობენ ასეთი მრავალფეროვანნი იყონ თემების შერჩევაში. თავის დროზე ასეთი იყო, მაგალითად, ოთარ ჭილაძე. შეიძლება მამაშვილი ჩხეიძეების დასახელებაც, რომელნიც თუმცა თითქმის ტოლ-სწორი ხელოვანნი არიან, დროის მარადისობით სავსე სივრცეში, მაინც, ოთარ ჩხეიძე გაციელბით უფრო პოპულარულია, უფრო მკვეთრი სახელია, ხოლო მის განდიდება-პოპულარიზებას თვითონ როსტომ ჩხეიძემაც ძალიან შეუწყო ხელი... მაგრამ დავაკვირდეთ, გავაანალიზოთ საკითხი: იგივე ოთარ ჭილაძე, იგივე ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, პრობლემებს, ძირითადად, რომანებში გადმოსცემენ, ხოლო თემებიც, რომელნიც უამრავ სააზროვნო მასალასა თუ შიშველ პრობლემებს იტევენ, რომანების სახით უფროა მოწოდებული (იქნება ეს მხატვრული, დოკუმენტური , თუ მხატვრულ-დოკუმენტური რომანები). ასე ვიტყოდი, რომ ეს მეფე-სერვანტესის ხაზი უფროა, ჰიუგოსა და ბალზაკის ხაზი, – ხომ წერდნენ დიდებულ მოთხრობებს ვთქვათ, იგივე ჰიუგო და ბალზაკი, მაგრამ ბალზაკიც, ჰიუგოც, უკვდავებად, პროზაული სამყაროს ერთ-ერთ მწვერვალებად, მაინც მათმა რომანებმა აქცია; და, რაღა თქმა უნდა, სერვანტესიც, ბალზაკიც, ჰიუგოც, ჰემინგუეიც, რემარკიც თუ სხვანი უაღრესად პოეტური პროზაიკოსები იყვნენ (დააკვირდით თუნდაც მათ პერსონაჟებს: დონ კიხოტი, ჟან ვალჟანი, რასტინიაკი, სანტიაგო და მანოლინი, გრებერი და სხვა). თუმცა ასევე პოეტურია, მაგრამ სულ განსხვავებულია ხაზი მოპასანისა, ჩეხოვისა, რიუნოსკესი, რომელნიც მოთხრობა-ნოველების სახით უფრო წარმოაჩენენ პრობლემათა მთელს სიმწვავეს, და მარაოსავით გადაშლიან ხოლმე ასევე საკაცობრიო თემებს. ვფიქრობ, ბატონი რეზოს სულიერი სიახლოვე ასეთ ოსტატებთან უფრო არის. დიახ, ჩვენ გვყავს რომანისტები, რომელნიც მსოფლიო მნიშვნელობის რომანისტების მსგავსად, თითქმის ყველა თემას ეხებიან, ხოლო ასეთივე მასშტაბის ნოველისტებიც რომ გვყავს, – ნოველისტები ასევე საერთაშორისო მასშტაბისა, ეს საუკეთესოდ დაადასტურა რევაზ მიშველაძემ და მისმა ოცდახუთტომეულმა. იგია, სწორედ, დიდოსტატი, კარდინალი ქართული ნოველისა, და თუ კი ყაზბეგმა, ბარნოვმა, ჭილაძემ გვაჩვენეს მარადიული პროზაიკოსების სახე ქართულ რომანისტიკაში (სამივე ძალზედ, ძალზედ პოეტური იყო!) ჩვენსავვე ნოველისტიკაში ეს, სულ, ასევე თითზეჩამოსათვლელმა პიროვნებებმა შეძლეს, ხოლო ამათგან ერთ-ერთი უმთავრესთაგანი სწორედ ბატონი რევაზ მიშველაძე გახლავთ...

ახლა კი, ძალიან ცალმხრივი რომ არ გამოვჩნდე, საკმაოდ უხერხულ თემასაც მინდა შევეხო: ესაა ჩვენი მწერალთა კავშირის ამბავი, რომელიც, დიდ უნივერსიტეტთან და აკადემიებთან (რამოდენიმე წარმატებული აკადემია) ერთად, ჯერ კიდევ სათავეში უდგას ქართულ ლიტერატურას, ქართულ კულტურას – მოყოლებული, კავშირი კრიზისშია, ბოლო პერიოდში კი იგი უკვე ორადაა გახლეჩილი. შესაბამისად, ორ ძირითად ბანაკად გაყოფილი მაინცაა, მწერლობა, და ორივე ამ მხარეს ჰყავს თავის-თავისი ღირსეული პიროვნებანი. ახლა, უფრო მძლავრი, ასე ვთქვათ, საფუძველი-მხარის ერთ-ერთი და ნამდვილი ლიდერი, ხელმძღვანელი, სწორედ ბატონი რეზოა. ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, არსებობენ მისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები. როცა ისინი ჩემს სტატიას წაიკითხავენ, ალბათ, ჩემზედაც გაბრაზდებიან. სინამდვილეში კი ჯობდა, რომ ყველას, ერთად, შერიგებაზე, გაერთიანებაზე გვეფიქრა, და ორივე მხარის ჭეშმარიტი ოსტატები ყველას გულწრფელად გვეღიარებინა.

მაგალითად, თუ ვიღაცას ერთ მხარეზე მოიაზრებენ, მეორე მხარეზე მყოფი რეზო ჭეიშვილი, რეზო კვერენჩილაძე ან კალანდიები რატომ არ უნდა შეაქოს მან, ან, ვთქვათ, ჯუბა ღებელი, ან ლევან ბებურიშვილი რატომ არ უნდა შეაქოს, რომელიც დღესდღეობით, ზედმეტად მწვავე კრიტიკოსია, მაგრამ, სამაგიეროდ, ნიჭიერი უდავოდ არის! ხოლო ვინმემ, მეორე მხარეს მყოფმა, საწინააღმდეგო მხარეს მდგომმა, რატომ არ უნდა შეაქოს, რატომ არ უნდა აღიაროს, ვთქვათ, ქალბატონი მაყვალა, ან ცოცხალი კლასიკოსი რეზო მიშვე-

ლაძე, რომელმაც ოცდახუთი ტომი გამოსცა და თანაც მისი საიუბილეო თარიღი ახლოვდება, თან როგორი თარიღი – სამოცდათხუთმეტი წელი! . .

მტრობა წარმავალია.

დიდი ხელვნება კი ბოლომდე დიდ ხელოვნებად დარჩება.

და თუმცა როგროც ხშირად მემართება ახლაც კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი, მაინც, ასეთ ამაღლებულ ნოტაზე მინდა დავასრულო ეს საიუბილეო სტატია, – დიახ, ხელოვნება უკვდავია, დიდი ხელოვნება უკვდავია, და ესაა, სწორედ, რის გამოც გადარჩება სული ადამიანისა...

ლამარა გერგედავა

დაბრუნება
(რევაზ მიშველაძის „ჩხიკვი“)
ესე

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურიაო, ბრძანა ჰერმან ჰესემ: „იყო მოხუცი – ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა...“ გერმანელი მწერალი ესეში „სიბერის შესახებ“ ამბობს: „გზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენთვის პატარა გასეირნება იყო, გრძელი და რთული ხდება და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც შევძლებთ მის გავლას...“ თითქოს, ერთი შეხედვით, ეს სამწუხაროა...

ბატონი რეზოს ნოველაში „ჩხიკვი“ სიბერეს სულიერი დაძაბულობა ჰქვია, მწერლის თქმით, ის მოწყენის ავადმყოფობაა, ესაა მდგომარეობა, როცა შეიძლება ადრე მოწონებულ კლასიკოსთა ნამუშევრებზეც შეგეცვალოს შეხედულება, მხოლოდ იმის გამო, რომ მოწყენილობამ დაგრია ხელი, ანდა იმიტომ, რომ წლებმა შეგმატეს გამოცდილება და სამყარო უკვე სხვაგვარი გეჩვენება...

ნოველა მოგვითხრობს, თუ როგორ შემოიჭრება მარტომყოფი ცოლ-ქმრის ცხოვრებაში სიხარულის სხივი. მოხუცების ოთახში, ერთხელ, ჩხიკვი, ბუნების მოულოდნელი შიკრიკი, შემოფრინდება და მაგიდიდან პურის ნამცეცებს აკენკავს... მერე ის მათი ხშირი სტუმარი ხდება და მოწყენილი ადამიანების ყოფაში სასწაულებრივად ფანტავს მარტოობისა და ნაღველის შეგრძნებას. ლამაზფრთება, დაუპატიჟებელ სტუმარს თან იმედისა და სიცოცხლის ხალისი მოაქვს მათს სამყაროში, პატარა, თავისუფალი და მომხიბლავი მხრებით... მერე, თერთმეტი დღით გაუჩინარებულმა, თან წაიყოლა მოხუცთა იმედი. ისინიც დარდობდნენ. ერთ დღეს, ისევ მოევლინა იგი მათს უფერულ ყოფას, მოიტანა დიდი სიხარული და ოდასახლის ბინადართ ისიც კი მოასურვა, ფოტოზე აღებეჭდათ მისი ხელახალი მოვლენა.

ცხოვრების ბედნიერი წუთები, თუნდაც დროებითი, იმედებიცა და ახდენილი ოცნებებიც, შეჩერებულ კადრებსა და დასამახსოვრებელი ფრაზას ემსგავსება ზოგჯერ, აი, ისეთს, გოეთემ რომ თქვა: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი ნოველის, „ბედისწერის თეატრის“, პერსონაჟ მომაკვდავ ქალს, მართას, თავის სახლში შემთხვევით მოხვედრილი, შექსპირის დროინდელი ფუშფუშა კაბით მოვლენილი ოფელია, სულეთის ანგელოზად მოეჩვენა. უცხო სტუმარმაც იცრუა, დაუდასტურა, სწორედ ისა ვარ, მაგრამ შენს წასაყვანად არ მოვსულვარო. ავადმყოფმა ღმერთს მადლობა შესწირა, მალე წამოდგა, გაიარა და ამით ყველა გააკვირვა...

ო'ჰენრის პერსონაჟი („უკანასკნელი ფოთოლი“), ავადმყოფი გოგონა, ფანჯარას შეჰყურებს და ფიქრობს, უსურვაზის ხეს რომ უკანასკნელი ფოთოლი მოსწყდება, მეც გარდავიცვლებიო. მოხუცმა მხატვარმა, ბერმანმა, საშინელ, ქარიშხლიან, წვიმიან ღამეს, მსგავსი ფოთოლი შექმნა, ხეზე ჩამოკიდა და გოგონას, დილით, სიმშვიდე მოჰგვარა „უკანასკნელმა“ ფოთოლმა, ის გადარჩა, კეთილშობილი ბერმანი კი, რომელმაც იმედი ჩაუსახა, გარდაიცვალა.

... ჩხიკვი იმედთან ერთად შემოფრინდა მოხუცებთან, რეზო მიშველაძის ნოველაში. როცა მას კითხულობ, თითქოს, ერთბაშად, სამყაროს ათასგვარი ხმა გესმის. ვფიქრობ, თემა ზოგადია... სიბერე ხომ ყველას ხვედრია. მოწყენილობა ადამიანებს, ალბათ, მაშინ იპ-

ყრობთ უფრო მეტად, როცა ცხოვრება ერთფეროვანი ეჩვენებათ, პირმშო არ ან ვერ ეხმიანება შორეთიდან მშობლებს, ან როცა მარტოობაში მყოფთა ბედი არავის აინტერესებს...

ნოველაში უამრავი ქვეტექსტია... მასში არც კი ჩანს, აშკარად, ადამიანთა ბედით დაინტერესებული საზოგადოება, ის უნდა შეიგრძნო, მიხვდე, რომ კულისებიდან მაყურებელთა დარბაზისკენ ფარულად მომზირალი მსახიობივითაა. გაზეთი „ენაჭარტალაა“, ტელევიზორიდან პათეტიური, ყალბარტისტული ტონი მოისმის...

„ჩხიკვი“ ნოველაა მარტოობაზე, გულცივ საზოგადოებაზე, იმედზე, მშობლებისა და შვილების დაშორიშორებაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, დუმილსა და მოწყენილობაზე...

... და ისევ მახსენდება ჰერმან ჰესე: „აქ, მოხუცთა ამ ბაღში, ყვავის უამრავი ყვავილი, რომელთა მოვლენაც კი არ გვიფიქრია. აქ ყვავის ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი, კეთილშობილი, ჩვენ ვხვდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვაქვს ჩავერიოთ და ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას...“

ამ ნოველას დაბრუნებას ვუწოდებდი, დაბრუნებას სულიერი დაძაბულობიდან, მოწყენილობიდან, სიცარიელიდან, უფერული ყოფიდან.

დიახ, თქვენ მე მიმიხვდით, ნოველის პერსონაჟი მოხუცები დაუბრუნდნენ სიცოცხლეს... ეს ღვთის სასწაულია, ასეთ გენიალურ წუთებს უფალი გვჩუქნის, მწერალი კი ფოტოგრაფიული სიზუსტით, უბრალოდ, შეულამაზებლად, მაგრამ სიმართლით გადმოგვცემს.

სანამ ამ სტრიქონებს დავწერდი, უნებლიეთ, თავდაპირველად, მომეჩვენა, რომ მთელი ნოველა მეტაფორაა, ჩხიკვი შემოქმედთან მოფრენილ შთაგონებას მივამსგავსე, სწორედ ისეთს, დიდი სიხარულის, იმედის მოტანა რომ შეუძლია და რომელიც თავისუფალი და ლაღი, ერთმანეთთან მთელ ქვეყნიერებას, ცასა და ხმელეთს რომ უკავშირებს...

სერგი ლომაძე

მეფე-პოეტის დღე იყალთოში

დასრულდა თუ არა, გეპეის ადმინისტრაციულ კორპოსში, ჩვენი აკადემიის ინიციატივით შექმნილი ფილმი – ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას შესახებ, იმავე დღეს დაგველაპარაკა მე და კახას ქალბატონი გულნაზი, რომ სასურველია მონაწილეობა მიგვეღო შოთაობის დიდ დღესასწაულზე, რომელიც თვრამეტ ოქტომბერს იყალთოში უნდა გამართულიყო. მოგეხსენებათ, გულნაზ ხარაიშვილი პრეზიდენტია და შეუცვლელი ლიდერი აკადემიისა; მაშ, სწორედ იგია პირველი პერსონა, მეორეობას კი რამდენიმე ადამიანი ერთად ვინაწილებთ, ხოლო ლამზირა შეყილაძეც, რომელიც ასევე წამოგვყვა იყალთოში, გულნაზის ახლომეგობარია და ჩვენ შორის მოიაზრება. ჩვენ, ხუთი-შვიდი ადამიანი, რაღა თქმა უნდა, პრეზიდენტის მეთაურობით, ვცდილობთ – ზუსტად ავწონოთ უმთავრესნი აზრნი საერთო საქმისა და მივიღოთ მართებული გადაწყვეტილებანი. თუმცა იყალთო თბილისიდან საკმაოდ შორსაა, მაინც აუცილებლობად მივიჩნიეთ, რომ დავსწრებოდით ყველა დროის უდიადესი ქართველის, მეფე-ქართველის, პოეტ შოთა რუსთაველის დღესასწაულს – შოთაობას, მითუმეტეს, რომ მიწვეულნი ვიყავით. მაშასადამე, ასეც მოხდა: გულნაზ ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, მე და კახა ბაციკაძე, კახას მუქმწვანე ოპელით იყალთოში გავემგზავრეთ გურჯაან-თელავის გავლით: ცივ-გომბორის ახალ გზაზე იქამდე არასოდეს გვევლო, ხოლო რაც არ ვიცოდით, იმას ვერ ვენდეთ; ასე ჩავედით, აკადემიის ბირთვი, აკადემიურ იყალთოში, ძველი გზით.

პარადოქსია, რომ მეფე-პოეტის,– ჩვენი რუსთაველის შესახებ, დაზუსტება-დანამდვილებით თითქმის არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ შეუდარებელი ქართველი იყო, ქართულენოვანი ლიტერატურის ბრილიანტი. ეგ არის და ეგ. დანარჩენ ცნობებს ურთიერთგამომრიცხავი ლეგენდა-გადმოცემები ავსებს. ესაა, ძირითადად, ხალხური მითოსი. ზოგი ამბობს, მოხეტიალე პოეტი-მეომარი იყო, თავისებური რაინდიო; „ვეფხისტყაოსანი“ თბილისში დაწერაო; ასაკში რომ შევიდა, ბერად აღიკვეცაო. ზოგი მის სიღარიბეს მიუთი-

თებს, ზოგი კი – პირიქით, სიმდიდრეს, და მეჭურჭლეთუხუცესობასაც კი იმეტებს მისთვის (პირადად მე ეგ ვერსია ფანტაზიის ნაყოფი უფრო მგონია). ამბობენ, რომ მისმა პოეზიამ სახელი მოუხვეჭა და მოშურნეები გაუმრავლა, რის გამოც ქვეყნიდან გადახვეწაც მოუხდა. ცხოვრობდაო თამარისეულ „ოქროს ხანაში," ხოლო სამი ქალაქი – მესხეთისა და ქართლის რუსთავი, ასევე – თბილისი, პრეტენზიას გამოთქვამს მის მშობელქალაქობაზე. ვფიქრობ, სამივეს შეიძლება რუსთაველის ქალაქი ეწოდოს.

თუმცა სხვა ქალაქებსაც გააჩნიათ გარკვეული პრეტენზიები, და ეს არცაა უსაფუძვლო. მაგალითად: გადმოცემათა მიხედვით, შოთა რუსთაველი იყალთოს ეკლესიასთან არსებულ აკადემიაში ეუფლებოდა სწავლა-განათლებას. ეს გახლდათ ერთი უძველესი ქართულ-მეცნიერული ცენტრი, ფაზისის აკადემიასთან ერთად.ფაზისი სწორედ ის აკადემიაა, რომლის ზუსტი ასაკი არ ვიცით, და რომელიც, მერე, ჩიტაია-ნადარაიას შრომამ აღადგინა.

იყალთოს აკადემიის ზუსტი ასაკის განსაზღვრაც არაა ადვილი. ერთი კი დანამდვილებით ვიცით: მისი ფაქტობრივი ლექტორი, ერთ დროს, ლეგენდარული ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი იყო. ხოლო რადგანაც რუსთაველი, მეფე-რუსთველი, იქაურ აკადემიაში განათლდა, მაშ შოთაობაც სწორედ იყალთოში დაწესდა წლების წინ, იქ არსებულ ეკლესია-მონასტრისა და აკადემიის ნაშთის მახლობლად. სხვათა შორის, ჩვენდა სამარცხვინოდ, შოთაობა რამდენიმე წელი გაუქმებულიც იყო, თუმცა ბოლო ხანს დიდი ხმაურით აღადგინეს იგი. ბატონი ელიზბარ შათირიშვილი, რომელიც დღეს მესვეურია იყალთოს (შოთა რუსთაველის სახელობის) აღდგენილი აკადემიისა, რუსთაველის დღესასწაულსაც უწევს ორგანიზებას. ადგილობრივი გამგებელი და ძმა გამგებელისა – ალექსანდრე და კობა შათირიშვილები ასევე ყოველნაირად უწყობენ ხელს ქართველი გენიოსის, ქართველთა სიმბოლოს, – ჩვენი რუსთაველის დღეობა-დღესასწაულის აღზევებას.

ღონისძიება თორმეტ საათზე იყო დანიშნული, და თუმცა თბილისიდან ადრე გავედით, გომბორის გზა რომ არ ავირჩიეთ, მაინც დავაგვიანეთ ოდნავ. თანაც, არც ჩვენს მიერ არჩეული გზა გვცოდნია, როგორც მერე გამოირკვა, და კითხვა-კითხვაში დრო დავკარგეთ; კიდევ კარგი, რომ კახელებმა აგვიხსნეს სისწორე გზისა, რომელიც ყველა გაგებით ტაძართან მიდის; მოკლედ, ჩავედით იყალთოში.

და აი, დღესასწაული. შემოდგომაა, თუმცა ამჯერად მაინც ცხელა. არის თავშეყრა ხალხისა, – ადგილობრივნიც, სტუმრებიც. პრეზიდიუმში სხედან მწერალთა კავშირის წამყვანი ფიგურები – ბატონი რეზო და ქალბატონი მაყვალა. იქვეა ორგანიზატორები. რაც შეეხება ბატონ ნუგზარ ნადარაიას, ეს ადამიანი ხომ ერთ-ერთი ლიდერია თითქმის ყველა ბოლოდროინდელი კულტურული ღონისძიებისა. ჩვენმა გულნაზიმაც დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი ელიტაში, და თავის დროს მოთმინებით დაელოდა.

სცენაზე კი ერთმანეთს ცვლიდნენ გამომსვლელები.

პირდაპირ ღია ცის ქვეშ იყო სიტყვათქმა, ლექსები, სიმღერები, ცეცხლოვანი ცეკვები ქართული ფოლკლორიდან... მოკლედ, კარგად ორგანიზებული დიდი ზეიმი გაეჩაღებინათ იყალთოში. ერთადერთი ხაზგასასმელი ხარვეზი, იქ, მაშინ მოხდა, როცა ყველასათვის ცნობილი ძველი პოპ-ჯგუფის „ივერიას" წევრები – ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ კვაშალი მღეროდნენ, და ფონოგრამა დროებით გაითიშა, მაგრამ თავიანთი საქმის ამ უბადლო ოსტატებმა ყოველგვარი მუსიკის თანხლების გარეშე გააგრძელეს სიმღერა და ბოლომდეც მიიყვანეს, დაიმსახურეს კიდეც კუთვნილი აპლოდისმენტები. მალე თვით თემურ წიკლაურიც გამოჩნდა სცენაზე. მოკლედ, შეკრება-ღონისძიებამ ხალხს განწყობა აუმაღლა. ეს იყო სახალხო ზეიმი, ყველა ასაკის ადამიანს რომ სიხარულს ანიჭებს.

ქალბატონი გულნაზის სიტყვით გამოსვლას რამოდენიმე მკვეთრი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში კი ის, რომ ამით დაფიქსირდა, – იყალთოსა და ფაზისის აკადემიებთან ერთად, მესამე აკადემია სწორედ ჩვენი იყო, რომელმაც წმინდა შოთა რუსთაველს მიაგო საკადრისი პატივი. დიახ, ჩვენ ვეახელით დიდი პოეტის სულს თავის ერთ-ერთ სატახტოში – იყალთოში, და სწორედ ჩვენი გულნაზის იქ, იმ სცენაზე ყოფნა, სიტყვით გამოსვლა, იყო ამის სიმბოლო.

სხვათა შორის, ქალბატონ გულნაზს თავის სიტყვაში არც ჯგუფ „ზღვარის" მოხსენიება დავიწყებია და არც – ლამზირასი. გულნაზ ხარაიშვილი ის ადამიანი არაა, რომელიც თავის ერთგულ თანამებრძოლებს ივიწყებს.

მე და კახამ დავათვალიერეთ იყალთოს მონასტერი, შევედით ძველი აკადემიის ნანგრევებშიც, და როცა წარწერა ვნახეთ, რომ აქ სწავლობდა რუსთაველიო, იმისთანა განცდა დაგვეუფლა, რომელსაც ვერ გადმოვცემ. გრანელისა არ იყოს, – „ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის“. მეტის სიხარულისა და აღფრთოვანებისაგან კინაღამ გულები გაგვიჩერდა და, არც ვიცი, როგორ გამოვაღწიეთ ტაძრის ეზოდან! მერე კი, როცა გარეთ გამოვედით, როცა მზე კარგად დაადგა თავს ქვევით გაშლილი ალაზნის ველის ერთ ნაწილს, ხოლო როცა იქიდან უცებ თეთრად აენთო მზისსხივდაჭერილი გრანდიოზული ალავერდის ტაძარი, თავი უკვე მართლაც არარეალურ სამყაროში, თუნდაც იმ მიუწვდომელ ზეციურ სასუფეველში თუ – ზეციურ საქართველოში გვეგონა! მერე ქალბატონებს – გულნაზისა და ლამზირასაც დიდის მოწიწებით დავანახეთ ალაზნის ველის (ასევე – მთელი კახეთის) მთავარი საოცრება – თეთრი ტაძარი ალავერდისა.

მოგვიანებით პურობა გაიმართა მომწვანო ფერის რესტორანში. ბევრნი ვიყავით, ამიტომაც რამოდენიმე მაგიდაზე იყო გაწყობილი სუფრა. მე, კახა, გულნაზი და ლამზირა აქაც ერთად აღმოვჩნდით. ისე წარიმართა საქმე, რომ ჩვენსავე მაგიდასთან მოხვდნენ ბატონები – ალექსანდრე და კობა შათირიშვილები. აქვე ისხდნენ (თუ სახელ-გვარი სწორად მახსოვს): ვახტანგ ნარუსლიშვილი, ბესო ოთარაშვილი, დავით გიგაური, ფიდო რაიგული, გოჩა წაქაძე, დანარჩენი სხვადასხვა მაგიდებთან გადანაწილდნენ. ბატონი ვახტანგ გაჩეჩილაძე, რომელმაც ჩვენი გულნაზის შესახებ ძალიან თბილად ილაპარაკა არაერთხელ, რომელიღაცა სხვა მაგიდასთან აღმოჩნდა, თუმცა მწამს, რომ სულით და გულით, იგი, ჩვენთან გახლდათ. სუფრებს სხვადასხვა თამადა ჰყავდათ, მაგრამ მთავარი, უფალი – თამადა, რაღა თქმა უნდა, ერთი იყო – გურამ ურჩუხიშვილი, რომელიც არაჩვეულებრივი გამძღოლი აღმოჩნდა სუფრისა. მან ბოლომდე დაგვაჯერა იმაში, რომ კახური (ქართული) სუფრა, ქეიფი, თავისებური აკადემიაა ნამდვილად. ბატონი გურამი, ვიტყოდი, რომ, მეფე-თამადაა, რომელიც სწორედ რომ გულბაათ ჭავჭავაძისა და ჩირგაძის გვერდით მოხსენიების ღირსია:

ბატონმა გურამმა დიდებული სიტყვათქმითა და ქართული კლასიკური პოეზიის უბადლო ცოდნით ისახელა თავი; როგორც ჩანს, განსაკუთრებით სწორედ რუსთაველის შაირი უყვარს, თითქმის მთელი პოემა ზეპირად იცის და ამ პოემის სტრიქონებით უხვად ააფერადა თავისი სადღეგრძელოები შოთაობის დღეს. აღტაცებული მსმენელნი ზოგჯერ ცრემლებს ვერ იკავებდნენ. მერე გამოირკვა, რომ თამადას სიმღერაც კარგი სცოდნია და იქ სპეციალურად მოწვეულ დიდებულ მომღერლებს ღირსეულად გაეპაექრა კიდეც.

საერთოდ, ბატონმა ნუგზარმა, ბატონმა ალექსანდრემ და ბატონმა გურამმა სრული კონტროლი დაამყარეს მთელს იმდღევანდელ სივრცეზე...

და აი, დადგა კახას ჯერიც, როდესაც ორი სხვადასხვა აკადემიის პრეზიდენტების – ბატონი ნუგზარისა და ქალბატონი გულნაზის დაჟინებული მოთხოვნით, მის ხელში გადაინაცვლა გიტარამ. მართალი ითქვას, კახა ფერად ფიქრებში იყო წასული და, თავიდან, სიმღერა არა სურდა, მაგრამ ორ ასეთ ავტორიტეტს ხათრი ვეღარ გაუტეხა: „ზღვარის“ შედევრი „ჩემი ლირიკა“, (რომელსაც ასეც ვუწოდებთ – „პოეტი“), შეასრულა. საერთოდ, ბოლო დროს ძალიან ხშირად უწევს ამ სიმღერის შესრულება, – მეტისმეტად მოსწონთ ეს ასიმღერებული ლექსი. ახლაც იქუხა ტაშმა. ყველა, უკლებლივ, აღფრთოვანებული დარჩა. – ეს რა კაცი ჩამოგიყვანიათო! – ამბობდნენ სახეგაბრწყინებული კახელები...

ჩემმა გულმა, რომელიც ნამდვილად არის გული პოეტისა, სრულიად შემაგრძნობინა ის, რომ ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა. შედგა შოთაობა – უდიდესი დღესასწაული; თანაც, ერთმანეთს დაუმეგობრდა, საბოლოოდ, სამი აკადემია; ქართულ კულტურას ახალი სუნთქვა გაეხსნა, უფრო ძალუმად აუძგერდა გული; ხოლო კახურმა სუფრამ თავისი კლასი კიდევ ერთხელ გვაჩვენა.

ისედაც ხომ ქართლ-კახეთი თვალია სრულის საქართველოსი!..

უკან ცივ-გომბორის გზით ვბრუნდებით, შემოდგომაა. თითქმის სრულიად ოქროსფერი, მანათობელი ტყე, და მთები. მიწა (ფოთლებდაყრილი), ხეები, მთელი სივრცე ოქროთია სავსე. ღამდება, მაგრამ მაინც ანათებს, მზის გახუნებულ სხივებით, ახლა უკვე – დაღლილ სხვებით, ფერი ქარვისა. მახსენდება ლეგენდები – გალა და გრანელი, მახსენდება პოეზიის დედოფალი – ანა... და მახსენდება ერთი ადამიანიც, რომელსაც უყვარს შემოდგომა და ერთხელ მე მივუძღვენი ლექსი, „გულის გადასახედი“, ასეთი ორწინადადებიანი

წარწერით: „შორენას – როგორც გულს. იქნებ სწორედ (პოეტის) გულიდან ჩანს, ყველაზე უკეთ, სრული სამყარო“... მახსენდება ყველა შემოდგომა, ან – თითქმის ყველა შემოდგომა, რომელიც კი აქამდე გამივლია...

ეს იყო გომბორის ქედზე.

ეს იყო მთელს საქართველოშიც.

და იყო დიდი დღე, დღე ქართველთა მზის – რუსთაველისა.

მზე თითქოს ჩადიოდა, სინამდვილეში კი იგი სამუდამოდ რჩებოდა გონში, სიცოცხლედქმნილ სივრცეში.

მე და კახა;

და ლამზირა;

და ჩვენი საამაყო ქალბატონი, ჩვენი გულნაზი, რუსთველისეული მზით, რუსთველისეული ნათლით მოსილნი ვბრუნდებოდით თბილისში;

სრულდებოდა რუსთველის დღე;

თუმცა რას ვამბობ, – რუსთველის დღეს ხომ დასასრული არ უწერია!..

თბილისი. 2014წელი.

ახალი საბავშვო ჟურნალი – „ხატი“

ჩემი სიხარული უსაზღვროა, – ხელში მიჭირავს მართლმადიდებლური ლიტერატურული საბავშვო ჟურნალი „ხატი“, „ხატის“ მთავარი რედაქტორია ლევან ბაბუხადია, ხოლო სარედაქციო საბჭო ასე გამოიყურება: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) – მარაბდელი მიტროპოლიტი, საუკეთესო პოეტი სასულიერო პირთა შორის. გულნაზ ხარაიშვილი – აკადემიის პრეზიდენტი, ავტორი და თანაავტორი ბევრი მნიშვნელოვანი იდეისა, საქმისა; შოთა მაჭარაშვილი – ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი; ანა ბოდბელი (ხუნაშვილი) – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. აი, ასე შთამბეჭდავად გამოიყურება ეს საბჭო.

რაც შეეხება თვითონ რედაქტორს:

ბატონი ლევანი ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, დიდებული ლიტერატორი, მწიგნობარ-გამომცემელი, ჟურნალისტი. მან, ქალბატონ გულნაზთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში საბოლოოდ დაამკვიდრა ლეგენდარული პოეტის – ოცდაათი წლის ასაკში დაღუპული ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ბეჟანი ოთხმოციან წლებში დაიღუპა, ხოლო გულნაზ ხარაიშვილმა (პოეტის და, რომელიც თვითონაც ბრწყინვალე პოეტია) და ლევან ბაბუხადიამ, ძირითადად სწორედ ამ ორმა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ბეჟანის სახელი ლეგენდად ქცეულიყო, ხოლო ადრეწასული კაცის ბრწყინვალე შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი ამ ჩანაფიქრს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლევან ბაბუხადიამ ორი საკუთარი წიგნი გვაჩუქა მე და კახა ბაციკაძეს, ერთი პოეტური კრებულია, მეორე –პროზაული. მე და კახა აღტაცებულნი დავრჩით იმ პატარა, თუმცაღა ბევრისდამტევი ნაშრომებით. მოვიხიბლეთ წიგნებზე შესრულებული ჩვენდამი მოძღვნილი წარწერებითაც. მაგალითად: პირველ წარწერაში პოეზიის ლომებს გვიწოდებდა იმ ლირიკული ნაშრომის ავტორი. იქნებ, ბატონმა ლევანმა, ასეთი წარწერა, ჩვენდამი მისი დამოკიდებულების, ჩვენდამი მეგობრული განწყობილების ხაზგასასმელად უფრო მიაწერა წიგნს, ვიდრე მისი ნამდვილი, სრული შეხედულების მოკლედ გადმოსაცემად (ჩვენი შემოქმედების შესახებ), მაგრამ, დამეთანხმებით, – მაინც იწვევს აღტაცებას, როცა ძალმოსილების მეფეს – ლომს გადარებენ...

ახლა რაც შეეხება ჟურნალ – „ხატს“ დევიზით – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა“.

საწყისი გვერდები, ძირითადად, ქართულ კლასიკას ეთმობა: აკაკი (მისი შედევრით – „ხატის წინ“), დავითი, ილია, რომელთა ქმნილებანიც სწორადაა შერჩეული და ამ სახითაა მიტანილი ყმაწვილებთან. ხოლო ამ ყოველივეს, შემდეგ, ჩვენი პატრიარქის სიტყვანი მოსდევს, ძირითადად, ქართულ ენას რომ ეხება. რადგანაც ენა-დამწერლობა ერთი ჯაჭვია,

ჟურნალს ბავშვები ლოგიკურად მიჰყავს ქართ ლი დამწერლობის, – ჩვენი ანბანის საკითხამდე.

ლამაზია ეს ფარული, პოეტური, ლოგიკური ჯაჭვი.

ჩვენი ენა-ანბანი კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოეტურია (ამანაც დიდად განაპირობა ქართული ლექსის უბადლოობა და თავისებური შინაგანი მუსიკალობა). ჩვენი ანბანი ახლა ქრისტეს ასაკისეულ – ოცდაცამეტ ასო-ბგერას მოიცავს, თუმცა არე ასო-ბგერანი უფრო მეტი გვქონდა, და ჟურნალი გვთავაზობს ანბანის განვითარების სამივე საფეხურს. რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე ცნობილია ზრდასრულთათვის, მაგრამ, აი, ბავშვთათვის კი სწორედ რომ კარგი მისაწოდებელი მასალაა. ასომთაავრული, ნუსხა-ხუცური, და დღევანდელი – მხედრული ბგერწერა შეპირისპირებულია ერთმანეთს, ძველი ასო-ბგერების გამოუტოვებლად. აქვეა ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობანიც. ხოლო ანბანზე მსჯელობისას, ზოგადად – ქართულ ენაზე მსჯელობისას, მოყვანილია გონებრიობის ისეთი მეფეების ფრაზები (იოანე-ზოსიმე, იაკობი, ნიკო მარი), რომელნიც სწორედ რომ ილიასა და აკაკის სივრცეში მოხსენიების ღირსნი არიან. დიდი იაკობი ხომ მეგობარიც იყო წმინდა ილიასი და აკაკისა.

ამ ყოველივეს კი უკვე ბიბლიური თემა მოსდევს.

აი მერე, მომდევნო გვერდები, ეთმობა ორ ლეგენდარულ პოეტს – მეუფე თადეოზს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ძალაა ჩვენი აკადემიისა, და ბეჟან ხარაიშვილს, რომლის მეგობარიც იყო პირადად ბატონი ლევანი.

მერე კი წმინდად საბავშვო ლიტერატურაა: მაყვალა მრევლიშვილის, ვლადიმერ ასლამაზიშვილის, თენგიზ ჩალაურის, გივი ჭიჭინაძის მშვენიერი საყმაწვილო ლექსები, ხოლო ამ რკალს აგვირგვინებს იაკობის პატარა ნოველა ყმაწვილთათვის, ასევე – იაკობის სიტყვები, რომელნიც მიმართულია ქართულ ოჯახში მშობლიური ენის უფლებათა გაძლიერება-გამარჯვებისაკენ, ყოვლისმომცველობისაკენ.

შემდეგ საშუალო სიდიდის სტატიაა, რომელიც დედაქალაქის ნომერ მეთხუთმეტე ბაგა-ბაღის და მის ღირსებებს წარმოაჩენს. აქვეა ასევე ორგვერდიანი სტატია მედიასტუდია „დროს“ შესახებ. მოკლედ, ორივე ეს სტატიაა ბოდბის ლეგენდარული მონასტრის შესახებ. უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ეს სტატია ჩვენს ერთ-ერთ უდიდეს წმინდანსა და ბოდბის მონასტერს ერთობლივად ეძღვნება. ესაა მეოცე-ოცდამეერთე გვერდებზე. ხოლო უფრო ადრე, მეოთხე-მეხუთე გვერდებზე, წარმოდგენილი იყო წერილი ასევე ერთ-ერთ უდიდეს წმინდანზე, შეიძლება ითქვას, ქართველთა მთავარ წმინდანზე – თეორ გიორგიზე.

ასე დაწვრილებით კი იმიტომ აღვრიცხავ თითქმის ყოველივეს, რომ უკეთ მიხვდეს მკითხველი, თუ რა მაღალი დონის მასალაა მოთავსებული ჟურნალში. ქართული კლასიკა, რელიგიურ თემებთან შეზავებული, – უკეთესი რაღა უნდა იყოს ჩვენი ყმაწვილების სწორი, ჰუმანური აღზრდისათვის. ხოლო ამ ყველაფერს თანამედროვე ავტორების ნაწერებსაც ამატებს რედაქტორი და რედკოლეგია.

სწორედ თანამედროვე ავტორებია ანა ბასლაძე და ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე, რომელთა ლექსები, ვფიქრობ, მოუხდა ჟურნალს.

შემდეგ კი არის, ასე ვთქვათ, „გონების სალესი“ – ანაგრამა, შარადა, მეტაგრამა, და საინტერესო ამბების სვეტი.

სულ ბოლოს ბავშვთა შემოქმედების განყოფიელბაა, სადაც ორი სახელია წარმოდგენილი ტატო ხარატიშვილი და მარიამ ფაცურია. ერთი – პოეზიაში, ხოლო მეორე – მუსიკაში მუშაობს. დღევანდელი გადასახედიდან ორივეს ვარსკვლავობას უქადის მომავალი. ვნახოთ, რა იქნება...

ჟურნალი კარგი ხარისხის ფურცელზეა დაბეჭდილი, და თუმცა ჯერ-ჯერობით ფერადი არაა, მთლიანობაში მაინც მაღალ დონეზეა გაფორმებული. თუ არ გავეკიდებით წვრილმან კორექტულ შეცდომებს, ასევე – სარჩევის საკითხს (რამეთუ ჟურნალი, მოცულობით, არაა დიდი), ესაა თითქმის იდეალური ქმნილება ბავშთათვის. ყდა ფერადი აქვს, და იწყება რა წმინდა გიორგის ხატით (ხატმწერი თინათინ ლარიაშვილი), სრულდება ილია მართლის ქანდაკებით (სკულპტორი გელა ლარიაშვილი). თუნდააც ეს ორი სურათი, ჟურნალის თავსა და ბოლოში რომაა, ორი მარადიული ზღვარივით წარმოაჩენს სულს ამ კრებულისას...

საერთოდ, ძალიან რთულია საბავშვო მასალების დაწერა-შეგროვება-შედგენა.

გავიხსენოთ:

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიას გალაკტიონი და გრანელი განაგებდა, ჯგუფებში კი ყანწელები (პაოლოსა და ტიციანის ლიდერობით) და აკადემიური სტილის მიმდევარნი (მაყაშვილისა და ინგოროყვას ლიდერობით) ბატონობდნენ. ყანწელები ოდნავ სჭარბობდნენ პოპულარობით, აკადემიურებს, ამიტომ პაოლოსა და ტიციანს პრეტენზია ჰქონდათ ინდივიდებში გაპირველებისაც. რაც შეეხება გალაკტიონსა და გრანელს, ისინი ერთხელ თუ ორჯერ თანაბარ დონეზე შეეპაექრნენ ერთმანეთს, – სხვანი ხომ დაძლეული ჰყავდათ. გალა და გრანელი დაახლოებით თანაბარი ძალის გენიოსები იყვნენ, ოღონდაც, სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი გაცილებით მეტხანს იყო პოპულარობის ზენიტზე.

და რატომ გავისხენე ყოველივე ეს? –

მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა: აი, ასეთი სუპერლეგენდები ხომ გვყავდა, ზეკაცები, და ისინიც კი ძალიან ფრთხილად იყვნენ საბავშვო თემებთან. მეტიც: უძნელდებოდათ ასეთ თემებზე წერა, აღარაფერს ვამბობ მთელი საყმაწვილო ჟურნალის შექმნა-გამოცემაზე!

მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა იტვირთოს საკუთარ მხრებზე ეს უმძიმესი საქმე!

და აი, გამოჩნდა კაცი – ლევან ბაბუხადია: ლიტერატორი, რომელიც მთელი სიცოცხლე საგამომცემლო საქმეს ემსახურებოდა და ახლა დაუდო სათავე ახალ ბრწყინვალე ჟურნალს – „ხატს“.

პირადად მე ძალიან მინდა, რომ ეს ნაშრომი შემდეგ და შემდეგ გაპირველდეს კიდეც თავის სფეროში. ვნახოთ. ყველაფერი წინაა. მთავარი ერთია, – დიდებულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

თბილისი. 2014წ,

მინაწერი: ჩემზე და კახაზე

ამბობენ, სადაც კი არიან, ყველგან, ბენისმიერი გარემოცვის ლიდერობას ან, „სულ ცოტა“, თანალიდერობას მაინც ცდილობენ, და ახერხებენ კიდეცო; არაა ეს მართალი; აი, მაგალითად, – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ირგვლივ ოთხი-ხუთი ადამიანი მაინც არის ისეთი, რომელთა მიმართაც ხაზგასმულ, უდიდეს პატივისცემას განვიცდით და თავისებურ მოკრძალებასაც კი ვგრძნობთ პოეტურად ამაყ, მაგრამ მაინც, აშკარად შესამჩნევ მოკრძალებას... – ამ, ერთი შეხედვით, სხვათაშორის ნათქვამ სიტყვებს, აქვს თავისი გამოკვეთილი აზრი და ხიბლი...

გელა სულაძე

მაყვალა გონაშვილი

2014 წლის 27 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი. რა თქმა უნდა, ეს მისი პირველი ვიზიტი არ იყო სამხრეთში. ქალბატონი მაყვალა აქტიურად და სისტემატურად მონაწილეობდა რუსთაველისადმი მიძღვნილ პოეზიის დღესასწაულზე - შოთაობაზე.

პოეტს უახლოესი მეგობრები – მწერალი მანანა დუმბაძე და მწერალი გელა სულაძე ახლდნენ.

დარბაზმა მსმენელი ვერ დაიტია. ბევრი ფეხზე იდგა, ბევრმა დარბაზშიც ვერ შეაღწია. პატარა სცენაზე პოეტს ვარდების თაიგულით მორთული მაგიდა, სავარძელი და, რაც მთავარია, სტუდენტები ელოდნენ.

მაყვალა გონაშვილი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს პირველად სტუმრობდა. დარბაზში პოეტს ახალგაზრდები ფეხზე ადგომითა და ოვაციებით მიეგებნენ.

დაიწყო შეხვედრა. ლექსების რიტმთან შეხამებული მუსიკის ფონზე ისმოდა პოეტი ქალბატონის პოეზია. იმ დღეს სტუდენტთა უმეტესობა სცენაზე პირველად იდგა ან პირველად კითხულობდა ლექსს. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანის გამოსვლა ტაშით

სრულებოდა. ახალგაზრდები პოეტს საჩუქრად მათებურად აჟღერებულ სტრიქონებს უძღვნიდნენ: „ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი“- თრთოლვით ნათქვამ ამ სტრიქონებს ცვლიდა ღიმილნარევი სევდით ამოთქმული: „სუყველა მოვა და დაგიტირებს, ვისთვისაც მოკვდი, იმ ერთის გარდა“. ცვლიდნენ ლექსები ერთმანეთს, სცენიდან დიდი სიყვარული, პატივისცემა, მოკრძალება იღვრებოდა. დარბაზი აავსო პოეზიის მადლმა და სტუდენტთა გულწრფელმა ემოციამ.

სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა საბერძნეთიდან სწორედ ამ დღისადმი მიძღვნილი გულთბილი წერილები. ქართველ ემიგრანტ ქალთა მისალმებას უდიდესი ნოსტალგია და მაყვალა გონაშვილის პოეზიის სიყვარული ჩამოჰყვა. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში პოეტი ქალბატონის სტუმრობას გამოეხმაურნენსაბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის თავმჯდომარე და ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ნუნუ ღურჭუმალიძე, საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი და ჟურნალ „ემიგრანტი ქალის” რედაქტორი მაყვალა მესხაძე, ლიტერატურული სალონის - „მამული“ ხელმძღვანელი და ჟურნალ „ემიგრანტი ქალის” რედაქტორის მოადგილე ზაირა კეღოშვილი: „მადლობას გიძღვნით ქართული მწერლობის ფუძის შენარჩუნებისათვის და ასევე ჩვენი ემიგრანტულ-ლიტერატურული საქმიანობის სტიმულირებისათვის. თქვენ მიერ დარისხებულმა „დედო ზარის“ ხმამ, რომ „ჩვენი შვილები სიბრძნედაკარგულ დროში იზრდებიან“, მთლად საქართველოს გულში გაიარა და ჩვენამდეც მოაღწია. თქვენი გულიდან წამოსული სტრიქონების - „სიტყვა ვარ და სიტყვად ვრჩები“ - გვწამს და გვჯერა. გიცხადებთ თანადგომას, წარმატებებს გისურვებთ ქართული მწერლობის ხვალინდელი დღის გაუმჯობესების საქმეში. იმედია, ვერანაირი გლობალური მოვლენა ვერ შეძლებს ქართული მჭერმეტყველების დაქვეითებას და ე. წ. მოთვინიერებას“.

მოგვიანებით ამ გამოხმაურების შესახებ მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა: „ქართველ ემიგრანტებს სხვაგვარი ნოსტალგია სჭირთ საქართველოსი. სახლი, სამშობლო ენატრებათ. ხშირად მიფიქრია, რომ მათ უცხოეთში ქართული ენა აქციეს სამშობლოდ და მასში ჰპოვეს თავშესაფარი, სწორედ ამით ვხსნი იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველამ წერა დაიწყო“.

შეხვედრა გაგრძელდა. მაყვალა გონაშვილის ლექსების ლიტერატურულ ანალიზს ეხებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ფილოლოგიის დოქტორ ვახტანგ ინაურის წერილი, სადაც აღინიშნა, რომ: „მაყვალა გონაშვილი არის პოეტი – წინამძღოლი, პოეტი – მებრძოლი, პოეტი – მეამბოხე. სამშობლოსთვის და ერისათვის თავდადებული პოეტი, მაგრამ ეს მისი შემოქმედების ერთი მხარეა. არსებობს მეორე მხარეც – მისი სითბოთი და სიკეთით სავსე ლირიკული ლექსები. ლექსები მიძღვნილი მშობლებისა და შვილებისადმი, მეუღლისა და მეგობრებისადმი, ლექსები, რომლებიც გამოხატავენ მის შინაგან სამყაროს, მის გუნება-განწყობილებას, წუთიერ სისუსტეს, მწუხარებას, სიხარულს და ბედნიერებას. ისინი ისეთივე მშვენიერი და იდუმალებით სავსე არიან, როგორიც თვითონ მაყვალა გონაშვილია – ქალი, სიყვარულისათვის და მეგობრობისთვის დაბადებული“.

მაყვალა გონაშვილის პოეზიის თავისებური ინტერპრეტაცია შესთავაზა მსმენელს დოქტორანტმა მარეხ ტატალაშვილმა:„ეს იყო ათი წლის წინ. მაშინ სკოლა მეც ათი წლის დამთავრებული მქონდა. ძველ ჟურნალებს ვალაგებდი და თვალი მოვკარი: „ხოლო ხემან, თუ ნაყოფი არ გამოიღოს, მოიკვეთოს და ცეცხლსა მიეცესო. ხომ გაგიგიათ? ჩვენ ამას სკოლაში არ გვასწავლიდნენ. მაგრამ რა ვისწავლით? იქნებ ჭკუა? იქნებ მოკლე გზები მიზნისკენ“ დამთავრებიდან ათი წელი იყო გასული. კლასი იკრიბებოდა ახალი იერით, ძველი ტკივილებით. არაფერი იყო შეცვლილი. გულზე მომხვდა. ჩემი და ჩემი კლასელების ნაცნობი ყოფა, ჩვენი სათქმელი იყო. ასე შემოვიდა ჩემში მაყვალა გონაშვილი – ტკივილით სავსე პოეტი“.

დარბაზის ოვაციამ ააცილა ქალბატონი მაყვალა გონაშვილი სცენაზე. სტუდენტების ხალასი სიყვარულით შთაგონებულმა პოეტმა მადლიერების სიტყვები არ დაიშურა. ახალი კრებულიდან, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნა, „ჯერ კიდევ სტამბის სუნი შემორჩენოდა“, მსმენელს ლექსები შესთავაზა. სტუდენტებს მიმართავდა პოეტი, ქალბატონი, აქტიური მოღვაწე, ხელმძღვანელი, დიდი გამოცდილებისა და უამრავი საინტერესო იდეის ინიციატორი. რამდენჯერმე სცადა საუბრის დასრულება, მაგრამ მსმენელი სცენის დატოვების ნებას არ აძლევდა. ქართული სიტყვის მადლმა გააერთიანა დარბაზში მყოფი ადამიანები. „პირობას გაძლევთ, არაერთხელ შევხვდებით ქართველ პოეტებსა და მწერლებს. ჩვენ არ გავაცივებთ ამ სცენას“, - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის ამ სიტყვებით დასრულდა შეხვედრა პოეტ მაყვალა გონაშვილთან.

გელა (გიორგი) ლარიაშვილი

მთვარეული ჩანახატი

„ხვედრი პოეტთა”. ამაღლებული შთაბეჭდილებებით ჩავამთავრე კითხვა. წავედი ფიქრებში – ამ საინტერესო ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, მის სულიერ სამყაროზე. კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი მის ლექსებს და ფოტოებს, გული დამწყდა, რომ ბეჟან ხარაიშვილის, ამ განუმეორებელი, მგრძნობიარე, ფაქიზი სულის შემოქმედის, ასე მცირე სურათების ალბომი შემოგვრჩა. უკვე საკმაოდ გვიანია...

გვიანი გაზაფხულის მზიანი, ნათელი დილაა. დილის სიგრილე სასიამოვნოდ იკბინება. უნივერსიტეტის ჭადრებს ტიტანებივით შეუდგავს ლაჟვარდი ცარგვალი, ჩიტებს – ჩიტთა ქორწილი გაუმართავთ. ჰაერი, ჰაერი გრილი, გამჭვირვალე, ყვავილის სუნით გაჟღენთილი, სუფთა (ალპურ ზონაში რომ იცის მხოლოდ).

რა ბედნიერი დილაა! თამაზი, ჩემი ძმა, ბავშვობის ძმაკაცი შემხვდა უნივერსიტეტის ბაღში, 34 წლის უნახავი. გადავკოცნეთ ერთმანეთი. რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. ვჩქარობთ, არ ვაცდით ერთმანეთს, სათქმელს რა გამოლევს.

მოულოდნელი სიხარულის რაღაც ენით აუწერელი ნეტარება მეუფლება. რა ხანია ვეღლოდით ამ დღეს. რამდენი რამ მოხდა ჩვენი განშორების შემდეგ. ვიხსენებთ წარსულს; ვესაუბრები ხელოვნებაზე, ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, სიახლეებზე, მომავალ გეგმებზე. ხუმრობაა, ცხოვრების ნახევარი გასულა თითქმის თვალსა და ხელს შუა.

ვაგრძელებთ გზას ლაპარაკში, ამ დროს ჩემი ყურადღება უცხო ახალგაზრდამ მიიქცია. ლურჯ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი, მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილი კაცი, ლურჯი ჩანთით, ჩაფიქრებული, მუხლებზე გადაშლილი რვეულით. ერთ წერტილს მისჩერებოდა, მეოცნებე, სევდიანი სახით, თვალებში მზის სხივი უბრწყინავდა. ვუახლოვდები, თითქმის გავუსწორდით ერთმანეთს. პროფილში შევცქერი კაცს, რომელსაც არ ვიცნობ. საიდან მეცნობა ეს პიროვნება?

რა ახლობელი და ნაცნობია? ამ დროს როგორ უცხო. ვინ არის იგი? როგორ ახლოსაა იგი ჩემს სულთან. რა დიდ საერთოს ვხედავ ჩვენს შორის. თვალს არ ვაცილებ, როგორ გავს იგი თამაზს. თამაზი გამახსენდა, მოვიხედე და... სად გაქრა ეს ბიჭი? რა ხდება

ჩემს თავს? ვაგრძელებ გზას ეჭვებში წასული და რადაც განათდა უცებ – ეს ხომ ბეჟანია! ჰო, ჰო ბეჟანი, მაგრამ სადღაა ბეჟანი?

გამეღვიძა... დაორთქლილ ფანჯრიდან მთვარე დამყურებდა, მთელი თავისი სისავსით. სწრაფად დავხუჭე თვალები, მინდოდა ისევ იქ, იმ ზღაპრულ სამყაროში, იმ ლეგენდად ქცეულ ბიჭებთან. რამდენი გვაქვს საერთო, რამდენი... მაგრამ ამაოდ. ღამის 3 საათი და 32 წუთია. თვალწინ ისევ ბეჟანის პროფილი მიდგას. არ მინდა ავანთო სინათლე, არ მინდა დავკარგო გონებაში ჩარჩენილი სახე. ბეჟანის წიგნზე ფურცელი მოვამარჯვე და მთვარის შუქზე მისი ჩანახატი გავაკეთე. 3 საათი და 38 წუთია, ღმერთს მადლობა შევწირე.

თამაზმა 1981 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ სწავლა განაგრძო კიევში, წარმატებით ჩააბარა ასპირანტურაში. კეთილშობილი, უნიჭიერესი, საოცარი გულის ბიჭი იყო. 1982 წელს იგი თავის მეგობართან ერთად გაურკვეველ ვითარებაში ტრაგიკულად დაიღუპა. ისინი მდინარე დნეპრში იპოვეს. მათ დაკარგეს ნაშრომები, პირადი ნივთები და რაც მთავარია სიცოცხლე.

იგი 22 წლის ნათელი ბიჭი წავიდა ამქვეყნიდან, როგორც ბეჟანი და... შეუხორცებელი ჭრილობა დაგვიტოვეს გულში. ვინ იცის იქნებ ბეჟანი და თამაზი იცნობდნენ ერთმანეთს – ვინ იცის? არადა თავისი ხანმოკლე, შინაარსიანი ცხოვრებით, როგორ გვანან ისინი ერთმანეთს.

ისინი თითქმის ერთ დროს გავიდნენ ამ ქვეყნიდან. რამდენი სიკეთე, სითბო და მადლი დაგვაკლდა მათგან, მათი უდროოდ წასვლით.

თუმცა რა, უფლის განგებით ჩვენ ადამიანები, ხომ მხოლოდ ცოტა ხნით, დროებით ვშორდებით ერთმანეთს...

ნანა პაიაშვილი

ფიქრი

თბილისი გარეუბანში. ორი კორპუსი ერთმანეთის პირისპირ აღმართულა, რომელთა ფანჯრები ჩუმად უმზერენ ერთმანეთს, არც თვალები ჩამორჩებოდნენ...

დიდრონი ჟუჟუნა თვალები მილულა ფიქრიამ და ფიქრს მიჰყვა. „დილაობით ვზივარ ჩემი განუყრელი ეტლით ამ ფანჯარასთან და ვეღოდები ჩემს სამარშუტო ტაქსს, რომელსაც ცენტრში მივყევარ... ცენტრში ჩემნაირი ბავშვები ბევრია, ერთმანეთთან ვთამაშობთ, ვხატავთ, ვვარჯიშობთ, ვსწავლობთ და ასე გადის დრო...“

მზემ მოიარა ველური ჟრიამულით ავსილი ქუჩა და სითბოთი სავსე ამბორი მიაწვდინა ფიქრიას სარკმელს... დიდხანს ფიქრით გაჰყურებდა ნაზი ქმნილება ეზოს... რახანია გაიღვიძა და ელის, ელის ნიკას, რომელიც მისი სახლის საპირისპირო მხარეს ცხოვრობს... სწორედ მათი ფანჯრები უმზერენ ერთმანეთს... საცაა ჩამოირბენს ნაცნობი ნიკა. სევდიანი და უჩვეულოდ ჭკვიანი ბიჭი ჩანს ფიქრიას სარკმლიდან ნიკა...

„ეჰ მეც, რომ შემეძლოს მასავით არხეინად ჩარბენა კიბეზე, მასავით ფეხით წასვლა სკოლაში რა ბედნიერი, რა ამაყი ვიქნებოდი ალბათ... ეჰ მას ჰგონია, რომ მეც მასავით ჯანმრთელი და ლამაზი ვარ... ეჰ მას ჰგონია მხოლოდ... ჩემი ტოლი იქნება ნიკა. ეტყობა კარგად სწავლობს, რა იქნება მეც მის კლასში ვსწავლობდე, მის გვერდით...“

გულის კუნჭულში ტკივილი იგრძნო, ეტლი შემოაბრუნა... „ინკლუზია, ინკლუზიური სწავლება“. ჰო მოაგონდა ამაზე ესაუბრებოდა თავის პედაგოგი გუშინ: „ინკლუზიური სწავლება ჯანმრთელი და ინვალიდი ბავშვების „ინტეგრირებას“ გულისხმობს... „ინტეგრირება“ კი ალბათ შერევას უნდა ნიშნავდეს...“ გაიფიქრა და ძლიერ მოუნდა ჩვეულებრივ სკოლაში სწავლა... თვალები დახუჭა... მთელი სიცხადით დაინახა ნათელი, ფართო, ლამაზი კლასი, მაგრამ იმ კლასში ორი მასწავლებელია თავისი და ნიკასი...

ფერმიხდილი, უზომოდ სევდიანი სახე წამით გაებადრა... და მერე ტუჩების ცმაცუნით აკვიატებული ლექსის ბუტბუტი დაიწყო:

„ვიღაცამ მკითხა:
რატომ წერო სევდიან ლექსებს?
ცრემლი და დარდი შენ ბავშვურ გულს

რად ეუფლება?
კარგად ვიცი,
რომ მასზე ფიქრის, სიყვარულის
არ მაქვს უფლება...“

ისევ მიყუჩდა, ფიქრთა დინებას მიჰყვა... დღეს დედამ ცენტრში არ გაუშვა, დატოვა სახლში. „ნეტავ ყოველველდღე სახლში, რომ მტოვებდნენ, როგორ გაივლიდა დრო, ან თუ გაივლიდა საერთოდ?... ისევ ფანჯრისკენ შეტრიალდა და აი ისიც...

ასაკთან შედარებით, უჩვეულო სიდინჯით მოდიოდა ნიკა... თითქოს მასაც, რაღაცა ენიშნაო. შედგა ფიქრიას ფანჯარასთან, ამოიხედა და გაუღიმა... ჰო არ მოსჩვენებია, ნამდვილად გულწრფელი მზრუნველი, კეთილი ღიმილი აჩუქა პაწია ფერიას... არც უნდოდა მეტი ოცნებამოყვარულ გოგონას... ბნელი ღამის ბრდღვიალა ვარსკვლავივით აუციმციმდა თვალები... ღმერთო, რა ბედნიერი იყო... თურმე რა მცირე სჭირდება ადამიანს ბედნიერებისთვის... ერთი ღიმილი და წამი განუნეტარდა... ცხოვრებაში ამაზე მეტად არაფერი გახარებია... ფოქრობდა... გამუდმებით და ოცნებობდა: „არა, მოდი აღარ ვიფიქრებ, აზრი არ აქვს, არაფერი იცვლება... მე ისევ აქ ვარ, ამ ეტლში და აქედან გავცქერი ცხოვრების ორომტრიალს, დღე-ღამის მონაცვლეობას...“

„მოდი დაველოდები პირველ ნიავს და ყველა ფიქრს გავატან უკლებლად... ან დაველოდები შხაპუნა წვიმას და ვაჩუქებ ყველა ჩემს უიმედო ოცნებას... ანდა მოთმინებით დაველოდები ზამთრის პირველ თოვას და იმ უცვოდელ ფიფქებს მივაბარებ ნიკას ღიმილს... და დავრჩებით მარტო მე, ჩემი ეტლი და ფიქრიანი სიმარტოვე... იმიტომ, რომ აბეზარი ფიქრი მომეჩვია ჩემს შორეულ პრინცზე... ჩემს ფიქრებს კი, მითხარით, როგორ, რანაირად ვუღალატო? ჩემი ფიქრის ღალატი, ხომ იგივ ჩემი თავის ღალატი გამოვა? „

გადაიღალა, აღარ უნდოდა ფიქრი, მაგრამ მაინც ეფიქრებოდა... ახლა კი სწორედ იმაზე ფიქრობდა თუ „რატომ, რისთვის ან ვისთვის ფიქრობდა ადამიანი ყველაზე მეტს...“ პასუხს კი, ისევ, თვითონ მიაკვლია: „არაფრისთვის და არავისთვის, გარდა საკუთარი თავისა და პირადი ბედნიერებისა...“ და თუ მაინც: „რატომ?“ პასუხი უბრალოა: „ იგი ხომ ფიქრისთვის შეუქმნია ღმერთს?“...

.... მათი ფანჯრები, კი კვლავ, ჩუმად, უფიქროდ უმზერდნენ ერთმანეთს...

სერგი ლომაძე,

კახა ბაციკაძე

ცნობა-დაკონკრეტება

ჯგუფ „ზღვარის“ ბოლო დროინდელი გამარჯვების შესახებ

ჯუმბერლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიამ ძალიან გაგვახარა ჩვენ – ჯგუფ „ზღვარის“ წევრები, როცა სამების დიდ ტაძარში, ერთ-ერთ შექმოქმედებით საღამოზე, ამ აკადემიისგან გადმოგვეცა სპეციალური პრემია-სიგელი (დიპლომი), რომლის თანახმადაც აღიარებულნი ვართ ბოლო ორი წლის (ორიათასცამეტი-ორიათასთოთხმეტი წლები) საუკეთესო ჯგუფად.

მინდა აქვე დავაკონკრეტო ჩვენი ადრეული აღიარებებიც, რომელნიც, ძირითადად, მუსიკასა და პოეზიაზე, ანუ ზოგადად – ხელოვნების სფეროზე მოდის, და შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ პოეტურობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს.

ორიათასსამი-ორიათასოთხი წლები, – აი მაშინ, ათი წლის წინ, ცერემონიალ „მეგა-ზე“ გვაღიარეს საუკეთესოებად და ფილარმონიის დიდ დარბაზში გადმოგვცეს პრიზები.

მერე იყო ვრცელი დრო, წლები, როცა სხვდასხვა გაერთიანება-დაჯგუფებების მიერ მივიღეთ აღიარებანი, თუმცაღა დღეს რთულია თქმა, თუ რომელიმე მიღწევათაგანი უნდა ჩაითვალოს ოფიციალურად და რომელი – არა.

ბოლო ორ წელს კი, როგორც უკვე ვთქვი, თვით აკადემიამ გვცნო განსაკუთრებულ შემოქმედებით ჯგუფად. მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ამ აღიარებამ გამახარა ყველაზე მეტად. აქვე ვიტყვი: პირადად მე მსურდა ეს ცნობა-აღიარება, რომელიც მივიღე კიდეც, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ აკადემიის პრეზიდენტს – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, და ჩვენს ყველა სხვა მხარდამჭერსაც.

თბილისი 2014 წელი დეკემბერი.

სერგი ლომაძე

„წიგნის მეგობრების“ წარმატება რუსთავში

უკვე დიდი ხანია, რაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა რელიგიამ დაიბრუნდა სტატუსი ჩვენი ერის წინამძღოლისა, ამიტომაც სწორედ სასულიერო პირთაგან მოდის, დღეს, ბევრი მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება. როგორც ამბობენ, სწორედ ჩვენი სულიერი მამები დგანან ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული მოძრაობების უკანაც, როგორებიცაა, ვთქვათ „დავითიანნის“ გაერთიანება, თავისი სხვადასხვა დაჯგუფებებით, და „წიგნის მეგობრების“ ის კლუბი, რომელიც უკვე თითქმის მთელ ქვეყანას მოედო. იგი თვით კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევითაა დაარსებული. ყველას მოგეხსენებათ მისი ამაღლებული დამოკიდებულება წიგნისა და წიგნიერებისადმი.

მარეხი და სალომე ერთელიშვილები, ნანა სხირტლაძე და ეკა კურტანიძე

რუსთავის № 11 საჯარო სკოლა

„წიგნის მეგობრები“ – ამ კლუბში, ძირითადად, ახალი და უახლესი თაობაა გაერთიანებული, და ეს ქსელი, აქტიურობის თვალსაზრისით, როგორც ამბობენ უკვე მოიცავს საქართველოს რამდენიმე ქალაქს, დაბასა თუ სოფელს. ამ ახალგაზრდების მიზანია ის, რომ პრაგმატულ, გულცივ ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ტექნიკურმა მეცნიერებებმა მოიცვა ყველაფერი და ხელი შეუწყო პროგრესს, მაგრამ გააცივა, გააუხეშა სული ადამიანისა, აი, ასეთ მკაცრ დროში უნდა მოხდეს, (მაინც უნდა მოხდეს), ადამიანის დაბრუნება წიგნთან, წიგნთან-მეთქი, რომელიც არის ცოდნა ჭეშმარიტი, სიმბოლო ძველი, რომანტიკული დროისა, და ახალი, განათლებული თაობისა.

„წიგნის მეგობრების“ კლუბმა, როგორც ჩანს, ქალაქ რუსთავშიაც მკვეთრად მოიკიდა ფეხი. მეტიც: იქაური მოზარდები, მგონი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურნიც, წარმატებულნიც არიან ამ მხრივ. ამის დასტურია თუნდაც ის შესანიშნავი ღონისძიება, რომელიც ოცდაშვიდ ნოემბერს ჩატარდა იქ, მთავარ ბიბლიოთეკაში, და სწორედაც რომ მოზარდების მიერ იყო ორგანიზებული. ესენი გახლდნენ სკოლის მოწაფეები. მათ მოაწყვეს შემოქმედებითი ღონისძიება, რომლის წამყვანები იყვნენ ნანა სხირტლაძე, ეკა კურტანიძე, სალომე ერთელიშვილი, მარეხი ერთელიშვილი.

ძალიან მართებულად მეჩვენა ის, რომ წიგნის პატარა მეგობრებმა სწორედ წიგნთსაცავი, წიგნთა სახლი, ანუ – ბიბლიოთეკა აირჩიეს ღონისძიების ადგილად. დიახ, ბიბლიოთეკის დარბაზში დადგეს მათ პატარა წარმოდგენა-სპექტაკლი, რომელიც საკმაოდ პროფესიონალურად იყო მომზადებული, დიდებბულად გააზრებულ-შესრულებული. სოლიდური იყო სტუმართა წარმომადგენლობაც – ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი – ნუზგარ ნადარაია, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი, წარმომადგენელნი ამავე აკადემიისა – ლამზირა შეყილაძე, თამარ ჯაჭვაძე, ლიანა ოსიაშვილი, ჟანა ხვიჩია და სხვანი, ცოტა მოგვიანებით შვედით დარბაზში, ასევე – მე, კახა ბაციკაძე და ლევან ბაბუხადია.

როგორც უკვე ვთქვი, მოზარდებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს თავიანთი თავი, ამით კი ასახელეს მათი კლასი, ისევე, როგორც მთელი მათი სკოლა. მისასალმებელია სკოლის ხელმძღვანელთა და პედაგოგთა ღვაწლი ასეთი რელიგიური, მაღალზნეობრივი და წიგნიერი თაობის აღზრდისათვის. ასევე უნდა აღვნიშნო როლი კლასის დამრიგებლისა, ქალბატონ დიანა შალამბერიძის, და იმ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ-თანამშრომელთა როლიც, რომელთაც მოწაფეებს დაუთმეს, ოცდაშვიდ ნოემბერს, თავიანთი დაწესებულების შენობა.

სტუმრებმაც, შესაბამისად, მაღალ დონეზე შევაფასეთ წარმოდგენა. თვით ბატონი ნუგზარიც კი, რომელიც, ზოგადად, ყველაზე მკაცრ შემფასებლად ითვლება საქართველოში, ბოლოს მაინც სითბოდ დაიღვარა და ყველა დიდებულ განწყობილებაზე დააყენა იმ გულუხვმა შედარება-ტიტულებმა, რომელნიც ღონისძიების მეორე ნახევარში მან მეფისეული გულუხვობით დაურიგა დარბაზში მყოფთ. რაც შეეხება ქალბატონ გულნაზს, იგი სწრაფად მოექცა ღონისძიების ცენტრში. ეს არცაა გასაკვირი: ნანა (წამყვანი და ერთ-ერთი მთავარი პერსონა ღონისძიებისა) ხომ მისი შვილიშვილია, მისივე ერთი ყველაზე აქტიური მიმდევართაგანი, რომელსაც, გვანცა ხარაიშვილთან და ზოგ სხვასთან ერთად, სურს გააგრძელოს თავისი დიდებული ბებიის საქმენი, ამიტომაც, სადაც ნანაა, იმ ღონისძიების ცენტრალურ პერსონად, პირადად მე, თავიდანვე მოვიაზრებდი ქალბატონ გულნაზს; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი აკადემიის ყველა სხვა წევრის გამოსვლითაც ასევე ძალიან კმაყოფილი ვარ. მაგალითად, თვითონ მე რაც შემეხება, პატარა სიტყვა ვთქვი და ერთადერთი ლექსი წავიკითხე („ნისლები“), მაგრამ ამ მცირე გამოსვლასაც კი მაყურებელი ძალიან თბილად შეხვდა.

რაც შეეხება კახა ბაციკაძეს, მასზე ბევრს ვლაპარაკობ, იმდენად ბევრს, რომ ეს ქებანი შეიძლება უხერხულიც იყოს ჩემგან – მისი მეგობრისაგან, მაგრამ მაინც არ შემიძლია, რომ ეს ადამიანი ამჯერადაც არ გამოვარჩიო. მოგეხსენებათ, „ზღვარი“ ამბიციურ ჯგუფადაა ცნობილი. ჩვენზე ამბობენ, რომ ესაა ხალხი, რომელნიც ხელოვნების ჩემპიონებს და ათას ასეთ ამაღლებულ რაიმეს უწოდებენ საკუთარ თავს, და კიდევ კარგი, რომ ქალბატონი გულნაზი არსებობს, რომელიც აბალანსებს მათს პატივმოყვარეობას, თორემ ეგენი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ალბათ განდიდების მანიის მსხვერპლნი იქნებოდნენო... დიახ, ქალბატონმა გულნაზიმ მართლაც ყველანი მოგვაქცია გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ ისეთ პროფესიონალს, როგორიც კახაა, ხანდახან მაინც ვუწუდებთ ხოლმე პროფესიონალური ხელოვნების მსოფლიოს (სამყაროს) ჩემპიონს... დიახ, იგი საოცარი ადამიანია სცენაზე... იმ დღეს, მაგალითად, სულ ორი პოეტური სიმღერა შეასრულა, მაგრამ ძალიან დიდი მუხტი დატოვა დარბაზში, ახალგაზრდები ტაშით აყვნენ სიმღერათა რიტმს, და სწორედ კახას გამოსვლები იქცა იმ პატარა, მაგრამ დაუვიწყარი ღონისძიების გვირგვინად. პირველი სიმღერა, „წიგნის მეგორები“, ქალბატონი გულნაზით დიდმნიშვნელოვან ტექსტზე დავწერეთ – ჯგუფ „ზღვარის“ წევრებმა. მე თუ მკითხავთ, ეს ქმნილება ნამდვილია ჰიტი და ჰიმნია, ხოლო თუ წიგნის ახალგაზრდა მეგობრები თავიანთი კლუბის ჰიმნად მართლა აქცევენ, ძალიან გამიხარდება. მეორე სიმღერა კი იყო ასევე „ზღვარის“ – „ჩემი ლირიკა“, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებაზე უკვე ასზე მეტჯერაც კი შეასრულა კახამ, და მაინც დღემდე ინარჩუნებს თავის პირველყოფილ ელვარებას.

საღამო, ტრადიციულად, საზეიმო ტორტითა და ტკბილი წვენებით დასრულდა.

საბოლოო ჯამში, პატარა ღონისძიება დიდ დღესასწაულად იქცა...

ბოლოს კიდეც ერთხელ მინდა ვთქვა, რომ მადლობის ღირსია არაერთი ადამიანი, ვინც ამ ამბავში იყო ჩართული. განსაკუთრებით აღვნიშნავ ქეთი ბურჯანაძის წვლილს, რომელიც თუმცა ჯერ სულ ახალგაზრდაა, მაინც კი სწორედ იგია ერთ-ერთი ორგანიზა-

ტორი ისეთი მძლავრი პროექტისა, როგორიცაა „წიგნის მეგობრები“. ესაა სიმპატიური, რელიგიურად განწყობილი, წიგნიერი, ხალისიანი ახალგაზრდა, რომელიც საღამოს დასრულებისთანავე პირადად შეგვპირდა მე და კახას, რომ მათი ორგანიზაცია კიდევ ბევრ ასეთ ლამაზ საღამოს მოაწყობს.

P.S. მეორე დღესვე – ოცდარვა ნოემბერს, ბარათაშვილის ლურჯ სახლ-მუზემში (თბილისი) მოეწყო ხარაიშვილთა გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის – ახალგაზრდა გვანცა ხარაიშვილის პოეზიის საღამო. წამყვანი მე ვიყავი, ხოლო საღამოს კახა აფორმებდა მუსიკალური თვალსაზრისით. გვანცამ წაიკითხა თავისი ლექსები და ერთი პოემაც. ეს იყო ყველაზე უფრო წარმატებული საღამო-დებიუტი „ქალურ პოეზიაში“ (ანუ – პოეტებს შორის). ქალბატონი გულნაზი გვანცას საღამოზედაც გამოვიდა სიტყვით, საბოლოოდ კი ისიც ამ აზრზეა, რომ გვანცას საღამო, დიახ, ყველაზე წარმატებული დასაწყისი იყო. უდიდეს წარმატებებს ვუსურვებ როგორც „წიგნის მეგობრებს“, ასევე – პირადად ნანას, და პირადად გვანცას, რომელიც პოეზიის ახალ ვარსვკლავად მოგვევლინა.

გულნაზ ხარაიშვილი

ეს ჩემი რუსუდან მასწავლებელია, ჩემი უსაყვარლესი და ყველაზე ლამაზი ქალბატონი. მახსენდება 1965-66-67 წლები როდესაც ჭალოვანის სკოლის მერვე კლასის ოთახი შევაღე, მომეფერა და წინა მერხზე დამაჯინა.

ჭიათურაში ვსწავლობდი, გამომკითხა ჭალოვანის სკოლაში გადმოსვლის მიზეზი.. მეც უთხარი; რომ მამაჩემი რაიონმა მოითხოვა სოფლის ბრიგადირად, იძულებული გახდა ცოლ-შვილი სოფელში დაებრუნებინა. ამ მიზეზით მოვხვდი ჭალოვანის სკოლაში ეს იყო და ეს... სამმა მეოთხედმა ისე გაიარა საბუთები არ გადმომიგზავნეს. კარგად ვსწავლობდი და ვენანებოდი სკოლის ხელმძღვანელობას, მეოთხე მეოთხედი, როცა დაიწყო, ქიმიის მასწავლებელი შემოვიდა ლიდა შუბითიძე კლასში და მომახარა საბუთების გადმოგზავნა. ასე ვეზიარე ჭალოვანის სკოლას.

არაჩვეულებრივი სილამაზის იყო რუსუდან მასწავლებელი, თეთრ ქათქათა ნაზ კანზე გადაშვილდული შავი თვალწარბით, ბავშვების ყურადღებას იპყრობდა. ახლა მის თმებს ზამთარი წვევია, თეთრად დაუბარდნია კუნაპეტივით შავი, ხვეული თმები. სახეზე კი სიკეთისა და მადლის ღარებია გაჩენილი, – რუსუდან მასწავლებელს ჩემნაირი უამრავი აღუზრდია. ტკივილიც ჰქონია და სიხარულიც. სიხარული იმით, რომ იმ კედლებში აღიზარდნენ ძალიან ბევრი ისეთი მოსწავლეები, რომლებიც დღეს ცნობილი სახეებია. ტკივილი იმიტომ რომ ბევრი მისი მოსწავლეცის ბინადარია. მარტო ჩემი კლასიდან ცათა სასუფეველში წასულებია: ლენა ხარაიშვილი, ზინა შუბითიძე, ბახვა ტაბატაძე, ფრიდონ შუბითიძე.

ჩემი მასაწვლებელი **რუსუდან მაჭარაშვილი**, კვლავ პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებს.

სასწაული იყო მე და ლენა ხარაიშვილის მეგობრობა, ჯამბული შუბითიძისა და ციური გელაშვილის.

დილით ერთმანეთს გადავძახებდით მივდიოდით სკოლაში, დაახლოვებით შვიდი კილომეტრი უნდა გაგვევლო ფეხით. წარმოიდგინეთ დღეში თოთხმეტი კილომეტრის მანძილზე გვიხდებოდა სიარული. მე და ლენას სიმღერის ხმა ალბათ ახლაც არის ტყის ექოში

შემორჩენილი. იქნებ ტყესაც აქვს საიდუმლო ჩანაწერები. მახსოვს ჭალოვანისა და ლიჩის სკოლა ეჯიბრებოდა ერთმანეთს. სიმღერების შემდეგ მე და ლენა ხარაიშვილმა ცეკვის რომელიღაც ნომერი შევასრულეთ. შემდეგ მაყურებელთა თხოვნით მე და თემური გაგნიძემ ცეკვა ქართული შევასრულეთ. ახლა ეს უკვე ტკბილი მოგონებაა, გადაშვლილი ისტორიის ფურცელია, რომელიც არასოდეს დაბრუნდება.

მაპატიე ჩემო რუსუდან მასწავლებელო, თემას გადავუხვიე გამიტაცა მოგონებებმა. ჩემო სკოლის მატიანევ, ბევრის დამრიგებელო და სულის მოძღვარო. თქვენზე წიგნი უნდა დაიწეროს დამსახურებიდან გამომდინარე, ახლა კი ლექსით მოგეფერები:

შენა ხარ სკოლის მემატიანე,
აღმზრდელი, ბევრის მასწავლებელი....
კალამი ხელში დავატრიალე,
რადგან შენგან ვარ დავალებული.
თუმცა მე ბედმა ცეცხლში დამთუთქა,
დარდმა იმედი გადამიცელა.
შენ მაინც ლექსი მოგესათუთა
მე ბევრჯერ უკვე გარდავიცვალე...
ო, როგორ გშვენის თმათა სითეთრე,
ნუგეში ნორჩთა, სიბრძნეთა კონა.
ყოველ დღე აფრქვევ დიდ სიკეთეს და...
იქნებ ეს ქებაც არ მოგეწონა...
შენში დავსახლდი ახლა ამ წუთში...
დიდი სიფრთხილით მოგეალერსე.
მე მიყვარს შენი ამონასუნთქი,
წერით კალამი მიტომ ავლესე.
აქარიშხალდა წლები სინორჩის,
გადამივარცხნა ქარმა წარსული...
ლექსი გიძღვენი, კრძალვით, სიმორცხვით...
ფიქრით კი ისევ სკოლას გარს ვუვლი.

ვფრთხილობდი

თვალებ ახელილი დავდიოდი მთელი ცხოვრება ვფრთხილობდი!!! და მაინც სიბნელეში მოვხვდი. მივიხედ-მოვიხედე, სიცივე ძვლებს მიმსხვრევდა... ღამემ გული გამიყინა გარეთ გამოსვლის არანაირი გზა არსად სჩანდა ყოველშემთხვევისთვის ვცდილობდი!!!

თეთრი ქათქათა თოვლის საბანი მხრებზე წავიფარე, რადგან სხვა არჩვენი აღარ მქონდა. დაველოდე გულის გამყინვარებას... ირიჟრაჟა... მზე ამოვიდა, მაგრამ მე უკვე ყივნის ლოდი ვიყავი, ოდნავ გულის კუნჭული შემომილღო და ისევ ზღვის ტალღებს ჩაუგორდა მკლავებში.

ლამზირა შეყილაძე

ღია გაკვეთილი ქ.რუსთავის №7 საჯარო სკოლის Iგ კლასში

უპირველესად სიტყვა მასწავლებელი, თავისი ღრმა მნიშვნელობით ტევადია. მოითხოვს ღრმა ცოდნას, ნიჭიერებას, ენერგიას, პუნქტუალობას, უშუალობას, უდიდეს შრომასა და რაც მთავარია დიდ სიყვარულს.

ამ ჩამონათვალის შემსრულებელი მასწავლებელი, რა თქმა უნდა აღზრდის ჯანსაღ და ღრმად განათლებულ თაობას, რომელიც დღევანდელ საქართველოს გამოადგება. სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ოჯახისა და სამშობლოს სწორად მართვა. ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრები, ორმლებმაც თავიანთი ერთგულებით და თავგანწირვით მოგვიტანეს დღემდის ქართული ადათწესები.

ასეთი პედაგოგია ქ. რუსთავის №7 საჯარო სკოლის Iგ კლასის ხელმძღვანელი ირმა ჩაჩხიანი, რომელიც ზემოთ ჩამონათვალს სრულიად აკმაყოფილებს.

პედაგოგი ირმა ჩაჩხიანი

ქალაქ რუსთავის №7 სკოლის
I გ კლასის მოსწავლეები

ირმა ჩაჩიხიანმა ჩაატარა იაკობ გოგებაშვილის „აი-იასთან“ შეხვედრა ღონისძიების დროს იგრძნობოდა ბავშვებისა და მასწავლებლის ერთსულოვნება. ყოველი მოსწავლე ჩართული იყო კითხვა-პასუხში. ისინი ართმევდნენ თავს თითოეულ დასმულ კითხვას. ბავშვები ენერგიულობით და პუნქტუალურობით თავიანთ მასწავლებელს ახარებდნენ. ეს ღია გაკვეთIლის კი არა ზეიმს გავდა.

ამ ღონისძიების კმაყოფილი იყო დირექტორი ქალბატონი ლია ჯღარკავაც, სკოლის მასწავლებლებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს პედაგოგ ირმა ჩაჩხიანს.

ირმა ჩაჩხიანს

შენ, ჩაბმული ხარ, ერის ფერხულში,
ჭეშმარიტების მდაღადებელო.
სანთლად ანთიხარ სამშობლოს გულში,
ნათლის სვეტივით გამბრწყინებელო.
შენ, ხარ იმედი, რწმენა ხვალისა,
ტკბილ ნაყოფივით მოსაწევარი.
განთიადი ხარ, მთის და ბარისა,
წყვდიადი ღამის შუქთამფენარი.

წინამძღვარი არქიმანდრიტი მელქისედეკი

როგორ გაძარცვეს შუშანიას მონასტერი პატრიარქის სახელით

მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა წმიდა ასკეტი ბერი ალექსი შუშანია ერთ-ერთი წმიდა ადგილია სენაკში. ამ მონასტერს ბევრი გამოჩენილი ადამიანი წვევია, რომლებმაც თავიანთი დიდებული კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში. ჩამოვთვლი მცირედს: დუტუ მეგრელი, შალვა დადიანი, თედო სახოკია, თედო ჟორდანია, იონა მეუნარგია, მოსე ჯანაშვილი, რომლებთანაც ბევრი სჯა-ბაასი გაურარებია მამა ალექსის სასულიერო თუ საერო საჭირბოროტო საკითხებზე.

მამა ალექსი, როგორც მისი ბიოგრაფი ონოფრე შუშანია წერს, არავითარ დახმარებას არ იღებდა მეფის მთავრობისგან. იგი თავისი შრომით ირჩენდა თავს. წერდა წიგნებს, რომელბსაც თავის სიცოცხლეში გამოსცემდა. მას ბევრი წიგნი გამოუცია უფასოდ, მოყვასისთვის დასარიგებლად. ეხმარებოდა სხვას და მასაც უანგაროდ ეხმარებოდნენ.

წმინდა ადამიანი თავისი სიწმინდით სხვებსაც წმინდად ჰყოფდა. ვისაც მისი ნაწერები წაუკითხავს, სიყვარულით და მოწიწების გრძ ობით იმსჭვალებოდნენ, თავად ალექსი ბერის და მის სავანის მიმართ. მის სავანეს მისი მა დლი მფარველობდა და იყო მშვიდო-

ბა, მაგრამ მოხდა რევოლუცია, რომელმაც წალეკა მშვიდობა და სიყვარული. დაისადგურა შიშმა და ურთიერთსიძ ლვილმა. პატივი ერგო ურთიერთდაბეზღებას, ქონების წართმევასა და ეკლესიის ნგრევას. ეს მონასტერი გადაარჩინეს დებმა: იღ მენია ფასტომ და სქემონაზონმა აკეფსიმამ. 1937 წელს იღუმენია ჩავიდა თბილისში ფილიპე მახარაძესთან და შეახსენა, როგორ დამალა და იხსნა ალექსი ბერმა იგი და სტალინი (რა თქმა უნდა, მაშინ იოსებ ჯუღაშვილი) დაპატიმრებას. ამ ნაბიჯით მამა ალექსის ეკლესია კი გადაარჩინა დანგრევას იღუმენიამ, მაგრამ დებს განსაცდელი არ გამოლევიათ. წაართვეს მიწა – მათი მასაზრდოებელი და იღუმენია ფასტო იძულებეული გახდა სტალინისთვის მიემართა. მასაც შეახსენა მამა ალექსის დახმარება მის მიმართ. ღვთის სასოებით, შრომით და წვალებით განვლეს დებმა თავისი დღენი, მაგრამ წამითაც არ შეუნელებიათ ღვთისა და მოყვასის სიყვარული.

განვლო დრომ, მონასტერს, რა თქმა უნდა კომუნისტები არ ეხმარებოდნენ. დახმარებას უწევდნენ კათოლიკოს პატრიარქი ეფერმ II და მისი უწმინდესობა ილია მეორე, მორწმუნე მრევლი და სვანის სიწმინდით მოხიბლული ადამიანები. დიდი ისტორიის მქონე მონასტერს ხშირად სტუმრობდა უწმინდესი ილია II, ეფრემ II, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამ მონასტერში მსახურობენ დები: მონაზონი ნინო და მორჩილი ზოია შუშანიები, რომლებიც მამა ალექსის შთამომავლები არიან. თუ რამე შემოსავალი ჰქონდათ, მონასტერს მოახმარესდა ახმარენ და ვინ იფიქრებდა ვიღაც მონასტრისათვის სრულიად უცხონი პატრიარქის სახელით მონასტერს გაძარცვავდნენ.

პატივცემულო მკითხველო, მონასტრის ძირითადი შემოსავალი არის მამა ალექსის ნაწერები, რომელსაც მე დროგამოშვებით ვბეჭდავ და ამ შემოსავალით გაგვაქვს თავი წლიდან წლამდე. პირველი წიგნი მორწმუნეთა დახმარებით დიდი გაჭირვებით გამოვეცი, შემდეგ მკითხველმა იმატა და სამი ტომი გამოვეცი. მინდოდა ეს ტომები ერთ ტომად გამომეცა, მაგრამ ვინ მაცალა, როცა გაიგეს, მამა ალექსის წიგნები ადვილად იყიდებაო. (თითო ტომი ოთხჯერ მაქვს გამოცემული), სტაცეს ხელი და თვითონ დაბეჭდეს. ამდენი წვალებით დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ხელნაწერები უბოდიშოდ ხელიდან წამაცალეს და მონასტრის ძირითადი შემოსავალი ისე მიისაკუთრეს, როგორც მათი ბაბუას დანატოვარი.

ყველაზე გასაკვირი ისაა, პატრიარქის კურთხევით ვბეჭდავთო. მეტი თავხედობა გაგიგიათ ხალხო?! პატრიარქი აკურთხებდა შუშანიას სავანეს შემოსავალი წაართვითო? ვეკითხები შუშანის სავანის მძარცველებს: რა ვალი ჰქონდა მონასტერს თქვენი? იცით თუ არა სად მდებარეობს? ყოფილხართ ერთხელ მაინც? გინახავთ წმინდანის საფლავი? და წაგიკითხავთ რა წარწერა აქვს? რა სიკეთე ახსოვს თქვენგან მონასტერეს? დახმარებიხართ 5 თეთრით მაინც? რა უფლებით მიითვისეთ ჩემი ნაშრომი? იქნებ, მამა ალექსის ბაძავთ და უფასოდ არიგებთ?!

იქნებ ცოტა შეწუხებულიყავით და ჩემთვის ერთი წიგნი საჩუქრად გამოგეგზავნათ. რას ამბობთ, როგორ გამოგვიგზავნიდით, როცა ერთი წიგნი 18 ლარი ღირს. ტირაჟი არ მიგითითებიათ? აბა მე რატომ უნდა ვიცოდე, რამდენი მიითვისეთ უშრომელად?! ათასი რომ გამოგეშვათ ნეტავი რამდენი იქნებოდა? ცრუ რედაქტორს ვეკითხები: ზურაბ და გიორგი კალანდაძეებს, რომ წერთ „საღვთო წადილიო“, რომელი საღვთო წადილი გამოძრავებთ თქვენ? ჩემი რედაქტორობა მიითვისეთ და არ შეგრცხვათ ტირაჟის აღნიშვნა რამ დაგავიწყათ?!

რა საბაბით გამოსცეს ჩემი ნაშრომი უბოდიშოდ? თურმე საქმე იმაშია მკითხველო რომ არ მქონია წიგნზე მიწერილი „გამომცემელი“. ე.ი. მე „კარი ღია“ დამრჩა და მათ უფლება ჰქონდათ შიგნით შეცვენილიყვნენ და როგორც იტყვიან უკან მიუხედავად ღია კარში შეცვივდნენ. შეცვივდნენ და უსახსროდ დატოვეს მონასტერი.

მე, ბერი ვარ და არ მაქვს უფლება, არ შეგინდოთ თქვენი უსამართლობა, მაგრამ საკითხავია შეგერგებათ თქვენ და თქვენს შვილებს, რაც წაართვით მონასტერს? ძვირფასო მკითხველო, არ იყიდოთ მათ მიერ გამოცემული წიგნი. ნუ შეუწყობტ ხელს მიითვისონ სხვისი ქონება. შეიძლება კეთილი მკითხველი ფიქრობს, იქნებ თქვენ არ ჰქონდათ შესაძლებლობა სამი ტომი ერთად გამოგეშვათ, მათ თქვენი დახმარების მიზნით ეს ნაბიჯი შეიძლება ამიტომ გადადგესო. კეთილ ხალხს შევახსენებ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნეს: „მამა და შვილი მინდორში ხედავენ ცხენს, რომელსაც მგლები დაესევიან. ერთი მდინარისკენ მიათრევს, მეორე ნაპირისკენ. შვილი ეუბნება მამას: მამა, მამა, ერთი მგელი

ჩვენ გვეხმარება, აქეთ ჩვენკენ მოათრევს, მამას გაეცინა, არა შვილო შენ გეჩვენება ჩვენ-სკენ კი არა თავისკენ მიათრევსო“.

ამ წიგნის გამოცემით ვიღაც გულუბრყვილოს ჰგონია, რომ ეს ხალხი დამშვრალია სასულიერო წიგნების ბეჭდვით, რათა ხალხში შეიტანონ რწმენა და სიყვარული და ამიტომ ირჯებიან ასე. არ დაიჯეროთ ხალხო! ესენი, კარი თუ დახვდა ღია (ე.ი. ეიგნს თუ არ აწერია გამომცემელი) შიგ ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელია, რომ პატრიარქის სახელით ითვისებენ მონასტრის მემკვიდრეობას, როცა მისი მემკვიდრეები მორჩილი ზოია და მონა-ზონი ნინო ცოცხლები არიან. რა უფლებით წაართვა ხალხმა მემკვიდრეობა შუშანიებს?

სწორედ ამ ხალხზეა ნათქვამი „ღმერთის არა ეშინია, კაცის არა რცხვენია“. მაგრამ, ხომ არიან კეთილი ადამიანები! რომელნიც კეთილს აკეთებენ, რათა უხაროდეთ კეთილი?!

მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერი (შუშანიას სავანე)
2014 წელი.

შორენა ზახუტაშვილი

KEEP GEORGIAN SPIRIT!!!

In Georgia nobody cares about this,because there is a wide choice, which school the parents take their children to,or which church they go to.But here in Madrid the conditions are different for this.I'd like to introduce the situation about Georgian church and school.Both together because the school works by church support.

St. George church was founded in 2011,by peoples request,with the help of Georgian Diaspora.It's head is Archimandrite Pirosi Gotsiridze.Prayer liturgy being held every weekend and some midweek days.The church has chanters.It works by peoples donations.The parishioners come more on major Christian holidays,than the other usuall days.Normally there are very few parishioners,so there donation is less too.When I say church, maybe many of you imagined the big,carved,with fresco and marbeled church.No! It is only a quite large room,furnished with some icons,candlestands and some other church required equipment,which was available to gathered by the church.One thing that still is unavailable is Legalization.

Some Georgian parishioners go to other Orthodox churches.Such as Greek and Russian church.These parishioners pray in these churches for years and so it does not turned out easy for them to change these terms.I myself have prayed in Greek,Russian and Georgian churches,but most of I go to Georgian church.But all this doesn't have any importance where you pray;in a small room,in a marbled church or in any other place,important is to pray with heart and faith, Becouse God is everywhere. ,, The essence of God! Essence and be!''

What about the Georgian kids.For them Georgian school bell rings only Sunday.I am introducing, how they get Georgian aducation.The school named ,,Aisi'' was founded few monthes later from the foundation of the church,By support of the church.It's founder is Ms Tamari Chaduneli-Metreveli,current director of the school.The school is inside the church in a tiny room.It has around 15 pupils.They are from 3 untill 12 years old.The school has only 3 teachers.One herself Ms Tamari,teacher Tsira Melqadze and teacher Tea Qurkhuli.The subjects are taught such as Georgian Language and Literature,History,Geography and fundamentals of the History of Religion.The school works by the parent's support.For many parents it is difficult to bring their children in this school,because of many kind of reason;living far,working or any other things. These teachers don't have any wages from this school,but despite of this they are very glad and satisfied of their labor and merit.They think that by this way they save and keep Georgian childrens' spirit.But initially they save their soul.As here in foreign country they are remoted their profession.The school has Autumn,New Year's Eve and The year conclusion events.The children present Georgian folk dance,song and other Georgian traditional parties.Children's most favorite event is Autumn,because here they present the delicious process ,,make churchxela'' this moment for everybody is very lovely and funny,and children are proud,as though this process exists only in georgia and not in any other countries.

The parents are happier with this small school,because Sunday day their children can get Georgian aducation,to attend at Prayer liturgy,get blessed and partake uncover the secret as well.This is a really big mercy in foreign country.

საზღვარგარეთაც არ ივიწყებენ ქართველები ქართველობას.
ეს სურათები ესპანეთშია გადაღებული

თამარ თედიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის სტუდენტი არაბისტიკის განხრით.

უძველესი დამწერლობა

მხატვრულმა ლიტერატურამ განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. უნდა ითქვას, რომ დღესდღეისობით, ისეთივე აქტუალობიტ განიხილება რენესანსული პერიოდის მხატვრული ლიტერატურა, როგორც თანამედროვე. მაგრამ რა გზიტ მოვედით ამ ეტაპამდე? რამ შეუქმნა საფუძველი მწერლობის ჩამოყალიბებას?

იმ მრავალ ფენომენთა შორის, რაც ადამიანს გამოარჩევს დანარჩენი ცოცხალი სამყაროსგან, უპირველესი ენა. მხოლოდ მას აქვს საშუალება დაანაწევროს ბგერები და მათი წარმოტქმით დასრულებული აზრი გამოხატოს. მაგრამ პირველ ეტაპზე, როდესაც მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე წარმოთქვამდნენ ადამიანები, აზრის გასაგებად გადმოცემის სახვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. სამეტყველო ენის დახვეწის პარალელურად იხვეწებოდა მხატვრობა და მწერლობა.

“იგი”, ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებში “იგი” ნათლად წარმოგვიდგენს მსგავს ვითარებას. იგი პრეისტორიული ხანის საზოგადოების ნაწილია. ერთ დღესაც, ბრბოსთან დაპირისირებული და მათგან გარიყული იგი აღმოაჩენს მხატვრობის საიდუმლოს: “უცებ იგი სხეულსჰი იგი შემოვიდა. ეს იგი მუხლებზე იდგა და თითს სილაში უსვამდა. თიტის ნაკვალევი ერთმანეთს უერთდებოდა და რარაცას ემსგავსებოდა. და იგი მიხვდა! იგის თითმა გააკეთა სოლაში ნი! იგის ჟრუანტელმა დაუარა სხეულში. თითი ოდნავ ასწია და ზედ დაიხედა. თითი თითი იყო’...

ისევე როგორც ლიტერატურას, დამწერლობასაც გააჩნია განვითარების ეტაპები. გამოიყოგა ხუთი ძირითადი ნაწილი. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იდეოგრაფიული ანუ იეროგრიფული დამწერლობაა. უძველესი დამწერლობის აკვნად ეგვიპტეს მიიჩნევენ, მაგრამ მეცნიერებს შორის არსებობს გარკვეული შეხედულებები შუამდინარული, ჯერ-ძოდ, შუმერული დამწერლობის პირველობაზე. ჯერ კიდევ წინადინასტიურ ხანაში ეგვიპტელებს უკვე ჩამოყალიბებული ჰქინდათ მძლავრი პიქტოგრამული სისტემა, შუმერებისგან განსხვავებით. თავად ეგვიპტელები დამწერლობას “ღვთაებრივ სიტყვებად” მოიხსენიებდნენ. აღსაქმელად მეტად მარტივი იყო წარწერები. პირველ რიგში, იმიტომ, რომერთი იეროგლიფი ერთ სიტყვას აღნიშნავდა და ფორმირების შემდეგაც კი არ დარღვეულა ეს სიმარტივე. არც კითხვის მიმართულების დადგენა წარმოადგენდა სირთულეს, იქიდან იწყებოდა აზრის გადმოცემა საიტაც პიქტოგრამაზე ამოტვიფრული ცხოველთა თუ ადამიანთა სახე და ფეხები იყო მიქცეული. ძველი ეგვიპტელები თავიდან ზემოდან ქვემოთ წერდნენ, მოგვიანებით, ჩამოყალიბდა მწერლობა მარჯვნიდან მარცხნივ. ძალიან იშვიათად, მაგრამ ვხვდებით მარცხნიდან მარჯვნივ ნაწერებსაც.

როგორც ავღნიშნეთ, პიქტოგრამები ყოველგვარი გადაბმისა და დანაწევრების გარეშე იკითხებოდა საწყის ეტაპზე, რომელმაც საუკუნეები გასტანა და შემდგომში რებუსული სახე სეიზინა. ძველ ეგვიპტურ პიუქტოგრამებს დეკორატიული დატვირთვა ჰქონდა. ვხვდებიტ წითელი და სავი სარებავიტ შესრულებულ მონუმენტებს, რომლებიც უმეტესად ქვაზე სრულდებოდა, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში გავრცელდა ტყავზე, ხესა და სხვა მსგავს მასალებზე წერა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი პაპირუსმა დაიკავა. მისმა გამოგონებამ საგრძნობლად გაამარტივა წერა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ეს ყველაფერი ფაქტობრივად გადატრიალებას ნიშნავდა იმ ხანისათვის. დღემდე ცნობილია დაახლოებით 600-მდე იერატიული ნიშანი. აექეოლოგიურუ ექსპედოცოებში აღმოჩენილ ძეგლებს შორის უძველესი ძვ.წ. 3000 წლით თარიღდება, მეფე ასის პაპირუსი. ხოლო იმ დროინდელ ყველაზე სრულ დოკუმენტად ჰარისის პაპირუსს თვლიან, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

ცინარი ხმიადაშვილი

ხსიპ ქალაქ თბილისის №174 საჯარო სკოლა

„აფხაზეთო, შენ ტკივილო ჩვენო“

ღონისძიებას ესწრებოდა სკოლის დირექტორი ნანა კვანტალიანი.

ნაზიბროლა დობორჯგინიძე დაბადებული 1944 წ. 9 იანვარს.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მუშაობდა თბილისის №57 საშუალო სკოლაში, პიონერხელმძღვანელად, გადაყვანილი იქნა №101 საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. ათი წლის მანძილზე იყო განათლების მუშაკთა პროფკავშირების წყნეთის პიონერთა ბანაკის უფროსი, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას, რისთვისაც მიღებული აქვს საქართველოს მთავრობის უმაღლესი საბჭოს ჯილდოები, იყო მასწავლებელთა ყრილობის დელეგატი. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი საპატიო ნიშნის ორდენზე. რომელიც გადაეცა მოსკოვში მასწავლებელთა V ყრილობაზე. 1986 წლიდან მუშაობდა №174 საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ. დღემდე ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

6ბ კლასში (დამრიგებელი ხათუნა თედიაშვილი) ქალბატონმა ნაზიბროლა დობორჯგინიძემ დიდი რუდუნებით ჩაატარა აფხაზეთის დღეებთან დაკავშირებით ლიტერატურული კომპოზიცია თემაზე „აფხაზეთო, შენ ტკივილო ჩვენო“. მასწავლებელმა ბავშვებს აჩვენა ფილმი „აფხაზეთის ომი“. მოსწავლეებმა უფროსი თაობის ტკივილი მთელი გულისყურით გაიზიარეს. დაწერეს თემები: „ჩვენ დავბრუნდებით“. გააფორმეს კედლის გაზეთები „ჩვენი აფხაზეთი“. ღონისძიებისთვის გამოიყენეს ჩვენი სკოლის პედაგოგის ცინარი ხმიადაშვილის ლექსები. შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატა“, მუსიკალური გაფორმება იყო გალაქტიონის ლექსით და მთელი ღონისძიება მიმდინარეობდა საგალობლების ფონზე, დაე, მრავალი ღონისძიება ჩაეტარებინოს ბავშვებთანმას ქვეყნისათვის სასიხარულო თემებზე.

ღონისძიება დასრულდა ბავშვებისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელიც წაიკითხა ქალბატონმა ცინარი ხმიადაშვილმა.

„ნატვრა“

გამიღიმე მზეო, გამითენე დღეო,
ცაო, ნამის ცისარტყელა მთა–ბარს შემოსეო,
თვალხატულა ქალ–ვაჟები–გენის სიმდიდრეო,
დაბადე და გამიმრავლე – გონით შემიმკეო,
ზენას შევთხოვ, მათ აშოროს ყოფის ავი ზნეო.
მზეო მათბობ, მახალისებ, მზეო სიცოცხლეო,
მეზვრის გარჯა, ხელის სითბო – მტევნად მაგემეო,
ღვინო ქვევრში და ჭურებში ამიჩუხჩუხეო,
„შენ ხარ ვენახი“-ს გალობით, ერი სულით მხნეო,
ელოდება გაბრწყინებას, ღმერთო მომასწრეო,
დამიბრუნე დაკარგული, მტერი განდევნეო,
მგზავრი მშვიდობით ატარე, შინ მიიყვანეო,
უპოვარს ძებნა ასწავლე, გზა გაუკვალეო,
დედას შვილს ნუ დააშორებ, ჯანმრთელად ამყოფეო,
ურმულის და გუთნის დედის ჰანგი მასმინეო,
გამიხარე ხრიოკებზე ბაღნარი და ტყეო,
მინდვრად პურის ყანები, ამიბიბინეო,
საძოვარზე ცხვარი, ძროხა უხვად მოჰფინეო,
მზეო, მზეო სანთლად მნათო, მზეო სინათლეო,
ნეტავ ნატვრა ამისრულო, ხომ ხარ მძლეთა–მძლეო?!
მსურს მომადლო ჩემს სამშობლოს სიხარულის დღეო!
ჩემო სულის საუნჯეო, სიტყვავ სისავსეო,
ნეტავ ნატვრა ამისრულდეს, გამითენეს დღეო,
მერე ციცქნა სანთლად დამწვი, ფერფლად დამადნეო!

წერილები

ტიტე მოსია

ბიბლიის ავტორები ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ბიბლია მრავალი წიგნისაგან შედგება, რომელიც იწერებოდა 14 საუკუნის მანძილზე (ძველი აღთქმა XIII-I სს. ძვ. წ., ახალი კი – I საუკ. ახ. წ.). ბიბლიის სინონიმებია: „დაბადება“, „საღმრთო წერილი“, „წმინდა წერილი“, „ღვთის სიტყვა“, „წიგნთა წიგნი“, „ღვთაებრივი ბიბლიოთეკა“. ბიბლიას უამრავი ავტორი ჰყავს. შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ღვთისმეტყველური თვალსაზრისით, საღმრთო წერილის ავტორია ღმერთი. ბიბლიის ავტორებად წოდებულნი მხოლოდ იწერდნენ უფლის ნაკარნახევს. ეს აზრი გავრცელდა სასულიერო მწერლობაშიც. ჩვენი ჰაგიოგრაფები საკუთარი ძეგლების ავტორებად არ თვლიდნენ თავს. სწამდათ, რომ რასაც ქმნიდნენ, მხოლოდ ღვთის კარნახით. ამიტომ არ იდგა შუა საუკუნეებში ავტორობის პრობლემა, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მწერალთა გარკვეული ნაწილის ბიოგრაფიული ცნობების არარსებობისა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთგან ვკითხულობთ: „აწ არს ხანცთას ხელითა მისითა (იგულისხმება წმ. გრიგოლი) დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოდ იადგარი, რომლისა სიტყვანი ფრიად კეთილ არიან“. აქ გარკვევით წერია, რომ გრიგოლ ხანძთელს სულიწმიდის კარნახითა და შემწეობით შეუქმნია ლიტურგიკული კრებული „საწელიწდოდ იადგარი“.

V-X სს. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მრავალი ბიბლიური ავტორის სახელი ბრწყინავს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჰაგიოგრაფები თხზულებათა წერისას ბიბლიიდან გამოიხმობენ ავტორებს საკუთარი სახელით და იქვე აფიქსირებენ მათივე გამონათქვამებს. თითქოს გგონია, მწერლები თავიანთ ნაწერებს ბიბლიურ ციტატებთან ასწორებენ და მკითხველში განამტკიცებენ გამოთქმულ თვალსაზრისებს, იდეოლოგიურ სულისკვეთებას თუ მსოფლმხედველობრივ პოზიციას. შესაძლოა, ბიბლიური ავტორებისა და ციტატების მომრავლება გამოწვეული იყოს აგრეთვე თხზულების უფრო მეტი პოპულარიზაციით, მისთვის მეტი ღირსების შესამატებლად.

საკითხზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ჰაგიოგრაფები ბიბლიის თითქმის ყველა წიგნთან მეტნაკლებად აქტიურ მიმართებაში არიან. ეს კი ნათელი დასტურია იმისა, რომ V-X სს. ბიბლიის თითქმის სრული თარგმანი გვქონია. ეს სიამაყესთან ერთად განცვიფრებასაც იწვევს. როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები ძნელბედობის ჟამს, ფაქტიურად ქრისტიანობის დევნის ჟამს, ამ ურთულესი საქმისთვის თავის გართმევას. ეტყობა, მათთვის ბიბლია არ იყო მხოლოდ რელიგიური წიგნი, არამედ კულტურის დიდი ძეგლიც იყო. მწერლების პატრიოტული შემართება ვლინდება საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად კულტურის განვითარების თავგანწირულ მცდელობაში. ამასთანავე, უდიდესი პატრიოტიზმი ჩანს თავად ბიბლიის მთარგმნელებში, რომელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია (მხედველობაში გვაქვს ბიბლიური წიგნების თარგმნა X საუკუნემდე).

ჰაგიოგრაფი მწერლები თითქმის იყენებენ როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებს და ციტირებისას იქვე ასახელებენ ავტორებსაც – თავების და პუნქტების მითითების გარეშე. ამაში თვითონ მკითხველი უნდა გარკვეულიყო და მიეგნო სათანადო წყაროსთვის კონკრეტულად. ჰაგიოგრაფები ასახელებენ შემდეგ ავტორებს: მოსე წინასწარმეტყველი, დავით წინასწარმეტყველი. სოლომონ ბრძენი, დანიელ წინასწარმეტყველი, მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე, იაკობი, იონა, პეტრე, პავლე და სხვ.

ჰაგიოგრაფ მწერლებში ძველი აღთქმიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფსალმუნთა წიგნი, ახალი აღთქმიდან კი – სახარება და პავლე მოციქულის ეპისტოლენი. ახლა კი გავეცნოთ ნაწყვეტებში ბიბლიის ავტორებს: „იხილენ წიგნნი მოსესნი (იგულისხმება მოსეს ხუთწიგნეული), რომელმან დამიწერა ჩუენ ესე ყოველი: „რომელი იტყჳს ქუეყანასა ზედა ღმრთად თავსა თჳისსა, ძელსა დამოეკიდოს“ („წმ. ნინოს ცხოვრე-

ბა“); „მერმე კუალად იკითხავს-ვე ღმერთის მიმღებელი იგი მოსე: უკუეთუ მრქუან, ვინ მოგავლინა, რაჲ ვთქუა?“... ჰრქუა: „ესრეთ არქუ, „რომელი-იგი არს, მან მომავლინა“ („იოანე ზედაზნ. ცხ.“); „ვითარცა იტყჳს სოლომონ, რამეთუ: „სიბერისა პატიოსნებისაჲ არა მრავალი ჟამი არს“... („გრიგოლ ხანძთ. ცხ.“); „და კუალად იობ იტყვის: „არათუ მრავლისა ჟამისანი არიან ბრძენ“... („გრიგოლ ხანძთ. ცხ.“); „არამედ თჳსით დანიელ წინასწარმეტყველისა სიტყუასა იტყჳნ“...(იქვე);

„აჰა მოიწია ჟამი წინასწარმეტყუელისა დავითის თქუმულისაჲ“... („გრიგოლ ხანც. ცხ.“); „მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: „რაჲ-მე კეთილ ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათაჲ ერთად?“ ზოგჯერ ავტორები ციტაციას მიმართავენ ბიბლიიდან ავტორის მოუხსენიებლად, თუმცა მიგვახვედრებენ, თუ ვისი კუთვნილებაა დამოწმებული ფრაზა ან პასაჟი: „წინასწარმეტყველი იტყვის: „რამეთუ ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“ („გრიგოლ ხანძთ. ცხ.“). ბიბლიის მცოდნე მკითხველი ხვდება, რომ გიორგი მერჩულე ციტირებას ახდენს ფსალმუნიდან (ფს. 118,113); „და უფალი იტყვის წინასწარმეტყუელისა მიერ: „მე მოვიდე და დავიმკვიდრო თქუენ შორის“. აქ „წინაწარმეტყველში“ თავს იჩენს ზაქარია (ზქარ-2,10); „მსგავსად საწინაწარმეტყუელოჲსა სიტყვისა „ვის მივხედნე გარნა მშვიდსა და მდაბალსა“ („სერაპ. ზარზ. ცხ.“). მოხმობილია ესაია წინასწამეტყველის სიტყვა (ეს. 66,2).

„მოეხსენა სიტყუაჲ იგი პავლესი, რომელ იტყვის, ვითარმედ: „ძლიერთა უძლურნი ტვირთენით“ („იოანე ზარზმ. ცხ.“); „უმჯობეს დუმილი არს, ვითარცა თქუა იაკობ მოციქულმან, ვითარმედ: „ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო“ („გრიგოლ ხანძთ. ცხ.“); ჰაგიოგრაფი მწერლები ხშირ შემთხვევაში ბიბლიის ავტორის საკუთარი სახელის ნაცვლად ახსენებენ მოციქულს მხოლოდ, ცხადია, ციტირებისას არც თავზე მიგვანიშნებენ და არც პუნქტზე. ეს თავად დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა დააზუსტოს.

„შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყვისაებრ მოციქულისა (იგულისხმება პავლე), ვითარმედ: „სასყიდელი იგი მოქმედსა მას შეერაცხების არა თუ მადლით, არამედ თანანადებით“ („გრიგოლ ხანძთ. ცხ.“);

ჰაგიოგრაფები უმეტესწილად აციტირებენ პავლე მოციქულის ეპისტოლეებს (ისე როგორც ძველი აღთქმიდან ფსალმუნებს). უხვი მასალიდან მხოლოდ თითოს ამოვწერთ: „და პავლე იტყვის: „მარადღე ქრისტესთვის მოვკუდები“ („გრიგოლ ხანთძ. ცხ.“, რომ. 8,39); „სიტყვისაებრ მოციქულისა: „დაღაცათუ გესხნენ ბევრ მზარდულ, არამედ არა მრავალ მამა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, I კორ. 4,15); „რაჲთა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩუენ შორის აღესრულოს, ვითარმედ: „თქუენი ნამეტნავი მათისა ნაკლუვანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკულევანებისა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, II კორ. 8,14); „ვითარცა მოციქული იტყვის: „ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს, და სულისა ჴორცთათვის, და მჴდომ არიან ურთიერთას“ („იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, გალატ. 5,7); „ვინაჲთგან მოციქულმან პავლე ძირად და მოქმედად სიბილწისა გამოაჩინა და თქუა: „ნუ დაითრობით ღვინითა, რომლითა არს სიბლწე“ („ი. ზედაზნ. ცხ.“, ეფეს. 5,18); „სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სიმდაბლე ეგე თქუენი ცხად იყავნ“ („გრ. ხანძთ. ცხ.“, ფილიპ. 4,5); „სიტყვისაებრ მოციქულისა: „რამეთუ მოჰკუედით და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა“ („გრ. ხანც. ცხ.“, კოლას. 3,3); „ვითარცა იტყვის მოციქული: „მოუკლებლად ილოცევდითო“ („გრ. ხანც. ცხ.“, I თესალ. 5,17); „ვითარცა იტყვის პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნუცაღა ჭამნო“ (იქვე, II ფსალ. 3,10); „რაჲთა მოციქულისაებრ ვიტყოდი: „სრბაჲ აღსრულებულ არს საწრმუნოებაჲ დამიმარხავს“ („სერაპ. ზარზ. ცხ.“, II ტიმ, 4,8); „ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვის: „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალ საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი“ („სერაპ. ზარზ. ცხ.“, ებრ. 11,1-2);

არ დარჩენილა არც ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლი („შუშანიკის წამება“, „ევსტათის წამება“, „აბოს წამება“, „კოლაელათა წამება“, „კოსტანტი კახის წამება“, „გობრონის წამება“, „ნინოს ცხოვრება“, „ასურელ მამათა ცხოვრება“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“), სადაც ბიბლიური ავტორები თავიანთი ციტატებითურთ არ იყოს დაფიქსირებული. მხედველობაში გვაქვს ჰაგიოგრაფთა მიერ ბიბლიური თითქმის ყველა წიგნის გამოყენება. ეს ყველაფერი იმაზე მი-

უთითებს, რომ V-X სს. ქართველებს ბიბლია სრულად ჰქონიათ თარგმნილი. ამის მტკიცების საშუალებას სწორედ ჩვენი უნიკალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა გვაძლევს.

ლუარა სორდია

განცდა და გონმეტყველური განჭვრეტა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

გრიგოლ რობაქიძე, როგორც მორწმუნე მწერალი, სახარების კვალობაზე, ნიჭს სულიწმინდის მადლად მიიჩნევდა და აცხადებდა: „ხელოვანი სამყაროს ხელდასხმულია, მიწით და ზეცით ხელდასხმული“, (1,87) „პოეზია ნათელხილვაა“ (1,96).

„მე მწამს, რომ მსოფლიო ღვთის ქმნილია და ხელოვანი მისი თანაშემოქმედია“, მისწერა ვალერიან გაფრინდაშვილს „გველის პერანგის“ ავტორმა (2,138).

მწერალს კლასიკური ლიტერატურის საზომად ესახებოდა არა მხოლოდ წარსულის და თანამედროვეობის პრობლემების უტყუარი განსჯა–ასახვა, არამედ მზერის გაწვდენა მომავლისათვის, მერმისში მოსალოდნელი მოვლენების განჭვრეტა, ზეციური იმპულსების შეცნობა, ერის სულის ხილვა, მისი მარადიულობის ორიენტირებაზე მინიშნება, მამულის მისიის განსაზღვრა მშობლიურ თუ საკაცობრიო არენაზე.

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა, გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით, უნდა ყოფილიყო „ხმალი სულიერი, სიტყვა წინასწარმეტყველური, სიმბოლო ეროვნული რენესანსისა“ (არჩილ ჯორჯაძეს) (3,285).

მწერლის მთავარი ესთეტიკური პრინციპი იყო „გონმეტყველური ანალიზი განცდათა“(ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან) (3,236).

კალისტრატე სალია „ჩაკლული სულის“ ავტორის შემოქმედებაში ხედავდა „განცდას და გონმეტყველურ განჭვრეტას“ (3,237).

მორწმუნე მწერლის შემოქმედება „სულიერი ხმალის“ ფუნქციით გამოირჩეოდა, რაც ახალი აღთქმის სიბრძნის გათავისებას გულისხმობს, რადგან ღვთის სიტყვა, რწმენაა სიმართლეა „ჯავშანი“, „ფარი“, „ხსნის ჩაჩქანი“ და „სულის მახვილი“, ხოლო ურელიგიო, რწმენისგან განშორებული სიტყვა ვერასოდეს გახდება ერის სულიერი კულტურის ნაწილი.

პავლე მოციქული მოუწოდებდა ეფესელთ: „იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები და ფეხშემოსილნი მზადყოფნაში მშვიდობის სახარებლად და ყოველივე ამასთან ერთად აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტების გავარვარებული ისრების ჩაქრობას. აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა (პავლე მოციქული, ეფესელთა, 6, 14, 15, 16, 17) (4,422).

სულიწმინდის ქნარად წოდებულ დიდ მოციქულს ხსნის გზად ესახებოდა შემოსვა „რწმენისა და სიყვარულის აბჯრით: ხსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 5,8) (4,442).

ჭეშმარიტება, სიმართლე, სიყვარული საღვთო სახელებია.

გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ სამყაროს საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის შუქი ანათებს, მისი მსოფლმხედველობის მკვებავი წყაროები კი მოიძიება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ისტორიაში, ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, ძველ და ახალ აღთქმაში.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიერს და ზეციურს.

„მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს უპირისპირდება „მაღლიდან გარდმოვლენილი სიბრძნე“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი, 4,15,17) (4,298).

პავლე მოციქული ეძებდა არა „ხორციელ გონებას“ (კოლასელთა, 2,18) (4,433) არამედ „სულიერ გონებას“ (კოლასელთა, 1,9) (4,436), განასხვავებდა „წუთისოფლის სიბრძნეს და „ღვთის სიბრძნეს, საიდუმლოებაში დაფარულს“ (I კორინთელთა, 26,13) (4,354).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, მათ შორის წინასწარმეტყველების უნარი, სულიწმინდის მადლია (I კორინთელთა, 12,1-11) (4,374-375).

ამასთან, ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვარული, ... მათგან კი „სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა, 14,13) (4,376).

წმინდა მოციქული მოუწოდებდა თანამოაზრეთ: „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო რომ იწინასწარმეტყველოთ“ (I კორინთელთა, 14,1) (4,72).

„ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნევებლად“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 14,3) (4,72).

პეტრე მოციქული შეგვაგონებს: „წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანების ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმინდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას“ (I პეტრე, 2,2) (7,311).

ბიბლიაში გვხვდებიან „ცრუ, ფუჭმხილველი წინასწარმეტყველნი“, „სიცრუის მისნები“, რომლებიც „აცდუნებენ ერს“, მათ კი მხილებით და დასჯით ემუქრება უფალი (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 3, 6,9-11)(5,203).

წმინდა წიგნში მრავლად გვხვდება იგავები, ალეგორიები, ზეციური ხმები.

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ–მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

აღმოსავლური თუ დასავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და მითოლოგიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე იყო კოსმიურთან კავშირის უნარის განვითარების პირობა.

ნეტარი ავგუსტინე საუბრობდა აწმყოს მიხედვით წინასწარმეტყველთა მიერ მომავლის ჭვრეტაზე (აღსარება) (6,237).

იოანე დამასკელი გამოარჩევდა „ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებს, ღმერთშემოსილ მწყემსებს“ (7,33).

ანრი ბერგსონი ამტკიცებდა, რომ „არსებობს ცოდნის ორი სახე: რაციონალური და ინტუიციური. ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას. ამასთან, არ არსებობს უფსკრული ინტუიციასა და გონებას შორის, რადგან თვით გონება ინტუიციურია“ (8,24,85).

კარლ კუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინათგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვაძლია. არსებობს წინაგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს“ (9,24).

ჩეზარ ლომბროზის მტკიცებით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი, მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი (10,123).

სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ღრმა და წინაწარმეტყველურ სიზმარს“, „საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში“ გადასულ რეალიზმს უწოდებდა (დოსტოევსკი) (11,211,243).

რუდოლფ შტაინერის აზრით, „გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის უნარის მატარებელია და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (12,51).

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ლაო–ძის „დაო დე ძინი“, „ბჰაგავად–გიტა“, რაჯნეშის „ტანტრა“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გიორგი გურჯიევის „საუბრები“, გოეთეს „ფაუსტი“, ლირიკა, ბოდლერის პოეზია, ელენე რერიხის ნააზრევი (Мозайка Агни Иоги I, Тб,1990), რილკეს ლექსები, ალ. ბლოკის თხზულებები, დავით გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვ. ფშაველას, ტ. გრანელის, გ. ტაბიძის შემოქმედება.

გრიგოლ რობაქიძე ზედმიწევნით კარგად იცნობდა ამ სახის ლიტერატურას, იგი გატაცებული ყოფილა ოკულტიზმითაც. მისი შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას მართლაც ზეგანვითარებული ჰქონდა ნათელხილვის ორგანო. მისთვის პოეზია ნათელხილვა და ნათელსმენა იყო უპირველესად.

მწერლის სამყაროში იდუმალებით განიჭვრიტება მოსახდენი, „ელვისებური ინტუიცია“ ერთბაშად ანათებს ყველაფერს, წინასწარ შეიგრძნობა მოსახდენი (1,134).

„სულის სიღრმეში ჩაბრუნებული მზერა იდუმალი წიაღიდან წამოსულ რისკებს ჭვრეტს“ (1,109).

ხდება „მდუმარე სიტყვის დანახვა“ (1,11) „დუმილით სულში ჩახედვა (1,65), „ყოველი სახის ფარული არსის შეცნობა“, „კოსმოსის მაჯისცემის მაყურებლობა(1,112), „უძირო მარადისობის წვდომა (1,11) შეიგრძნობა „უძველეს საუკუნეთა ქროლვა“ (1,37-38).

გრიგოლ რობაქიძე მრავალგზის უსვამდა ხაზს ამ პრობლემას: „შეუძლოა ლოგიურად ავკვეთოთ „სახე“, ინდივიდუალობისა განცდა მხოლოდ ინტუიციითაა შესაძლო“ (2,276).

გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი შემთხვევით როდი წერდა, რომ გრიგოლ რობაქიძეს ჰქონდა „შორსმჭვრეტელი თვალი“ („ბედი ქართლისა“, 964,47).

პავლე ინგოროყვა წერდა: „გრიგოლ რობაქიძე თავისი ხედვით ზომავს საუკუნეებს“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923, 18 თებერვალი).

მწერალი მართლაც საუკუნეთა მიღმა ჭვრეტის უნარით გამოარჩია არსთაგანრიგემ.

„სიზმრებისა და წინაგრძნობათა სამყაროში ჩაძირული დავრჩი სკოლაშიც“, გვიმხელს გრიგოლ რობაქიძე (ჩემი ცხოვრება) (3,226).

დიდი მწერლის ეს განსაკუთრებული უნარი ვლინდება მის ლექსებში, სონეტებში, პროზაში, ესეებში.

„პოეტური ინტუიციის, წინასწარჭვრეტის ნიმუშია გრიგოლ რობაქიძის ლექსი „გერა“ (პაოლო იაშვილის დოგის მოგონება მაისში), წერს პროფესორი რევაზ მიშველაძე.

„ლექსი პაოლო იაშვილის სიცოცხლეშია შექმნილი. ავტორი აღწერს თავისი სულიერი ძმის (პაოლოს ძმას“ უწოდებს – რ.მ.) ძაღლის სავალალო ხვედრს და ლექსის დასასრულს უეცრად სიუჟეტს ამგვარი სენტენციით შემოატრიალებს: „ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაიღე წყენა. ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვედრი. ვინ იცის, ეძებ შენი თრევა მიყივლის ენამ! იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის ხვედრი. მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად, ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში. დაიტირებენ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად ჟუჟუნა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში“.

მეცნიერი კითხულობს: „რა იყო ეს? მოახლოებული ოცდაჩვიდმეტის შორეული გუგუნი? პოეტური გუმანით ნაგრძნობი ხვალინდელი დღე? ის, რაზეც ცოტა ხნის შემდეგ პოეტი იტყვის: „ჩვენ ახლა სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც, ალბათ, სადმე ჩაგვაძაღლებენ“ (13,140-141).

ემიგრანტი მწერლის ნოსტალგიას და მისი ეული აღსასრულის წინასწარმეტყველებას ხედავს რევაზ მიშველაძე გრიგოლ რობაქიძის ლექსში „მშობელი მიწის მიმართ“: „დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი, ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის. ვხედავ კრეტსაბმელს: „ლოკოკინა მიღოღავს სველი და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე მოვთქვამ და ვტირი“.

„ამ ლექსით პოეტმა თითქოსდა იწინასწარმეტყველა თავისი ეული აღსასრული სამშობლოს გარეთ და ღვთიურ წარმოსახვაში ის ქართველი ქალიც დალანდა, ობოლ ცრემლს რომ გაუყინავს თვალში პოეტის გახსენების კაეშანი“.

„შენ იცი მხოლოდ, მშობელი მიწავ, თუ რისთვის ვენთე“ – ამ სიტყვებით მიანდობს მშობელ მიწაზე მლოცველი ემიგრანტი მისი წვის დანახვა – შეფასებას მშობლიურ მიწას და შთამომავლობას“, ასკვნის რევაზ მიშველაძე (13,138).

წინასწარმეტყველურია გრიგოლ რობაქიძის სონეტებიც.

„სონეტი ლოცვის“ „ახალ მხედართ“ ეძღვნება, ანუ კიდევ „ახალ მოწმეთ“, მათ, რომლებიც სხვა წამებულთა შემდეგ გამოჩნდებიან და ეწამებიან. გრ. რობაქიძე პოეტური ინტუიციით გრძნობს, რომ „ახალი მხედარნი“ ანუ „ახალი წამებულნი“ იქნებიან, ამიტომ ქრისტიანული ლოცვის ტექსტის რიტმულ – მხატვრული სტრუქტურით უნდა დაიწეროს მათდამი მიძღვნილი ახალი ლოცვა (თამარ ბარბაქაძე) (14,13).

ამ ლექსის „ახალი მხედარნი“ ანუ „ახალი წამებულნი“ არიან ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე და, მართლაც, რა უტყუარად იყო ნაგრძნობი მათი ტრაგედია ჯერ კიდევ 1916 წელს.

„ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ სონეტ–მედალინში გრიგოლ რობაქიძემ ზუსტად, განსაზღვრა ტიცნიან ტაბიძის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი თვისება. წინასწარმეტყველის, ქადაგის, მისნის შეუდარებელი ალღო: „ღამის გუბეში გალეშილი ბნელი ქაოსი შენში აპირებს მუნჯი რიტმის უხვად ამოცრას, როს მოგესხმება ლუში ლირწი მისი ხავოსი, – ყივილით ისვრი საიდუმლო სიტყვას საოცარს“ (14,61).

მართლაც, ეს იყო ტიციან ტაბიძის პოეზიის, მისი პიროვნული ხვედრის ზუსტი განჭვრეტა ჯერ კიდევ 1919წ. (წინასწარმეტყველი პოეტის რექვიემი – ტიციან ტაბიძის ცრემლიანი სტრიქონები (15,134-156).

გრიგოლ რობაქიძემ უტყუარი ინტუიციის წყალობით, შეუმცდარად შეაფასა სატანური ბოლშევიზმი, მისი მესვეურები, კოლექტივიზაცია, რევოლუცია, ურწმუნოების შედეგები და იწინასწარმეტყველა ისევ ღმერთისკენ მიბრუნება. უცდომლად განჭვრიტა ის ბრძოლები, რომელიც მოელოდა ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ დაწერილი წიგნების გამო: „თქვენ ბრძანეთ, ომი დამთავრდაო, ზოგისთვის ის ახლა იწყება, რადგან გუმანით ვგრძნობ, დიდი უსამართლობა უნდა მოხდეს“ (ვლადიმერ წოწელია, შეხვედრა გრიგოლ რობაქიძესთან (16,42).

დიდი პროზაიკოსი მართებულად შენიშნავდა, რომ მის „ჩაკლულ სულში“ წინასწარ ხილულია თანასახი ე.წ. საჩვენებელ პროცესთა (3,229-241) ...„აქ ლიტერატურულად პირველად მოხდა ცდა ბოლშევიკური კლიმატის გამოაშკარავებისა, რომელმაც ღვთიური ადამიანში თითქოს მოლეკულურ დონეზე გახრწნა. შემზარავი საჩვენებელი პროცესები, ეს საბოლოო სიმახინჯე იმ დაშლისა, ვფიქრობ, ჩემს წიგნში ვიწინასწარმეტყველე და ამოვხსენი“ (3,176).

ეჭვს არ იწვევს, რომ რომანით „ჩაკლული სული“ მწერალმა ჯერ კიდევ 1932 წელს იწინასწარმეტყველა მრისხანე 1937 წელი (13,133).

ამასთან დაკავშირებქით ისიც ითქვა, რომ „გრიგოლმა იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი (ჩაკლული სული, გრაალის მცველნი), ამოხსნა მათი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ვერ მოახერხა ისეთივე ძალით ჩაწვდომოდა ფაშიზმს ანდა ნაციონალიწმს“ (2,187).

მაგრამ არსებობს საპირისპირო მოსასზრებაც, რომელიც ამტკიცებს, რომ გრიგოლ რობაქიძე შეუმცდარად ჭვრეტდა ფაშიზმის საშინელებებს, ჰიტლერის შეცდომებს, მის აღსასრულს და ამაზე სიმბოლურ–ალეგორიულად, ქვეტექსტებით მიანიშნებდა (მანანა კვატაია, ძალაუფლების კონცეპტის ალგორითმი) (17,82-85).

მწერალი საქართველოს განთავისუფლებას, მის გაერთიანებას ჭვრეტდა XX საუკუნეში და ეს მიაჩნდა რენესანსის უპირველეს პირობად: „... ქართული რენესანსისთვის პირობები თანდათან უკეთესდება, დღეს თუ ხვალ–საქართველო განთავისუფლდება, ეს სინამდვილეა. იგი გაერთიანდება და გაძლიერდება. არც აქ გამტყუნება წინასწარმეტყველება“ (ქართული რენესანსი), წერდა გრიგოლ რობაქიძე 1917წ. (გაზ. „საქართველო“, 1917წ. №257). ეს წინასწარმეტყველება მართლაც არ გამტყუნებულა, ისევე, როგორც ქართული ლიტერატურაში რენესანსის გამოვლინების მოლოდინი, რომლის ნიმუში მიიჩნევდა საკუთარ შემოქმედებას და გალაკტიონის პოეზიას.

ხაზგასმულია, რომ „ჩაკლულ სულში“ სტალინი წარმოჩენილია, როგორც არაეროვნული, უპიროვნო,ბნელი, სატანური ძალის გამოვლინება, ხოლო ბოლშევიზმი–საერთოდ ადამიანის სულთან, მის ღვთიურ ელემენტთან, ღმერთთან მებრძოლი, რომანის მთავარი გმირი–ნაწამები სახელოვანი მწერლის „ალტერ ეგოს“ წარმოადგენს“ (კახა ჯამბურია, გრიგოლ რობაქიძის წინასწარმეტყველება) (18,118)

„უბედურების მომტანი უცხო“ განჭვრიტეს ლატვიელი ბერზინის სახელში „ჩაკლული სულის“ პერსონაჟებმა, თამაზ ენგურმა „ნათელმხილველივით განჭვრიტა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯაშუში პეტროვი.

რომანში წინასწარმეტყველურად არის მიჩნეული დოსტოევსკის „ეშმაკნი“.

გრიგოლ რობაქიძეს შეგნებულად შემოჰყავს თავის პიესებში ქურუმი, ქადაგი, მისანი.

მისტერიაში „ლონდა“ ქადაგი საღვთო გაფრთხილებას იძლევა, წინასწარ ხდება მოსახდენზე მინიშნება.

დრამაში „ლამარა“ ხალხური ლექსის სტრიქონებია (ა იმ მთაზედა, თოვლიანზედა, ... ია დავთესე, ვარდი მოსულა) ხდება მოულოდნელი ტრაგედიისთვის მკითხველის შემზადება.

„გრიგოლ რობაქიძემ შეუმცდარი ალღოთი იწინასწარმეტყველა, რომ „გველის პერანგის“ ეროვნულ–ნაციონალურ პრობლემატურ (მერე მას „რასიული უწოდეს) და „ლამარას“ მეამბოხე განწყობას არ აპატიებდნენ და 1931 წელს საზღვარგარეთ შემოქმედებითი საქმიანობისა და მეუღლის მკურნალობის საბაბით გამგზავრების ნება ითხოვა“ (სერგი ჭილაია) (19,20).

მწერალი 1924 წლის აჯანყებას შეშლილობად, გონებაჩლუნგობად მიიჩნევდა, დარწმუნებული იყო ქართველთა დამარცხებაში, ერის რჩეულ შვილთა რეპრესირებაში, უცხოთა გულგრილობაში, რამ ევროპა ხელს არ გაანძრევდა ჩვენს დასახმარებლად, რაც ახდა კიდეც.

გრიგოლ რობაქიძე საუკუნეთა მიღმა ჭვრეტის უნარით გამოარჩია არსთაგანმრიგემ. მისთვის ჭეშმარიტი პოეზია „ნათელხილვა“ იყო (1,96). რომანში „მცველნი გრაალისა“ მწერალი გვიხატავს აპოკალიფსურ ადამიანებს, რომელთაც ხილვის, ჭვრეტის, შინაგანი ხმის, უხმო ხმის მოსმენის ნიჭი დაჰბედებიათ.

„აპოკალიპტიკოსი ყოფიერების აღსასრულს წინასწარ ჭვრეტს და მთელი არსებით ესწრაფვის ახალ ქვეყნიერებას. ის გარდუვალისა და მარადიულის სულიერ სივრცეში სულდგმულობს. წარმავალს მაინც აჩრდილად აღიქვამს“ (1,22).

მწერალი ეძებს „სულის მისტიურ ნაპერწკალს“, მისტიურ ენერგიას“, ჭვრეტს „სულის მისტიურ ზეაღსვლას“.

რომანში „მცველნი გრაალისა“ ლევან ორბელი (ანუ თვით ავტორი) „შინაგანი მზერით ჭვრეტდა გარდასული დროის სალოცავთ, საიდანაც ღვთაებათა ძალა და მადლი გადმოდიოდა და მიდამოს მსჭვალავდა. ლევანი უძველეს საუკუნეთა ქროლვას შეიგრძნობდა“ (2, 137-138).

ნაწარმოების პერსონაჟები გრაალზე საუბრობენ და მართლაც ხედავენ ცაში გრაალს.

ამ სამყაროში ხილვა ყოველთვის შეესაბამება ჭეშმარიტებას.

ლევან ორბელი წმინდა ნინოს საგალობელს წარსულში ჭვრეტის საფუძველზე ქმნის და ირკვევა, რომ მისი ხილვა– სასწაული – ვაზის ჯვრის აყვავება, მტევნების დამწიფება და მისგან ღვინის დაწურვა არაბთა ბატონობის დროს მომხდარი ფაქტია. რომანში ეს ახსნილია გარდასხეულების თეორიით, ვინაიდან სული მარადიულია, ის მრავალგზის იბადება და ამ მარადიულ მოგზაურობაში დაგროვილ ცოდნა – გამოცდილებას ინახავს მეხსიერება, რასაც ეფუძნება პლატონის მოგონების თეორია.

რომანის გამორჩეული პერსონაჟია თავადი გიორგი, „გულთამხილავი, ნათელმჭვრეტი“, რომელსაც ხშირად ეუფლება „ნათელმჭვრეტი სიბრმავე (2,109).

„თავადი სამადჰის მდგომარეობაში მყოფ ნათელმჭვრეტელს ჰგავდა, რომელსაც მთელი არსება გაუნათდა და გაუმჭვირვალდა (1,117), ნათქვამია ნაწარმოებში ნათელშემოსილ, ღმერთშემოსილ პერსონაჟზე.

მწერლის აზრით, „ნიჭიერ და მიზანდასახულ ადამიანს ნათელხილვასთან მიახლოებული ინსტინქტი აქვს (2,214).

„ბრმა ნათელხილვა“ აქვს გლეხს–ბესიას (1,226)

„ოდილიანის“ (პაოლო იაშვილის) უტყუარი ინტუიცია ცხოველის ინსტინქტს უფრო ჰგავდა (1,39).

ნათელხილვასთან მიმსგავსებული ინსტინქტი აქვს ს.ო–ს (სერგო ორჯონიკიძეს. მას ცუდი წინაგრძნობა უარს ათქმევინებს სოხუმში გაფრენაზე და, მართლაც, თვითმფრინავის კატასტროფის გამო მთელი ეკიპაჟი იღუპება.

ნათელხილვის ნიჭი აქვს იეზიდ გოგონას, რომელიც ლევან ორბელს ცოცხლებში ვეღარ ხედვას.

ლევან ორბელი წერილით ამცნობს ნორინას, რომ ის მიჯნურზე ადრე დატოვებს წუთისოფელს.

რომანში შევარდნისა და ხოხბის სახეები ღრმა სიმბოლური, წინასწარმეტყველური აზრით იტვირთება და რეზიუმეს სახით გაჟღერდება მწერლის მთავარი სათქმელი: „შევარდნისა და ხოხბის აჩრდილები დღემდე დასტრიალებენ ქალაქს“ (1,16).

„შინაგანი სმენით“ აცნობიერებს მწერალი თბილისის დაარსების თქმულებას.

პარიზში ნორინას ბასილა ევლინება ხილვაში და მერე მართლაც ხდება მისი გამოცხადება.

ოთახში შემოფრენილი ჩიტის ავისმომასწავებელი ჭიკჭიკი უმძაფრებთ დათას და კოსტას მამის აღსასრულის წინაგრძნობას, რაც ახდება კიდეც (2,35).

ინსტინქტი და ინტუიცია ყოველთვის მიანიშნებს მომავალში მოსახდენ მოვლენებზე და ყოველი დიდი საქმის წინამძღვარია ეს უნარი.

მწერლის აზრით, დიდგორის ომში „ინტუიცია და წინადასახულობა იყო შერწყმული“ (1,168).

„ინტუიცია ერთგვარი აღქმაა, რომელიც გვეძლევა უფრო არაცნობიერის მეშვეობით. წინასწარმეტყველური სიზმარი, ტელეპატიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება.

„სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ–სიცოცხლის საკითხია“ (9,305,308).

ლევანმა წინასწარმეტყველური სიზმარი იხილა: ასპიტისთავიანი ტიბეტელი ჯადოქარივით ყრუ და მომნუსხველი ხმის მქონე „ურჩხული“ ყელის გამოჭრას უპირებდა.

მერე ცხადში მოუვლინა ეს ბნელი არსება, რომელიც ყვიროდა: „საქართველოს გაუმარჯოს საბჭოთას“.

„ლევანს ეს აჩრდილი საბჭოეთის ყოვლად შემზარავ განსხეულებად გამოეცხადა“ (1,9).

გრაალის მცველ რაინდს მატარებელშიც დაემგზავრება ეს წითური ეშმა და ცდილობს, ზეციური, საკრალური სიწმინდისადმი რწმენა გაუქარწყლოს.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ხალხის, ცოცხალი წყაროსთვალის“, ერის ფესვების ამოძირკვას არ სჯერდება და გრაალის ხელში ჩაგდებას ცდილობს ეს „ობობა ტარანტული“.

საბოლოოდ, ეროვნული სატკივრის მსხვერპლი ხდება ლევან ორბელი, მაგრამ ნუგეში ის არის, რომ გრაალი გადარჩება, ის მუხის ტანში ინახება, მუხა კი ერის სულის სიმბოლოა.

წინამწარმეტყველური სიზმარი ნახა ლევანის დედამ. მისი შვილი წყალს სვამდა ვარსკვლავივით მბრწყინავი თასიდან. ზეცაში ვარსკვლავი სინათლით სავსე თასივით გრაალივით მიჩანდა (2,235).

გრიგოლ რობაქიძე ემყარება ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ცნობილ ღვთისმეტყველთა ნააზრევს, რომ მაღალი იდეალებისთვის თავშეწირულნი კი არ კვდებიან, უფრო მაღალ არსად გარდაისახებიან, მიზანია „სულის მისტიური ნაპერწკლის“ ანთება, მისტიური ზეაღსვლა.

ლევანი ამქვეყნად ფიზიკურად აღარ იყო, მაგრამ სულის სახით აგრძელებდა არსებობას. ნორინამ ფანჯარაში იხილა მისი აჩრდილი, რომელიც ნათელს ასხივება.

გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებებში ცოცხალნიც და გარდაცვლილნიც ერთად არიან, მამა შვილშია, შვილი მამაში აგრძელებს არსებობას.

მწერალმა იწინასწარმეტყველა ღმერთისკენ მიბრუნება, საქართველოს დამოუკიდებლობა.

გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა წინასწარმეტყველების უნარით მომადლებულ შემოქმედთა მიმართ. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა მისი ესეები მიხეილ ლერმონტოვის, ანდრეი ბელის, ლევ ტოლსტოის, პეტრე ჩაადაევის შესახებ.

გრიგოლ რობაქიძე ლერმონტოვს უწოდებდა „ქაოსის ძეს“, „ქაოსის ხმაურით მთვრალ სტიქიის ფრთას“, მიუთითებდა რუსი პოეტის გაორებაზე, უსიყვარულობაზე, დემონურობაზე, ნიღბებზე (20,30).

„მარადისობის სარკეში უძრავად მომზირალი, წინასწარ ჭვრეტს თავისი ისტორიული

პიროვნების ხვედრს. აქედანაა ნათელხილვის მისეული წინასწარმეტყველური ნიჭი, ფატუმისადმი რწმენა. ჯერ კიდევ სიჭაბუკისდროინდელ ლექსებში იწინასწარმეტყველა რუსმა პოეტმა თავისი ტრაგიკული აღსასრული (20,35-36).

გრიგოლ რობაქიძე ყურადღებას მიგვაქცევინებს ანდრეი ბელის „აპოკალიფსურ ტემპერამენტზე, აპოკალიფსის ცეცხლოვან მზერაზე“, მისი „წმინდა სიგიჟის“ მადლზე (სულიწმინდის გადმოსვლის მადლზე) და აღნიშნავს: „ის აპოკალიფსური ეპილეპტიკი... გატაცებით ეძლევა ბნელსახიანი ქაოსის შეშლილ სიტყვებს“ (20,61).

ანდრეი ბელის რომან „პეტერბურგის“ მთავარი გმირი პეტერბურგია. მსოფლიოს პეტერბურგმა უნდა მისცეს ნიჰილიზმი, ეს ნიჰილიზმი – სამყაროს ბოლო ფაზაა აპოკალიფსური დაფერფლვის წინ... პეტერბურგი ტვინის ფუჭი თამაშია, ... აჩრდილია, ამგვარი ბუნებისანი არიან მისი გმირები. მათში ხაზი ესმება მონგოლურ სტიქიას, რომელიც, ბელის გაცნობიერებით, სისხლშივე ნიჰილისტურია. მონგოლმა რუსეთში მრავალგზის შეისხა ხორცი, რათა ... მოანგრიოს ყველა ბურჯი: წამხდარ არიულ სისხლში უნდა აალდეს „ძველი დრაკონი“ და ამით ყოვლელივე შემუსროს. დრაკონი ქრისტეს შეებრძოლება.

ანდრეი ბელიმ პეტერბურგის ხატში მიწის აპოკალიფსური (და, ამასთან, დაფერფლვის გზით) უარყოფა მოგვცა“ (20,77).

რომანში არანაკლებ აქტიური მიქმედი პირია პეტერბურგის დამაარსებლის ბრინჯაოს ყალყზე შემდგარი აჩრდილი, რომელიც თვალებით ზომავს ჰაერს და აღარ დაუშვებს ფლოქვებს: იქნება ნახტომი ისტორიის თავზე–იქნება დიდი აჯანყება, მღელვარება, მიწა გაირღვევა... პეტერბურგი ჩაიძირება... ჯერ არნახული აზიატების ყვითელი ურდოები შეჩვეული ადგილებიდან დაიძვრებიან, ევროპის მინდვრებს სისხლის ოკეანეები გადააწითლებენ. იქნება, ცუსიმა იქნება! იქნება – ახალი კალკა... კულიკოვოს ველო, გელოდები... მონგოლის მძიმე ქუსლქვეშ ევროპის ნაპირები ჩაიძირება... მიწიერი არსებები კვლავ ოკეანის ფსკერში ჩაეშვებიან, დიდი ხნის მივიწყებულ ქაოსში... პეტერბურგი ჩაიძირება, რადგან ის ძირშივე ნიჰილისტებია“ (20,78-79).

აშკარაა პეტერბურგისადმი ავტორის ნიჰილისტური ამასთან, გაორებული დამოკიდებულება. პეტერბურგი უბრალოდ აჩრდილი არ არის, ის, ამავე დროს, ქმედითი სიმბოლოა (20,79).

ტიციან ტაბიძე მიუთითებდა, რომ ეს არის წინაწარმეტყველება ომზე, არა მხოლოდ მისი დროის, მომავლის სისხლის ოკეანეების ხილვა (ტიციან ტაბიძე, „პეტერბურგი“, რომანი ანდრეი ბელის) (21,4).

ანდრეი ბელის წინასწარმეტყველება შეეხებოდა არა მხოლოდ მისი დროის, მომავლის კატაკლიზმებს, სამყაროს აღსასრულს, კოსმიურ განახლებას, „ახალ ცას და ახალ მიწას“.

განსაკუთრებული იყო გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება ლევ ტოლსტოის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. „როგორც მხატვარი, იგი წმინდა ჰომეროსისებურად ამკვიდრებდა ყველა საგანს, ... როგორც წინასწარმეტყველი, ის ქურუმისებური გაშმაგებით უარყოფდა ყველა საგანს... ესეში ხაზგასმულია რუსი მწერლის მისტიკური და წინასწარმეტყველური ენერგია, მის ავტორს თითქოს ნათლად ესმოდა მიღმურ სამყაროში გადასახლებული ქურუმის წინასწარმეტყველური ძახილი და მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ამაზე დაფიქრება თანამედროვე ომის აპოკალიფსურ საშინელებათა დღეებში (20,76-77).

ეხებოდა რა პეტრე ჩაადაევის „ფილოსოფიურ წერილებს“ და „შეშლილის აპოლოგიას“, გრიგოლ რობაქიძე ასკვნიდა: „ჩაადაევმა პირველმა ძირფესვიანად გაიზიარა რაღაც დასაბამისმიერი ქაოსი რუსულ სულში და ამ გააზრების გაღრმავება დოსტოევსკისა და ანდრეი ბელის შემოქმედებაშია – ეს ჩაადაევის გენიალური იდეის ოდენ მხატვრული გახსნა იყო. ჩაადაევი რუსეთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი გახლდათ: შეხედეთ რუსეთის თანამედროვეობას, მის უგუნურებას, – და თქვენ უმალვე ჩაადაევი გაგახსენდებათ რუსული ქაოსის მისეული კონცეფციით“ (20,16-17).

ჭეშმარიტი ფილოსოფოს–ესეისტის ნააზრევია გრიგოლ რობაქიძის „ნეფერტიტის თავი“. მწერლის ფიქრით, ნეფერტიტის სახეში უსახელო მოქანდაკემ იდუმალი „კა“ გადმოსცა. „კა“ არსის შინაგანი სუბსტანციაა. ის სამყაროს შექმნამდე ცოცხლობს, დედამიწაზე თავის თავს განასახიერებს, სიკვდილის შემდეგ კი სულის სფეროებში ადის .... მასში

ღვთაებრივი იხსნება. „კა“ მუმიაშია ჩაძირული. მუმია კი თვლემს და იგრგვლივ ყოველივე ზემიწიერი სუნთქვით სუნთქავს.

„ქალის გამოსახულებაში მისი წარუვალი „კა“ სუნთქავს,... იგი ღრმადაა ჩაძირული კოსმიურ წამში, მარადისობის შეჩერებული წამი აღუბეჭდავს“ (22,7-21).

უეჭველად მართებული და გასაზიარებელი აზრია, რომ „გრიგოლ რობაქიძე ფენომენთა და ენიგმათა უბადლო მკვლევარი და ინტერპერეტატორი გახლდათ“ (მანანა კვატაია, „ბარბაროსი, რომელშიც გენიოსმა გაიღვიძა“ (ლევ ტოლსტოის ფენომენი გრიგოლ რობაქიძის ინტერპრეტაციით) (23,76).

ლიტერატურა

1. გრიგოლ რობალიძე მცველნი გრაალისა, გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ, თბ. 2012
2. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ, რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 2003
3. გრიგოლ რობაქიძე, შერისხულნი 15 ტომად, ტ. II, თბ. 1994
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995
7. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2002
8. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1993
9. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
10. Чезар Ломброзо, Гениальность и помешательство, М.1995
11. სტეფან ცავაიგი, ფანტასტიკური დამე, თბ. 1966
12. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
13. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1999
14. გრიგოლ რობაქიძე, 13 სონეტი, თბ. 2004
15. ლუარა სორდია, ანტიციპაცია მეორე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბ. 2011
16. ალმანახი „კრიტიკა“, 1988 №1
17. ჟ. „ათიათი“, 2014 №1(11)
18. ჟ. „ქართული მწერლობა“, 1990, №2
19. ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1994
20. გრიგოლ რობაქიძე, პორტრეტები, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, თბ. 2012
21. გაზ. „საქართველო“, 1917წ. 22/2 თიბათვე
22. გრიგოლ რობაქიძე, დემონი და მითოსი , გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, თბ. 2012
23. ჟ. „ათინათი“, 2013, №3(9).

სერგი ლომაძე

„სიმართლე გიორგი სააკაძეზე“

ბოლო ხანებში ქართულმა საზოგადოებამ ორი მნიშვნელოვანი წიგნი მიიღო ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო ფიგურის – გიორგი სააკაძის შესახებ. ეს ნაშრომები გახლავთ: ნიკო ხერკელაძის – „ცრემლში ნალესი ხმალი“, რომელიც უაღრესად დადებითად ასურათხატებს „დიდ მოურავად“ წოდებულ კაცს, და როსტომ ჩხეიძის – „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“, რომელიც კარდინალურად განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ორივე წიგნს იმდენი ლიტერატურული ძალა გააჩნია, რომ ერთიც, მეორეც, დიახ, მნიშვნელოვან სიტყვათძეგლებად მიმაჩნია.

ჩემი სტატიის თემა არაა შედარება ამ ორი წიგნისა, რადგანაც, თავიდანვე ვიტყვი, რომ სააკაძისადმი დადებითად ვარ განწყობილი, და ვერ გამოვდგები, ამ შემთხვევაში, ობიექტურ მსაჯულად, უბრალოდ, რადგანაც ნიკო ხერკელაძის ნაშრომს გამოვეხმაურე, არც ის მინდა, რომ მეორე წიგნზე არაფერი დავწერო.

ყველამ იცის, რომ ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, ისევე, როგორც ბევრთაგან, ჩემგანაც სუპერლიტერატორებად არიან მიჩნეულნი, ამიტომაც ვერავინ იტყვის, თითქოს რაიმე ირიბი ზრახვები მქონდა, როცა როსტომის წიგნის შესახებ ვწერდი. დიახ, ამ ხელოვანს (ხელოვან-ლიტერატორს) არაერთი შედევრი შეუქმნია, მაგრამ ვინც საქმეს აკეთებს, ხომ სწორედ იმას მოსდის უზუსტობანიც, და ასეთი ადგილებიც ისევეა როსტომის უვრცეს სალიტერატურო სამყაროში, როგორც სხვა დიად ხელოვანთა თავისებურ იმპერიუმში. ეს ხომ კანონზომიერებაა, და აი, ახლაც სწორედ ასეთ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე.

როსტომს ლიტერატურულად ბრწყინვალედ დაუწერია წიგნი (უძლიერესია, თუნდაც, პოლემიკური ეპიზოდები, რომელნიც ვრცლადაა წარმოდგენილი), მაგრამ, ჩემის აზრით, სწორედ მთავარია დარღვეული – მრუდეა ის ხერხემალი, რაზეც აიგო როსტომისეული მსჯელობა, რომ მოურავი ცრუგმირია, რენეგატი, მოღალატე: თითქმის – ორჯონიკიძეც კი. და თუმცა მწერალი, თავისი რკინის ლოგიკით, ასეთი აბსურდის (და არა მარტო უზუსტობის) დამტკიცებასაც ახერხებს, იმარჯვებს კიდეც, ეს მაინც ოდენ პიროსის გამარჯვებაა, რამეთუ აქ სიმართლეს სიტყვის ოსტატის სიძლიერე ფარავს.

ორჯონიკიძე?

და განა ორჯონიკიძემ საქართველოსთვის ზეაწია ისეთი ბრძოლები, როგორებიცაა ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი – ეს ოთხი მარადიული მოვლენა ჩვენი ისტორიისა, რომელნიც თვით გენიალური დავითის ბრძოლებსაც კი დაუმშვენებენ მხარს, ორჯონიკიძეს, წყვდიადის გარდა, ასეთი ნათელი მხარეც ჰქონდა?

მოდით, მოურავის ორჯონიკიძესთან პარალელი თავიდანვე გამოვრიცხოთ. აი, რაც შეეხება თვით სტალინთან პარალელს (რაზედაც არაერთხელ უკამათიათ), ეგ არ არის ჩემი სტატიის თემა, ან – ახლა, მაგ საკითხს, არ განვიხილავ; არც სააკაძისა და ლეგენდარული აქილევსის „გაერთთემებას“ გადავწვდები.

ორჯონიკიძეს ძნელად ეთქმის გაორებული პიროვნება. იგი ცალსახად უარყოფითი პერსონაა ისტორიისა, ხოლო როცა როსტომი ლაპარაკობს სააკაძის გაორებულ პიროვნებასა და მის უდიდეს ტრაგიკულობაზე, ეს მეტად საინტერესო განსჯითი სივრცეა.

დიახ, ქართლის მოურავი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა.

ხოლო როსტომი აქვე სვამს ასეთ საკითხს: არის კი იგი გმირი?

მე ამ საკითხს ასე შეცვლიდი: არის თუ არა დიდი მოურავი დიდი პიროვნება?

მაშ, მივყვეთ ძველ მოვლენებს.

სააკაძის მთავარ დანაშაულთა ჩამონათვალში ერთ-ერთი ისაა, რომ იგი აქეზებდა შაჰ-აბასს საქართველოს წინააღმდეგ და, ირანში გადახვეწილი (ჩვენვე რომ გავაძევეთ აქედან საშინლად შეურაცხყოფილი და სასიკვდილოდ გამეტებული ოჯახიანად!) უცხოელთა ჯარს შემოუძღვა აქ.

აბა ახლა კარგად გავაანალიზოთ ერთი ეპიზოდი არაქელ დავრიჟეცის ცნობისა, იმ ცნობისა, რომელიც თვითონ როსტომმა შემოგვთავაზა თავის წიგნში: „შაჰმა ჰკითხა მოურავს: „აი, უკვე განვლო დიდმა დრომ, როდისღა წაგვიყვან საქართველოში?“

ჰმ, როცა ეს ფრაზა წავიკითხე, გიორგის საბრალო ბედზე კიდევ ერთხელ მწარედ გამეცინა. ესეც შენი წაქეზება! ერთი შეხედეთ, თურმე როგორ წნეხში ყოფილა, როგორ აიძულებდა მრისხანე მბრძანებელი მისთვის უმძიმეს ამ საქმეს, ეს კი როგორ ცდილობდა, ასე ვთქვათ, დროის მოპარვას! ცოტა კიდევ მოითმინეო – პასუხობს აბასს – ცოტაცო, ჯერ დრო არ არისო! და რითი ხსნის ამ თავგანწირულ ვედრებას დავრიჟეცი? – მოურავი ზამთრის დადგომას უცდიდა, რადგანაც მაგ დროისთვის ქართველთა ქვეყანას უფრო გააცამტვერებდა თავდასხმა ხალხი, სიცივეში, მთა-კლდეებს შეფარებულ მიუვალ ადგილებში, ციხესიმაგრეებსა თუ გამოქვაბულებში ვეღარ გაიხიზნებოდაო. ვფიქრობ, დავრიჟეცს ერთი გარემოება გამორჩა მხედველობიდან: სპარსელნი სიცხეს მიჩვეული ხალხი უფროა, ვიდრე სიცივეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ ჩვენზე (ქართველებზე) მეტადაც კი უყვართ მზიანი ამინდები. მზე, სიცხე, სტიქიაა, გახელებაა სპარსელთა და ზამთარში, სუსხში, მათ არ უხარიათ ბრძოლა, – სურვილი, ამ დროს, ნაკლებია ომისა, რამეთუ სუსტდება გახელება,

ანთება ირანული. აი, ეს იცის გიორგიმ, და რადგანაც მიმხვდარა, რომ გარდაუვალია საქართველოზე გალაშქრება, თანაც ამ საქმეს ვერც თავს აარიდებს (შაჰი მას ყოველთვის რჩეულ სარდლად მიიჩნევდა, თანაც, რაღა თქმა უნდა, – აღმოსავლეთ საქართველოს კარგ მცოდნედ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სიძლიერეებთან ერთად, სისუსტეებიც იცოდა), თან დრო გაყავს შეძლებისდაგვარად, თანაც ზამთარს ირჩევს: დიდ დროში უკეთ მოემზადება ქართველობა მტრის დასახვედრად, ხოლო ზამთარში სპარსს ომი გაუჭირდება.

მაგრამ...

მაგრამ საქართველოში მაშინ არ იყო დიდი პოლიტიკოსი, და არც დიდი მხედართმთავარი იყო ვინმე. რაღა თქმა უნდა, მაშინდელი საქართველოს მეფეების თაყვანისმცემელთ ჩემი ეს ფრაზა აღაშფოთებს, მაგრამ რა ვქნა, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწორო: გორგასალი, თორნიკე ერისთავი და დიდი დავით აღმაშენებელი წარსულის ხატი იყო, ხოლო თეიმურაზი და ლუარსაბი, თუმცა დიდებული პიროვნებანი იყვნენ, ქვეყნის წინამღძოლებად კი მოიკოჭლებდნენ. მათ ქართველთა ქვეყნის გაერთიანებისა და სათანადოდ შემზადება-დარაზმვის ძალა არ აღმოაჩნდათ. ფაქტიურად მთელი მომზადება ის იყო, რომ ერთი ხეობა ჩაუკეტეს მტერს. თუმცა ვაღიარებ – ის ხეობა, მაშინ, მთავარი გზა იყო სპარსთათვის.

რაღა თქმა უნდა, სპარსელებმა თავი დააღწიეს მეფეთა ამ ერთადერთ რეალურ დაბრკოლებას, და რაღა თქმა უნდა, წყარო ამაშიაც სააკაძეს ადანაშაულებს, თუმცა, აი, რა სახით:

– „შაჰმა კვლავ მოუხმო მოურავს და სიკვდილით დაემუქრა მას, მაგრამ თვითონ მოურავიც საგონებელში იყო ჩავარდნილი. ორი დღის შემდეგ მოურავმა უთხრა შაჰს: ვგონებ ვიპოვე სხვა გზა, მაგრამ აქედან ორი დღის სავალ სიშორეზეა, გარდა ამისა, საჭიროა ცულით, წერაქვითა და ბარებით მომუშავე კაცები, რომ ტყე გაკაფონ, ოღრო-ჩოღრო ადგილები გაასწორონ და გააადვილონ სიარული.“

ოჰო! ხედავთ რა ხდება?! თურმე რენეგატსა და მოღალატეს, თვითონვე წამქეზებელს, სიკვდილით მუქარა სჭირდება იმისათვის, რომ ღალატი ჩაიდინოს! უცნაურია, ღმერთმანი, ფრიად უცნაური!

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი.

საგონებელში ჩავარდნილი გიორგი (ოღონდაც არა იმ საგონებელში, ბატონ არაქელს რომ ჰგონია), ორ დღეს კიდევ იგებს, და მერე კიდევ ორს, სანამ ახალი გზის დასაწყისთან აღმოჩნდებიან სპარსელნი. თანაც რაგვარი გზა უჩვენა: ცულით, წერაქვით, ბარებით მომუშავე ხალხია საჭირო – ტყე უნდა გაკაფონ, ადგილები გაასწორონ... მოკლედ, თვითონ ირანელებმა უნდა გაიყვანონ ეს ვითომ-გზა და ეგაა! მერედა, ამ მუშაობასაც ხომ დრო დასჭირდებოდა.

ხოლო ახლა ისმის კითხვა: ამდენი ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა, მთელი ამერიმერი რატომ არ დადგა ფეხზე? გადის დრო ლამის უსასრულოდ (სააკაძე ყოველნაირად აფერხებს მტერს თავისი „კეთილისმყოფელი“ რჩევებით), იცის ყველამ, რომ კარზეა მომდგარი იმდროინდელი მსოფლიოს უმრისხანესი დამპყრობელი (რომელიც, უფრო გვიან, პირად მტრად მოევლინა დიდ მოურავს), და არავინ აქცევს ყურადღებას სპარს სპათა ამდენდღიან მიმოქცევას? ხელსაც არავინ უშლის? მთლად მთელს ერს ფეხზე არ აყენებენ? როგორ, ეს სტრატეგოსი მეფენი მხოლოდ იმ ერთი ხეობის ჩაკეტვის იმედად იყვნენ? თუ... თუ როგორც ხშირად ხდებოდა და ხდება, საქართველოს არც, იმ საბედისწერო დღეებში აღმოაჩნდა პატრონი?!.

ძალიან აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სააკაძეს უამრავ სხვა რამეშიც ადანაშაულებენ, და რადგანაც ეს ყოველივე უვრცესი თემაა, ამ ერთ სტატიაში არ ვაპირებ მათს გაშლა-განვრცობას. მოკლედ კი მაინც მოვჭრი ზოგ პასაჟს:

1. სპარსეთში რატომ წავიდაო მაინცდამაინც;

ვფიქრობ, რომ იმ დროს, ფაქტიურად, მას სხვა გზა არ გააჩნდა...

2. ლუარსაბი რატომ დაღუპაო;

ვფიქრობ, ეს ძველი ჭორია, აგებული იმ ფაქტის გამო, რომ ლუარსაბ მეფე, მოშურნე თავადთა ზეგავლენით, სააკაძის დას, ასევე მის მთელ ოჯახს, თვით გიორგისაც – თავისთავად, ვერ მოექცა ღირსეულად. ტაშისკარის გმირი მან ქვეყნიდან მოიკვეთა იმის გამო, რომ დააჯერეს – მოურავი გღალატობსო. სააკაძე რომ შურისმაძიებელი მეფეთმკვლელი

ყოფილიყო, მაშინ თეიმურაზსაც მოკლავდა ბაზალეთის ომში, – მხოლოდ მსუბუქად დაჭრა და დაინდო: არა სურდა ქართველი მეფის მოკვლა არაერთი მიზეზისა გამო, თანაც, ალბათ ეგონა, რომ ისედაც მოიგებდა ომს და ქვეყნის გაერთიანების მისეულ გეგმას ბოლომდე მიყვანდა, თუმცა მისივე თანამემამულეებთან ბრძოლაში გულმა ბოლომდე არ გაუშვა, მკლავი მოუდუნდა, ედიშა ვაჩნაძე (ამ ომის მესამე გამორჩეული პერსონა) კი მოკლა, მაგრამ თვითონაც საკმაოდ მძიმედ დაიჭრა. როსტომი ამბობს: აშკარა მკვლელობაზეო, თორემ... არადა, არა მგონია, რომ ლუარსაბის მკვლელობაც ფარულად გამოვიდოდა, მაგას ვერც ვერავინ იფიქრებდა. შაჰი წააქეზაო ამბობენ, მაშინ როცა ლუარსაბს რომ სარწმუნოებისათვის ეღალატა, იგი სატანჯველს ადვილად გადაურჩებოდა. თუმცა ქართლის მეფე პრინციპული კაცი იყო, თვითვე ირჩია მოწამებრივი სიკვდილი და წმინდანთა თანა ჰპოვა ადგილი ზეციურ სასუფეველში, – გმირად იქცა, ოღონდაც, სულ ბოლოს...

3. მარტყოფი მხოლოდ მას შემდეგ მოაწყო, რაც შაჰის წერილი ჩუავარდა ხელშიო, – ლეგენდარული ბრძოლა მარტყოფისა;

კი მაგრამ, ის წერილი შაჰმა რაღატომ დაწერა? ნუთუ სრულიად უმიზეზოდ? თუ შეიტყო, რომ სააკაძე აჯანყებისათვის ემზადებოდა?

როსტომი მარტყოფის წინარე ამბავს თავისებურად ხსნის, თუმცა მისი ვერსია, ამ შემთხვევაში, ნაკლებბუნებრივია და ნაკლებდამაჯერებელიც, სხვა ვერსიასთან შედარებით...

რა თქმა უნდა, არის სხვა ბრალდებებიც, მაგრამ ის, რომ ორი გენიოსი მთელის საქართველოსი, – ილია და ვაჟა, თბილად არიან განწყობილნი გიორგი სააკაძის პერსონისადმი, ამას თვითონ როსტომიც არ უარყოფს ფაქტიურად, და ეს ბევრისმთქმელი ამბავია.

ილიასა და ვაჟას, ვთქვათ, ასევე გენიოს ბარათაშვილს დავამატებდი. რაც შეეხება რობაქიძეს, მისი შეხედულებანი, აზრნი დიდი მოურავის შესახებ, დღესდღეობით ძალიან გახმაურებულია...

მოკლედ, სააკაძე მარადიული თემაა, ახალი წიგნების თემა, ხოლო ამ სტატიაში ჩემს მოსაზრებათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დავაფიქსირე. მაინც აღარ ვაპირებ ამ თემაზე პოლემიკის გაგრძელებას, რამეთუ, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არა ვარ თავმდაბალი ადამიანი, მაინც ვთვლი, რომ არიან, რაღა თქმა უნდა, ჩემზე უფრო გამოცდილნი, უფრო მცოდნენი, ისეთი პერსონები, რომლებთანაც ხანგრძლივი ჭიდილი არას მარგებს. ერთერთი ასეთთაგანია როსტომ ჩხეიძეც. ჰოდა, ნამდვილად არ ვაპირებ ასეთ ადამიანთან საფუძვლიან გაპაექრებას...

გავიხსენებდი კი პოეტ პერსი ბიშ შელლის, – აი, შელლის გულისა არ იყოს, პოეტის გულიდან იქნებ ყველაზე კარგად ჩანს სრული სამყარო და ეგება არა ვცდებოდე იმაში, რაშიაც ჩემი გული მაჯერებს: გიორგი სააკაძე დიდი (დიდბუნებოვანი) პიროვნება იყო. თუმცა ესეც ფაქტია: პოეტები გრძნობით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე გონებით, ცივი გონებით. მაშ, „გონების ხალხმა“ გამოიტანოს საბოლოო ვერდიქტი დიდი მოურავის შესახებ, მათ დადონ ჭეშმარიტი განაჩენი.

მე კი, როგორც პოეტმა, ჩემი სათქმელი (რაღაც ნაწილი) ჩავატიე ამ სტატიაში.
თბილისი. 2014წ.

მანანა კვატაია

„პორტრეტთა“ ენიგმური სივრცეებიდან

1919 წელს თბილისში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის რუსულენოვანი ესეების კრებული “პორტრეტები”, სადაც ავტორი წარმოდგება, როგორც შესანიშნავი ესეისტი-ანალიტიკოსი, რუსული მწერლობისა და ფილოსოფიის ღრმა მცოდნე და შემფასებელი, მასშტაბური, ორიგინალური ხედვის მოაზროვნე და მკვლევარი.

ეპიგრაფის მიხედვით, კრებული ავტორს რუსეთისათვის მიუძღვნია, მისი თქმით, იმ ქვეყნისათვის, რომლის “თვალუწვდენელ სტეპებში აპოკალიფსური ცხენების ფლოქვთა თქარათქური ისმის”. მართლაც, “პორტრეტები” ახალ რუსეთს ეძღვნებოდა, ერთი შეხედვით, გარდაქმნილ, პროგრესის გზაზე დამდგარ რუსეთს. რომანოვთა სამასწლოვანი დინას-

ტიის დამხობამ საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გააღვივა. ჩვენმა მოღვაწეებმა მომლოდინე მზერა ჩრდილოეთს მიაპყრეს. რუსეთის ფენომენს გრიგოლ რობაქიძეც იკვლევდა. ეს ნათლად იკვეთება მის "პორტრეტებში", რომლის ორიგინალური ესეები ეძღვნება სხვადასხვა დროის ოთხ ცნობილ რუს მოაზროვნეს: პეტრე ჩაადაევს, მიხეილ ლერმონტოვს, ანდრეი როზანოვს, ანდრეი ბელის. ავტორის მთავარი აქცენტი ამ გამოჩენილ პიროვნებათა შინაგანი ხატისა და ენიგმის, იდუმალი პლასტებისა და არსის მხატვრულ კვლევაზეა გადატანილი.

გრიგოლ რობაქიძემ შემოქმედებითად განავითარა მეოცე საუკუნის დასავლური აზროვნების პოსტულატები. თავის ესეში "ექსპრესსიონიზმი" მწერალი მიუთითებდა: "მე მსურს ავსახო საგანი არა ისე, როგორც არსებობს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე, როგორც ჩემს შთაბეჭდილებებშია იგი ასახული, არამედ ისე, როგორც არის იგი გარდაქმნილი ჩემს სულში.. ექსპრესსიონიზმისათვის თავი და თავი საგნის გარდაქმნაა სულით და არა უბრალო ასახვა". სახეცვლილმა საგნებმა თუ იდეებმა რობაქიძის თხზულებებში ახლებური ბრწყინვალება შეიძინა. რობაქიძის "პორტრეტებშიც" ამგვარი ლაიტმოტივი იკვეთება. მოკლედ შევეხებით მის გმირებს და ძირითად პრობლემატიკას.

პორტრეტი პირველი: პეტრე ჩაადაევი. კრებულის პირველი ესე ცნობილ რუს დეკაბრისტსა და მოაზროვნეს პეტრე ჩაადაევს ეძღვნება. მრავალი წყაროს გამოყენებით გრიგოლ რობაქიძე სიღრმისეულად იკვლევს გმირის ფენომენს. მოკლე, ლაკონური ფრაზებითაა დახასიათებული მისი ჰაბიტუსი და პიროვნული თვისებები: "მაღალი. გამხდარი. ტანადი.. სახე გაპარსული: ხმელი, ფერმკრთალი, გამომწვარი. ფოლადი მონაცისფრო-ცისფერი თვალების მზერაში: მკაცრი ხაზი ზედა ბაგისა; რბილი – ქვედასი: შეერთებაში – ბასრი ირონია. შიშველი, გრანიტისებური თავის ქალა – მბრძანებლური ინტელექტი.. გულღია მზერა და ნაღვლიანი ჩაცინება.. გონების მხნეობა და მარადიული ნაღველი. ყველაფერში არისტოკრატი. ინახავს საკუთარ ცხენებს. "ინგლისური კლუბის" მუდმივი წევრი. შეუცვლელი მაღალი წრის სალონებში. დახვეწილი მანერები.. საკუთარ თავშია ჩაკეტილი. მდუმარე. თავდაჭერილი. იცის ნიღბის ტარება. ამაყი. დამოუკიდებელი. გაბედული". მე-18 საუკუნიდან თითქოს ჩვენს დროშიც შემოაბიჯებს პეტრე ჩაადაევი და ამ სტრიქონებში მისი პიროვნული არსი ფილიგრანული სიზუსტითაა დახასიათებული.

კონცეპტუალურია ტექსტის ის ადგილები, სადაც ტრაგიკული ხვედრის დეკაბრისტის შინაგანი მრწამსია გადმოცემული: "ვიღაც უცხოელი რუსული გვარით: ჩაადაევი – თითქოს ფსევდონიმია: რუსს არ ჰგავს.. მსუბუქი ზიზღით დამოკიდებულება ყოველივე რუსულის მიმართ.. დიახ! ჩაადაევი ემიჯნება ყოველგვარ "რუსულს". უფრო მეტიც: ის ემიჯნება ყოველგვარ ადამიანურს".

გრიგოლ რობაქიძე განმარტავს გმირის ნააზრევის ცენტრალურ იდეას (სიცოცხლე ღმერთში) და შენიშნავს, რომ მსოფლიოს ისტორია ღვთაებრივის პლასტიკური განხორციელებაა, ხოლო მისი კონკრეტული ხატი – ქრისტეა. სიცოცხლე ქრისტეში – ადამიანის შინაგანი ამოცანაა. კაცობრიობა ღმერთის წიაღიდან გამოვიდა, – ის ღვთაებრივ წიაღში უნდა დაბრუნდეს. მაგრამ როგორ? – საკუთარ თავში მატერიალურ სტიქიებზე მუდმივი გამარჯვებით.

პეტრე ჩაადაევის ნაწერებისა და მასზე არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რობაქიძე დაასკვნის, რომ ის პეტრე დიდისა და ალექსანდრე პუშკინის რიგის მოღვაწეა, მისი მთავარი დამსახურება კი ისაა, რომ მან "პირველად ნათლად და მკაცრად დასვა "რუსეთის პრობლემა".

პორტრეტი მეორე: მიხეილ ლერმონტოვი. "ლერმონტოვის ნიღაბში" ექსპრესიულად იკვეთება ტრაგიკულად აღსრულებული ნიჭიერი შემოქმედის გარეგნული შტრიხები, წინააღმდეგობრივი ბუნება, სულიერი ხატი. ჩვენს წინაშეა ყველასაგან განდგომილი, მარტოსული, მაგრამ ამაყი მიხეილ ლერმონტოვი, რომლის ჭეშმარიტ სახეს იდუმალი და შეუვალი ნიღაბი ფარავს. რობაქიძე თვლის, რომ მწერლის "საიდუმლო" მისსავე "ნიღაბში" იმალება, რომელიც, ერთი შეხედვით, შემზარავია. "ლერმონტოვის ბუნებაში იყო რაღაც ავისმომასწავებელი და ტრაგიკული.. რაღაც დაბინდული და უკეთური ძალა გამოკრთოდა მისი შავგვრემანი სახისაგან, მისი დიდი და უძრავი მუქი თვალებიდან", – უთქვამს ი. ტურგენევს.

მიხეილ ლერმონტოვის პიროვნული და შემოქმედებითი დუალიზმის რობაქიძისეული ახსნა ასეთია: მწერლის "მონადა" ვერ შეიგრძნობს საკუთარ "სხეულს": ის არ არის "ის", არამედ ვიღაც მესამე პირია; და ამიტომ იგი დაუნდობელია "მისადმი": მისთვის ის სულ ერთია: ფეხქვეშ თელავს, ლანძღავს, ეზიზღება.. რადგან ის არ არის "ის", არამედ "სხვაა". ამავე დროს, რწმენა განგებისადმი, ფატალიზმი – ლერმონტოვის სტიქიის განუყრელი ელემენტია.

მ. ლერმონტოვს მკაცრად აფასებდნენ მისივე თანამემამულეები, მათ შორის, ვლ. სოლოვიოვი და დ. მერეჟკოვსკი – მასში დემონსაც კი ხედავდნენ. "ლერმონტოვის ნიღაბში" გრიგოლ რობაქიძე ცდილობს, შემოქმედის ჭეშმარიტი ბუნების იდუმალი სიღრმეები მიმოიხილოს და საზარელი ნიღბის ქვეშ მისი ფაქიზი და ზემგრძნობიარე სული განჭვრიტოს.

პორტრეტი მესამე: ვასილი როზანოვი. ორიგინალური ხედვის მწერლისა და ლიტერატორის გარეგნული ხატს რობაქიძე მისივე თხზულებებიდან აღადგენს (ის გარკვეულ ანტიპათიასაც კი იწვევს): "წითელი სახე, როგორღაც უსიამოვნო კანი, ლაპლაპა (არა მშრალი). თმა მთლად ცეცხლისფერი (გიმნაზიელს) და ზემოთ აფშეკილი, მაგრამ არა კეთილშობილ "ზღარბისებურად" (მამაკაცური ხასიათი), არამედ რაღაც აღმართულ ტალღად, სრულიად უაზროდ (უცნაურად)," – ასე დაუხასიათებია როზანოვს საკუთარი თავი და სასოწარკვეთილს აღმოხდენია: "ასე საძაგელს ვინ შეიყვარებს?" არანაკლებ გულახდილია მისი აღიარება: მე ქალებს არასოდეს მოვწონდი.

ვასილი როზანოვის თხზულებებზე დაყრდნობით ესეში მისივე სულიერი ავტოპორტრეტიცაა წარმოდგენილი: "საგანთა რაღაც ფეტიშიზმი მახასიათებს. "წვრილმანები" ჩემი "ღმერთებია".. ჩემი სული რაღაც დომხალია.. ტალახის, სინაზისა და ნაღვლისაგანაა დაწნული.. მე მთლად ფესვებში ვარ, ფესვებს შორის. "ხის კენწერო" – ჩემთვის სრულიად გაუგებარია." როგორც ვხედავთ, გმირის ენიგმა აქაც რთული და წინააღმდეგობრივია.

გრიგოლ რობაქიძეს როზანოვი მისსავე პერსონაჟს, პერედონოვს, აგონებს: მან ბევრი რამ იცის, მაგრამ მისი შემოქმედებითი ნატურა საკუთარ თავში უჩვეულოდაა ჩაღრმავებული. აქედან: მისი სუბიექტურობა, რეალურობის გრძნობის დაკარგვამდეც კი. სულ მუდამ საკუთარ თავს უსმენს: – და არ ძალუძს სხვათა მოსმენა. იგი საკუთარ თავს ჯერ კიდევ დედის წიაღში გრძნობს. საოცარი ფენომენია: "ცხოვრობ დედის წიაღში, თითქოს საშოდან არც გამოსულხარ: აქედან – საკუთარ თავში ჩაღრმავება, მუდმივი სწრაფვა მარადიული სიჭაბუკისაკენ.. ყველაფრისადმი დამოკიდებულებაში ირონია, საკუთარი თავისადმიც კი", – ვკითხულობთ ესეში.

მწერლის აზრით, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ როზანოვს მეტაფიზიკურად ჯერ სახეც არა აქვს: მასში ინდივიდუალობა არ არის.. მაგრამ, ამავე დროს, მას ახასიათებს გენიალური ყოვლისმგრძნობელობა, ყველაფერში შემოქმედებითად შეღწევის უნარი: მას ესმის "ესეც" და "სხვაც". ადამიანურად ის სახის არმქონეა, მაგრამ, სამაგიეროდ, არაადამიანურად სამყაროსეულია. ამითვე აიხსნება მისი საოცარი სიშიშვლეც (ნიცშეს ერთ-ერთი მწვავე პრობლემა).

გრიგოლ რობაქიძე განმარტავს, რომ როზანოვის ფენომენი "საშოსეული"ცხოვრების მდინარებაშია. აქედან: მისი არსების რიტმი – სქესი. როზანოვს უყვარს იუდაიზმი, მისი პანთეისტური ეროტიზმი, რადგან "იუდაიზმი თესლის რელიგიაა".

"სტილი – საგანთა სულია":, – უთქვამს ვ. როზანოვს. გრიგოლ რობაქიძე თვლის, რომ როზანოვის სტილი ისევე ფენომენალურია, როგორც თავად როზანოვი და ის ღირსეულ მკვლევარს ელის.

პორტრეტი მეოთხე: ანდრეი ბელი. ეს ის მწერალია, რომელსაც, რობაქიძის თქმით, შემთხვევით არ ამოურჩევია ფსევდონიმი: "ბელი" – აპოკალიფსური ხატი. ანდრეი ბელი მარადისობასთან იყო წილნაყარი. მისი ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, "ბელის სამყაროში დრო არ იყო ის, რაც ჩვენთვისაა.. იგი ეპოქებით აზროვნებდა".

ესეში "ანდრეი ბელი" გრიგოლ რობაქიძე იკვლევს პოეტის საიდუმლოს, რაც, მისი თქმით, "ნიშნავს იპოვო მისი შემოქმედებითი სულის ინდივიდუალური რიტმი". ეს რიტმი კი თურმე შემოქმედის მიწისადმი დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს (რობაქიძე განმარტავს, რომ მიწის ხატის ქვეშ იგულისხმება საგნები, დრო, ქაოსი.. საგნები დროში და მათ ქვემოთ ქაოსი).

ფრ. ნიცშეს შეხედულებით, სამყაროს არსება – "მიწა" "უნდა ვიაზროთ, როგორც სიცოცხლე.. "მიწა", რომელიც ნიცშეს მოძღვრებაში იკავებს ღმერთის ადგილს, სწორედ რომ სიცოცხლის მომნიჭებელი ძალაა, თავად სიცოცხლეა, ე.ი. დროში და სივრცეში გაშლილი შემოქმედებითი პროცესია... "მიწა" რაღაც პასიური, ინერტული ნივთიერი საწყისი კი არ არის, არამედ "სიცოცხლე", "ცხოვრება" ((ბუაჩიძე 1993: 259-260).

რობაქიძის აზრით, ანდრეი ბელი – რუსეთის ნამდვილი წინასწარმეტყველია, რომელმაც პეტერბურგის ხატში მიწის აპოკალიფსური (–და, ამასთან, დაფერფლვის) გზით უარყოფა მოგვცა.

"ანდრეი ბელი – აპოკალიფსისის ნამდვილი ეპილეპტიკია", – ამგვარი შთაბეჭდილება დარჩენია რობაქიძეს მწერლის ხილვისას პარიზში, 1907 წელს, მერეჟკოვსკის ლექციაზე. "მისი დაფერფლილი სული არამიწიერი სევდით უფრთებოდ დაქრის საკუთარ მშობლიურ გამომწვარ სივრცეებში", – ასე აღიქვამს მწერალი ბელის პოეზიას, მის ფსევდონიმს კი ამგვარად ხსნის: "ანდრეი" – უნებლიედ ჩნდება აზრი "პირველწოდებულობაზე" (ანდრია პირველწოდებული); "ბელი" – აპოკალიფსური ხატი: "ახალი სახელი, რომელიც არავინ უწყის, იმის გარდა, ვინც მას იღებს; ის სულის "თეთრ ქვაზეა" ამოტვიფრული". ესეს ავტორი თვლის, რომ ანდრეი ბელი თავის ფსევდონიმს ამართლებს.

დამოწმებანი:

ბუაჩიძე 1993: ბუაჩიძე თ. ფრიდრიხ ნიცშე და მისი "ესე იტყოდა ზარატუსტრა". – წიგნში: ნიცშე ფრ. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი: 1993.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. პორტრეტები. რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ. თბილისი: "არტანუჯი", 2012.

ვაჟა მიროტაძე

მარცვალ-მარცვალ უნდა ვეძებდეთ...

(ცოტა რამ ლერი ბუიღლიშვილის პოეზიაზე)

„ამ წიგნის ავტორი ლერი (ვარლამ) ბუიღლიშვილი პროფესიით ჟურნალისტია, ოცნებით პოეტი, ცრემლით ჭეშმარიტი მამულიშვილი. ცხოვრება რთული აქვს გავლილი, ტანჯვის გზებით არის ნავალი. სიყვარულის ფასი იცის, მტრობის მოძულეა, სიკეთის მთესველი".

ეს ამონარიდი ლერი ბუიღლიშვილის წიგნის „ფიქრიანი სამყაროს" ანოტაციაა. წინასიტყვაობა ცნობილ ქართველ პოეტ ჯემალ ჩახავას ეკუთვნის.

პირადად მე, როგორც მკითხველს, რამდენიმე წლის წინათ მქონდა ბედნიერება, წამეკითხა ეს წიგნი. პირველი ჩემი შთაბეჭდილება სასიამოვნო გაოცება იყო, რადგან ამ წიგნში მართლაც ღრმა პოეტურობა, აზრი ქცეული ფიქრად, ფიქრი ქცეული სიბრძნედ, სიტყვა ქცეული რიტმად, ბგერა ქცეული მღერად, მელოდია ქცეული სმენად, ფერი ქცეული ხატად,- აღმოვაჩინე.

თუ პოეზია ღმერთების ხვედრია,
მე ბედი ძუძუსთან აკვანში შემხვედრია,
თუ სიტყვა პოეტის ცეცხლი ან დენთია
და პოეზია ამ ცეცხლის ღვენთია,
გენიალობა ერთია - პოეტი ღმერთია!

ასე სწამდა ამ სტრიქონების ავტორს და მართალიც იყო, რადგან „გამოვიდეს ახლა ვინმე ვაჭარი და ამ წვიმის პოეზია უარყოს." (გალაკტიონი)

თემატური მრავალფეროვნება, იშვიათი გულწრფელობა, პირველყოფილი სისადავე და მშვენიერება გამოარჩევს ამ წიგნს სხვათაგან, ამ გამორჩეულ პოეტურ სამყაროში თვითონ

ღმერთის ნაბოძები საგზლით ხდება ავტორისაგან მკითხველისათვის სულიერი საზრდოს გადაცემა და რაც მთავარია, ხდება ჩუმად, უხმაუროდ.

უსასრულოა პოეტის ინტერესების სფერო. მას საოცრად აღელვებს ისტორიული კატაკლიზმებით შეჭირვებული ქვეყნის სვე-ბედი და არაერთი ბრწყინვალე ლექსით, რომელსაც მე ლოცვას დავარქმევდი საქართველოზე, შესთხოვს უფალს, რომ მომაკვდავი მამული ფეხზე წამოაყენოს და გაამთლიანოს.

სვეტიცხოველი, გელათი, ვარძია, თმოგვი და კიდევ ძნელია ყველა სულიერი და ფიზიკური ციტადელის ჩამოთვლა, რომელიც ლერი ბუიღლიშვილის კალმით არის ნაგვირისტები.

მე შევებრძოლე ცის გოლიათებს,
ეს მე დავრახტე ბედაურები
და სული ჩემი ახლაც ანათებს
და მიჭრიალებს გზაზე ურემი...

დიახ, სამშობლო იყო ლერი ბუიღლიშვილის საფიცარი, სწორედ მათ, „მზის ქვეყნის" შვილებს მიუძღვნა მან საოცარი საგალობლები.

ბაირონივით ლამაზი, ახოვანი, საოცარი სიკოხტავით გამორჩეული, ძლიერი, ამაყი, ამაყი და პრინციპული,- ასე ახასიათებენ პოეტს მეგობრები.

მგლისყურიანი ჩინოვნიკი იძიებს საქმეს,
ბიუროკრატის სათვალიდან რისხვას რომ აფრქვევს,
ამას ყველაფერს, გესლს რომ ზედ ანთხევს,
ეს ვირიშვილი კაცობას არქმევს.

აი, ნიმუში მისი უსაზღვრო თავმოყვარეობის და ქედუდრეკელობის, ამ ლექსით მან ნიღაბი ჩამოხსნა და ძალუმად გაუტყლაშუნა სილა იმ პატარა კაცუნებს, რომლებმაც უამრავი ტკივილი არგუნეს პოეტს.

მაჟორული ტონალობით და იშვიათი სტოიზმით გამორჩეული სტრიქონები სხვაც ბევრია ლერი ბუიღლიშვილის შემოქმედებაში, იმდენად ბევრი, რომ როგორც შრომისგან დამაშვრალ მეზვრე-მევენახეს ახარებს შემოდგომაზე საუკეთესო მტევნების მითვლა, ისე მკითხველს უაღრესად დიდ სიამოვნებას მოჰგვრის პოეტის ნააზრევ-ნამუშაკევი, რადგან ის შინაგანი, გაუნელებელი მუხტი, ის იმპულსური გადმოცემა ლექსისა, რომელსაც ლერი ბუიღლიშვილი გვთავაზობს, თავზარდამცემად დამატყვევებელია და განუმეორებელი. ამ მხრივ იგი მართლაც ჩამოჰგავს გოგლა ლეონიძის შემოქმედებას და უპრიანია, რომ პოეტი სიცოცხლეში მისი სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახლდათ.

სიტყვა გაგვიგრძელდა, არადა, ამ მოკლე ანოტაციის მიზანია რამდენიმე ლექსით ავტორი კვლავ წარსდგეს საზოგადობრიობის წინაშე, მითუმეტეს წიგნი, რომელზეც ვსაუბრობთ, ოცი წლის წინათ არის გამოცემული... ჩვენს

დროში კი, როცა ასე მომრავლდა არაფრისმთქმელი, უსახური, ფსევდორუტინული ლიტერატურა, არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება მარცვალ-მარცვალ არ ვეძებდეთ ისეთ პოეტურ ნიმუშებს, როგორიც ლერი ბუიღლიშვილმა დაგვიტოვა. უფრო მეტიც, დროა, უსამართლოდ მივიწყებულ ჭეშმარიტ შემოქმედთა, ამ შემთხვევაში ლერი ბუიღლიშვილის ლექსების, აგრეთვე სხვა ჟანრის ნაწარმოებების მოძიების და შევსებული, სრულყოფილი გამოცემის შესახებაც ვიფიქროთ, რათა შთამომავლობამ ბოლოსდაბოლოს აღიაროს ადრე წასული, თანამედროვეობის თვალსაჩინო შემოქმედის ლერი ბუიღლიშვილის სახელი და შემოქმედება.

შალვა ილურიძე

„ბოლელი“

ნააზრები და შთაბეჭდილებები მხატვარსა და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორზე, ბ–ონ ნიკო ხერკელაძეზე

პუბლიცისტური ნაშრომი „ცრემლში ნალესი ხმლის“ ავტორმა, განმანათლებლური ტიპის მრავალმხრივმა მოღვაწემ ნიკო ხერკელაძემ გარკვეული წვლილი შეიტანა 21-ე საუკუნის პირველ ნახევრის ქართულ მწერლობაში.

მან დაიწყო კვლევა-მოძიება დიდი მოურავის, დიდი მხედართმთავრისა და დიდი სარდლის გიორგი სააკაძის როლზე და მოღვაწეობაზე საქართველოს გადარჩენა-გაერთიანებაში.

ნიკო ხერკელაძემ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია საისტორიო მეცნიერულ კვლევაში, პუბლიცისტიკაში, მხატვრობაში და ყველა ამ სფეროში.

თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, მაგრამ ქართული საზოგადოების შემდგომი თაობებისათვის ნიკო ხერკელაძე უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორც გიორგი სააკაძის ეპოქისა და პიროვნების მკვლევარი.

„ცრემლში ნალესი ხმლის“ - როგორც სპეციალური მონოგრაფიისა და ისტორიული ნაშრომის ავტორმა ნიკო ხერკელაძემ გარკვეული ღვაწლი დასდო გიორგი სააკაძის პიროვნების, მისი პოლიტიკური და მხედარმთავრული მოღვაწეობის შესახებ ისტორიული სიმართლის დადგენას. შეიძლება ითქვას, რომ ბ–ონ ნიკო ხერკელაძის ინტელექტუალური მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ ისტორიული სიმართლის დადგენაში, სწორედ სააკაძის პრობლემის მართებულ გააზრებაში მდგომარეობდა.

ნიკო ხერკელაძემ რთული და საინტერესო გზა განვლო ამ ისტორიულ პუბლიცისტურ ნაწარმოების შექმნა-დაკაბადონებაში.

მან ქართველ ხალხს, ქართველ მკითხველს, ქართულ მომავალს გადაუშალა თავის სამშობლოზე შეყვარებული კაცის, სამშობლოს გაერთიანება-გადარჩენაზე ყოველდღიურად მაფიქრალი და შეწუხებული ქართველის გული, გული, რომელსაც ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს სამშობლოსთვის უძგერდა, რომელმაც ყველაფერი გაიღო თავისი ქვეყნის, თავისი ერის გადასარჩენად.

ბ–ნმა ნიკო ხერკელაძემ დაგვანახა თავის ნაშრომში XVI-XVII საუკუნეების უდიდესი მოაზროვნის, უდიდესი მოღვაწის, უდიდესი მხედართმთავრის და თავის ხალხზე შეყვარებული კაცის ბუნება, ცხოვრება და მოღვაწეობა.

გიორგი სააკაძე პირველად ჩნდება როგორც დიდი მეომარი, დიდი სარდალი და დიდი მოღვაწე 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში, სადაც იგი სასტიკად ამარცხებს ყირიმელ თათრებს და გასწმენდს საქართველოდან მათი უსასტიკეს თარეშისგან. და აი! აქ ვიინ იყო მაშინ საქართველოს გადამრჩენი?!

შემდეგ 25 მარტი, ხარება დღე, 1625 წლის უფსკრულის გათხრა შახისთვის მარტყოფის ველზე, აქ ვინ იყო გადამრჩენი ჩვენი ბედკრული ქვეყნის?!

მერე ისევ მტრობა, შუღლი საქართველოს დამაქცევართა და დასრულება გიორგი სააკაძის მოღვაწეობის, საქართველოს გაერთიანება-გადარჩენისა და აღსასრული ქართველი კაცის გულის, რომელიც უძგერდა საქართველოს გაერთიანება-გამთლიანებისთვის ოსმალეთში, ურჯულოთა მიწაზე 1629 წელს.

აი, ეს 20 წელი მისი მოღვაწეობის, საქართველოსადმი სიყვარულის, მისი მკლავმოუღლელი ბრძოლის, მუხლმოუღლელი შრომის და გონება-გამჭრიახობის უდიდესი ნაშრომი და სურათი დაგვიხატა ქსნელმა ნიკო ხერკელაძემ.

აფერუმ შენს ქართველობას და შენს კაცობას ბატონი ნიკო, რამე თუ შენი ნაშრომი დარჩება ქართველ ხალხს 21-ე საუკუნის უდიდეს განძად!

ღმერთმა გაგაძლიეროთ და ბევრი კარგი საქმე გაკეთებინოთ უფალმან ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

გისურვებ ჯანმრთელობას და წარმატებებს, პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში.

შენი დევნილი ძმა

2014.29.09

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი...

(გაგრძელება)

ქართველი ერისგან შეფასებით, წილად ერგო „დიდის“ ნიშანი ალექსანდრე პირველსაც, რომელიც მეფობდა (1412-1442წწ-ში) იგი 22 წლის ასაკში გამეფდა. მისი აღმზრდელი იყო რუსა, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე. ეს იყო ცნობილი ქალბატონი, გამორჩეული სისპეტაკითა და მაღალი ზნეობრივი დამოკიდებულებით თავის ქვეყანასთან, მისი ამაგიანი გულის კარნახით დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა, რომელიც თემურ ლენგის შემოსევებმა დააზიანა, ცხადია არ იყო ადვილი, მით უმეტეს, ასეთი მტარვალის რვაჯერ შემოსევის დროს, როცა საქართველო, მისი მთა-ბარი, მტრისგან მიწასთან იყო გასწორებული. სადაც „არღარა იხვნებოდა და არღარა ითესებოდა“

ალექსანდრე I მა ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო, პირველ რიგში მტარვალთაგან იავარქმნილი ტაძრებისა და ციხე-დარბაზების აღდგენა, რისთვისაც ფულადი სახსრები იყო საჭირო. მეფეს ნაკლები იმედი ეძლეოდა სამეზობლო ქვეყნისაგან, ვინაიდან ისინიც მუდმივად თავდასხმას განიცდიდნენ მტერისგან. ამიტომ ერთადერთი გზა და ნათელი იმედი ისევ თავისი ხალხი იყო. მან მაღალი გადასახადები შემოიღო, ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის. ეს მას მხოლოდ დროებით სჭირდებოდა. როგორც კი ქვეყანამ ამოისუნთქა და იავარქმნილი ტაძრების განახლებაც დასასრულს მიუახლოვდა, ალექსანდრე პირველმაც მოსახლეობაზე მაღალი გადასახადები გააუქმა. ქუცნა-ამირეჯიბის მეუღლის რუსას დაწყებული სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა-განახლება, მისი გარდაცვალებიდან მისივე აღზრდილ ალექსანდრე პირველს გაუგრძელებია და დაუმთავ-რებია 1431 წელს. იმავე ხანებში, ალექსანდრე მეფის თაოსნობით, ქართველებმა თათრები აიძულეს დაეთმოთ ლორე და მისი მიმდებარე მიწა-მამულები.

მალე ბეშქენ ორბელიანმა გულით იგრძნო და ალღოც აუღო ალექსანდრეს თავისი ქვეყნისათვის მზრუნველ გზას, მხარში ამოუდგა მეფეს და ცენტრალურმა ქართულმა სახელმწიფომ მისი თაოსნობით შემოიერთა სიკნიეთი, ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები. მათი ერთობლივი სტრატეგიით ქართულ მოსახლეობას შემოუმატა 60 ათასამდე კომლი, რაც იმ გავერანების ხანაში დიდი წარმატება იყო. სწორედ ალექსანდრე პირველის მეფობის ჟამს, აღორძინების გზაზე დამდგარმა საქართველომ საშუალება მისცა, მუსლიმანური სამყაროსგან შევიწროებულ სომეხ ხალხს, თამამოძმე და მეზობელ ქართველებთან ერთად საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულიყვნენ.

ბუნებით კეთილშობილ ალექსანდრეს დროსაც მძლავრობდნენ შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევის მოსურნენი, ზოგიერთი დიდებულები და მეფის იმიჯის წინაშე ანგარიშგაუწევლადაც მოქმედებდნენ.

ერთი-მეორის საწინააღმდეგოდ მიიწევდნენ. საპირისპიროდ აიშალნენ ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები, მათ დასამშვიდებლად ალექსანდრე დასავლეთ საქართველოში გადავიდა უგონო სისხლისღვრის შესაჩერებლად. მეფემ მოახერხა დადიანებისა და შერვაშიძეების შერიგება.

1415 წელს მეფეს განუდგა სამცხის ათაბაგი ივანე აღბუღას-ძე ჯაყელი. ამ დიდებულს თავისი ჯარებით, ცენტრალური ხელისუფლების ჯარებთან შეტაკებაც კი მოუხდა, იგი დამარცხდა და ბორკილდადებული მეფეს მიჰგვარეს. იგი საპყრობილეში განათავსეს, მის მიმართ ნდობა დაკარგული მეფე სამცხეში გადავიდა, იქაური დიდებულნი მუხლ-მოდრეკით ეახლენ მეფეს. რადგან უკვე მოსალოდნელი იყო ივანე-ჯაყელის მსგავსად ისინიც დღეს თუ ხვალ ქვეგამხედვარნი შეიქმნებოდა. ამ საფუძველზე ალექსანდრემ ისინი გადააყენა და მათ ადგილას, დაბალი ფენებიდან შერჩეული პირები დაამკვიდრა, რომელნიც უფრო სანდონი იყვნენ და ქვეყნის შიდა აშლილობას მოერიდებოდნენ. მოგვიანებით ბუნებით ტოლერანტი მეფე ალექსანდრე დატყვევებულ ივანე ჯაყელს ბორკილებს ხსნის, მე-

ფისა და ხალხის წინაშე ფიცს დაადებინებს, რომ თავის მამულში დაბრუნების დღიდან, უერთგულოს ქვეყანას და მართოს თავისი სამფლობელო სამცხე.

ზოგ დიდებულთა და სახლისკაცთა ჭირვეულობით, ოჯახური აყალ-მაყალით დამძიმებული მეფის გული პროტესტ გამოხატავს, ამის ნიშნად კი სამეფო გვირგვინს მოიხდის და ტახტზე დააბრძანებს, 1442 წელს ბერულ ჩოხას ჩაიცვამს და მონასტრის მომლოდინე კარს მიაშურებს, მან სიცოცხლის ბოლო წლები სვეტიცხოვლის ტაძარში გაატარა და მადალი ღმერთისადმი კრძალვა, რწმენა, მეოხებით ათენ-აღამებდა, ამის მერე მას იცნობენ, როგორც ათანასე ბერს.

მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს XIII-ე საუკუნეში ქართველი ხალხისაგან ცოტნე დადიანის დამსახურება შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

XIV საუკუნეში მეფე ბაგრატ V-ს დამსახურება ქართველ ერისაგან შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

XV საუკუნეში მეფე ალექსანდრე I-ის დამსახურება ქართველი ხალხისაგან შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ჯერ ამ სამი პიროვნების მოღვაწეობის ხანას იმ მოტივით, რომ ცოტნე-დადიანის „დიდის“ შეფასებიდან, მეფე ბაგრატ V-ეს „დიდის“ შეფასებამდე რამდენი წელი გავიდა და შემდეგ ბაგრატ V-ეს შეფასებიდან მეფე ალექსანდრე I-ის „დიდის“ შეფასებამდის რამდენი წელი გავიდა.

ე.ი. - 1247 წელი. ცოტნე-დადიანი შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

1387 წელი. ბაგრატ V-ე შეფასდა „დიდის“ ტიტულით. ე.ი პირველის დადიანის შეფასებიდან მეორეს ბაგრატის შეფასებამდის – 140 წელი გავიდა.

ბაგრატ V-ე დიდის 1387 წლიდან, 1442 წლამდის გასულ დროში ალექსანდრე I შეფასდა „დიდის“ ტიტულით. ე.ი. მეორეს ბაგრატისა და მესამე ალექსანდრეს შეფასებიდან შეფასებამდის გავიდა 55 წელი.

ჩვენი მიზანი გასაგებია, მაშასადამე, ამ სამი პიროვნების შეფასებებში წყვეტილი, და თან დიდი დროა გაჩენილი, ანუ თანმიმდევრობა არ არის!

ახლა შემდეგი სამი პიროვნების ღვაწლი განვიხილოთ: ლუარსაბ I-ის გამეფებიდან 1527 წლიდან და გარდაცვალებამდის 1558 წლამდე მისი მოღვაწეობის დრო და საქართველოს მტრებთან ბრძოლა ქართველი ერისგან შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

შემდეგ მისი შვილის, მეფე სიმონ I-ის გამეფებიდან 1556-1569 წლამდე. შემდეგ 1578-1603 წლამდის. მისი მოღვაწეობა და საქართველოს მტრებთან უკომპრომისო ბრძოლები, ქართველი ერისგან შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით. მისი შვილი გიორგი X, რომელიც გამეფდა 1604 წელს, გარდაიცვალა 1605 წელს. იგი მონაწილეობდა შაჰის ჯარებთან ერევანის ომში ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

გიორგი X ჰყავდა შვილი ლუარსაბ II, რომელიც გამეფდა 1606 წელს იმეფა – 1615 წლამდის, გარდაიცვალა 1622 წელს. მას დიდი წვლილი მიუძღვის 1609 წელს, ოსმალეთთან გამართულ „ტაშისკარის ომში“, რაც დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, ამ ორ პიროვნებამ გიორგი X და ლუარსაბ II დიდი საბრძოლო მისია შეასრულა აღნიშნულ ომებში და ლუარსაბ I-ისა და სიმონ I-ის შვილიშვილებიც იყვნენ და თან მეფენიც. ისინი ქართველ ერს „დიდის“ ნიშან-ტიტულით არ შეუმკიათ.

ქართველმა ერმა „ დიდის“ ნიშან-ტიტულით შეამკო, ლუარსაბ I–ისა და სიმონ I-ის შემდეგ, გიორგი სააკაძის მტრებთან შეურიგებელი ომები.

XVI საუკუნის 1527 წლიდან ლუარსაბ I-ის მოღვაწეობიდან, შემდეგ მისი შვილის სიმონ I-ის საომარი გეგმების გაგარძელებიდან. შემდეგ გიორგი სააკაძის მოღვაწეობა XVII -ე საუკუნის 1629 წლამდის. სრული საუკუნე გადის ანუ 102 წელი, ამ ხსენებულ დროში ანუ ერთ საუკუნეში, ამ სამი პიროვნების მოღვაწეობა თანმიმდევრულია, ერთმანეთში ჩანაცვლებაა და ერთმანეთში გაგრძელება, სადაც წყვეტილი დრო არ გაჩენილა.

გიორგი ბეჟიტაშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

«რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომი და სამხედრო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში»

სამხედრო ოპერაციების წარმატება არის დამოკიდებული მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებაზე. ეს შესაძლებელს ხდის საომარი ოპერაციების ზონაში სამხედრი ძალების სწრაფ და დაუბრკოლებელ გადაყვანას.

ოსმალეთის საომარი ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის გზების წესრიგში მოყვანას, მდინარეებზე საიმედო ხიდების აგებას და ბორნების მოწყობას, მაგრამ ამ მხრივ ძალზე სავალალო მდგომარეობა იყო.ძლიერი წვიმებისაგან, განსაკუთრებით გურიაში, ადიდებული მდინარეები ხიდებს ანგრევდნენ, ბორნები მცირე იყო და ისიც სამხედრო მიზნებისათვის გამოუსადეგარი. მთავრობის უმთავრესი ყურადღება მიექცა რიონისპირა მხარეში მიმოსვლის საშუალებათა წესრიგში მოყვანას. **(1,2)**

უვარგისი იყო გზებიც. საჭირო იყო სასწრაფოდ მოეყვანათ გზები ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი სამხედრო საჭიროებისათვის გამოყენება. **(3,4)** გურიის გზების სათანადო შესწავლის შემდეგ გადაწყდა სასწრაფო ზომების მიღება იმ მიზნით, რათა გზებზე შესაძლო სახიფათო შემთხვევებს ჯარი მძიმე მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა. საჭირო იყო დიდი შრომა, ხარჯების გაღება და დრო, რომ გზები სათანადო წესრიგში მოეყვანათ.

სტრატეგიული მოსაზრებითა და აუცილებლობით იყო გამოწვეული მდინარე რიონთან (ორპირთან) გაბმული ხიდის აშენება. ქუთაისის საინჟინრო დისტანციის უფროსს, პოლკოვნიკ ვორონცოვ-ველიამინოვს 1877 წლის ოქტომბერში დაუყოვნებლივ ებრძანა შედგომოდა დაბა ორპირთან მდინარეზე ხიდის აშენება და მისი დამთავრება ორი თვის განმავლობაში. **(5,6)** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სადგურ ფოთისა და ჯარის დაბანაკების ადგილს შუა სამიმოსვლო გზის შეკეთებას, რასაც სათანადო ყურადრება მიაქცია მთავრობამ და 1877 წლის 30 დეკემბერს მისცა თანხმობა კავკასიის მეფისნაცვალს, რათა დროულად დაეწყოთ აღნიშნული გზების შეკეთება და 1877 წლის იანვარში გზათა მიმოსვლის ინჟინრებმა დაიწყეს გაძლიერებული საგზაო მშენებლობა ხაზინის ხარჯზე.

15 მაისისათვის უკვე მზად იყო სამეგრელოს გზა ქუთაისსა და ზუგდიდს შორის და რიონის მარცხენა სანაპიროზე. ზეკარის გზა ნიგოითისა და ჩოჩხათის გავლით უერთდებოდა ოზურგეთ – წმ.ნიკოლოზის საგუშაგოს გზას, რომლის გაყვანა დაამთავრეს 1877 წლის 12 მაისისათვის.

ზემოაღნიშნული ოფიციალური დოკუმენტები საინტერესო ცნობებს იძლევა დასავლეთ საქართველოში მიმოსვლის საშუალებათა ყოვლად უვარგის მდგომარეობაზე და მათი წესრიგში მოყვანის დიდი მნიშვნელობის შესახებ (კარგი, კეთილმოწყობილი გზები გამარჯვების შესაძლებლობას ქმნიდა). აღსანიშნავია, რომ გარდა ჯარისკაცებისა, ამ ფრიად მნიშვნელოვან სამუშაოთა დროულად შესრულებაში ადგილობრივი მოსახლეობაც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, ვინაიდან თავდაცვის ინტერესები უკარნახებდა მათ არ დაეზოგად ძალ-ღონე საუკუნეობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გზების შეკეთების შემდეგ მთავარი ყურადღება მიუქცევიათ სამხედრო ძალების ორგანიზაციისათვის, რათა ჯარების გარკვეული ნაწილი განლაგებული ყოფილიყო საომარი პუნქტების მიხედვით. მაგალითად, 17 ბატალიონი, 8 ასეული და ბატარეა ომის შემთხვევაში განკუთვნილი იყო ბათუმის მიმართულებით წინ წასაწევად.

დეპეშა ოსმალეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა და შეტევაზე გადასვლის შესახებ კავკასიის მეფისნაცვალმა მიიღო 1877 წლის 11 აპრილს. მან განკარგულება გასცა რუსეთ-ოსმალეთის სახღვარზე განლაგებულ რუსეთის რაზმებს შეჭრილიყვნენ ქობულეთის მიდამოებში და შეედგინათ გურიისა და ქობულეთის რაზმები.

ამ რაზმების მეთაურებს დაეკისრათ სამოქალაქო მმართველობაც პირველს გურიაში, მეორეს კი სამეგრელოსა და იმერეთის ოთხ მაზრაში **(7,8)** გურიის მე-2 ქვეითთა

რაზმს ნაბრძანები ჰქონდა დაეკავებინა აღმოსავლეთ გურიის საზღვრების საგუშაგოები და თვალყური ედევნებინა აჭარა-ახალციხის მთებიდან გადასასვლელებისათვის.

რუსეთის ჯარების კოლონებს უნდა აეღოთ მუხაესტატეს (ახლ.სოფ.ქობულეთის რაიონში) სიმაგრეები.**(9)** ერთ-ერთ კოლონას მეთაურობდა **ალექსანდრე იაკობის-ძე დენიბეგოვი (დანიბეგაშვილი).** წარმოშობით ქართველი აზნაური იყო. 1853-1856 წ.წ. ყირიმის ომის მონაწილე. 1871 წლიდან გენერალ-მაიორია, 1874 წლიდან მეთაურომდა 41-ე ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადას. 1882 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.

დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისათვის„-1877) წმ.გიორგის მე-IV ხარისხის ორდენით (1859). **(10)** მან ბრძანება გასცა სამთო ბატარეით იერიში მიეტანათ მუხაესტატეზე, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

1877 წლის 29 აპრილს, განთიადისას, ქობულეთის რაზმს უნდა დაეკავებია ხუცუბნის უმაღლესი გორაკი, რომელიც მუხაესტატეს სიმაღლის პარალელურად მდებარეობა და მასზე ასი მეტრით მაღალია. ამ ორ სიმაღლეს ყოფდა მდ.აჭყვისთავი, რომლის გადალახვა ფეხით შეიძლებოდა. მოწინააღმდეგეს ხელსაყრელი პოზიცია (მდ.აჭყვისთავის მარცხენა სანაპირო) ჰქონდა დაკავებული. მარცხენა და მარჯვენა კოლონამ ცალ-ცალკე, მაგრამ საერთო კავშირით დაიწყეს შეტევა. წინასწარმა საარტილერიო ბრძოლამ 5 საათის განმავლობაში განაპირობა შეტევის წარმატება. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ხუცუბნის სიმაღლეები დაეცალა. მაგრამ ამ ოპერაციამ საგრძნობი მსხვერპლი შეიწირა. **(11)**გურიის რაზმმა 1877 წლის 28 აპრილს იერიში მიიტანა ხუცუბნის და ციხისძირის სიმაღლეებზე. 15 ივნისს სტრატეგიული მოსაზრებით უკან დაიხია კინტრიშით მუხაესტატეს პოზიციამდე. **(12)**

1877 წლის 29 აპრილისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტს წარმოადგენდა ხუცუბნის მიდამოები.

მოწინააღმდეგის პირისპირ იბრძოდა ქობულეთის რაზმი, რომელიც განლაგებული იყო მუხაესტატეს პოზიციებზე და სრულ სამხედრო მზადყოფნაში ელოდა ბრძანების მიღებას, ამავე პოზიციაზე განლაგებულმა არტილერიამ სხვებზე ადრე დაუშინა ცეცხლი მოწინააღმდეგის პოზიციას. **(13)** ბრძოლა მწვავდებოდა. მოწინააღ-მდეგე არ თმობდა დაკავებულ ადგილებს, საჭირო იყო განსაკუთრებული ზომების მიღება.

გენერალ-მაიორმა ალექსანდრე დენიბეგოვმა მარჯვენა ფლანგზე გურულების გამოჩენის შესახებ მიიღო ცნობები და ბრძანება გასცა ჯარის ყველა ნაწილი ერთდროულად გადასულიყო იერიშზე, თვითონ წინ წარუძღვა მოიერიშეთ. მოწინააღმდეგემ ერთხელ კიდევ გაუხსნა ცეცხლი მოიერიშეთ, მაგრამ ვერ გაუძლო, ყველა პოზიციიდან ერთდროულად უკან დაიხია და დატოვა ძალზე ძლიერი პოზიციები. **(14)** მოწინააღმდეგე მიიმალა ტყეში და გაშორდა სროლის არეს. **(15)** ამ დროს ოსმალეთის ნაღმოსნები გამოჩნდნენ ზღვის სანაპიროზე და ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის ჯარებს.

ქობულეთის რაზმის უფროსი სწერდა რიონისპირეთის მხარის ჯარების სარდალს, რომ ქობულეთის რაზმი უნდა გაეგზავნათ ციხისძირზე იერიშის მისატანად, რათა ხელთ ეგდოთ ეს სიმაგრე. ამ მიზნით აუცილებელი იყო ქობულეთის რაზმი გადასდულიყო შეტევაზე და მდინარე კინტრიშზე გასვლის შემდეგ ციხისძირამდე მისაღწევად საჭირო იყო 10-14 დღე.**(16)** რუსეთის ჯარის ნაწილებმა მოულოდნელი და მედგარი ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს, რის გამოც იგი გაიქცა მდინარე კინტრიშის მეორე მხარეს და უკან დახევისას დატოვა ბევრი მოკლული და დაჭრილი.

დანიშნულ საათს ბრძოლა დაიწყო საარტილერიო ცეცხლით. იერიშის მომზადების შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა სამი რაკეტის გასროლით ხუცუბნის სიმაღლეებიდან.**(17)** მარცხენა ფლანგზე ქართლის და გურიის ნაწილები სხვებთან ერთად პოლკოვნიკ თავად ჭავჭავაძის მეთაურობით ტყიანი ბორცვიდან დაიწყეს ქვემოთ ჩამოსვლა, გადავიდნენ რა მდინარე კინტრიშზე, მარცხენა ფლანგმა ქართული ნაწილების შემადგენლობით დაიწყო სიმაღლეთა დაკავება. მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო იერიშს და უკან დაიხია სანგრებში. **(18)** რუსეთის ჯარს იერიში უნდა მიეტანა ოსმალებზე, რომლებიც განლაგებული იყვნენ კვირიკესა, დაგვისა და ციხისძირის სიმაღლეებზე. **(19)** რუსები ხიშტებით იერიშზე გადავიდნენ, ოსმალები დამარცხდნენ და გაიქცნენ, ბრძოლის ველზე 200 ჯარისკაცი დაკარგეს.

ამის შემდეგ ოსმალებმა დაიწყეს ძლიერი იერიშის მიტანა „სასადილოს მთაზე„ რუსეთის ჯარის ნაწილებმაც მტერს დიდი ბრძოლები გაუმართეს. ამ ბრძოლების დროს მოწინააღმდეგემ დაკარგა 1000 მეტი ჯარისკაცი.**(20)**

16 მაისამდე რუსეთის ჯარის ქვედანაყოფები და ქართული რაზმები ემზადებოდნენ შემდგომი შეტევისათვის. მოწინააღმდეგეს ამ დროს თავისი ავანგარდით სამების სიმაღლეები ეკავა მდინარე კინტრიშის მიმართულებით, ეს კი მეტ დაბრკოლებას წარმოადგენდა (განსაკუთრებით თოვლის დნობის პერიოდში). მდინარე კინტრიშზე ფეხით მხოლოდ რამდენიმე ადგილზე შეიძლებოდა გადასვლა, ამასთან ერთადერთი ხიდი მტერმა 29 აპრილს უკანდახევისას დაწვა. საჭირო იყო ახალი ხიდის აგება, ეს კი მოითხოვდა კინტრიშის ორივე სანაპიროს ხელში ჩაგდებას, ე.ი. სამების სიმაღლეების დაკავებას. რუსეთის ჯარის განაყოფებმა ოპერაცია წარმატებით შეასრულეს – სამების სიმაღლეები დაიკავეს. ამით ისინი მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს. რუსეთის ჯარების წინააღმდეგ აღიმართა ძალზე გამაგრებული სიმაგრეები – კვირიკე, დაგვა, რომლებიც დაქანებული ქვის კონცხით უშუალოდ ზღვას ებჯინებოდნენ.

აქ, ამ კონცხზე მდებარეობდა ძველი ქართული სიმაგრე – პეტრას ციხე და ციხისძირის ეკლესია, რომელიც გამაგრებული იყო.

16 მაისიდან ენერგიული მუშაობა გაჩაღდა დაკავებული სიმაღლის – სამების გასამაგრებლად. მდინარე კინტრიშზე აიგო სამი ხიდი, გაიყვანეს გზები, ჯარის მიერ დაკავებული ხუცუბანი გაამაგრეს. მთელი ეს სამუშაოები სრულდებოდა ფარულად, მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად. რუსეთის ჯარები ამ დროისათვის კიდევ უფრო გაძლიერდნენ 38-ე და მე-19 ქვეითი დივიზიების შემატებით, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ ნაწილობრივ ტფილისიდან, ნაწილობრივ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდა ამისა, მათ შეემატათ რამდენიმე ქართული რაზმიც (მილიციელთა) და არტილერისტთა. ამ ძალებით შეივსო ქობულეთის რაზმი, რომელიც ემზადებოდა ციხისძირზე იერიშის მისატანად 11 ივნისისათვის. **(21,22)**

სამების სიმაღლის დაკავებით კინტრიშის ხეობა დიდ მანძილზე ჩაკეტილი აღმოჩნდა. ამ ხეობის მოსახლეობის ნაწილი დამორჩილდა, ნაწილი კი იბრძოდა. ასე გაგრძელდა 2 ივნისამდე. 2 ივნისს, დღის 10 საათზე ოსმალურმა ბატალიონებმა მოულოდნელად დაიწყეს ენერგიული შემოტევა რუსეთის ჯარების განლაგებაზე „სასადილოს მთაზე„ რომლის დაკავებით ოსმალები დაეუფლებოდნენ სამების სიმაღლეს, მაგრამ ქობულეთის რაზმმა ძლიერი ცეცხლით უპასუხა მოწინააღმდეგეს, შემდეგ ხიშტებით გადავიდა იერიშზე და გარეკა ისინი მთის ძირას. მოწინააღმდეგეს უნდოდა ესარგებლა თავისი მრავალრიცხოვნობით და რამდენჯერმე გადმოვიდა შეტევაზე, მაგრამ დარწმუნდა რა იმაში, რომ მისი ცდები უშედეგოა, მით უმეტეს, რომ „სასადილოს მთის„ გარნიზონი სულ ახალ-ახალი ძალებით ივსებოდა, იძულებული გახდა დაეხია ძველ პოზიციებამდე. მოწინააღმდეგემ ამ ბრძოლაში დაკარგა 70 ასკერი, რუსებმა კი მხოლოდ 20.**(23)** 11 ივნისს დილის 6 საათზე ქობულეთის რაზმიდან იგრიალა პირველმა ზარბაზანმა, 7 საათისათვის საარტილერიო ბრძოლა მთელ ფრონტზე გაიშალა. ორივე მხრივ 100-მდე საარტილერიო იარაღი გამაყრუებელი, ჯოჯოხეთური გრიგალივით გუგუნებდა. ამას ემატებოდა ორივე მხრიდან თოფების განუწყვეტელი სროლა. ბრძოლა შეუპოვრად და გმირულად წარმოებდა. კინტრიშის ორივე მხარე თოფის წამლის შავმა ღრუბელმა შთანთქა, ამ ბრძოლებში სხვებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ გურიისა და I-ი ქვეითი ქართული დრუჟინის მეთაური თავადი პოლკოვნიკი **ივანე სულხანის-ძე ჭავჭავაძე**, (1826-1913), რომელსაც 1877 წლის 12 იანვარს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და იმავე წლის 12 ივნისს დაჯილდოვდა წმ.გიორგის –მე-IV ხარისხის ორდენით. **(24)** ქობულეთის რაზმის ნაწილები განაგრძობდნენ ხუცუბნისა და მუხაესტატეს პოზიციების დაცვას, გრძელდებოდა განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლა ორივე მხრიდან. 9 საათისათვის მიწყნარდა მოწინააღმდეგის არტილერია, მაგრამ მალე ხელახლა დაიწყო ბრძოლა. ქობულეთის რაზმის მოიერიშენი მიიწევდნენ წინ მოწინააღმდეგეთა ცეცხლქვეშ. შუადღის 4 საათისათვის ქობულეთის რაზმის ნაწილები მიადგნენ კვირიკეს სიმაღლის მისადგომებს – მოწინააღმდეგის პირველ სანგრებს. გაისმა ქართული „ვაშა„. ქობულეთის რაზმის ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე გამაგრებული ხაზები. მეომრები მკერდითა და ხიშტებით იკაფავდნენ გზას. მოწინააღმდეგემ დიდი გამძლეობა გამოიჩინა, არც ერთ გოჯ მიწას არ თმობ-

და უბრძოლველად. ბრძოლა გრძელდებოდა 13 საათის განმავლობაში. გადაწყდა უკან დაეხიათ. ქობულეთის რაზმის ნაწილების მიერ სამების სიმაღლიდან უკან დახევა ორგანიზებულად მოხდა და დამთავრდა 12 ივნისს.

12 ივნისის ბრძოლები დაბინდებისას დამთავრდა. მოწინააღმდეგემ დატოვა კინტრიშის ხეობა. მან მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღო, დაკარგა 1000 მეტი მებრძოლი. ქობულეთის რაზმმაც განიცადა ზარალი. საომარი პირობები შემდგომისათვის მოითხოვდა ქობულეთის რაზმიდან გამოეყვანათ სამხედრო ძალები, ამან კი მნიშვნელოვნად შეცვალა მისი მოქმედებების სახე. გადაწყდა სამხედრო მოქმედებები გადასულიყო მხოლოდ თავდაცვაზე. ძალების შემცირების გამო რაზმს უნდა დაეტოვებინა როგორც სამების, ისე ხუცუბნის სიმაღლეები და დაეკავებინა მუხაესტატეს მარჯვენა პოზიცია. ქობულეთის რაზმი რამდენიმე თვეს პასიურ, თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა.

ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა ქობულეთის რაზმი, რომელშიც შედიოდნენ ალექსანდროპოლის, ლენქორანის, ზაქათალას, გურიის და სხვა ნაწილები.

ქუთაისისა და ეისკის პოლკების მეთაურად დანიშნულ იქნა ქობულეთის რაზმისადმი № 1 ბრძანებით) ზემოდხსენებული გენერალ-მაიორი ალექსანდრე დენიბეგოვი (დანიბეგაშვილი)

გურიის რაზმმა 1877 წლის 28 აპრილს იერიში მიიტანა ხუცუბნის და ციხისძირის სიმაღლეებზე. 15 ივნისს სტრატეგიული მოსაზრებით უკან დაიხია კინტრიშით მუხაესტატეს პოზიციამდე. **(25)**

1877 წლის 29 აპრილისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტს წარმოადგენდა ხუცუბნის მიდამოები.

მოწინააღმდეგის პირისპირ იბრძოდა ქობულეთის რაზმი, რომელიც განლაგებული იყუ მუხაესტატეს პოზიციებზე და სრულ სამხედრო მზადყოფნაში ელოდა ბრძანების მიღებას, ამავე პოზიციაზე განლაგებულმა არტილერიამ სხვებზე ადრე დაუშინა ცეცხლი მოწინააღმდეგის პოზიციას. **(26)**

ბრძოლა მწვავდებოდა. მოწინააღმდეგე არ თმობდა დაკავებულ ადგილებს, საჭირო იყო განსაკუთრებული ზომების მიღება.

გენერალ-მაიორმა ალექსანდრე დენიბეგოვმა მარჯვენა ფლანგზე გურულების გამოჩენის შესახებ მიიღო ცნობები და ბრძანება გასცა ჯარის ყველა ნაწილი ერთდროულად გადასულიყო იერიშზე, თვითონ წინ წარუძღვა მოიერიშეთ. მოწინააღმდეგემ ერთხელ კიდევ გაუხსნა ცეცხლი მოიერიშეთ, მაგრამ ვერ გაუძლო, ყველა პოზიციიდან ერთდროულად უკან დაიხია და დატოვა ძალზე ძლიერი პოზიციები. **(27)** რუსეთის ჯარის ნაწილებმა მოულოდნელი და მედგარი ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს, რის გამოც იგი გაიქცა მდინარე კინტრიშის მეორე მხარეს და უკან დახევისას დატოვა ბევრი მოკლული და დაჭრილი.

მარცხენა ფლანგზე ქართლის და გურიის ნაწილები სხვებთან ერთად პოლკოვნიკ თავად ჭავჭავაძის მეთაურობით ტყიანი ბორცვიდან დაიწყეს ქვემოთ ჩამოსვლა, გადავიდნენ რა მდინარე კინტრიშზე, მარცხენა ფლანგმა ქართული ნაწილების შემადგენლობით დაიწყო სიმაღლეთა დაკავება. მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო იერიშს და უკან დაიხია სანგრებში. **(28)** 12 ივნისს რუსეთის ჯარების ნაწილებმა დიდი გმირობა და შეუდრეკლობა გამოიჩინეს. არტილერია მამაცურად იბრძოდა. მიუშვებდა რა მოწინააღმდეგეს ახლო, შემდეგ უშუალოდ ანადგურებდა. ქვეითი ჯარი ბრწყინვალედ იცავდა თავისი იარღაის ღირსებას, ის რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე. აქაც ოსმალები მეორეჯერ დამარცხდნენ ყველა პუნქტზე, იძულებული იყვნენ სასწრაფოდ უკან დაეხიათ. მათ ბრძოლის ველზე, სადაც 15 000 ჯარისკაცი მონაწილეობდა, დაეღუპათ 200 კაცი.**(29)** საარტილერიო ბრძოლის დროს რუსეთის არტილერია მოწინააღმდეგის არტილერიის წინააღმდეგ მოქმედებდა ზუსტად და თავდაჭერით.

ციხისძირის ბანაკში შემდეგი ცვლილებები მოხდა: 6 სექტემბრიდან ოსმალების რაოდენობა გაიზარდა, 9 სექტემბერს კი გემებმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნენ წმ.ნიკოლოზის ნავსადგურს (შეკვეთილს). 18 სექტემბერს გემები ქობულეთის მისადგომებთან იდგნენ. იმავე დღეს ციხისძირის ბანაკი შემცირდა.

2 – 28 ოქტომბრამდე გემები მოძრაობდნენ ციხისძირსა, ბათუმსა და სოხუმს შორის.

პოლკოვნიკ, თავად გრიგოლ აბაშიძის გურიის რაზმში შედიოდნენ ოზურგეთის ადგილობრივი ბატალიონი, მესამე და მეოთხე გურიის რაზმები, ოზურგეთის ადგილობრივი ბატარეა და სხვა.

საბრძოლო დამსახურებისათვის აღნიშნული ოპერაციის დროს 1877 წლის 6 აპრილს მას მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და დაინიშნა ტფილისის გუბერნიის სამხედრო უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. **(30)** ქობულეთის რაზმში შედიოდა პირველი და მეორე გურიის რაზმები და იყოფოდა სამ კოლონად.

I-ი კოლონა – მეთაურობდა გენერალ-მაიორი შერემეტიევი. მასში შედიოდნენ პირველი პოლკი და სხვა ნაწილები,მათ იერიში უნდა მიეტანათ მდინარე სალიბაურზე;

II-ე კოლონას მეთაურობდა გენერალ-მაიორი დენიბეგოვი. მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ პირველი გურიის პოლკი და დანაყოფები, რომლებსაც იერიში უნდა მიეტანათ ოსმალეთის პოზიციებზე „სასადილოს მთიდან„ მარჯვნივ;

III-ე კოლონას მეთაურობდა გენერალ-მაიორი, თავადი **მიხეილ შალიკოვი (შალიკაშვილი),** (1832-1909). წარმოშობით ქართველი თავადიშვილი, მაგრამ დაბადებული სტავროპოლის გუბერნიაში.

ომის დასაწყისისათვის მას ეკავა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობა.

ომის დროს დაინიშნა ქუთაისის და გურიის ქვეითი ლაშქრებისგან ნაკრები ბრიგადის მეთაურად.

1886 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. **(31)** დილის 5 საათზე რუსეთის ჯარები ხუცუბნიდან ჩამოვიდნენ და განალაგეს თავისი კოლონა მდინარე კინტრიშის სანაპიროზე, გადაიყვანა ფონზე და გადავიდა შეტევაზე. თავდასხმა იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ მტერი რამდენიმე გნლაგებული ადგილის ხანმოკლე დაცვის შემდეგ გაიქცა. ბრძოლის ველზე კი დატოვა 150 მოკლული.

განაგრძობდნენ რა ენერგიულ შეტევას, დაიკავეს სალიბაურისა და „სასადილოს მთის„ მწვერვალები. ამ უკანასკნელზე აგებული იყო ძლიერი სიმაგრე.

გენერალ-მაიორ დენიბეგოვის კოლონა განლაგდა „ოხოტნიჩის„ ყორღანთან დილის 6 საათზე და უცდიდნენ იერიშის შედეგებს იმ მიზნით, რომ შემდეგ გაერთიანებული ძალით იერიში მიეტანათ ცენტრალურ სიმაგრეებზე.

რუსეთის ჯარებმა დაიკავეს „სასადილოს მთა„ მისი ერთი ნაწილი ჩამოეშვა მარჯვნივ და დაეტაკა მტერს, რომელსაც ცენტრალური სანგრები ეკავა.

გადაწყდა იერიში მიეტანათ დერვიშ-ფაშას ცენტრალურ განლაგებაზე. ამ მიზნით გენერალ-მაიორ დენიბეგოვის კოლონა ჩამოეშვა „ოხოტნიჩის„ ყორღანიდან არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ. ამავე დროს გენერალ-მაიორ შალიკოვის კოლონა განლაგდა მდინარე კინტრიშის გასწვრივ. გენერალ დენიბეგოვის ჯარების მარჯვნივ დივიზიონმა ცეცხლი გაუხსნა ოსმალთა მახლობელ სანგრებს.

ეს ბატარეა, ესროდა რა მტერს 450 მეტრის მანძილიდან, მას დიდ ზიანს აყენებდა. მოწინააღმდეგის ერთი სიმაგრე სულ ერთიანად იქნა განადგურებული ყუმბარებით, იქ განლაგებულმა ოსმალეთის ჯარმა უწესრიგო გაქცევით უშველა თავს. **(32)** მოწინააღმდეგემ გაითვალისწინა რა მის წინააღმდეგ იერიშზე გადასვლისათვის მზადება, საშიშ პუნქტებზე თავი მოუყარა თავისი ჯარების დიდ ნაწილს, გადმოზიდა საველე იარაღები ციხისძირიდან და გახსნა ცეცხლი ყალიბის ქვემეხებიდან. ოთხი ნაღმოსანი მოუახლოვდა სანაპიროს და ცეცხლი გაუხსნა კინტრიშის მთელ ხეობას.

ამგვარად, როდესაც გენერალ-მაიორ დენებეგოვის კოლონას საბოლოოდ ებრძანა გადასულიყო შეტევაზე, ჯარები მზად იყვნენ თავისი ძირითადი ძალებით შეხვედროდნენ მოწინააღმდეგეს. მას ჰყავდა თავის დაქვემდებარებაში გურიის რაზმი, პლასტუნების ბატალიონი და სხვა. ამ შემადგენლობით კინტრიშზე გადასვლა სანგრებიდან მტრის ძლიერ ცეცხლქვეშ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ჯარი სწრაფად გადავიდა მდინარეზე და დაიწყო მოქმედება, მაგრამ რეზერვები დიდ სიძნელეებს წააწყდნენ, მტრის ჯარების ძლიერ ცეცხლქვეშ მათ ვერ შეძლეს 500-ნაბიჯიანი ღია სივრცის უცბად გავლა და მნიშვნელოვანი ზარალი მოსდიოდათ.

ასეთ პირობებში გაიცა განკარგულება დაუყონებლივ გამოეწვიათ ხუცუბანში მუხაესტატედან ახლახან მოსული გურიის რაზმის ორი ასეული და ლენქორანის პოლკის ერთი ბატალიონი, რათა დახმარებოდნენ გენერალ-მაიორ დენიბეგოვის კოლონას. აგრეთვე ბრძანება მიეცა გენერალ-მაიორ შალიკოვს შეტევაზე გადასულიყო მარჯვენა ფლანგიდან ამ ჯარებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მაგრამ ამ დროს დაიღუპა გენერალი შერემეტიევი, მისი კოლონა დარჩა უმეთაუროდ, იერიში შეწყდა და ჯარები ისევ „სასადილო მთაზე„ დაბრუნდნენ. **(33)** მოწინააღმდეგე თავის ძალებს აძლიერებდა და ემზადებოდა შეტევაზე გადასვლისათვის. ამ დროს რუსეთის ჯარების ქვედანაყოფებმა დაიწყეს მოქმედება, მაგრამ ამ ბრძოლაში წარმატების მიღწევის მოპოვებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო.

ამიტომ გენერალ შალიკოვს ებრძანა გადაედო იერიშის მიტანა, დაეფარა გენერალ-მაიორ დენიბეგოვის უკანდახევა და შეენარჩუნებინა „სასადილოს მთა„ მთელი ძალებით ორგანიზებულად გაშორდა მტრის ცეცხლის არეს და დაბანაკდა ხუცუბნის მიდამოებში. **(34)** დილის 3 საათზე გადმოვიდა კინტრიშის მარჯვენა სანაპიროზე, დილის 5 საათზე გურიის რაზმის ორი ასეულის საფარქვეშ გაეშურა „სასადილოს მთისაკენ„ იქ, დასავლეთ თხემზე განლაგდა და 500 მეტრიდან გაუხსნა მოწინააღმდეგეს ცეცხლი.

გენერალ-მაიორ დენიბეგოვის კოლონის უკანდახევის შემდეგ სროლა მოწინააღმდეგის მიმართ წარმოებდა 300 მეტრის მანძილიდან ფინთიხის ყუმბარებით და დიდ ზიანს აყენებდა მარცხენა კოლონას.**(35)**

ასეთია მოკლედ ქობულეთისა და გურიის რაზმების საომარი ოპერაციები, მისი წარმატებები, მარცხი და გაღებული მსხვერპლი.

ისმება კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლებს?

ქობულეთის რაზმის სამხედრო ოპერაციებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1. უპირველეს ყოვლისა, 60 000-იანი ოსმალეთის ჯარი ბათუმში იყო დაბანაკებული;

2. ქობულეთის რაზმს რომ არ ებრძოლა, ოსმალებს შესაძლებლობა ექნებოდათ ბათუმში თავმოყრილი ჯარის ნაწილები გადაესროლად ყარსის მიმართულებით. ეს კი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის ჯარის განლაგებას;

3. ქობულეთის რაზმის მამაცური ბრძოლა საშუალებას აძლევდა გურიის მოსახლეობას მშვიდობიანი შრომა ეწარმოებინა ზურგში.**(36)**

ამ ომის დროს რუსეთის არმიის ქართველმა ოფიცრებმა და გენერლებმა, საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი ზნეობრივი სიძლიერე, ხასიათის სიმტკიცე, თავდადება და გმირობა გამოიჩინეს.

ქობულეთის რაზმმა, რომელშიც ქართული მილიციის საგრძნობი ნაწილი ითვლებოდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომში, განსაკუთრებით აჭარა-შავშეთის შემოერთების საქმეში. **(37)**

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ЦГВИА.,ф. ВУА.,д.38945.,Л.Л.1-92.,стр.1
2. ЦГВИА.,ф.ВУА.,д.111., Письмо генерала Павлова генералу Оклобжио
3. ЦГВИА.,ф. ВУА.,д.111., Отзыв Кутаисского губернатора от 16.10.1876 № 623
4. Письмо генерала Оклобжио Кутаисскому губернатору от 29.10.1876 № 12
5. Рапорт Кутаисского генерал- губернатора от 29.10.1876 № 1633
6. ზუგდიდის, სენაკის,ქუთაისის და შორაპნის მაზრებში განლაგებული ჯარების სარდლის 1877 წლის 11 აპრილის №2152 მიწერილობა;
7. Историческая записка 1-й пешей Гурийской дружины в войну 1877-1878 (сост. генерал-майор И. Макаев),Тф.,1913.,стр.139
8. ЦГВИА.,ф. 485.,д.1254.,Л.Л.18-19
9. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.18-19,19-об, 33- об
10. Гогитидзе М.- Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии, Кн.1., Тб.,2007.,стр.267
11. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.18-19,19-об, 33- об
12. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.14

13. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.15
14. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.16
15. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.24
16. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.29
17. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.31
18. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.32
19. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.36
20. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.36
21. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.40
22. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.48
23. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.49
24. Гогитидзе М.- Военная элита Кавказа (Ген. и адмир. из Грузии, Кн.1., Тб.,2007.,стр.13
25. ЦГВИА.,ф. 485.,д.1252.,Л.Л.52-53
26. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
27. ЦГВИА.,ф. ВУА., д.111., № 1.,
28. ЦГВИА.,ф. ВУА., д.111., № 1.,
29. ЦГВИА.,ф. ВУА., д.111., № 1.,
30. ЦГВИА.,ф. ВУА., д.111., № 1.,
31. Гогитидзе М.- Военная элита Кавказа (Ген. и адмир.из Грузии, Кн.1., Тб.,2007.,стр.284
32. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
33. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
34. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
35. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
36. ЦГВИА.,ф. ВУА., д.38945.,Л.Л.1-92,стр.1
37. ნ.ჭეიშვილი -„ქობულეთისა და გურიის რაზმები 1877-1878 წ.წ. ომის დროს„ ბათ.,1960.,გვ.151

ეკონომიკა

სულიკო თავბერიძე

ინდივიდის, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართება

თანამედროვე ეპოქაში, ინდივიდის ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება

ნ ინდივიდის უფლებების და თავისუფლების ხარისხი. როგორაა ინდივიდის როგორც თავისუფალი არსების და სახელმწიფოს, როგორც მაიძულებული ინსტიტუტის იმგვარად თანაარსებობა შესაძლებელი, რომ არ დათრგუნოს პირველის ინტერესები და ამავე დროს მეორემაც შეძლოს ფუნქციონირება. სახელმწიფო ის აუცილებელი ინსტიტუტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა იმ ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც განისაზღვრება, როგორც „ომი ყველა ყველას წინააღმდეგ". სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ინდივიდთა ინტერესების დაცვას ამ მოწესრიგების პროცესში, ინდივიდის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა იდეალს მიუახლოვდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში და თუ პრობლემები მაინც არსებობს, ის მოგვარდება ამ სისტემის განვითარებასთან ერთად, როგორც გიდენსი აღნიშნავს, დემოკრატიულობის კრიზისი არასაკმარისი დემოკრატიულობაა.

„პარტიებისა და საპარლამენტო პოლიტიკის მიმართ ინტერესის შემცირება არ არის იგივე, რაც დეპოლიტიზაცია" (7), ახდენს ბეკის ციტირებას ა.გიდენსი და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განვითარებული დემოკრატიის პირობებში, როცა სამოქალაქო საზოგადოების ისეთი სეგმენტები როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, არ შეუძლიათ ფუნქციურად ჩაანაცვლონ სახელმწიფო, რამდენადაც ეს უკანასკნელი უნდა იყოს და არის კიდეც დემოკრატიის პირობებში) გარანტი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა.

თანამედროვე ეპოქაში, ინდივიდის ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე, ძნელი წარმოსადგენია. ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება ინდივიდის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ხარისხი კანონთა შინაარსს სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სისტემა განაპირობებს. როგორაა ინდივიდის, როგორც თავისუფალი არსების და სახელმწიფოს, როგორც მაიძულებელი ინსტიტუტის, იმგვარად თანაარსებობა შესაძლებელი, რომ არ დაითრგუნოს პირველის ინტერესები, და ამავე დროს მეორემაც შეძლოს სრულფასოვნად ფუნქციონირება.

სახელმწიფოს დეფინიციაში დომინირებს მის ძალადობრივ მხარეზე ყურადღების გამახვილება. მ.ვებერი აღნიშნავდა. რომ „სახელმწიფო ადამიანთა ისეთი ერთობაა, რომელიც ერთი, მისთვის ნიშანდობლივი არის შიგნით, თავის ხელში იღებს მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე" (1). მოგვიანებით პ.ბურდიე (4) აღნიშნულს სახელმწიფოს მხრიდან სიმბოლურ ძალადობაზე მონოპოლიასაც დაუმატებს. სიმბოლური ძალადობა, განხორციელებული სახელმწიფოს მხრიდან მიმართულია იმაზე, რომ ზოგადად საზოგადოებაში და კონკრეტულად ინდივიდებში დაინერგოს სააზროვნო სტრუქტურები. აღქმისა და აზროვნების კატეგორიები. რომელიც მის (სახელმწიფოს) არსებობას არა მხოლოდ მისაღებს, არამედ სასურველსაც გახდის საზოგადოებისათვის. მისი რეალიზაციის შედეგად, დაწესებული ინსტიტუტი გვაიძულებს დავივიწყოთ რომ იგი არის ხანგრძლივი ინსტიტუციონალიზაციის შედეგი და წარმოდგება საზოგადოებისთვის ბუნებრიობის ყველა გარეგნული ნიშნით. ფაქტობრივად სახელმწიფოს არსებობა ძალადობრივი მექანიზმის გარეშე წარმოუდგენელია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რამდენად ყოვლისმომცველია და რა ფორმითაა განხორციელებული იგი. თუ სახელმწიფო სოციალური წარმონაქმნია და იგი ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია, თავად ადამიანი ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც სპეციფიკური ნიშანთვისებებით ხასიათდება. ადამიანი თავისუფალი, კონკრეტულ მიზნებზე ორიენტირებული არსებაა, როგორც ე.ფრომი ამბობდა, „ადამიანის არსებობა და თავისუფლება თავიდანვე განუყოფელია" (6), რადგან მას, ბიოლოგიური ინსტიქტის სახით

მოქმედების მზა ფორმულა არ ეძლევა. ადამიანს თავად უხდება პრობლემათა მოგვარების გზებისა და დასახული მიზნის მიღწევის საშუალებათა ძიება. ადამიანს თავისი სპეციფიკა ბუნებრივად გაცნობიერებული ფორმით არ ეძლევა. განვითარების საწყის ეტაპზე იგი თავს ბუნებასთან ერთიანობაში აღიქვამდა, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებდა მის მიერ არაბუნებრივი მოვლენების ბუნებრივად აღქმასა და არააუცილებლის აუცილებლად აღიარებაში ადამიანს არ შეეძლო განესხვავებინა ბუნებრივი და ნორმატიული კანონები, რითაც არსებულ ურთიერთობებს აღიქვამდა, როგორც ობიექტურ, ბუნებრივ მოცემულობას, რითაც ცხოვრებას მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა და ინერტულს ხდიდა. ინდივიდი თავის ცხოვრებას წინასწარ განსაზღვრულად მიიჩნევდა, რომლის რეალიზაციის პროცესში რაიმეს შესაცვლელად ძალა არ შესწევდა. საზოგადოებას, სადაც ინდივიდის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული აუცილებლობით იზღუდება და თითქმის გამოირიცხება ე.პოპერი (5) დახურულს უწოდებს. დახურული საზოგადოება, ისტორიულად, წინ უსწრებს ღია საზოგადოებას, რომელიც ინდივიდს მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე ერთობას და აღიარებას ინდივიდუალურ თავისუფლებას, საყოველთაო აუცილებლობის უარყოფისა და ბუნებრივი და ნორმატიული კანონების განსხვავების საფუძველზე. სახელმწიფო, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას. რომელიც ინდივიდის მაგივრად ადგენს მიზნებს და ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს, რომელიც არ ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანის თვითრეალიზაცია, არ შეიძლება ადამიანის ბუნების შესაბამისი იყოს. თვითცნობიერების ამაღლების შემდეგ ადამიანმა თანდათანობით უარი თქვა თავისი ბუნება შესაბამისობაში მოეყვანა არსებულ წესრიგთან , პირიქით თავად შეეცადა შეექმნა საზოგადოებრივი მოწყობის ისეთი ტიპი , რომელიც თვითრეალიზაციის და თვითდამკვიდრების შესაძლებლობას მისცემდა. ამ მცდელობის შედეგად მე - 20 საუკუნის ბოლო, მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობამ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტიპი აღიარა. შიშსა და ძალადობაზე დამყარებული ძალაუფლება, შეთანხმებულზე დამყარებულმა შეცვალა. ანუ თანხმობის საფუძველზე ხდება ხელისუფლების არჩევა, რომელსაც საზოგადოება ავალდებულებს შექმნას პირობები ადამიანთა თავისუფალი მოღვაწეობისათვის და აძლევს უფლებას მიმართოს იძულების მექანიზმს იმათთან მიმართებაში, ვინც არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებს და საკუთარი ინდივიდუალური მიზნის მიღწევისას, სხვათა თავისუფლების ხელყოფას არ ერიდება. უნდა ავღნიშნოთ, რომ დემოკრატიულ პოლიტიკური რეჟიმი კი უშვებს საზოგადოებრივი აზრის დინამიზმს, თუმცა მცდელობას - ფაქტები, საზოგადოების მიერ აღქმული იქნეს ისე, როგორც მმართველობისათვის მისაღები, ადგილი მაინც აქვს. პ.ბურდიე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებისადმი. იუმის კითხვაზე, თუ როგორ ახერხებენ მცირერიცხოვანი მმართველები მართულთა დამორჩილებას, როცა ეს უკანასკნელები ბევრად აღემატებიან მმართველებს, პ.ბურდიე პასუხობს „სახელმწიფოს არ აქვს იმის აუცილებლობა, რომ გასცეს ბრძანება და ჩაიდინოს ფიზიკური ძალადობა, რომ მოაწესრიგოს სოციალური სამყარო. იგი იმდენად ხანგრძლივად იარსებებს, რამდენადაც სახელმწიფოს შეუძლია აწარმოოს ობიექტური სტრუქტურებთან შეთანხმებული კოგნიტური სტუქტურები, და ამგვარად უზრუნველყოს რწმენა დადგენილი წესრიგისადმი „დოქსიკური მორჩილება: (4) მაგრამ დემოკრატიული სისტემის პირობებში, მოქმედებს მექანიზმი, რომელიც აკონტროლებს, რომ სახელმწიფოს გავლენამ ინდივიდზე კანონით განსაზღვრულს არ გადააჭარბოს. დემოკრატია უშვებს და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, მაშინ როცა, ტოტალიტარული სახელმწიფო მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების განადგურებას. ფ.ფუკოიამა აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ძირითადი პოლიტიკური სიახლე ძლიერი ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნა იყო, რომელზეც საუბარი ძირითადად, მე -2 მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ტოტალიტარიზმი ჩვეულებრივი ავტორიტარიზმისაგან იმით განსხვავდება რომ თუ პირველი სამოქალაქო საზოგადოების კონტროლით კმაყოფილდებოდა, მეორემ მისი სრული განადგურება დაისახა მიზნად" (3).

სამოქალაქო საზოგადოება ეს არის სფერო ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის. მოშე ლევინი ამბობს: „სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს სასარგებლო ბაზისს, აერთიანებს ქსელებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც არსებობს და მოქმედებს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ან არიან ოფიციალური ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლით განავითარონ საკუთარი შეხედულებები ნაციონალურ ან ლოკალურ საკითხებზე და შემ-

დეგ გაავრცელონ ეს შეხედულებები თავიანთ წევრებზე, პატარა ჯგუფებსა და ბოლოს ხელისუფლებაზე". თუმცა ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება იდენტიფიცირდება გაბატონებული რეჟიმის ოპოზიციასთან, დასაწყისში მისი მიზანი იყო საფეხურებრივი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები გაბატონებული რეჟიმის პირობებში, რომ ეს ცვლილებები მიმართული ყოფილიყო სახელმწიფოსგან დაუცველი საზოგადოების მოთხოვნილებებზე". თანამედროვეობაში ინდივიდს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შემდეგი მიმართება არსებობს: სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდთა ცხოვრებას და იცავს მათ ურთიერთაგრესიისაგან; იმ ძალადობისაგან რაც ერთმა ინდივიდმა შეიძლება მიაყენოს მეორეს. უზრუნველყოფს, რომ მათი თავისუფლება არ გადაიზარდოს თვითნებობაში. თავის მხრივ, სახელმწიფოც განიცდის კონტროლს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომ კანონით მინიჭებულ ძალაუფლებას არ გადააჭარბოს და არ შეზღუდოს ინდივიდის უფლებები და თავისუფლება. სახელმწიფომ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა ითანამშრომლოს, მაგრამ ამასთანავე უნდა აკონტროლოს ერთმანეთი. მათ შორის ზღვარი არ არის მუდმივად დადგენილი. სიტუაციური პირობებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხან მეტად ერევა, ხან ნაკლებად სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაში. ღია საზოგადო სფერო მნიშვნელოვანია როგორც ლოკალურ, ასევე ნაციონალურ დონეზე, და არის გზა, რომლითაც დემოკრატიზაცია პირდაპირ უკავშირდება ერთობის განვითარებას და რომლის გარეშეც დიდია რისკი იმისა, რომ ერთობა გამოეყოს ფართო საზოგადოებას და ჩაეფლოს კორუფციაში. „საზოგადო" აქ გულისხმობს ფიზიკურ საზოგადო სივრცეს ლოკალური ერთობის დეგენერაცია გამოიხატება არა მხოლოდ ზოგადი რღვევით, არამედ საზოგადო სივრცის - ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა ადგილების გაქრობით, სადაც ხალხი თავს უსაფრთხოდ გრძნობს. სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცვას სახელმწიფომ, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში. სადაც არ იყო განვითარებული საზოგადო სფერო და ყოველდღიური სოციალურობა სახლით შემოიფარგლებოდა. რესტორნები, კაფეები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები სოციალური ინტერაქციებისათვის შეზღუდული რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება იცავს ინდივიდს სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ძალაუფლებისაგან. თუმცა იგი არ არის სპონტანური წესრიგისა და ჰარმონიის წყარო. სახელმწიფომ უნდა გადაჭრას ამ სფეროში წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რაც შეიძლება გამოიხაროს ერთობის მომავლის შესახებ განსხვავებულ წარმოდგენებში, რომლებიც სხვადასხვა ლოკალურ ჯგუფებს გააჩნია. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ინდივიდები ინტერესთა კონფლიქტისაგან, რის შესაძლებლობაც ყოველთვის არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაში.

ა.გიდენსი აღნიშნავს, სახელმწიფო არსებობს, რომ:

1. უზრუნველყოს განსხვავებულ ინტერესთა რეპრეზენტაციის საშუალებები.
2. განსაზღვროს ადგილი სადაც შესაძლებელი იქნება დაპირისპირებულ ინტერესთა გამოთქმა.
3. შექმნას და დაიცვას ღია საზოგადოებრივი სფერო, სადაც შესაძლებელი იქნება კამათი პოლიტიკური საკითხების შესახებ
4. დაარეგულიროს ბაზარი საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით და წაახალისოს კონკურენცია იქ სადაც მონოპოლიის საშიშროებაა.
5. ხელი შეუწყოს სოციალურ მშვიდობას ძალადობის საშუალებების კონტროლით
6. ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას განათლების სისტემაში მისი მნიშვნელოვანი როლით
7. მხარი დაუჭიროს კანონთა ეფექტურ სისტემას (7).

აღნიშნული ფუნქციების ჩანაცვლება რომელიმე სოციალური ინსტიტუტით ფაქტობრივად შეუძლებელია. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ადგენს და აკონტროლებს იმ ინსტიტუტებს რომელსაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოება, მის ყველა კონკრეტულ სფეროში„ეკონომიკურად სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს ბანკებით, კორპორაციებით, ბირჟებით და კანონით, რომლებიც მართავს შრომით ურთიერთობებს პოლიტიკურად პოლიტიკური პარტიებით, ლობისტთა ჯგუფით. რომელთა საშუალებითაც მოქალაქეები ცდილობენ გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე. კომუნიკაციური სფერო მოი-

ცავს მედიას, გამომცემლობას, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტებს, რომლებიც ცდილობს ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი (8).

ა.გიდენსი საუბრობს მესამე გზის პოლიტიკაზე. რომლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება აღიარება დემოკრატიის უფრო დახვეწილ სრულყოფილ ფორმას აძლევს. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ხალხს მოსწონს დემოკრატია და ფიქრობს, რომ უნდა მოიძებნოს მისი შემდგომი განვითარების გზები, რომ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ხალხის ნდობა და ინტერესები შემცირდა პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პროცესების მიმართ, მაშინ, როცა გამოკითხულთა 90% კმაყოფილია მმართველობის დემოკრატიული ფორმით (7), ანუ ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის გავითარება აღწევს იმ დონეს, როცა არსებული პოლიტიკური მდგომარეობით კმაყოფილება ინერტულს ხდის მოქალაქეებს პოლიტიკური მოვლენების მიმართ, ანუ იქმნება მდგომარეობა, როცა არჩევნებში მონაწილეობს მაქსიმუმ 50%, დარჩენილი ნაწილი კი პროცესში არ ერევა. „საქმე გვაქვს საზოგადოებრივ შეთანხმებასთან, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს ანდობს მმართველობის არჩევას, ხოლო მმართველობას ამ არჩევნების ჩატარებას. ანუ საზოგადოება იყოფა ორად: ისინი, ვინც ხმას აძლევს და ისინი ვინც არ ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას. ეს შეთანხმება მოქმედებს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში და უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ საზოგადოების კონტროლს. თუ საზოგადოების დარჩენილი ნაწილი (არააქტიური) ძალიან შეწუხდა მმართველობით, ის მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და აუცილებლად მოახდენს გავლენას შედეგებზე" (2). ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოება, რომ ეს ინდიფირენტულობა პოლიტიკური პროცესების მიმართ არ გახდეს სოციალური დეზინტეგრაციის მიზეზი. სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ვითარდება ინსტიტუციონალური ინდივიდუალიზმი, რაც ხელს უწყობს აქტიური შემოქმედებითი ინდივიდის ჩამოყალიბებას.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო ის აუცილებელი ინსტუტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს, იმ მდგომარეობას, რომელიც ჰობსის მიერ განისაზღვრა. „როგორც ომი - ყველა ყველას წინააღმდეგ". სამოქალაქო საზოგადოება კი არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდთა ინტერესების დაცვას ამ მოწესრიგების პროცესში. ინდივიდის, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა იდეალურს მიუახლოვდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში და თუ პრობლემები მაინც არსებობს, ის მოგვარდება ამ სისტემის განვითარებასთან ერთად. როგორც ა.გიდენსი აღნიშნავს, დემოკრატიულობის კრიზისის მიზეზი არასაკმარისი დემოკრატიულობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ვებერი. პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა. თბილისი. 1994
2. გ.თევზაძე. საქართველო ძალაუფლების სიმულაციები. თბილისი, 1999
3. ფ. ფუკოიამა. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი, 1999
4. БУРДЬЕ П. ДУХ ГОСУДАРСТВАГЕНЕЗИС И СТРУКТУРА БЮРОКРАТИЧЕСКОГО ПОЛЯ. В КН.„ПОЕТИКА ПОЛИТИКА", СПБ„АЛЕТЕЙЯ", 1999.
5. ПОПЕР К. ОТКРЫТОЕ ОБШЕСТВО И ЕГО ВРАГИ. Т. 1, М, 1992.
6. ФРОММ Э. БЕГСТВО ОТ СВОБОДЫ. М.1997.
7. Giddens A. The thirs way, the renewall of social democracy
8. Nagle O.J. and Mahr A. Democracy and Democratuzation.1999.

ვალერი მოსიაშვილი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ-ს პროფესორი, ბიზნესის მართვის
ფაკულტეტის დეკანი

ნათია ცარციძე.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ-ს ბიზნესის მართვის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

ახალი მიდგომები საბანკო მენეჯმენტში

თანამედროვე მენეჯმენტი ეფუძნება სრულიად ურთიერთ საწინააღმდეგო პოსტულატებს. ამ პოსტულატების თანახმად:

1. ორგანიზაციის გარე გარემო ძლიერ ცვალებადი და მოძრავია;
2. ფირმის ნებისმიერი თანამშრომელი უპირველესად წარმოად გენს პიროვნებას თავისი მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი მოთხოვნილებებით და მხოლოდ შემდეგ – მოგების მიღების „ინსტრუმენტს“;
3. მართვა – ადამიანის საქმიანობის უაღრესად რთული სფე როა, რომლის სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზეა საჭირო.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს წარმოდგენები ახლოსაა ბანკირების უმრავლესობისთვის, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ შედარებით ცოტამ თუ იცის, როგორი მეთოდებითაა საჭირო მათი გამოყენება პრაქტიკაში.

მართვის ძირითადი ბერკეტი. მაშ როგორ უნდა ვმართოთ ბანკი ცვალებადი, თითქმის არაპროგნოზირებადი, მრავალმხრივი გარე გარემოს პირობებში? ნათელია, რომ ხანგრძლივი გეგმების, გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას აზრი არ აქვს, ვინაიდან გარემოებები უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ ჩანაფიქრის განხორციელებას. შესაბამისად, თანამედროვე ბანკის სტრატეგია არა საქმიანობის დეტალურად შემუშავებული პროგრამაა, არამედ მისი მიზნებისა და საშუალებების განზო გადებული კონცეფცია, რომელიც ამასთან მუდმივად განიცდის კორექტირებას გარე პირობების ცვლილებების შესაბამისად.

ნათელია, რომ ბანკის სტრატეგიის შემუშავება და მასში კორექტივების შეტანა უნდა განახორციელონ იმ პირებმა, რომლებიც კარგად იცნობენ მის შიდა და გარე გარემოს. ვინ არიან ისინი? ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ან მმართველობის თავმჯდომარე? მაგრამ ხელმძღვანელს არ შეუძლია თვალი ადევნოს გარე გარემოს ყველა ცვლილებას, ბანკის შიგნით არსებულ წარმოებითი და ადამიანური ურთიერთობების ყველა ნიუანსს. ანალიტიკოსები? მაგრამ გვერდიდან დაკვირვება, ასევე მათ მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები არსათანადოდ სრულ წარმოდგენას იძლევიან სინამდვილეზე, ვინაიდან ანალიტიკოსები ორგანულად არ არიან ჩართული ბანკში მიმდინარე რეალურ პროცესებში. ისინი თვითონ არ გასცემენ კრედიტებს, არ მოიზიდავენ ფინანსურ რესურსებს, არ ურთიერთობენ კლიენტებთან და ა. შ. დასავლურ მენეჯმენტში უკვე დიდი ხანია იპოვეს ამ კითხვაზე პასუხი: მხოლოდ მთელ პერსონალს მთლიანობაში შეუძლია შექმნას ორგანიზაციის სტრატეგია, რომელიც ცვალებადი რეალობის ადეკვატური იქნება.

ბანკის დინამიური სტრატეგიის კოლექტიური შემუშავების მექანიზმის შექმნა ძალიან რთულია, მაგრამ როგორც გამოცდილება აჩვენებს, სრულიად შესაძლებელია, მითუმეტეს, რომ ამას მოჰყვება ნაკლები ფინანსური დანაკარგები, ვიდრე ტრადიციული მეთოდების გამოყენებას. ამგვარი მიდგომის უპირატესობები მდგომარეობს შესამუშავებელი სტრატეგიის არა მხოლოდ უფრო მეტ სიზუსტესა და რეალისტურობაში. თუ სტრატეგია მუშავდება ხელმძღვანელების ან ანალიტიკოსების მიერ, შეიძლება წარმოიშვას თითქმის გადაუჭრელი პრობლემა – მის ღირსებებში სხვა თანამშრომლების დარწმუნება, ვინაიდან ადამიანებს ძნელად სჯერათ ახალი იდეების, თუ ეს იდეები მათგან არ მოდის. ხოლო თუ

ბანკის სტრატეგია პერსონალის საქმიანობის მობილიზების სტიმული არ ხდება, მაშინ ხელმძღვანელს გარდა მართვის წმინდა მატერიალური სტიმულისა რჩება მხოლოდ „უარ-ყოფითი“ სტიმულები – სასჯელები, ბრძანებები, ადმინისტრაციული ზომები, რაც დინამი-ური ბაზრის პირობებში სულ უფრო ნაკლებად მოქმედებს.

მსგავსი მტკიცებები მართებულია არა მხოლოდ სტრატეგიული შემუშავებების დროს, არამედ მართვის პროცესის სხვა ელემენ ტებისთვისაც, როგორიცაა დაგეგმვა, ორ-განიზება, კოორდინირება, კონტროლი. ყველა ეს ფუნქცია შეუძლია შეასრულოს თვითონ პერსონალმა კოლექტიურად. თანამშრომლობა, კოლექტიური ურთიერთქმედება და შემოქ-მედებითი მიდგომა ხდება ბანკის მართვის ძირითადი ბერკეტი.

ხელმძღვანელის ფუნქციები.ჩვენში უკანასკნელ დრომდე მმართველობით სფეროში (მათ შორის საბანკო სფეროში) ხელმძღვანელის როლის შესახებ გარკვეული შეხედულე-ბა იყო გაბატონებული. ითვლებოდა, რომ მართვის ფუნქციები მკაცრად უნდა იყოს გა-მიჯნული აღმასრულებელი, უშუალოდ საწარმოო საქმიანობისგან და უნდა დავიდეს სტრატეგიის შემუშავებამდე, დაგეგმვამდე, ორგანიზებამდე, კონტროლამდე და სხვა ორგა-ნიზაციებთან საგარეო კავშირების განხორციელებამდე. მმართველობითი ფუნქციების შესრულებაში კოლექტივის მზარდი მნიშვნელობის შეგნებამ ხელმძღვანელის როლის შე-სახებ ახლებური წარმოდგენა შექმნა.

1. ხელმძღვანელი იმდენად არ უნდა მართავდეს, რამდე ნადაც ქმნიდეს მაქსიმალუ-რად ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ კოლექტივის თითოეული წევრი თვითონ მი-ისწრაფვოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საქმიანობის მართვაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან უნდა შექმნას ფსიქოლოგიური, სულიერი, მატერიალური სტიმულების სისტემა, რომელიც თითოეულ მუშაკს გაუღვივებს სურვილს იმოქმედოს ორ-განიზაციის ინტერესებში, და რომელი სისტემაც ასევე თავის მხრივ მიისწრაფვის დააკმა-ყოფილოს კოლექტივის თითოეული წევრის პირადი ინტერესი.

2. თანამედროვე ბანკში მუშაკების ფუნქციები თანდათან ისეთი რთული და ინტე-ლექტუალური ხდება, რომ მათი მართვა ბრძანებების და განკარგულებების მეშვეობით ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ ხელმძღვანელმა კი არ უნდა მართოს ამ სიტყვის მიღებუ-ლი მნიშვნელობით, არამედ იყოს ლიდერი.

ამგვარად, ცხოვრების კარნახით ხელმძღვანელი იძულებულია თავისი ძველი როლი-დან – ემსახუროს მხოლოდ საქმეს, გადავიდეს ხელმძღვანელის ახალ როლში – საქმის კეთებასთან ერთად ემსახუროს თავის მუშაკებს. ამასთან ის ისევე, როგორც სხვა მუშაკე-ბი ახორციელებს მართვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს, მაგრამ უფრო აქტიუ-რად, კომპეტენტურად და გატაცებით.

ბანკის ადაპტირებული სტრუქტურის აგება. ფუნდამენტურ ცნებას, რომლითაც გამ-სჭვალულია მოქნილი, ადაპტირებადი სტრუქტურების შექმნის და ფუნქციონირების მთე-ლი პროცესი, წარმოადგენს ცნება „გუნდი“. ამ სიტყვაში მენეჯმენტი დებს არა ჩვენთვის ჩვეულ აზრს – „პროფესიონალების ჯგუფი“, არამედ გაცილებით უფრო ღრმა შინაარსს. გუნდი ნიშნავს განსაკუთ რებული სახით ჩამოყალიბებულ და მართულ კოლექტივს, თვი-თორგანიზებადს და გარდაქმნადს, რომელიც რეაგირებს ნებისმიერ ვითარებასა და ამო-ცანაზე, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმი.

გუნდის შექმნის პრინციპებია:

1. გუნდის თითოეულმა წევრმა კარგად იცის გუნდის წინაშე მდგარი საბოლოო მი-ზანი; უკეთესია, თუ ამ მიზანს გუნდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს;

2. გუნდი მუშაობს როგორც ერთი „ოჯახი“, გააჩნია კოლექტიური და არა პერსონა-ლური პასუხისმგებლობა;

3. გუნდის თითოეულ წევრს გააჩნია უნივერსალური პრო ფესი ონალური და მმარ-თველობითი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს არა მხოლოდ თავისი ინდივიდუალური „ნიშის“ ფარგლებში, არამედ აღიქვას მეზობელ „ნიშებში“ მომუშავე გუნდის სხვა წევრების ქმედებები და მოქნილი ურთიერთქმედება ჰქონდეს მათთან;

4. გუნდის ყოველი წევრი თანაბარი უფლებებით მონაწი ლეობს მთლიანად გუნდის საქმიანობის დაგეგმვაში, თავისი პირადი საქმიანობის დაგეგმვაში, ასევე გუნდის თითოე-

ული წევრის საქმიანობის დაგეგმვაში. სხვა სიტყვებით, „ყველა გეგმავს თითო ეულის საქმიანობას, თითოეული გეგმავს ყველას საქმიანობას“;

5. გუნდის წევრებს შორის როლები, ფუნქციები და ვალდებულებები ნაწილდება არა მკაცრად და მკვეთრად, არამედ მიახლოებით, თითოეულს რჩება მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა. დაგეგმვის პროცესში ფუნქციების განაწილება რეგულარულად გადაიხედება;

6. გუნდის წევრებს შორის უნდა არსებობდეს ფსიქოლო გი ური თავსებადობა;

7. მართვის ყველა ფუნქციას გუნდი ახორციელებს ერთობლივად. ხელმძღვანელს რჩება მხოლოდ ლიდერობის, კოორდინაციის და გუნდის ფარგლებს გარეთ მისი ინტერესების გამოხატვის ფუნქცია.

მხოლოდ მსგავსი სახით შექმნილ გუნდს შესწევს ძალა იყოს ერთიანი ორგანიზმი, რომელიც მგძნობიარედ რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებებსა და პრობლემაზე.

ეფექტურად მოქმედი გუნდების შექმნა რთულია, ამისათვის საჭიროა დიდი ძალისხმევა და დრო. უკეთესია მათზე გადასვლა მოხდეს თანდათან, შუალედური რგოლის – ე.წ. მატრიცული სტრუქტურების საშუალებით. მატრიცული სტრუქტურების არსი მდგომარეობს ახალი ამოცანების გადასაჭრელად დროებითი ჯგუფების შექმნაში, რომლებშიც შედიან სპეციალისტები ბანკის სხვადასხვა განყოფილებებიდან და ქვედანაყოფებიდან. მაგ., ბანკი იწყებს პლასტიკური საკრედიტო ბარათების დანერგვას. შეიძლება ტრადიციული გზის გამოყენება – ახალი სპეციალისტების აყვანა და შესაბამისი განყოფილების შექმნა. რამდენი ურთულესი პრობლემა წარმოიქმნება ამ დროს – ყველასათვის ცნობილია. მაგრამ შესაძლებელია შეიქმნას მატრიცული სტრუქტურა – ჯგუფი, რომელშიც შევლენ სპეციალისტები საკრედიტო, ანალიტიკური, იურიდიული, მარკეტინგის განყოფილებებიდან, ბუღალტერიიდან, სარეკლამო სამსახურიდან და ა. შ. ამასთან ჯგუფში მუშაობა მასში ჩართული სპეციალისტის მიერ უნდა განიხილებოდეს არა როგორც დამატებითი დატვირთვა, არამედ როგორც ძირითადი საქმიანობა. სპეციალისტს ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოეჭრება, მაგრამ მასთან კავშირს არ წყვეტს. მუშა ჯგუფი არა მხოლოდ უნდა მონაწილეობდეს ახალი ქვედანაყოფის შექმნაში, ანუ არჩევდეს კადრებს, უწევდეს კონსულტაციას, ქმნიდეს საქმიანობის კონცეფციას და ა.შ., არამედ რეალურად მუშაობდეს როგორც ბანკის ქვედანაყოფი იმ დრომდე, ვიდრე არ ჩამოყალიბდება გუნდის ბირთვი, არ გამოიკვეთება ლიდერი, არ ჩამოყალიბდება ქვედანაყოფის მუშაობის სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია. ამგვარი ჯგუფის შექმნა მრავალი ამოცანის გადაჭრის საშუალებას იძლევა, რომლებიც მხედველობის გარეთ რჩება ტრადიციული მიდგომებისას:

1. ახალი ქვედანაყოფი მუშაობას იწყებს არა ნულიდან, არამედ საკმაოდ მაღალი დონიდან, რადგან ახდენს ბანკის მთელი კოლექტივის ცოდნის და გამოცდილების კონცენტრირებას. ეს აუცილებელია, ვინაიდან ნებისმიერი პრობლება, ერთი შეხედვით ისეთი „ვიწროც“ კი, როგორცაა პლასტიკური ბარათების დანერგვა – სინამდვილეში კომპლექსური პრობლემაა, რომელიც შეხებაშია ბანკის საქმიანობის ყველა სფეროსთან: საკრედიტო და სადეპოზიტო პოლიტიკასთან, ბაზრის ახალი სეგმენტების გამოვლენასთან, არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნასთან, ახალი ინფორმაციული ნაკადების შექმნასთან, კლიენტებთან ურთიერთქმედების ფორმების ცვლილებასთან, უსაფრთხოების და რეკლამის საკითხებთან და ა.შ.

2. უზრუნველყოფილია ბანკის სხვა სამმართველოებსა და განყოფილებებთან ახალი ქვედანაყოფის ურთიერთქმედების აუცილებელი ხარისხი. ამგვარად, ნებისმიერ პრობლემაზე ბანკი რეაგირებს არა თავისი ცალკეული ქვედანაყოფით, რომელიც „პასუხისმგებელია მოცემული პრობლემის გადაჭრაზე“, არამედ ყველა ქვედანაყოფით ერთდროულად ნებისმიერი ამოცანის კომპლექსურობის გათვალისწინებით.

თანამშრომელთა საქმიანობის სტიმულირების მოქნილი სისტემის შექმნა. საუკეთესო სტიმული, რომელიც თანამშრომლებს უბიძგებს ეფექტური მუშაობისაკენ არის დაუყოვნებლივი და სამართლიანი რეაქცია მათ ქმედებებზე. თუ მუშაკი წაახალისეს ან დასაჯეს დაუმსახურებლად, ან ეს მოხდა ძალიან გვიან, ან ყველას მიმართ გამოიყენეს ერთნაირი ზომები ინდივიდუალური დამსახურებების გათვალისწინების გარეშე, ამ „სტიმულის“ ეფექტი, როგორც წესი, მოსალოდნელის საპირისპიროა. ასე, პრაქტიკულად არ იძლევა

შედეგებს მთელი კოლექტივისათვის ერთდროულად და თანაბრად ხელფასის მატება. ერთადერთ ფართოდ გამოყენებად, ნამდვილად შედეგიან სტიმულს წარმო ადგენს თანამშრომელთა დაწინაურება. თუმცა ეს ზომა შეუძ ლებელია გამოყენებულ იქნეს ყველას მიმართ და თანაც გამოიყენება საკმაოდ იშვიათად. აშკარაა, არსებობს სტიმულების სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მოიცავს როგორც ბანკის, ისე თანამშრომლების მრავალმხრივი ინტერესების ფართო წრეს. არ შეიძლება მათი დაყვანა მხოლოდ მატერიალურ წახალი-სებამდე: მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს მორალურ-ფსიქო-ლოგიური სტიმულების სწრაფად მზარდ მნიშვნელობას. ამასთან არ შეიძლება მატერიალური სტიმულების ქმედითობის უგულებელ-ყოფა, თუ რა თქმა უნდა ისინი გამოიყენება დასაბუ თებულად.

1. მატერიალური გასამრჯელო. დასავლეთის ქვეყნების კომპანიების გამოცდილება მოწმობს, რომ მიზანშეწონილია მატერიალური გადახდების დაყოფა მუდმივ (საბაზისო) და ცვალებად ნაწილებად. მეორეში გაითვალისწინება: პრემია ქვედანა ყოფის ეფექტური მუშაობისთვის, პრემია მოცემული მუშაკის კარგი მუშაობისთვის, დანამატები პროფესიული ზრდისთვის, ასევე უცხო ენების და კომპიუტერის ცოდნისთვის, პრემია ინიციატივის გამოჩენისა და პროექტების წარმოდგენისთვის, დანამატები საქმიანობის ახალი მიმართულებების შესწავლისთვის, დანამატები სამუშაოს შეთავსებისთვის და სხვა.

პირველ ეტაპზე, ბანკში არსებული შრომის ანაზღაურების სისტემის თითქმის შეუცვლელად, როგორც მინიმუმ, შესაძლე ბელია განხორციელდეს ხელფასის ყოველთვიური ინდივიდუალური დარიცხვა მისი მოქნილი ცვლილების მეშვეობით საშტატო განრიგით დაწესებული „ჩანგლის“ ფარგლებში. დროთა განმავ ლობაში შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს იდეა მუშაკის მონაწილეობის შესახებ მოგებაში, აქციონერულ კაპიტალში და სხვა ეფექტური ფორმები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მატერიალური გასამრჯელოს ცვალებადი ნაწილი არ წარმოადგენდეს კომერციულ საიდუ მლოებას. მაშინ ის იქნება არა მხოლოდ მატერიალური წახალისება, არამედ ასევე შეასრულებს მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორის როლს: მთელმა პერსონალმა უნდა დაინახოს, რომ კეთილსინდისიერი მუშაობა, ინიციატივა, მუშაკის სწრაფვა თავისი პროფესიონალური შესაძლებლობების გაფართოებისკენ, ბანკისათვის სარგებლის მოტანის სურვილი და უნარი ბანკის ხელმძღვანელობის მიერ აქტიურად წახალისდება.

2. მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულები. მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულირების ხერხების წრე უაღრესად ფართოა. კერძოდ, შეიძლება შემდეგის შეთავაზება:

მუშაკის მუშაობის დადებითი შეფასება მთელი პერსონალის წინაშე ან თათბირზე, რომელსაც ატარებს ბანკის ან ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა;

მადლობის გამოხატვა ბრძანებით პირად საქმეში შეტანით;

ხელმძღვანელების შექება, დადებითი შეფასება თანამშრომელთან პირადი ურთიერთობისას ფორმალური შეხვედ რისას ან არაფორმალური საუბრისას;

მატერიალური სტიმულირების მეთოდების ფსიქოლოგიური შედეგების გათვალისწინება. კერძოდ, ძალიან ეფექტურია „კოლექტიური ეკონომიკური პასუხისმგებლობის“ იდეა, რომელიც ჩვენს სინამდვილეში დისკრედიტირებულია, მაგრამ დიდი წარმატებით გამოიყენება იაპონურ კორპორაციებში. ქვედანაყოფის კოლექტიური მუშაობის შედეგების მიხედვით პრემიის გაზრდა ან შემცირება მის თანამშრომლებს აიძულებს ადეკვატურად შეაფასონ თითოეული მუშაკის წვლილი და ზემოქმედება მოახდინონ იმ თანამშრომლებზე, რომელთა მიზეზითაც მოხდა პრემიის ოდენობის შეცვლა. ასე წარმოიქმნება კოლექტიური კონტროლის ეფექტი;

უარყოფითი ფსიქოლოგიური სტიმულების გამოყენება. პრაქტიკა ადასტურებს მათი მოქმედების ხანმოკლეობას და დაბალ ეფექტიანობას, მაგრამ მათზე უარის თქმა ჯერჯერობით მიზანშეწონილი არ არის. ასეთ სტიმულებს მიეკუთვნება: შენიშვნა, საყვედური, პრემიის ჩამორთმევა, ხელფასის საბაზისო განაკვეთის შემცირება, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა. უარყოფითი სტიმულების დაბალი შედეგიანობის გათვალისწინებით მათი გამოყენება სასურველია მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ზომები ამოწურულია, მაგრამ უშედეგოდ;

თანამშრომლების ჩაბმა ბანკის რეალური მართვის პროცესში. ეს მიდგომა ყველაზე რთული და ფაქიზია, მაგრამ წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ მმართველობით ინსტრუმენტს. მუშაკი ჩართული უნდა იყოს ანალიზის, პროგნოზირების, დაგეგმვის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების, ბანკის საქმიანობის ორგანიზების და კონტროლის პროცესებში. მაშინ ის იგრძნობს მთლიანად ბანკის მუშაობასთან თავის კავშირს, შეიგრძნობს საკუთარ მნიშვნელობას და დაინახავს თავის ნამდვილ გავლენას ხელმძღვანელებზე და მისაღებ გადაწყვეტილებებზე. თუ ეს მიდგომა გამოიყენება სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში, კერძოდ მატერიალურ სტიმულებთან ერთად, იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც აიძულებს მუშაკს შეცვალოს მოსამსახურის როლი მეწარმის როლით, რაც უზრუნველყოფს ბანკის და მუშაკის ინტერესების დაახლოებას და თანხვედრასაც კი.

რეკომენდაციები პერსონალის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.ზოგიერთი ზემოხსენებული დებულება მიზანშეწონილია ჩამოყალიბებულ იქნეს სამახსოვროს სახით, რომელიც ბანკის და მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, ასევე პერსონალის მართვის სამმართველოს მიერ სასურველია მუდმივად იქნეს გამოყენებული. ასეთი სამახსოვროს საფუძვლად შესაძლებელია აღებულ იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. თანამედროვე ქართული ბანკის პერსონალის მართვა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც არ გულისხმობს პერსონალის მხოლოდ ადმინისტრირებას და ბრძანებების გაცემას. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს თანამშრომელთა აქტივობის სტიმულირების მრავალფეროვანი მეთოდები: შრომის ანაზღა ურების და პრემირების მოქნილი სისტემები, მორალურ-ფსიქოლო გიური სტიმულები, შემოქმედებითი მუშაობა, მუშაკების ჩართუ ლობა ბანკის მართვის პროცესში. თუმცა, არსებულ პირობებში ადმინისტრაციულ მეთოდებზე სრულად უარის თქმა ნაადრევია.

2. არ არსებობს ნებისმიერი თანამედროვე ბანკისათვის გამოსადეგი ერთიანი უნივერსალური სტრუქტურა. ყოველი ბანკი სათ ვის სტრუქტურა უნდა აიგოს მხოლოდ მისთვის დამახა სიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით: მეანაბრეების, მსესხებლების, კლიენტების, პარტნიორების, კონკურენტების გათვალისწინებით, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფ ლებას-თან დამოკიდებულების გათვალისწინებით, ფინანსური საქმიანობის პარამეტრების, მაკროეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით და სხვა.

3. ბანკის ფუნქციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურა არ უნდა წარმოადგენდეს „გაქვავებულ“ სისტემას. ის უნდა იყოს მოქნილი ბანკის გარე გარემოს დინამიური ცვლილებების მიმართ, უნდა შეეგუოს ბაზრის და მთლიანად საზოგადოების ახალ რეალობებს, მომხმარებელთა ცვალებად ინტერესებს. მიზანშე წონილია გამოყენებულ იქნეს მატრიცული სტრუქტურები, საპროექტო ჯგუფები, გუნდების ფორმირების მეთოდები.

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გაძლერებას, რაც ბიზნესის ნებისმიერ სფეროში შეიძლება მივაკუთვნოთ რთულად გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს. ურთიერთქმედება უნდა ხორცი ელდებოდეს არა მხოლოდ ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს შორის, არამედ თითოეული მუშაკის დონეზეც. სასურველია დაინერგოს ქვედანაყოფების ერთობლივი საქმიანობის ფორმები: ურთიერთსწავლება, ერთობლივი დაგეგმვა, პროგნოზირება, პრო ექტების და ხელშეკრულებების შემუშავება, თათბირები და ა. შ.

5. აუცილებელია ბანკში ანალიტიკური საქმიანობის ხელშეწყობა არა მხოლოდ სპეციალური ქვედანაყოფების შექმნით, არამედ ბანკის მთელი პერსონალისათვის ანალიტიკური მუშაობის ელემენტების სწავლება. სასურველია სისტემური ანალიზის, პროგნოზირების, დაგეგმვის, მოქნილი სტრატეგიების შემუშავების ინსტრუმენტების გამოყენება.

6. აუცილებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს ბანკის საქმიანობის დაგეგმვას. დინამიური ბაზრის პირობებში გეგმა არ უნდა ატარებდეს მკაცრი სქემის ხასიათს, რომელიც შემუშავებულია ხანგრძლივი ვადით. თანამედროვე გეგმა ეფუძნება ბანკის შიდა და გარე გარემოს განვითარების კომპლექსურ პროგნოზირებას და მის განზოგადებულ სტრატეგიას. მიღებული გეგმა უნდა იყოს კანონი, რომლიც აუცილებელია შესასრულებლად, თუმცა ის რეგულარულად უნდა გადაიხედოს ბანკის გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებების გათვალის წინებით. ვინაიდან გეგმა უნდა მოიცავდეს ბანკის საქმიანობის ყველა მხარეს, მის გარშემო მიმდინარე ყველა პროცესს, ამიტომ მის შემუშავებაში საჭი-

როა ჩართული იყოს ბანკის თანამშრო მელთა მაქსიმალური რაოდენობა, ყველა რანგის ხელმძღვანელები, გარე კონსულტანტები, მეცნიერები, დამფუძნებლები და საბანკო პროდუქტების მომხმარებლები.

7. თანამედროვე საბანკო საქმიანობა ხასიათდება სირთულის და დინამიურობის მაღალი ხარისხით, ამიტომ ბანკის თანამ შრომლებს უნდა გააჩნდეთ არა მხოლოდ პროფესიონალური ცოდნა და გამოცდილება, არამედ ბანკის საერთო სტრატეგიის შე სა ბა მისი სწრაფი, ეფექტური და დამოუკიდებელი გადაწყვე ტილებების მიღების უნარი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მათი ჩართვით ბანკის მართვის პროცესში, ბანკის სტრატეგიის და გეგმების კოლექტიური შემუშავების პროცესში, მიღებული გადაწ ყვეტილებების შესრულებაზე ერთობლივი კონტროლის პროცესში.

8. თანამედროვე ბანკის ხელმძღვანელმა რეგულარულად უნდა გადახედოს და სრულყოს საკუთარი ფუნქციებიც. მისი როლი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ მეთაურის, მკაცრი ადმინისტრატორის დონემდე. დღევანდელ პირობებში მან სულ უფრო მეტად უნდა აიღოს საკუთარ თავზე ლიდერის ფუნქციები, ანუ თანამშრომლებზე მოახდინოს ზემოქმედება არა მხოლოდ ბრძანების ძალით, არამედ ავტორიტეტით, ცოდნით, კომპეტენ ტურობით, საქმისადმი ერთგულებით და პირადი წესიერებით.

9. ბანკის პერსონალის მუშაობის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტის სახით მიზანშეწონილია კვალიფიკაციის მუდ მივი ამაღლების, კადრების სწავლების ორგანიზაცია. სწავლების სისტემა უნდა იყოს მრავალდონიანი, მოიცავდეს ბანკის მთელ პერსონალს უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩათვლით. სწავლების ტრადიციული ფორმების გარდა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შიდასაბანკო სწავლება საქმიანი თამაშების, ურთიერთ სტაჟი-რების, თვითგანვითარების ინდივიდუალური გეგმების რე ალიზა-ციის სახით.

10. პერსონალის მართვის სრულყოფა სასურველია გახდეს ბანკის ხელმძღვა ნელის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართუ ლება. მიზანშეწონილია ბანკის საბჭოს თავმჯდომარის დონეზე შეიქმნას მმართველობითი კონსულტირების ჯგუფი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე გააერთიანებს სხვადასხვა ქვედანაყოფებიდან სისტემურად მოაზროვნე სპეციალისტებს, ასევე სასურველია შემოღებულ იქნეს მართვის საკითხებში თავმჯდო მარის მრჩევლის თანამდებობა. მომავალში ბანკის სტრუქტურაში მიზანშეწონილია შეიქმნას მმართველობითი კონსულტირების ქვედანაყოფი.

ჯუმბერ ხარაიშვილი

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების რეტროსპექტივა

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობების განვითარება საშუალებას იძლევა, ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის სადაზღვევო პროდუქტის ბაზარი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის დაპროფესიული დონის სწრაფმა ზრდამ. დღეს საქართველოში სადაზღვევო კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში.

საზოგადოდ, სიცოცხლის დაზღვევის გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სამოგზაურო დაზღვევის სახის განვითარება. ამ სფეროში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ლიდერობს „ალდაგი ბისიაი“. სტანდარტული დაფარვების გარდა, რომელშიც დაზღვეულის მიერ, საზღვარგარეთ, გადაუდებელი სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება მოიაზრება, ქართულ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტში გვხვდება ახალი დაფარვები, კერძოდ ბარგის დაგვიანების, რეისის გადადების, ბარგის დაკარგვის რისკები. ამ სფეროში არსებობს მოთხოვნაში და სამოგზაურო დაზღვევაზე, რაც გულისხმობს უცხოელების მიერ საქართველოში სამოგზაურო დაზღვევის შეძენას, რომელიც გავრცელდება საქარ-

თველოზე. სამწუხაროდ აღნიშნულ პროდუქტს არც ერთი სადაზღვევოკომპანიაარსთავაზობსმომხმარებლებს, სასურველიათუმოხდებაამკუთხითპროდუქტისდახვეწადაგანვითარება.

სადაზღვევოპროდუქტებსშორისქართულსადაზღვევობაზარზემაღალიმოთხოვნითსარგებლობსჯანმრთელობისდაზღვევა, რადგანიგიერთ-ერთიყველაზეეფექტურისაშუალებაიმისათვის, რომსამედიცინომომსახურებახელმისაწვდომიიყოსადამიანებისთვის.

საქართველოშივერვითარდებაჯანმრთელობისინდივიდუალურიდაზღვევა. საქართველოშიინდივიდუალურიდაზღვევისპირველიპოლისი 5 წლისწინგამოჩნდა. თუმცადაზღვევისესმიმართულებაძალზენელიტემპითვითარდებადამთლიანპოლისებშიმხოლოდ 10 პროცენტსიკავებს. საქართველოშიისევეროგორცდანარჩენმსოფლიოში, ჯანმრთელობისდაზღვევარამდენიმესაშუალებითშეიძლება: კორპორატიულად – პოლისებითანამშრომლებისთვის, სახელმწიფოსუმწეოთადაზღვევისპროგრამაშიმონაწილეობით, სახელმწიფოუწყებათათანამშრომლებისთვისშეთავაზებულიპოლისებითდაინდივიდუალურიპოლისისფარგლებში.

ამდროისთვისსაქართველოდაზღვეულთარაოდენობისმხრივგანვითარებულქვეყნებსმნიშვნელოვნადჩამორჩება. დაზღვეულიამოსახლეობისმხოლოდ 40 პროცენტი. აქედანსახელმწიფოსსოციალურიპროგრამისფარგლებში 500 ათასი, სახელმწიფოუწყებებიდან 300–400 ათასი, დანარჩენიკიკორპოპარიუტიულადპოლისებისმფლობელებიარიან. დარჩადიდიარმიაპოტენციურიკლიენტებისა, რომელთაუმრავლესობამარცკიიცის, რომშეუძლიასაკუთარიჯანმრთელობარისკებისგანდაიცვას.

მაგალითისთვის, აშშ–შიპირველადიმოხმარებისპროდუქციისშემდეგოჯახისხარჯებშიპრიორიტეტისწორედჯანმრთელობისდაზღვევასუჭირავს. მართალიაშტატებშიყოველთვიურისადაზღვევოპრემიათვეში 200–დან 800 დოლარამდემერყეობს, თუმცაიქფაქტობრივადიშვიათიამოქალაქერომელიცპოლისსარფლობს.

საქართველოშიინდივიდუალურიდაზღვევისგანვითარებასხელსრამდენიმეფაქტორიუშლის:

1. ინფორმაციისნაკლებობა – როგორცვთქვით, მოსახლეობასარგააჩნიაზუსტიინფორმაციათურასმოიცავსჯანდაცვისპოლისები, როგორგამოიყენოსისინი, როგორმიიღოსსადაზღვევოანაზღაურება;

2. დაბალისადაზღვევოკულტურა: მოსახლეობისდიდნაწილსსურსმინიმალურფასადარარეალურადდიდისარგებელიმიიღო. ხშირადადამიანებისადაზღვევოკომპანიებსმაშინმიმართავენ, როცაგადაუდებელიქირურგიულიჩარევაანსხვაძვირადღირებულისამედიცინომომსახურებასჭირდებათ. სწორედამიტომაარომკომპანიებიცასეთპოლისებშიგეგმიუროპერაციებსარაერთიანებენ. გარდაამისაინდივიდუალურიდაზღვევითროგორცწესიმოსახლეობისუმუშევარინაწილისარგებლობს, რომელიცარცუმწეოთაფენასგანეკუთვნება;

3. მეორემიზეზიდანგამომდინარეპასიურობენთავადმზღვეველებიც. კომპანიებიინდივიდუალურიდაზღვევისპოლისებისაქტიურპრომოუშენსერიდებიან, ვინაიდანმაღალიარისკები, რომდაზღვეულიძვირადღირებულსამედიცინომომსახურებასმოითხოვს. მიუხედავადიმისა რომმზღვეველთაუმრავლესობაინდივიდუალურადმისულმოქალაქესწინასწარდიაგნოსტიკასუტარებს. თუმცაესპასიურობაიმისწინაპირობაა, რომდაზღვევისესმიმართულებაშესაძლოაკიდევდიდხანსდარჩესგანვითარებისდაბალდონეზე.

პირველიკომპანია, რომელმაცქართულბაზარზეინდივიდუალურიდაზღვევაშემოიტანა (2006 წელს) „ალდაგიბისიაი“ იყო. სადაზღვევოკომპანიაალდაგიბისიაიმშექმნაინოვაციურიპროდუქტი „მედიქქარდი“, რომლისმთავარიმესიჯია „დაეზღვიემაშინ, როცაგჭირდება“, ადამიანსხშირადუჭირსსაკუთარირისკიშეაფასოსწინასწარდამითუფროგადაიხადოსთანხაამრისკისმინიმიზაციაში. სწორედაქედანგამომდინარეალდაგიბისიაიმმთლიანადშეცვალასადაზღვევოპროდუქტისკონცეფციადამომხარებელსმისცასაშუალებაზუსტადმაშინიყიდოსდაზღვევა, როცამასსჭირდებ. „მედიქქარდი“ კისაშუალებასმისცემსდაზღვევისმსურველსშეიძინოსსადაზღვევოპოლისისამედიცინომომსახურებისმიღებამდე 5 წუთითადრე. მომხმარებელს, ასაკისშეუზღუდავად, საშუალებააქვსშეიძინოსჯანმრთელობისდაზღვევისპროდუქტი 99 ლარად, თანხისგადახდისთანავედაზღვეულსშეუძლიამიიღოსსამედიცინომომსახურება.

2011 წლისდასაწყისიდანკომპანიაუკვერიგითმეორეუნიკალურსადაზღვევოპროდუქტსუშვებსდაამმიმართულებითმუშაობასკვლავგანაგრძობს. პირველადსადაზღვევობაზარზემომხმარებელსშესაძლებლობაექნებამშობიარობადააზღვიონორსულობისპერიოდში, (6–თვემდე) ხოლოსადაზღვევოპრემიაგადაიხადოსეტაპობრივად, თვეშიერთხელ.

ექსპერტებისსაერთოშეფასებით, ინდივიდუალურიდაზღვევისგანვითარებისთვისკომპანიებსძალებისგაერთიანებამართებთ. ამმიზნითმიზანშეწონილიაერთობლივისარეკლამო–საინფორმაციოკამპანიისდაწყება, თუმცაპირველეტაპზემზღვეველებსდიდფინანსურრისკებთანგამკლავებამოუწევთ. დაზღვეულთარაოდენობისზრდაავტომატურადქვეყანაშისოციალურიფონისგაუმჯობესებასნიშნავს. ესერთგვარირევოლუციურინაბიჯიშედეგსგამოიღებსდაქვეყანაშიდაზღვეულთარიცხვიმნიშვნელოვნადგაიზრდება.

გასულიწლისგანმავლობაშისადაზღვვოსექტორისგაფართოებისფონზედაზღვევისმედიაციისსამსახურშისადაზღვევოკომპანიებისმიმართ 1861 საჩივარიდაფიქსირდა. განხილულიგანაცხადებიდან 36% აისიჯგუფზემოდის, ჯიპაიჰოლდინგისდაიმედიელისმიმართდაგროვილისაჩივრები 22 %-სშეადგენს, დანარჩენიკინაწილდებაარქიმედესგლობალჯორჯიაზე, ალდაგიბისიაიზედაირაოზე. უკმაყოფილებაძირითადადგამოწვეულიააუნაზღაურებელიზარალებითდანაკლებკვალიფიციურიმომსახურებით. უკმაკოფილოდაზღვეულებისახელმწიფოპროექტებისფარგლებშიდაზღვეულიმოსახლეობაადასაჩივრების 8% სადაზღვვეოკომპანიასდადაზღვეულსშორისდავაა, რომელიცმედიაციისსამსახურისშუამავლობითაარრეგულირდება.

პრობლემებისმთელჩამონათვალსაგრძელებსინფორმაციისნაკლებობამზღვეველსადადაზღვეულსშორისუფება-მოვალეობათაშესახებდაკიდევერთიპრობლემაასაფასომოლოდინი.დღესმისაღებისადაზღვევოპაკეტისშეძენამინიმუმ 70-150 ლარსსაჭიროებსყოველთვიურად. გარდაამისა, კომპანიებმადაიწყესშეთავაზებულიპაკეტებიდანსადაზღვევორისკებისმაქსიმალურადამოღებადახშირადსადაზღვევოპოლისიგამოიყენებამხოლოდგადაუდებელისადაზღვევოშემთხვევისდროს. ამპროცესისერთგვარახსნასვპოულობთ„იაფიდაზღვევის“ანუსახალხოსამედიცინოდაზღვევისპროდუქტისანალიზისას. აღნიშნულპროგრამასთანდაკავშირებითკიშეიძლებაითქვას, რომმთვარობისდასადაზღვევოკომპანიებისმოლოდინებინაწილობრივარგამართლდა. დაგეგმილზებევრადნაკლებიპოლისიგაიყიდა, რადგანსაზოგადოებისდობაამპროექტებისადმინულოვანიიყოდასადაზღვევობიზნესშინდობისფაქტორიუმნიშვნელოვანესია, თუმცაადსანიშნავიაისფაქტი, რომდაზღვევისმომხმარებლისკულტურისამაღლებასდიდადშეუწყოხელისახელმწიფოსადაზღვევოპროექტებმა.

მსოფლიოფინანსურიკრიზი, ქართულსადაზღვევოსექტორზემეტ-ნაკლებადაისახა, რადგანფსიქოლოგიურიფაქტორიპირდაპირდაკავშირებულიაფინანსებთან, საქართველოშიკაპიტალისდაგროვებაანსოციალურისაჭიროებებისთვისმისიგამოყენებაშემცირდა. მოსახლეობაუწინდებურადაღარაფინანსებსსაკუთარსოციალურსაჭიროებებს. ესტენდენციაპირდაპირაისახასამედიცინო, ასევექონებისდაზღვევაზე. ორგანიზაციებიდამოქალაქეებიიწყებენეკონომიისგაკეთებასთავისხარჯებშიდაესეკონომიაპირდაპირაისახებასადაზღვევოკომპანიებზე, იმდენადრამდენადაცკორპორაციებიზოგავენთავიანთფინანსურფონდებს. სადაზღვევოპორტფელებისფორმირებასახელმწიფოსმიერგანხორცილებულისადაზღვევოპროგრამებისხარჯზეხდება (პედაგოგებისდაზღვევა, სიღარიბისზღვარსქვემოთმყოფიმოსახლეობისდაზღვევა, იაფიდაზღვევა, საყოველთაო დაზღვევა).

მსოფლიოკრიზისისმიუხედავადსაქართველოშისისტემამგანაგრძოზრდა, რომლისდინამიკამ 2008 წელსთითქმის 100%-სგადააჭარბა. ბაზარზეკვლავდომინირებენტრადიციულილიდერები: ალდაგიბისიაი, ჯიპაიჰოლდინგი, იმედიელი, აისიჯგუფი, ირაო, პოზიციებსიმაგრებსალფა, რომელიცჯერჯერობითმხოლოდსახელმწიფოპროგრამებზეაორიენტირებული.

შეიძლებაითქვას, რომსადაზღვევოინდუსტრიავითარდებადარეზერვიცდიდია. ფიზიკურიპირებისჭრილშირომგანვიხილოთ, დაზღვეულთასაერთორაოდენობამოსახლების 1/3-სშეადგენს. მათშორის, ალდაგიბისიაისდაზღვეულიჰყავს 250 000-ზე მეტიფიზიკურიპირი, სხვადასხვასადაზღვევოპირობებით. 2/3-ისსადაზვევოურთიერთობებშიჩასაბმელადკისადაზღვევოკომპანიებისმხრიდანდიდიძალიხმევაასაჭირო.პროდუქტებისდახვეწისადამომხმარებლებთანეფექტიანი, ჯანსაღიდაპატიოსანიურთიერობისგაღრმავებისშემთხვევაში, სადაზღვევოსექტორიუსათოუდგაიზრდება.

ვანო შუშტაკაშვილი

ოფშორული საბანკო ცენტრების წარმოშობა და განვითარების ტენდენციები

ფინანსური გლობალიზაციის კიდევ ერთი დამახა სიათებელი ნიშანია ოფშორული ცენტრების წარმოქმნა ანუ საბანკო-საფინანსო ოპერაციების ჩატარება ისეთ ტერი ტო რიებზე, სადაც ინვესტორებს სთავაზობენ ძალიან დაბალ გადასახადს და გამარტივებულ მომსახურებას. ოფშორულ ზონადითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფინანსური სტაბილურობის ფორუმი" ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც „იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობის მაღალდონეს განაპირობებს". ეს აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების შესაძლებლობით. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესი გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა, ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა .

ამავე დროს, ოფშორული საბანკო ცენტრები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ცალკეული კატეგორიები, რომლებიც ასრულებენ საშუამავლო ფუნქციე ბს სესხის ამღებებისა და დეპონენტებისთვის. ოფშორული საბანკო ცენტრების უპირატ ეს ობათა ძირითადი მიზეზია მინიმალური ოფიციალური რეგ ულირე ბა, გადასახადე ბისა და ბანკების ფასიანი ქაღალდე ბის პორტ ფ ელის მართვაზე კონტროლის პრაქტიკულად არ არსებობა.

ოფშორული საბანკო ცენტრების აღმოცენება იყო XX საუკუნის 60-ანი წლების მთავარი მოულოდნელ ობა. მაშინ, როცა მკვეთრად გაიზარდა ევ როსავალუტო ბაზრის მასშტაბები და მოცულობა, ბევრი პატარა ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოფშორული საბანკო ცენტ რე ბის შექმნით, რომლებიც ფლობენ რიგ უპირატესობებს უცხოური ბანკების მოსაზიდად, შეძლებდნენ ადგილობრივი მოსახლე ობის დასაქმების ზრდას. ამავე დროს გაირკვა, რომ ლიცენზიების გაცემით, ბანკების ხარჯე ბითა და სხვა გადასახდელების ხარჯზე მიღებული შემოსავლებისა და სახსრე ბის დაგროვებით ამ ქვეყნებს შეეძლოთ აემ აღლე ბინათ ცხოვრე ბის დონე.

არსე ბ ობს ოფშორული საფინანსო ცენტრების სამი ძირითადი ტიპი: პირველებს აქვთ სპეციალური, ფორმალურად დამყარე ბული შეთანხმება ისეთ ავტორიტეტულ ფინანსურ ცენტრებთან, როგორიცაა ტოკიო, ნიუ-იორკი და სინგაპური. ეს ბაზრები კლიენტებს უზრუნველყოფენ საერთაშორისო საბანკო მომსახურებით, რაც ოფშორული ცენტრების დამახასიათებელი თავისებურებაა.

ოფშორული ბა ზრე ბის მეო რე ტიპი ეს არის ე.წ. ლონდონის ტიპი. ლონდონში, ჰონგ-კონგში და სხვა ადგილე ბში ფინანსური გარიგე ბ ე ბი თავისუფალია შეზღუდვებისგან იმისდა მიუხედავად, ხორციელდება ისინი ბაზრის რეზიდენტი თუ არარეზიდენტი მონაწილე ების მიერ. ამ ადგილე ბში ოფ შო რული ბაზარი ეს არის უბრალოდ ოფშორული გარიგებები არა რეზიდენტებს შორის, რად-განაც აქ შიდა და საერთაშორისო გარიგებები გაერთიანებულია.

ოფშორული ბაზრების მესამე ტიპია ე.წ. „საგადასახადო თავშესაფარი". მათ ხშირად „საგადასახადო ოაზისებსაც" უწოდებენ. ამ კატეგორიას მიეკ უთვნება ბაჰამის და კაიმანის კუნძულე ბის საბანკო ბაზრები. ამ ბაზრებზე არა რეზიდენტების მიერ განხორციელებული საფინანსო გარიგებები საერთოდ არ იბეგრება გადასახადებით.

ოფშორული საბანკო ცენტრები მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული საუკუნის 60-80-ან წლებში ევროპის სავალუტო ბაზრის ზრდის ხარჯზე. ამ პროცესს ხელი შეუწყო ასევე რიგ ქვეყნებში ოფშორული საბანკო ერთეულების გახსნით მიღე ბულმა უპირატესობებმა და ზოგიერთი ქვეყნების მისწრაფებამ მიეზიდათ ოფშორუ-ლი საბანკო ბიზნესი ეროვნუ-

ლი ეკონომიკის განვითარების მიზნით. XX საუკუნის 60-ან წლებში ასეთი ოფშორული საბანკო ბაზრები აღმოცენდა სინგაპურში და ბაჰამის კუნძულებზე. ამას მოჰყვა ანალოგიური პროცესების განვითარება 70-იან წლებში უკვე მანილაში, ბა ხრეინსა და ნორმანდიის კუნძულებზე. მოგვიანე ბით, 80-ან წლებში ოფშორული ბანკები აღმოცენდა ნიუ-იორკში, ტოკიო-სა და ტაივანზე. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია ევ რო-ვალუტის და ოფშორული საბანკო ცენტრები ევროპაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკასა და აზიაში (იხ. ცხრილი 1). ეს ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოგების მიღების მიზნით კაპიტალის მოძრაობის უზრუნველ საყოფად მთელს მსოფლიოში.

ოფშორული ბანკების განლაგება თანამედროვე მსოფლიოში

ცხრილი1

ევროპა	დასავლეთ ნახევარსფერო	აზია
ლონდონი	ნიუ-იორკი მაიამი ლოს-ანჟელესი სან-ფრანცისკო	ტოკიო
პარიზი	ტორონტო	სინგაპური
შვეიცარია	ნასაუ	ჰონგ-კონგი
ლუქსემბურგი	პანამა	ტაიპეი
ფრანკფურტი	კაიმანის კუნძულები	მანილა
ბრიუსელი	ბერმუდის კუნძულები	ვანუატუ
ამსტერდამი	ბარბადოსი	ბახრეინი
ნორმანდიის კუნძულები	ანტიგუა	

ოფშორული საბანკო ბიზნესი. ოფშორული საბანკო ბიზნესი ოფშორული ბიზნესის ყველაზე პრესტიჟული და რთული სექტორია. საბანკო დაწესებულებებს წამყვანი ადგილი უკავიათ ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში, სადაც საერთაშორისო საბანკო საქმიანობისთვის ფართო შესაძლებლობებია შექმნილი. აღნიშნულის შედეგად ოფშორულ ბანკებს ექმნებათ მთელი რიგი უპირატესობები ჩვეულებრივ ბანკებთან შედარებით. ოფშორულ იურისდიქციებში პრაქტიკურად მსოფლიოს ყველა უმსხვილესი ბანკია წარმოდგენილი, რადგან საერთაშორისო საბანკო წრეებში კარგადაა ცნობილი, რომ ეფექტიანი საფინანსო ან საფონდო სქემის განხორციელება, აგრეთვე საგადასახადო დაგეგმვის ორგა-ნიზაცია შეუძლებელია ოფშორული ზონების გამოყენების გარეშე.

ზოგადი ცნებით ოფშორულ ბანკში იგულისხმება სადეპოზიტო ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც აქვს ოფშორული საბანკო ლიცენზია. ამ ტიპის ლიცენზიის შესაბამისად, ბანკის საქმიანობა სფეროში შეზღუდულია და მას შეუძლია ფინანსური მომსახუ რე ო-ბა გაუწიოს მხოლოდ მოცემული ოფშორული იურისდიქციისთვის უცხო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ოფშორული საბანკო ლიცენზიები სხვადასხვა სახისაა. მთლიანობაში ისინი შეიძლება ორ სახედ დაიყოს: შეზღუდული და შეუზღუდავი. შეზღუდული ლიცენზიის მფლობელი ბანკი ემსახურება მხოლოდ თავის აქციონერებს ან ლიცენზიაში/ წესდებაში მითითებულ პირობებს. შეუზღუდავი ლიცენზიით ბანკს იძლევა მომსახურეობის ფართო შესაძლებლობები. აღნიშნული კლასიფიკაციის მიუხედავად, ლიცენზიები განსხვავდება იურისდიქციის შესაბამისად. მაგალითად კაიმანის კუნძულებზე საბანკო საქმიანობისთვის გათვალისწინებულია 3 სახის ლიცენზია:

1) ტიპის შეუზღუდავი ლიცენზია;

2) ტიპის შეუზღუდავი ოფშორული ლიცენზია;

3) C ტიპის შეზღუდული ოფშორული ლიცენზია.

პირველი სახის ლიცენზიით მის მფლობელს შეუძლია საბანკო მომსახურეობის სრული კომპლექტის განხორციელება და ბიზნესის წარმოება როგორც კაიმანის კუნძულების ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს არის ყველაზე პერსპექტიული ლიცენზია. ტიპის ლიცენზია ჩვეულებრივ გაიცემა აღიარებული საერთაშორისო ფინანსური დაწესებულების მიერ გახსნილ ბანკსა და სატრასტო კომპანიებზე. ტიპის ლიცენზიის მფლობელ ბანკს კაიმანის კუნძულებზე უნდა ჰქონდეს მუდმივი ოფისი და გამოცდილება ადგილობრივ საბანკო საქმეში. ამ ტიპის ლიცენზიის ყოველწლიური გადასახდელი 42 000 კაიმანურ დოლარს შეადგენს.

მეორე სახის ლიცენზიით ბანკს შეუძლია საბანკო და სატრასტო ბიზნესის წარმოება კაიმანის კუნძულების არარეზიდენტ კლიენტებთან, მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამ ლიცენზიის წლიური ღირებულება არის 12 600 კაიმანური დოლარი.

მესამე სახის ლიცენზიით ბანკს შეუძლია მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული საქმიანობის სახეების განხორციელება და კაიმანის კუნძულებისთვის არარეზიდენტ კლიენტებთან მუშაობა. C ტიპის შეზღუ დული ოფშორული ლიცენზიის მფლობელი ბანკები ჩვე ულებ რივ იქმნება მცირე ფინანსური გარიგებების განხორციელებისათვის. ამ ლიცენზიის ღირებულება 6 000 კაიმანური დოლარია.

ოფშორული საბანკო ბიზნესი ეფუძნება ოფშორულ დეპოზიტებს, რომელიც წმინდა ბუღალტრული სახით ეროვნული კონტროლიდანაა ამოღებული. ოფშორული დეპოზიტი მოკლევადიანი ანაბარია, რომელიც ბრუნავს საერთაშორისო სივრცეში და არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფოს რეგულირებას. ოფშორული დეპოზიტებისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური თავისებურება. ის არსებობს არა მეანაბრის მიერ თანხების შეტანის შედეგად, არამედ შიდა ეროვნულ ბაზარზე უკვე არსებული დეპოზიტის ოფშორულ საფუძველზე გადაგზავნით. მაგალითად, დავუშვათ ამერიკელ მეანაბრეს, რომელსაც აქვს ვადიანი ანაბარი ამერიკულ ბანკში აშშ-ში, სურს მისი გადაგზავნა დოლარების (ოფშორულ) დეპოზიტზე ლონდონში. ამ შემთხვევაში ამერიკულმა ბანკმა კლიენტის ანგარიშიდან (ვადიანი დეპოზიტიდან) შესაბამისი თანხა დებეტით უნდა გადაიტანოს ლონდონის ბანკის (ან ლონდონში არსებული თავისი ფილიალის) მიმდინარე ანგარიშზე „ლორო", რომელთანაც მას აქვს საკორესპონდენტო ურთიერთობა. თავის მხრივ, ლონდონის ბანკი კრედიტში ატარებს ამერიკული ბანკის მიმდინარე ანგარიშს (ანგარიში „ნოსტრო") და დებეტში ატარებს კლიენტის ანგარიშს მის სახელზე ვადიანი დეპოზიტის გახსნით.

„ლორო" და „ნოსტრო" საკორესპონდენტო ანგარიში საერთა შორისო ანგარიშსწორებისთვის.

„ლორო" ანგარიში არის: 1) ბანკში კორესპონდენტი ბანკისთვის გახსნილი (საკორესპონდენტო) ანგარიში, რომელზეც შეიტანება კორესპონდენტი ბანკის ყველა კუთვნილი თანხა და საიდანაც მისი დავალების საფუძველზე ხდება თანხების გატანა ; 2) კორესპონდენტი ბანკის მიერ გახსნილი ანგარიში თავისი კორესპონდენტის დავალებით გასაცემი და მისაღები თანხების დასაცავად. „ლორო" ანგარიში შეიძლება იყოს, აგრეთვე მოცემული საკრედიტო დაწესებულების კორესპონდენტ-ბანკთან გახსნილი მესამე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში.

„ნოსტრო" ანგარიში არის ანგარიში, რომელიც აქვს ბანკს კორესპონდენტ ბანკში და რომელზეც შეიტანება ბანკის ყველა კუთვნილი თანხა და რომლიდანაც მისი დავალების საფუძველზე ხდება თანხების გატანა .

ოფშორულ იურისდიქციებში შექმნილი ყველა ბანკი და საკრედიტო დაწესებულება, მათი შექმნის მიზნის შესაბამისად დაყოფილია 3 კატეგორიად:

1. დამოუკიდებელი კლიენტების სრული კომპლექსით მომსახუ რეობისთვის შექმნილი საბანკო დაწესებულებები.

2. ბანკები ძირითადად ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ჯგუფის შიდა ოპერაციების ჩასატარებლად.

3. საბანკო დაწესებულებები ცალკეული ოპერაციების განსა ხორ ციელებლად ან დაფუძნების აქტივების მართვისთვის.

ორგანიზაციული ფორმით ოფშორული ბანკები რამდენიმე ტიპის არსებობს:

1. რეზიდენტი ბანკი, რომელიც ახორციელებს ოფშორული ტიპის ოპერაციებს. ამ შემთხვევაში ბანკს ოფშორულ იურის დიქციაში აქვს რეალურად ფუნქციონირებადი ოფისი.

2. ოფშორული ბანკის როლს ასრულებენ უცხოური ბანკის ოფშორული ფილიალები, დამოუკიდებელი შვილობილი ბანკები ან განყოფილებები. მაგალითად კვიპროსზე ოფშორული ბანკები არსებობენ ოფშორული საბანკო განყოფილებების ან ოფშორული საბანკო ქვედანაყოფების (ფფსჰერე ანკინგ ნიტ –) სახით, რომ ლებსაც აქვთ რეალურად ფუნქციონირებადი კვიპროსული ოფისი.

3. ოფშორული ბანკი სრული და/ან გენერალური საბანკო ლიცენზიით, რომელსაც აქვს რეალურად ფუნქციონირებადი ოფისი ოფშორულ იურისდიქციაში.

4. ე.წ. მართული ბანკი ან ბანკები პერსონალის გარეშე, რომე ლიც უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში იწოდება როგორც „ადმი ნისტერედ". ასეთი ბანკების მთავარი თვისება ის არის, რომ ისინი მოქ მედებენ სხვა ბანკის ბაზაზე პატრონი ბანკის მიერ ოფშორული ბან კის მფლობელთან დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე.

საბანკო ბიზნესის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრია ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა, რომელიც საბანკო ოპერაციების მოცულობით ჯერ კიდევ 1983 წელს მსოფლიოს მესამე ცენტრი იყო ნიუ-იორკისა და ლონდონის შემდეგ. ამჟამად იქ დაახლოებით 400 ბანკი და სპეციალიზირებული ფინანსური ორგანიზაციაა. მათი უმეტესობა განკუთვნილია მდიდარი კერძო პირების მომსა ხურეობისა და კაპიტალის მართვისთვის.

პრაქტიკულად ყველა ოფშორულ საბანკო იურისდიქციაში ბან კების რეგისტრაციისა და ლეცენზირებისადმი წაყენებულია უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე სხვა კომპანიებისადმი. გარდა ამისა, ბან კებისთვის შეიძლება სავალდებულო იყოს არა მარტო ყო ველწლიური, არამედ ყოველკვარტალური ანგარიშების წარდგენა.

ოფშორული ბიზნესის უპირატესობა და შესაძლებლობები. ოფშორული ბიზნესის უპირატესობების და შესაძლებლობების უმრავლესობა მეწარმეებისთვის კარგადაა ცნობილი. როდესაც საუბარია ოფშორულ უპირატესობებზე, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ მისი ანონიმურობა და კონფიდენციალურობა, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობა, ხელმოწერის უფლების ქონა უცხოური კომპანიის სახელით და მისი საბანკო ანგარიშის მართვის შესაძლებლობა, ფინანსური კონფიდენციალურობა, ინვეს ტიციების დაცვა ინფლაციისაგან, შეზღუდული სამარ თლებ რივი პასუხისმგებლობა, მსოფლიო დონის საბანკო მომსახურეობა და საინვესტიციო მენეჯმენტი.

ოფშორული კომპანიის გამოყენების ასეთი ვრცელი არეალი იწვევს მისი წარმომადგენლობის, ასევე შვილობილი კომპანიების შექმნას სხვადასხვა ქვეყნებში. უცხოური კომპანია კონკრეტულ ქვე ყა ნაში ბიზნესს განაგებს თავისი ოფისიდან, ინარჩუნებს რა შე საძლებლობას გამოიყენოს ანგარიშები საზღვარგარეთის ბან კებ ში და მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა კომერციულ ოპერაციებში.

ოფშორული ბიზნესის შექმნა მის მფლობელს გზას უხსნის საერ თაშორისო ფინანსური და ინვესტიციური მომსახურეობისაკენ. ფართოდ გამოიყენება ოფშორული კომპანიების მეშვეობით კორ პო რაციული კომპანიების განკარგვაში კაპიტალის მართვის სხვა დასხვაგვარი მომსახურეობა და ინვესტიციების სხვადასხვა ფორმა. საერთაშორისო ბაზარზე ყოველთვის შეიძლება მოიძიო საჭირო მომსახურეობა, შიდა ბაზარზე კი ფინანსური მომსახურეობის წი ნა და დებები ჯერ კიდევ შეზღუდულია. გარდა ამისა, აქ არსე ბით ად მა ღალია რისკის ფაქტორი. ოფშორული კომპანია, ოფშორული ბან კი და სხვა ფინანსური ინსტიტუტი დიდ როლს ასრულებს ვალუ ტის და კაპიტალის ევრობაზრების ფორმირებაში. ოფშორული ფი ნან სური ცენტრები ევროსავალუტო ფინანსური სისტემის განუყო ფელი ნაწილია.

ხელოვნება

ნელი კვახაძე-ჯამრიშვილი

ბუმბულით შესრულებული უნიკალური შემოქმედება

ჰეიხავი „ხამთარი"

ავტოპორტრეტი

პორტრეტი „სვანი"

„კახელი"

ნაცურმორცი

ჰეიხაჟი „სვანეთი"

ჰეიხაჟი

ჰეიხაჟი

ჰეიხაჟი „იმერეთი"

ჟანა ხვიჩია

თექაზე შესრულებული ნამუშევრები









ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი

ნორჩი ათინათელები

ესსეები

ირაკლი ჯიგანია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის IX[1] კლასის მოსწავლე



დავაფასოთ სიცოცხლე.... ნარკოტიკი საწამლავია....

მსოფლიოში, სამწუხაროდ, ნარკობიზნესია გავრცელებული და მასზე კონტროლის გაწევა ძალიან რთულია. ეს პრობლემა საქართველოშიც აქტუალურია და ნარკოტიკების შემოღების სტატისტიკაც მაღალია. დღეისათვის ცნობილ ნარკოტიკულ საშუალებებს: მარიხუანას, ჰეროინს, კოკაინს, კრაკადილს და სხვა, მოიხმარენ არალეგალურად და მცირე ნაწილი იღებს ლეგალურადაც. ამერიკის ზოგიერთ შტატში მიღებულია ასეთი ბიზნესი, ქალაქ ამსტერდამშიც. უმრავლესობა, ამ ქალაქში, ნარკოტიკით მთვრალი დადის. ზოგგან კლუბებშიც მიღებულია მათი გამოყენება. უამრავ ტურისტს სურს იგრნოს ზედმეტი „თავისუფლება“ და „სიამოვნება“. ჩვენი სახელმწიფო ებრძვის ნარკომანიას, მაგრამ შედეგი მინიმალურია. ქვეყანას მკაცრი კონტროლი დასჭირდა, რათა ნარკობიზნესის გზები გადაკეტილიყო. სამწუხაროდ, აფთიაქში, ზოგიერთი პრეპარატი, ერთ დროს, ნარკომანებისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა, ფარმაცევტები ნარკოტიკს ყიდდნენ შეგნებულად. ეს პრობლემაც მოგვარდა და ფარმაცევტულ ნარკომანიას გზა შეუვიწროვდა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ წამლის ყიდვა ექიმის დანიშნულების გარეშე შეუძლებელია, ის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ნარკოტიკი ვრცელდება ქუჩაშიც, უფრო მოზარდებში. ტარდება ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, დღემდე იყენებენ მას, ჩნდებიან ახალი მომხმარებლები, რომელთაც თავიანთ ცხოვრებაზე ხელი აქვთ ჩაქნეული და ამგვარი ყოველდღიური „სიამოვნებით“ სიცოცხლის წუთებსა და წლებს იმოკლებენ. ნარკოტიკის მომხმარებელი ადამიანები ემსგავსებიან მტაცებელს, მათთვის არ აქვს მნიშვნელობა ჰყავთ თუ არა მშობლები, მეგობრები, მეუღლე, შეყვარებული, შვილები და, თუნდაც, ღმერთი. მათ ეკარგებათ რწმენა. სხვა დანარჩენზე ზედმეტია საუბარი. მათი საბოლოო ხვედრი, ალბათ, სიკვდილია ღმერთმა კი სიცოცხლე გვიბოძა, დანარჩენზე ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რათა ბოლოს ბედნიერად ახდეს ყველაფერი. ნარკოტიკი იმდენად მავნებელია, ანგელოზის მსგავსი ადამიანი შეიძლება გადაიქცეს დემონად, ნარკოტიკული საშუალება მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, სასუნთქ გზებსა და გულზე. სამწუხაროა, რომ ეს „სიამოვნება“ ჩვევად იქცევა. მე ვაპროტესტებ... ვთხოვ სახელმწიფოს, დაიცვას მოსახლეობა ნარკომანიისაგან და ყოველმხრივ ხელი შეუშალოს მის განვითარებას.

არა, ნარკოტიკს... სიცოცხლე მშვენიერია და მას დაფასება სჭირდება.

ანი ჩიტაია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
IX კლასის მოსწავლე

ემიგრანტები

დღეს, საქართველოში, უამრავი ოჯახი უცხოეთში წასული ნათესავის ნახვას ნატრობს, ხალხი მიდის ევროპის, აზიისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაოდ, ან ახალი, უკეთესი ცხოვრების ასაწყობად. თუმცა, ემიგრაციას როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვისებები გააჩნია.

საკუთარი სამშობლოდან გრძელვადიანი წასვლა იწვევს ენის, კულტურის, წესჩვეულებების დავიწყებასა და, ხშირად, ოჯახის დანგრევასაც.

ამჟამად ჩემი ორივე ბიძა ემიგრაციაში იმყოფება. ისინი წასულები არიან რადგან აქ, სამშობლოში, ვერ მოახერხეს ცხოვრების აწყობა, შესაფერისი პირობების შექმნა ოჯახისთვის, ვხედავ, რა რთულია ეს ჩემი ბებიასთვის, მას ყოველთვის ცრემლები მოსდის ემიგრანტი შვილების გახსენებისას, ის მათს ნახვასა და მოფერებას ნატრობს. ბიძები, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ჩამოდიან, მეც ძალიან მენატრება. მათი ოჯახები, შვილები და მეუღლე არასდროს მინახავს, მათთან დაკავშირებას მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ვახერხებ.

ერთი ბიძაშვილი, 25 წლის ლანა, განათლებული, მუდამ მხიარული და ულამაზესი, საბოლოოდ ამერიკაში დასახლდა თავისი პატარა ოჯახით.

ემიგრაციაშია ჩემი მეორე ბიძაშვილიც, რომელიც დიდ ბრიტანეთში თავის ქართველ ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს, მას საქართველო სიგიჟემდე უყვარს. ენატრება ოჯახი, ქართული კერძები, კულტურა და სხვა ბევრი რამ, თუმცა, ის იძულებულია დარჩეს ქალაქ ლონდონში, რათა საკუთარი ოჯახი არჩინოს.

ვთვლი, რომ ემიგრაციას ბევრი უარყოფითი და ცოტა დადებითი თვისება აქვს. ემიგრანტი საკუთარ სამშობლოში, თავისივე ნახვას მოწყურებულთა გარემოში, დაბრუნებას, ყოფნას ნატრობს...

ლუკა შედანია



თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
IX კლასის მოსწავლე

წმინდანი ოქროს ვერძის ქვეყნიდან

რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის შესანიშნავი კინომოთხრობა "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი", რომელიც ქართველების მტკიცე ხასიათის, მოთმენის უნარის, სულგრძელობის, გმირობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. განსაკუთრებით ამ თვისებებით ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ნინო პოლტარაცკაია გამოირჩეოდნენ.

1921 წელს საქართველოს მთავრობას რუსეთის აგრესიის შემდეგ, უცხოეთში მოუწია გახიზნვა, მათ თან წაიღეს სახელმწიფო ხაზინა და სამუზეუმო ეროვნული განძიც, რომელსაც თან გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი, მეუღლითურთ. მათ ბევრჯერ ჩახედეს სიკვდილს თვალებში, როდესაც შუა ზღვაში ღელვა დაიწყო, ექვთიმე ძლიერ დარდობდა არა საკუთარ თავზე, არამედ იმაზე, რომ საქართველო ხაზინის გარეშე დარჩებოდა. მან ძალიან დიდი თანხა დახარჯა გაყიდული ექსპონატების კოლექციონერებისაგან გამოსასყიდად. მიუხედავად იმისა. რომ ის და მისი მეუღლე მთელი დღის განმავლობაში შიმშილობდნენ და მხოლოდ თხის რძით კმაყოფილდებოდნენ, ექვთიმემ უამრავ მაცდუნებელ წინადადებაზე თქვა უარი: ამერიკასა და ლუვრში სურდათ გამოეფინათ ქართული ხაზინის განსაკუთრებული ექსპონატები, თუმცა , მას შეეშინდა, დაეკარგა თავისი საუნჯე. ბრიტანელებიც დიდ გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ ახალგორის ექსპონატის სანაცვლოდ, მაგრამ არც ამ შემოთავაზებას დათანხმდა.

მეორე მსოფლიო ომის დროსაც დიდი პრობლემები შეექმნა ქართულ საგანძურს, გერმანელები ცდილობდნენ დაუფლებოდნენ მას, მაგრამ უშედეგოდ, ქართველი ემიგრანტებისა და ფრანგი პატრიოტების დახმარებით შესძლეს განძის გადარჩენა.

1944 წელს, საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობების საფუძველზე , მოხერხდა ქართული საგანძურის სამშობლოში დაბრუნება.

რეზო თაბუკაშვილი ექვთიმეზე გვიამბობს: "მას წმინდანის მოწამეობრივი გზიდან გადახვევა არ შეუძლია, მას ურჩევნია დილ-დილაობით ისევ აძოვებდეს თავის მარჩენალ ფრანგულ თხას, რომლის რძე მისთვის და ნინოსთვის არაერთხელ ყოფილა ერთადერთი საკვები მთელი დღის განმავლობაში".

ექვთიმე თაყაიშვილს თავისი ქმედებები ერისა და, ზოგადად, კაცობრიობის თვალში აღამაღლებს, და წარმოაჩენს როგორც დიდებულ , უშიშარ, გამბედავ და პატრიოტ პიროვნებას.

ნინო გოგატიშვილი

როგორ წარმომიდგენია ძლიერი ადამიანი?

მართლაც რომ ბრწყინვალეა ძლიერი ადამიანი... სიტყვა ძლიერი ბევრი რამის ასოციაციის იწვევს, მაგრამ, ყოველთვის ფიზიკურ სიძლიერეს როდი ვგულისხმობთ. ფიზიკური და სულიერი სიძლიერე, მართლაც დასაფასებელია...

განსაკუთრებული უპირატესობა სულიერ სიძლიერეს ენიჭება, რადგან ის სულიერადაც აღგვამაღლებს და სხვის თვალშიც დაფასებული და ღირსეული პიროვნება გვერქმევა. მაგალითად: მეგობრებს შორის დაპირისპირების დროს მეამბოხე ადამიანი სეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებაზე გადავიდეს კონფლიქტის მოსაგებად. ამან შეიზლება სიტუაცია კიდევ უფრო გაამზაფროს და დიდი განხეთქილება გამოიწვიოს, ან შეიძლება კონფლიქტი გარეგნულად მოგვარდეს და სინამდვილეში შინაგანი არსებობა განაგრძოს... მაშინ, როცა შესაძლებელია უხმაიროდ და მშვიდობიანად მიდი მოგვარება – სიტყვებით. ამ ყველაფრის თვალსაჩინო მაგალითია წმინდა ილია მართლის სიტყვებიო: "სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო უკეთ მოქმედებს. სიტყვა ძალაა და ძლიერება." ადამიანი თავისი შინაგანი სიძლ;იერით უნდა შეფასდეს, რადგან სავსებით შესაძლებელია გარეგნულად ძლიერების განსახიერება იყოს, სულიერად კი შინაგან სისუსტეს მალავდეს. სიძლიერე ადამიანმა ნებისყოფითა და მოთმინებით უნდა შეინარჩუნოს. ძლიერი ადამიანი მშვიდი, წინდახედული, სამართლიანი და პრინციპულია. მან იცის ვითარების მშვიდობიანად წარმართვა. აქვს კრიტიკული აზროვნება და რთულ სიტუაციაშიც გამოსავალს ეძებს. საკუთარი სიტუვისა და დაპირების პირნათლად შემსრულებელია.

ქეთევან სხირტლაძე
167-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

როგორ წარმომიდგენია ძლიერი ადამიანი?
ესე

ჩვენს ულამაზეს პლანეტაზე ადამიანთა ორი კატეგორია სახლობს... ისინი ან ძლიერები არიან, ან სუსტები... ადამიანი მოკვდავია... იბადება, ვითარდება, მოხუცდება და კვდება... ის ზედმეტად მგრძნობიარეა, ეშინია ცვლილებებისა და მას გაურბის შეძლებისდაგვარად. ხშირ შემთხვევაში კონტროლს კარგავს, რაც, ჩემი შეხედულებით, სისუსტეზე მიგვანიშნებს. ადამიანის ბუნება რთულადაა მოწყობილი, ზოგიერთს შურს სხვისი წარმატებისა... ზოგიერთი ამ ყველაფერს ეწინააღმდეგება.

ადამიანი შეიძლება იყოს ღონიერი ფიზიკურად და ასევე, მორალურადაც ძლიერი. პატივს ვცემ ძლიერ, სრულყოფილ ადამიანებს. ასეთებს განსაკუთრებული ჩვევები აქვთ. ისინი ახერხებენ ემოციების, აზრებისა და ქცევების მართვას, რაც ეხმარებათ წარმატების მიღწევაში, არ გაურბიან ცვლილებებს, საკუთარ თავზე კონტროლს არ კარგავენ, არასოდეს ექცევიან სხვისი გავლენის ქვეს, შეუძლიათ გადაწყვეტილებების თავად მიღება. ძლიერ ადამიანებს არ ეშინიათ რისკზე წასვლისა, არ უშვებენ ერთსა და იმავე შეცდომებს რამდენჯერმე, არ შურთ სხვა ადამიანების წარმატებისა, არასოდეს ნებდებიან, არ ეშინიათ მარტოობისა და არ ცდილობენ ყველასთვის თავის მოწონებას. არასოდეს მიდიან გაუაზრებელ რისკზე. ისინი მორალურად უძლიერესები არიან, აწყობენ გეგმებს მომავლისთვის.

მათ არ სჩვევიათ დროის ტყუილად კარგვა, პრეტენზიები და წუწუნი. უსაქმურად არასოდეს სხედან და სულ რაღაცის დაგეგმვასა და რაიმეზე ფიქრში ატარებენ დროს, ისინი არ აძლევენ სხვებს მათზე ცუდი ზემოქმედებისა და ზეგავლენის მოხდენის საშუალებას, სამართლიანად და მარტივად ცხოვრობენ. მაგალითად ჩემთვის ასეთ ადამიანებს თამარ მეფე, წეთევან დედოფალი, დავით **IV** აღმაშენებელი...

საერთო ჯამში, ჩემთვის, ძლიერი ადამიანი თითქმის სრულყოფილ პერსონას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია საკუთარი ნება და ყოველმხრივ თავისუფალია.

მგონია, რომ, სამყარო სრულყოფილია... მინდა, რომ ბუნების მშვენება, ადამიანიც, იყოს ძლიერი...

თარგმანები

ქართულიდან ესპანურ ენაზე თარგმნა
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-9 კლასის მოსწავლემ
ანი მელაძემ

EL ESCORPIÓN Y LA TORTUGA
SULKHAN-SABA ORBELIANI

Una tortuga y un escorpión se hicieron amigos, estaban caminando hasta que tuvieron que parar ante un rio. El escorpión se puso triste, el no podía pasar por el rio porque no podía nadar pero la tortuga le dijo: “¡Súbete a mi espalda, y así pasaremos!” El escorpión se subió a lomos de la tortuga, sin embargo al llegar a la mitad exacta del rio la tortuga sintió el terrible piquete del escorpión en la base de su cuello y comenzó a hundirse pero pudo preguntarle: “¿Que paso?” a lo que el escorpión respondió antes de ahogarse: “No lo puedo evitar, es mi naturaleza…”

ინგლისურიდან ქარულ ენაზე თარგმნა
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-9 კლასის მოსწავლემ,
ნათია გვაჯაიამ
თარგმანი შესრულებულია წიგნიდან
Oxford “ Top Score” Stutents Book 3
KETHY

ბრიტანელი თინეიჯერების სამუშაო ცხოვრება

UK-ში ორი მილიონი ბავშვი მუშაობს, 10-დან 16 წლამდე ასაკის არიან. მათი „შაბათის სამუშაო“ 7 საათი გრძელდება. ზოგი მუშაობს კვირაში ერთხელ ან ორჯერ, საღამოს. ეს არ არის ადვილი, რადგან ისინი სკოლაშიც სწავლობენ და დავალებაც კარგად უნდა შეასრულონ.

ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად მათი ასაკი თექვსმეტს უნდა აღემატებოდეს. 14 წლამდე ბავშვებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ტელეგადაცემებსა და ფილმებში.

13 წლიდან, ბრიტანელ ბავშვებს, შეუძლიათ დაარიგონ გაზეთები სხვადასხვა სახლებში.

ბევრი თინეიჯერი, რომელიც წლოვანებით თექვსმეტ წელს ზემოთაა, მუშაობს სწრაფი კვების ობიექტში. მაღაზიაში შრომა რჩეულ სამუშაოდაა მიჩნეული.

გადასახადი არც ისე კარგია, რადგან ბავშვებს არ აქვთ გამოცდილება.

2004 წლიდან, 16-17 წლის ბავშვებისთვის, UK-ში, გამომუშავების თანხა იყო 3,30 სტერლინგი საათში.

ერთ-ერთი მაგალითი: ემი სწრაფი კვების ობიექტში, შაბათს, მუშაობს იწყებს დილით 10 საათზე და შრომობს 7 საათი. „ხშირად ჩვენ ვმუშაობთ მძიმედ“ ამბობს ის- ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ საჭმელთან იმიტომ, რომ ეს შეიძლება იყოს სახიფათო, მაგრამ აქ კარგია, არასდროს მოიწყენ“.

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი

ჩემი ჰაცარა მეგობრები...

ნორჩი ლიტერატორების რიცხვი იზრდება... მათ ეცვლებათ შეხედულებები, გეგმები, სურვილები... უცვლელი ლიტერატურისადმი, ქართული კულტურისადმი სიყვარული დარჩა... ისინი პატივს სცემენ მსოფლიო მოგზაურის, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას... თვითონაც მოგზაურობენ ქრთული ლიტერატურის ულამაზეს სამყაროში, ვიწრო ბილიკებს მიუყვებიან, ფართო შარაგზისკენ...

მარიამ ცანავა
თბილისის 167-ე საჯაროს სკოლის მე-VI კლასის მოსწავლე

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას!...

29 ივლისს საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა თავის ქვეყნის ღირსეული შვილი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა...

ის იყო მსოფლიოს სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე და, საერთოდ, შესანიშნავი ადამიანი... მისი გარდაცვალება ყველა ქართველმა, ვინც კი მას იცნობდა, ძალიან განიცადა...

მეამაყება, რომ ასეთი მამულიშვილი ცხოვრობდა ჩვენ გვერდით!...

მუდამ ნათელი და იავარდი მის ხსოვნას!...

გვანცა ალავერდაშვილი
167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას

ჯუმბერ ლეჟავაზე, ამ ბუმბერაზ ადამიანზე, ბევრი რამ მსმენია, მან მთელი მსოფლიო ველოსიპედით შემოიარა, სამწუხაროა, რომ დიდი მეცნიერი და ადამიანი არა არის...

ყოველთვის მინდოდა მასთან შეხვედრა და ეს სურვილი შარშან ამიხდა. ის ეწვია ჩვენს სკოლას, ღონისძიებაზე ჩვენ, პატარებს, სიტყვით მოგვმართა, ის რომ საუბრობდა, მივხვდი, როგორი თავმდაბალი იყო.

როგორც გავიგე მისი გარდაცვალება, ძალიან მეწყინა იმიტომ, რომ ის ჩვენი ქვეყნის გამორჩეული შვილი იყო. ამ ღირსეული ადამიანის ნაცნობობით ვამაყობდი.

მოკრძალებით ვუძღვნი ამ სიტყვებს ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას ნათელში იყოს მისი სული...

მადლიერი შთამომავლობა მას არასდროს დაივიწყებს.

ირაკლი დარსალია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
V[1] კლასის მოსწავლე

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო საქართველოა:
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე-მთელი ქვეყანა,
და ხომ ვინ ვოდე, ვდნებოდე,
ახ შემძლია მეც განა?
ასე ამბობდა დიდი აკაკი...

ჩემი ქვეყანა ახის ტანჯული, ბევრი ომი გადაიტანა და მუდამ ცოცხალი ჩრებოდა, იგი ახასდროს ყოფილა სხვას დამორჩილებული, ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისთვის, მას წმინდა გიორგიც მფარველობს, განსაცდელში ეხმარება და ამარჯვებინებს მუდამ.

ჩემს სამშობლოს დამაზი, ლეჩა ზეცა გადმოყურებს, ხომლის ქვემ სამკვიდრო ევ-ხავინ ნახა, ამაზე ქართული პოეზიის დედოფალი, ანა კალანდაძეც გვიყვება... საქართველოს სამსახოდ შემოსულებმა ვერაფერი ავნეს იმიტომ, ხომ მას ძლიერი მეფეები ჰყავდა. ერთ-ერთმა, ერეკლე მეფემ, მის დასაცავად, ექვსასზე მეტი ომი გადაიტანა.

ბევრი კოთხე დავუსახელეთ, ბევრი ჩვენი თანამოძმე ოცხოეთში ცხოვრობს და ქართული ენას, სამშობლოს სიყვარულს ინახავენ.

ჩემი აზრით, საქართველო, ჩემი სამშობლო, შეძლებს თავისი კოთხეების დაბრუნებას, მე კი... მე ვიქნები პატრიოტი და მისი ღირსების დამცველი.



ტატო ლაგვილავა
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VI კლასის მოსწავლე

დედა!..

დედის გარეშე სიცოცხლე წარმოუდ-გენელია. ის ჩემთვის სამყაროს საწყისია... ყველა დედა გაზაფხულივით ბრწყინავს...

დედა მზეა, მზე, რომელიც მინდა, რომ მუდამ ანათებდეს... ჩემი სურვილია, ყველა შვილმა დააფასოს დედა, მისი ამაგი, ფასდაუდებელია. მინდა, ყველა დედა იყოს ბედნიერი...

ნიკოლოზ პაპულაშვილი
თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

,,დედა"

(რ. ინანიშვილის „დედა“)

რევაზ ინანიშვილის ნოველის მიხედვით, შვილი ჩავიდა დედასთან სოფელში. მას ხვდება დაუძლურებული და უმწეო დედა... შვილის მიმართ კი უპრეტენზიო და მზრუნველი ...

მან დედასთან მხოლოდ ერთი დღე და ერთი ღამე გაატარა, ის ღობე-ყორეს მოვლით იყო გართული, მაგრამ რაღაც დარდი აწუხებდა, ალბათ, დედა, რომ ჰყავდა მიტოვებული. მოხუცმა შვილი ფანრით ხელში გააცილა.

ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა. ის ზამთარში დეკემბრის თექვსმეტში გარდაიცვალა...

შვილიც უნთებს ხოლმე სანთელს, დაჩოქილი ლოცულობს, მაგრამ დარდს ვერაფერი შეცვლის...

ჩემი სურვილია, დედა არასდროს დავტოვო და დავაფასო მისი შრომა...



ალექსანდრე კალანდია
167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

მარტოობა...

ალბათ, იცით, მარტოობა რა საშინელია, როცა გვერდით არავინ გყავს, ვერავის შეიძლება ენდო, არავის იმედი არ გაქვს.

მარტოობისთვისაა განწირული ჩემი დიდი მამიდა, ის აფხაზეთის მიწაზე ცხოვრობს... განა არავინ ჰყავს, შვილი ვერ ჩადის დედასთან, რადგან სახიფათოა...

ჩემი მამიდა ცდილობს შვილს შეუნარჩუნოს ის კარ-მიდამო, სადაც დაიბადა და აღიზარდა.

სიტყვა მარტოობა ტკივილთან, მწუხარებასთან, დარდთანაა დაკავშირებული, სწორედ ამ გრძნობებს განიცდის მამიდა, შორეული აფხაზეთიდან...

დემნა ლომიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VI[2] კლასის მოსწავლე

ცხოვრება...

ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს, ზოგს მშვენიერი ზოგს-კი, არც ისე კარგი.

ნათქვამია, ცხოვრება ბეწვის ხიდზე კიდიაო. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი ბედისწერას თვითონ ქმნის, შეიძლება ერთმა დაუფიქრებელმა შეცდომამ მთელი ცხოვრება დაგვიმახინჯოს...

ჩემი სურვილია, ნაკლები შეცდომა დაუშვას ადამიანმა, ამავე დროს შეეძლოს მიტევება, მაშინ ცხოვრება, მართლაც, მშვენიერი იქნება ყველა ადამიანისთვის...

ქეთევან ტყებუჩავა
167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

სიყვარული

სიყვარულია მომტანი ყოველგვარი ბედნიერებისა და უბედურებისა. სიყვარული რომ არ არსებობდეს, ჩვენ ვერ ვიარსებებდით. ის მრავალგვარია: დედაშვილური, მეგობრული, ქალვაჟური, პატრიოტული. მიმაჩნია, რომ დედაშვილური სიყვარული უპირველესია.

იაკობ გოგებაშვილი მოთხრობაში "იავნანამ რა ჰქმნა" გვიყვება გოგონაზე, რომელიც წლობით იზრდებოდა თავისი დედის გარეშე, დედობილთან, მაგრამ, როდესაც ქეთოს დედამ ჯერ ღიღინი შემდეგ კი სიმღერა დაიწყო, იგი მიხვდა, რომ ის დედამისი იყო და ჩაეხუტა. ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ უფრო ძალუმად ვიფრძენი, რომ მუსიკას, სიმღერას და დედის სიყვარულს საოცარი განუმეორებელი ძალა აქვს.

ალექსანდრე ლეთოდიანი
167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

ლამაზი ცრემლები

(რ. ინანიშვილის "ლამაზი ცრემლები")

რ. ინანიშვილის "ლამაზი ცრემლების" თითოეული პერსონაჟი სიკეთისა და სათნოების განსახიერებაა...

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ოჯახში შეშის მხერხავი მოხუცი პაპა მოიყვანა, რომელმაც საღამომდე იმუშავა, თანხა აიღო და დაპირდა ოჯახს, რომ დანარჩენს მეორე დღეს დაასრულებდა.

გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ მოხუცი პაპა აღარსად ცანდა, ცოლ-ქმარს პაპაზე აუგი არ დარჩენიათ, იქნებ რაიმე შეემთხვაო გაიფიქრეს, ეს მათს კეთილშობილებაზე მიუთითებს... ერთ მშვენიერ დღეს ხერხიანი ბიჭი მიადგათ, რომელიც მათ გაეცნო, როგორც მოხუცი პაპის შვილიშვილი, მოხუცი მხერხავი გარდაცვლილიყო, მან, თურმე შვილიშვილს დაუბარა თავისი დაწყებული საქმე დაესრულებინა.

ეს მოხუცი პაპა ნამდვილად იმსახურებს ლამაზ ცრემლებს.



ეკატერინე ქვარაია
167-ე საჯარო სკოლის მე-VI[2]
კლასის მოსწავლე

მეგობრობა...

მეგობრობა ყოველგვარი სიკეთის საწყისია. ვისაც ეს გრძნობა არ გააჩნია, დაჩაგრულია. მეგობარი ადამიანისთვის და ჩემთვისაც დიდი განძია. მას შეგიძლია გული გადაუშალო და შენი ფიქრები გაანდო. მეგობრობაზე უამრავი ლექსია დაწერილი.

მე სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრ "თეთრი ტალღის" სპექტაკლს "გამარჯობა სოხუმოს" ვუყურე. ძალიან მომეწონა ის, რომ წარმოდგენა აფხაზების, ბერძნების, ქართველების მეგობრობას წარმოადგენდა. ჩვენ მაგალითი უნდა ავიღოთ ამ სანახაობიდან. მიყვარს ჰარმონიული, მეგობრული ქვეყანა და ხალხი.

საბა ლაგვილავა
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
V კლასის მოსწავლე

„გამარჯობა სოხუმო"

სპექტაკლმა „გამარჯობა სოხუმო" ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია...

სოხუმი ჩემი სისხლი და ხორცია...

მთავარი მოქმედი გმირი, ბერძენი ბიჭი იანგულია. როდესაც იანგული და ბერძნები თავიანთ სამშობლოში ბრუნდებოდნენ, შუა გზაში იანგული გემიდან გადმოხტა, რადგან მან გამგზავრებას სოხუმში სიკვდილი არჩია...

მისი სამშობლო, მისი ელადა, სოხუმი იყო...

დღეს სოხუმი ჩვენი არ არის...

როცა ჩვენც იანგულივით შევიყვარებთ სოხუმს, აუცილებლად დავბრუნდებით!...

დიმიტრი ნაჭყებია
167-ე საჯარო სკოლის
მე-V[1] კლასის მოსწავლე

„გამარჯობა სოხუმო"

დავესწარი სპექტაკლს „გამარჯობა სოხუმო".

სოხუმი ჩემი ნაწილია, მართალია, მე არ ვიცნობ ამ ქალაქს, მაგრამ ჩემი ფესვები იქაა. მშობლებისგან ბევრი რამ მსმენია ამ საოცარ და მეგობრულ ქალაქზე...

მთავარი მოქმედი გმირი იანგული, ბერძენი ბიჭია, რომელსაც სულით ხორცამდე უყვარს ეს ქალაქი და თავიც გასწირა მისთვის.

თუ იანგულივით შევიყვარებთ სოხუმს, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით!...

ლიზი ლომსაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-5 კლასის მოსწავლე

„გამარჯობა სოხუმო"

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის" სპექტაკლს „გამარჯობა სოხუმოს" ვუყურე. ძალიან მომეწონა თუ როგორ ჰყვარებია ხალხს ეს ლამაზი ქალაქი.

სპექტაკლმა ჩემში ძლიერი ემოციები აღძრა. მთავარმა გმირმა სწორედ სოხუმის სიყვარულს შესწირა თავი. ის მისთვის ყველაფერი იყო...

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს სპექტაკლი ყველაზე საუკეთესოა, რაც კი აქამდე მინახავს.

ჩემი სურვილია მალე ვნახოთ ის საოცარი ქალაქი, სადაც ასეთი სიყვარული და მეგობრობა სცოდნიათ...

ლადო ზაქარეიშვილი
თბილისი 167-ე საჯარო სკოლის
მე-5 კლასის მოსწავლე

,,გამარჯობა სოხუმო"

დავესწარი სპექტაკლს „გამარჯობა სოხუმო" დედას ხშირად ვეკითხები, როგორი ქალაქია სოხუმი? ის მპასუხობს, რომ აფხაზეთი უმშვენიერესი მხარეა, სოხუმი კი ულამაზესი ქალაქია.

მთავარმა გმირმა, იანგულმა, სოხუმის სიყვარულს შესწირა თავი ...

ყველაზე ემოციური იყო სპექტაკლის დასასრული როცა ყველა მონაწილემ ხელი ჩაჰკიდა ერათმანეთს და წარმოთქვეს, რომ ისინი დაბრუნდებიან სოხუმში, აუცილებლად ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ მეც, მათთან ერთად სოხუმში ვბრუნდებოდი.

მარიამ ტყეშელაშვილი
თბილისი 167–ე საჯაროსკოლის
მე-5კლასისმოსწავლე

მირანდუხტ

(რ. ინანიშვილი „მირანდუხტ")

რ. ინანიშვილის ნოველა „მირანდუხტის" პერსონაჟი, პატარა გოგონა, გამოირჩეოდასაუკეთესოთვისებებით.

იგი იყო გონიერი, შრომისმოყვარე და სამართლიანი. მანგერონტის, ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველს არაპატია ტყუილი და უსამართლობა. მირანდუხტი ყველასთვის მისაბაძია. ის მშვენიერების განსახიერებაა. მან შეძლო გერონტი უკეთეს ადამიანად გარდაექმნა ... ჩემი სურვილია ჩემს ირგვლივ ყველა მირანდუხტივით კარგი იყოს...

მარიამ გურასპაული
თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

„ლამაზი ცრემლები"
(რ.ინანიშვილი „ლამაზი ცრემლები"

რევაზ ინანიშვილის საახალწლო მოთხრობაში „ლამაზი ცრემლები" თითოეული პერსონაჟი გულთბილი, მოსიყვარულე და სტუმართმოყვარეა ძალიან მომეწონა მოხუცი პაპა, რომელიც თავისი საქმისა და სიტყვის ერთგულია. როცა მან ვერ დაასრულა თავისი დაწყებული საქმე, სიკვდილის წინ, ანდერძად დაუბარა შვილიშვილს საქმე ბოლომდე მიეყვანა, რომელმაც კეთილსინდისიერად შეასრულა ბაბუას დანაბარები.

ეს კეთილი პაპა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.



ნიკოლოზ მარჯანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლაისს მოსწავლე.

შორი თეთრი მწვერვალი
(რ. ინანიშვილის „შორი თეთრი მწვერვალი")

ძალიან დამაფიქრა ამ ნოველამ...

ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, პატარა ბიჭი მწვერვალის სანახავად საგანგებოდ ამოდის ხოლმე... მწვერვალი გასაოცრად, ერთფეროვნად დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც, - სულ თეთრია...

ის აღუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს...

ბიჭიც დგას და გაჰყურებს გულისცემით... მთელი არსებით შეიგრძნობს ამ სილამაზეს.

როცა მას, კლასში, ჩაფიქრებულს, მასწავლებელი ეკითხება, შინდელაშვილო, გაიმეორე რას ეწოდება ადგილის გარემოებაო, მას თვალებში გაურკვევლობის ბურუსი უდგას და ვერ პასუხობს.

„ვაი, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგგზავნა შენც! – ზიზღით თქვა მასწავლებელმა, მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო და წითელ ავტოკალმით რაღაცა ჩაინიშნა.

ნოველა კი ასე სრულდება: ქუჩაში ტრამვაის ბიგელმა კაშკაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინაო მავთულს.

ჩემი აზრით ეს ერთგვარი, პროტესტია უსამართლობის წინააღმდეგ.

გიორგი მიქაცაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

„ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები"
(რ. ინანიშვილის „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები")

რევაზ ინანიშვილის ნოველა „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოების" წაკითხვის შემდეგ, ჩემი სამშობლო უფრო შემიყვარდა. მომწონს ერეკლე მეფე, რომელმაც არაერთი გამარჯვება მოუტანა ქვეყანას. მოვიხიბლე მზევარის ბიჭის პატრიოტული სულისკვეთებით და თავდადებით, რომელიც მზადაა თავი გასწიროს ქვეყნისთვის. სამშობლო მისთვის ყველაფერია. მას, ამის გარდა სხვა სიმდიდრე არ გააჩნია...

მე ამ ნოველამ მასწავლა, რომ სამშობლო უანგაროდ უნდა გიყვარდეს, მუდამ მზად ვიყოთ მის დასაცავად...

ვალერ ხაზალია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ბუნება

ჩვენ ბუნებით ვცხოვრობთ, ჰაერის გარეშე ორ წუთსაც ვერ გავძლებთ, ხეები რომ არ არსებობდეს, ჰაერიც არ იქნებოდა, ჟანგბადი გაქრებოდა და ამიტომაც ვაფრთხილებთ ხის მჭრელებს, ბრაკონიერებს, ნუ გაანადგურებენ ხეებს, ცხოველებს, რადგან თუ ბუნება მოისპობა, ჩვენი სიცოცხლე კლებას დაიწყებს და ერს საფრთხე დაემუქრება.

ძველად ადამიანები ბუნებაში საკვებს მოიპოვებდნენ, ბუნება ახლაც უშურველად გვეხმარება.

ბუნების სიკეთე ფეხქვეშ არ უნდა გავთელოთ, მას გაფრთხილება სჭირდება.

მარიამ ტყებუჩავა
167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

წელიწადია დროები

წელიწადის ყველა დრო თავისებურად ძალიან ლამაზი და მშვენიერია...

შემოდგომა, მრავალფეროვანია...ფოთლები სცვივა ხეებს, რთველია, გლეხები მოსავალს იღებენ... შემოდგომაზე ბებიასა და ბაბუასთან ჩავდივარ სოფელში. ბებიას ჩურჩხელების გაკეთებაში, ბაბუას კი – ყურძნის დაწურვაში ვეხმარები.

ძალიან მიყვარს წელიწადის ეს დრო...

ზამთარი ცივი და სუსხიანია. ამ დროსაც თავისებური ხიბლი აქვს...

ზამთარში ყველასათვის საყვარელი სღესასწაული ახალი წელია...

გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს. ყვავილები იშლებიან.

ძალიან მომწონს გაზაფხული...

ზაფხული ყველაზე მომხიბლავია იმიტომ, რომ სკოლის არდადეგები გვეწყება და დასასვენებლად მივდივართ...

ჩემი აზრით, წელიწადის ოთხივე დრო ერთმანეთზე უკეთესია, ყველას თავისი სილამაზე აქვს...



გიორგი ქევხიშვილი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე

ზამთრის სურათი ზაფხულში...

ზამთარი ძალიან მიყვარს, მისგან სუფთა ჰაერს ვიღებ... ზამთარი ძალიან სახალისოა, ლამაზია, ტურისტებისთვის კი განასკუთრებით მიმზიდველია.

ზამთარში ჩვენთან სოფელში, დიდი თოვლი იცის და ზოგჯერ სახურავიდანაც ვხტებით...

მთელი ოჯახი მთაში ავდივართ, ვგუნდაობთ, ხეებს ვარხევთ, რომ თოვლი ჩამოცვივდეს. სოფელში ცუდი გზაა, მაგრამ მაინც ვახერხებ ციგით სრიალს.

სოფლის ბავშვები, როდესაც თოვლი დნება, მდინარეზე ჩავდივართ ვუცქერით როგორ მოედინება.

ერთხელ, ბავშვებმა, რაც გადავიტანეთ, ალბათ ისეთი რამ მგონი არავის გადახდენია. ერთ დღეს, გამთენიისას დაიწყო ნათება, გაიელვა, დაიგრუხუნა, უცებ მუშტისოდენა სეტყვა წამოვიდა ამოვარდა ქარბორბალა, სახურავები გადახადა და ლამის სახლი დაგვინგრია. გარეთ რომ გამოვედით, შუა ზაფხულში თოვლი იდო, თუმცა თოვლი კი არა სეტყვა.

ხეებს ყვავილობა ჰქონდა დაწყებული და აი, ხეები მოგლიჯა კიდევ კარგი მანქანა იქ არ გვყავდა თორემ დააქუცმაცებდა. იმდენი ჭურჭელი აღარ გვქონდა რომ წყლისთვის შეგვედგა, ჩვენი 99 წლის პაპა გავიყვანეთ გარეთ სეტყვაში, რადგან სახლში წყალი ჩამოდიოდა. მეზობლებთან გადავედით და დავმშვიდდით.

საუკუნეს მიტანებულმა პაპამ მითხრა, ამდენი წლის ვარ და ასეთი ამინდს ზაფხულში არ შევსწრებივარო...

მართლაც ზამთარი გვესტუმტა ზაფხულში...

მარიამ კეკელია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე

ზამთარი...

წელიწადის დროებიდან ყველაზე მეტად მიყვარს, ზამთარი. ის ჩემთვის თოვლთან ასოცირდება... მისი მოსვლის სიხარულით ვეგებები ახალ წელსაც. მართალია, როგორც ბევრ ჩემს თანატოლს, თიოვლის ბაბუის დიდი ხანია არ მჯერა, მაგრამ მაინც მიხარია....

ზამთარს ხშირად ბაკურიანსა და ბახმაროში ვატარებ. წელიწადის ეს დრო ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერი და საყვარელია....

ანა ასაბაშვილი
167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

ზამთარი

ზამთარი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წელიწადის დროა, ზღაპარს მაგონებს განსაკუთრებით, როცა თოვს და ქვეყანა თეთრი სამოსით ირთვება...

ის შემოდგომის შემდეგ მობრძანდება... ზამტარი, თოვლი და ახალი წელი ყველა ბავშვს უყვარს და უხარია.

მე დიდი ზანია თოვლის ბაბუის არ მჯერა, მაგრამ მაინც დიდი მოლოდინით ვარ აღსავსე, მაინც მგონია, რომ ოცნებებს ამიხდენს ვიღაც... ზამტარი განუმეორებელია.

ალექსი ფეიქრიშვილი

* * *

ათინათის კარიპჭე
მიყვარს რა ხანია...
იქ ხომ ლამაზ
ლექსებს ბეჭდავს,
ნაირა მარშანია.
რედაქციის კარები
იმან შემაღებინა,
იმიტომაც ვეფერები
სითბო მაგრძნობინა...
არც რედაქტორს დავიწყებ
გული რომ აქვს თბილი
ლექსი რითმით ავაწყე
კალმით გამოთლილი,

* * *

მიყვარს ჩემი თბილისი,
მისი ძველი უბნებით.
მთაწმინდა და სოლოლაკი,
ქუჩებით და ბუნებით...
მიყვარს მისი ქართვლის დედა
მოდუდუნე მტკვარი...
ლექსის წერას უკვე ვბედავ,
თუ დამაცდის ქარი.
ჩემო თბილის ქალაქო,
ახალო და ძველო...
შენი გამარჯვებისთვის
შევსვავ სადღეგრძელოს!

* * *

მე მინდა რომ ქართველები
არ დამარცხდეს მტერთან,
ყველანი ვართ მთასვლელები
და დავდგებით ერთად.
ვიამაყოთ ქართველობით
მისი ადათ წესით...
ჩვენი გვიყვარს
მთა-ველები
ტყის ჩურჩული გვესმის.

* * *

ჰეი, სამშობლო ლამაზო,
კალმით ნახატო
მთა-ბარო...
შენი ბუნებით ვამაყობ
ჩემო ტკბილო და შაქარო.

* * *

მე არაფრის მეშინია,
ცუდი არვინ მითხრას...
მამა-პაპის ფესვი
ვარ დაა...
სხვას ნურაფერს,
მკითხავთ!

იზოლდა მასურაშვილი
ქარელის №1 საჯაროსკოლის
მოსწავლე

სულ სხვა ზათხული

რა დამავიწყებს: 2008 წლის აგვისტოს დღეებს,
როცა ვიხსენებ გული მიკვდება,
როცა ვიგონებ იმ წყეულ დღეებს,
დარდი და სევდა უფრო დიდდება.

2008 წლის აგვისტოს ომი ჩემი სულის დიდი ტკივილია, ჩემი სულის შეუხორცებელი ჭრილობა. მე მსურს მოგიყვეთ ჩემი ბავშვური შიში და განცდა ომის შესახებ. მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი გორიდან ახალიგადასული ვიყავით და ქარელის რაიონში დავსახლდით. ბავშვობიდან ბუნებაში ყოფნა ძალიან მიყვარდა, ამიტომ ხშირად გავდიოდი ბაღში და იქიდან ლამაზი ხედის ცქერით ვტკბებოდი (განსაკუთრებით მიყვარს, როდოესაც მზის ჩასვლას ვუცქერ, ჩემს სოფელში მზის ჩასვლა სხვანაირია), როდესაც ბუნებას და ამინდს ვაკვირდებოდი შევამჩნიე, რომ ცა თითქოს ჩამობნელებულიიყო, არისმოდა ჩიტების ჭიკჭიკი, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. გული ამიჩქარდა, თითქოს ვგრძნობდი, რომ ბუნებას რაღაც აწუხებდა, რაღაცას განიცდიდა, გლოვობდა. სახლისკენ ძალიან დაღონებული წამოვედი (ბუნება ჩემი მასაზრდოებელია), როდესაც სახლს მივუახლოვდი რაღაც ძალიან დიდი აფეთქების ხმა გავიგე. როცა სახლში ჩამოვედი შევამჩნიე, რომ ჩემი მშობლები შეშინებულნი იყვნენ. ვიკითხე თუ რა მოხდა, დედამ აღელვებით მიპასუხა ომი დაიწყო!

თავიდან არ მჯეროდა იმის რაც ჩემს გარშემო ხდებოდა, თავი სიზმარში მეგონა. მთელი ღამე შიშით თვალი არ მომიხუჭავს და აფეთქებების ხმა მესმოდა, მოგვიანებით როგორც იქნა ჩამეძინა.

მეორე დღეს ცას ვუცქეროდი და ღმერთს ვევედრებოდი, რომ საქართველო გადარჩენილიყო. უცბად ძალიან დიდი ხმაური მოისმა, მთელი სოფლის მოსახლეობა გარეთ გამოვიდა, რამდენიმე ტანკი იყო, რომლებზეც ახალგაზრდა ბიჭები ისხდნენ, მათ ვერ გაეგოთ სად იმყოფებოდნენ. ზოგი წყალს ითხოვდა, ზოგი საკვებს, ერთადერთი რასაც გაიძახოდნენ „გაიქეცით, თავსუშველეთ“. გვერდზე გახედებით რაც დავინახე ეს იყო დედას თოთო ბავშვი მკერდზე ჰყავდა მიბჯენილი, შველას ითხოვდა და ხმამაღლა ტიროდა.

დედის ცკივილი

მე სიყვარულით მინდოდა
შემომეარა ქვეყანა,
მზის სხივები და ვარდები
მუდამ თავზე, რომ მეყარა.
მინდოდა მთელი სიცოცხლე
რაც მომანიჭა უფალმა,
სულ სიხარულით გამევლო
ნაღველი არ გამეკარა.
მაგრამ ვინ შეცვლის ღვთის ნებას,
მის განაჩენს ვინ აცდება?
ვიდრემდე ზეცა ცოდვილებს
თავს რისხვით არ დაგვეცემა.
დე, ყველას ეზღოს თავისი,
რაც თესონ იგი მოიმკონ,
ოღონდ ერთსა გთხოვ უფალო,
დედას შვილი, რომ უცოცხლო.
დედები გებრალებოდეს,
იყავი მათი დამხმარე,
ოღონდ შვილი არ მოუკლა,
თუნდაც თვალები დათხარე.
რადგანაც შვილის სიკვდილი,
დედისთვის ისე მწარეა
არ შეედრება სხვა სასჯელს
რაც კი კაცს მოუგონია.
გთხოვთ მაპატიოთ გრძნობები,
თუ მქონდა მოზღვავებული
და ვიყოთ ყველა დიდ ღმერთთან
ჩვენ მეტად მოკრძალებულნი.

მე აღარაფრის ხმა მესმოდა, უბრალოდ ხალხის სასოწარკვეთილ სახეს ვხედავდი. ამ დღეს შეშინებული ხალხი ტყეში გაიქცა, მათ შორის ჩვენც ტყეს შევაფარეთ თავი.

როდესაც ჩვენ შეშინებულნი აქეთ-იქით დავეხეტებოდით, ამ დროს ჩემი გორი გადამწვარი და გაპარტახებული იყო (ეს არის ადგილი სადაც დავიბადე, გავიზარდე და ჩემი

ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვობა გავატარე). ბევრი ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა, მოსახლეობის უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს. რუსებმა ომში ძალიან დიდი სისასტიკე და ამორალობა გამოიჩინეს. გადაწვეს სახლები, უამრავი ადამიანი წამებით მოკლეს ომის შედეგად ოკუპირებულ იქნა სამაჩაბლო. სამშობლოს უამრავი ახალგაზრდა ვაჟკაცი შეეწირა, ძალიან ბევრი დედა შავი ძაძებით შეიმოსა.

აგვისტოს ომმა ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. ამ პერიოდში ძალიან შეშინებული ვიყავი, ვტიროდი და ღმერთს ვევედრებოდი ეს ჯოჯოხეთი მალე დაესრულებინა.

მყავს დევნილი მეგობრები, რომლებსაც ვესაუბრებოდი ომზე. მათი ერთადერთი ოცნება არის ის, რომ თავიანთი სოფლებში დაბრუნდნენ დიდ სიცარიელეს გრძნობენ.

2008 წლის ომმა ქართველი ერის ცხოვრებაში წარუშლელი ნაკვალევი დატოვა.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა,
დღეს ჩვენს მამულში დგას სხვა სურნელი
თუ სამშობლოსთვის განწირულ მხედრებს,
ჰქონდათ ვაება, სევდა, წუხილი.

ქართველ ერს ოდითგანვე ეხვეოდა მტერი და ანადგურებდა ერთმუჭა ერს, მაგრამ საქართველოს არასოდეს დაუჩოქია, საქართველო ყოველთვის ამაყად და ქედმოუხრელად იდგა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ერი გაერთიანდება, გაბრწყინდება. მჯერა იმის, რომ სულ მალე ქართველი ერი გახარებული და ბედნიერი იქნება.

ყოველდღე ვლოცულობ ქართველი ერისთვის, ღმერთს ვთხოვ, რომ დაიფაროს იგი. დედაღვთისმშობელს ვთხოვ იმას, რომ თავისი მადლიერების კალთა გადმოაფაროს საქართველოს.

ანტონის ეკლესია

ინტერვიუ

ეკატერინე მარშანია

ინტერვიუ ვაჟა ხხარაშვილთან

მოგესალმებით, ბატონო ვაჟა, მე გახლავართ ქ. თბილისის 51 ს/სკოლის 6 კლასის მოსწავლე ეკატერინე მარშანია, ნორჩი ათინათელი, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ბატონო ვაჟა ჩვენთან.

ბატონო ვაჟა როდის დაიწყეთ სიმღერა?

მოგესალმებით, სიკეთე მინდა გისურვოთ მომავალ თაობას. რაც შეეხება შეკითხვას გიპასუხებთ: ეს იყო 1944 წ. ომის შემდგომი პერიოდი, ჩემმა მეზობელმა მომმართა და მითხრა: ვაჟა შენ კარგი სმენა გაქვს, ვინაიდან ფორტეპიანინო არა მაქვს, მე ვიოლინოს მოგცემ და შენ ისწავლე დაკვრაო. მე ვუპასუხე: მამაჩემი მძმედ არის და ამის დრო არ მექნება მეთქი. ეს ქალბატონი არ მომეშვა და დავიწყე მეცადინეობა ვიოლინოზე. თანდათანობით მივხვდი, რომ მუსიკა ჩემი მიზანი იყო და შესაძლებლობებიც საკმაოდ კარგი აღმომაჩნდა. გავაგრძელე ჩემი საქმიანობა მალე ორკესტრშიც მივიღე მონაწილეობა, მომეწონა ჩემი პარტია. მე და კომპოზიტორმა ნუგზარ ვაწაძემ გადავწყვიტეთ მივსულიყავით რექტორთან, წინადადებით, ჩვენ მუსიკას ვწერთ და თქვენი დახმარება გვჭირდება. მალე კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშილმა მოგვიწოდა და დაგვეხმარა, რათა კონცერტი გაგვემართა კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში. მოხდა საოცრება კონცერტის დღეს საკონცერტო დარბაზი იყო მსმენელებით სავსე, რა თქმა უნდა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. კონცერტი წარმატებით ჩაიარა და მოწონებაც დავიმსახურეთ. ამ პერიოდში გამოცხადდა კონკურსი რომანსებზე. 5 დაწესებული პრემიიდან 3 პრემია მივიღე მე. აღსანიშნავია ის რომ ჩემს სადიპლომო დაცვას ესწრებოდა ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი. მოგვნიანებით კონსერვატორი ის პროფესორი გავხდი. ვიყავი კომპოზიტორთა კავშრის თავჯდომარე, მაგრამ მოგვიანებით ჩემი ნებით გადავდექი. მას შემდეგ დამოუკიდებლად ვმუშაობ. ვწერ კამერულ მუსიკას, მუსიკას თეატრისთვის, ბალეტისთვის აქვს 7 მუსიკალური კომედია დაწერილი. აგრეთვე დაწერილი მაქვს სონატების, კვარტეტების და კვინტეტების მუსიკა.



როდის დაწერეთ თქვენი პირველი სიმღერა და რომელია ეს სიმღერა.

ბორის ფოცხიშილის ლექსზე – „რა ტურფა გაზაფხულია“ ყველაზე მეტი სიმღერა დაწერილი მაქვს ბორის ფოცხიშვილის ლექსებზე.

- სულ რამდენი ნაწარმოების ავტორი ხართ?

სიმღერა თითქმის 200-მდე მაქვს დაწერილი. სიმფონიური და კამერული მუსიკა, კინო მუსიკა არც თუ ისე ბევრი, მაგალითად კინოფილმი „მზე შემოდგომისა“ რამოდენიმე მუსიკა, მარჯანიშილის და რუსთაველის თეატრების სპექტაკლებისთვის.

რომელია ბატონო ვაჟა, თქვენი საყვარელი სიმღერა და ვინ არის თქვენი საყვარელი მომღერალი?

ყველა სიმღერები მიყვარს, განსაკუთრებით გამოვყოფდი სიმღერებს „პატარა გოგო“

„სხვა საქართველო სად არის“ „დღეები მიდიან“ „დინამო, დინამო, დინამო“

საყვარელი მომღერალი არის ქ-ნ ნანი ბრეგვაძე, ის ჩემი კურსელი იყო და ყველა მუსიკას ვწერდი ნანისთვის, ის შესანიშნავი შემსრულებელი იყო.

- სიმღერა, რომელიც ყველასთვის საყვარელი სიმღერაა „დღეები მიდიან“ ვის ეძღვნებოდა.

ამ სიმღერას თავისი ადრესატი ყავდა იმ პერიოდში.

- როგორ შექმენით პოპულარული სიმღერა „დინამო, დინამო, დინამო“, რომელიც ქართული ხიტი გახდა.

მე გახლავართ ძალიან დიდი გულშემატკივარი ფეხბურთის, უამრავი წიგნიგ გამაჩნია ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე. როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა ერევნის ლიგას მოუგეს რა დამაძნებდა და დიდი სიხარულით დავწერე ეს სიმღერა, მორის ფოცხიშვილის ლექსზე. როგორც ხედავთ ხალხმა ძალიან შეიყვარა ეს სიმღერა.

- მეუღლის შესახებ, ხომ ვერ გვეტყოდით, ვინ არის, რა პროფესიის გახლავთ?

ჩემი მეუღლე არის მუსიკოსი, პედაგოგი გახლავთ. ამავე დროს პოეტი. მის ლექსებზე შექმნილია 7 სიმღერა. რამოდენიმე წიგნის ავტორია, არის არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა და ძალიან თბილი და ტკბილი ბებია.

- ბატონო ვაჟა რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს“.

მე ვიცნობ ამ ჟურნალს, ძალიან მიხარია, რომ ეს ჟურნალი არსებობს. ამ ჟურნალის დიდი მხარდამჭერი ვარ. ძალიან ცნობილი მოღვაწეები ამ ჟურნალში თანამშრომლობენ.

- ბატონო ვაჟა სამომავლოდ ალბათ კიდევ ბევრი ახალი ნაწარმოებებით გაგვახარებთ.

რა თქმა უნდა მაქვს ბევრი გეგმები, ახლო მომავალში. მაქვს მოწვევები ტელევიზიაშიც და კიდევ ბევრი მრავალი ღონისძიებები.

ბატონო ვაჟა, დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ, ჩემთვის ეს დღე დაუვიწყარი იქნება. მე ძალიან მიყვარს თქვენი სიმღერები, ვუსმენ სიამოვნებით. განსაკუთრებით მიყვარს „დინამო, დინამო, დინამო“. მე ვამაყობ თქვენით, ვინაიდან საქართველოს ყავს თქვენისთანა ნიჭიერი კომპოზიტორი, რომლის მუსიკები ყველა პერიოდში ყველა თაობისთვის არის სასიამოვნო მოსასმენი და დაუბერებელი. მიყვარხართ, პატივს გცემთ და მუდამ თქვენი ნაწარმოებების თაყვანისმცემელი ვიქნები. მინდა წარმატებები გისურვოთ და კიდევ ბევრჯერ გაგვახაროთ ახალი სიმღერებით.

თამაზ აფაქიძე

ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან

ქალბატონო მაყვალა! მოგესალმებათ ქ. ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თამაზ აფაქიძე

1. თქვენ ბრძანდებით პოეტი, დედა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე წლების განმავლობაში როგორ ათავსებთ ამ სამ დიდ საქმეს ერთი პიროვნება?

დავიწყოთ იმით,რომ ყველაფრის სათავე სიყვარულია, აქედან გამომდინარე, როცა გიყვარს შენი საქმე, შენი ოჯახი უფრო მეტს აკეთებ. როცა სიყვარული არ უდევს საფუძვლად საქმეს, შეიძლება უმნიშვნელო საქმეც ვერ გააკეთო.

მე მადლობელი ვარ ღმერთის რომ დედობის მადლით ვცხოვრობ და მადლობელი ვარ უფლის, რომ ასეთ სამსახურში ვარ.

2004 წლიდან 2014 წლამდე ვიყავი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სადაც ამ საქმეს უძღვებოდნენ მ. მაჭავარიანი, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე ჩვიდმეტი დიდი მწერალი თუ პოეტი, ხოლო მდივნებად იყვნენ ასევე დიდი მწერლები და პოეტები, როგორებიცაა: ი. ნონეშვილი, გ. აბაშიძე. აქედან გამომდინარე ჩემთვის დიდი პატივი იყო მათთან ერთად მუშაობა.

ახლადჩატარებულ მწერალთა ყრილობაზე ჩვენ შევცვალეთ მუშაობის სტრუქტურა. ხუთი ადამიანი ვართ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რომლებიც ერთმანეთს შევენაცვლებით.

წელს არის ბატონი რეზო მიშველაძე, შემდეგ მე. იქნება გუნდური მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს მწერლთა კავშირის გაერთიანებას. ამჟამად ვხელმძღვანელობ უცხოურ მწერლობას.

2. ქალბატონო მაყვალა! რომელი წლიდან წერთ ლექსებს?

რადგან მამა კახეთიდან იყო, ხოლო დედა გურიიდან, მთელი ჩემი ბავშვობა, ხან კახეთში ვიყავი და ხან გურიაში, მშობლები კი თბილისში ცხოვრობდნენ.

ვარ კახეთში წითელწყაროს რაიონის ერთერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში, რომელიც მთებს შუაა მოქცეული, რაღაც ძალზედ გამორჩეული ცაა ჩემს სოფელში. ღამით, როდესაც აივანზე ვიყავი გამოსული და ვუცქეროდი, ამ დროს ექვსი წლის ვიყავი, გამიჩნდა ლექსის დაწერის სურვილი და დაუძახე ბებიას: ბებია! ბებია! მუზა მომივიდა, მუზა. . . მაშინვე გამოვიდა ოთახიდან. ბებოს დედილასაც ვეძახდი, რადგან ძალიან მიყვარდა. მოიტანა კალამი და ჩაიწერა ლექსი. იმ დღიდან დღემდე მომყვება ეს უფლის ნაკარნახევი მადლი. ლექსი კარგია თუ ცუდი, ყველაფერი უფლის ნებაა.

უცნაურია ისიც, რომ ჩემი პირველი ლექსი ფილოსოფიური იყო. ეძღვნებოდა სიკვდილ სიცოცხლის თემას. მახსოვს ასე მთავრდებოდა:

„მივქრივარ, თეთრ რაშზე ვზივარ,
მივაპობ მთებსა და ველებს,
მივქრივარ იქ, სადაც სიკვდილი არ არის,
მივქრივარ იქ, სადაც სიცოცხლე ჩქეფს“.

ეს იყო 1966 წელი, როცა მთელი საქართველო დიდი მწერლის, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ზეიმობდა და ყველას, განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა პოეზიის მწერლობის მიმართ.

3. რა არის თქვენთვის პოეზია?

მოკლედ რომ გითხრათ, ალბათ ყველაფერი.

4. როგორ გაიხსენებდით ბატონ ჰამლეტს?

ჰამლეტი მარტო ჩემთვის კი არა, არამედ საქართველოსთვისაც დიდი პიროვნება იყო. იგი უბოროტო, კეთილშობილი ადამიანი იყო, რომელსაც გაგიკვირდებათ და მტერი არ ჰყავდა. მისი თვალები მოყვასის სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა. ამიტომ იმსახურებდა ხალხის სიყვარულს.

5. ქალბატონო მაყვალა! თუ შეიძლება როგორი მშობელი იყო ბატონი ჰამლეტი და თქვენ თუ გავხართ მას, როგორც მშობელი?

ბატონი ჰამლეტი მოსიყვარულე მამა და მშობელი იყო. მახსოვს მას ყოველთვის აგვიანდებოდა. ყველა ჰამლეტს დაეძებდა.

არ ვიცი რამდენად ვგავარ მას ამ კუთხით, მაგრამ მასავით მიყვარს ჩემი ოჯახი და შვილები.

6. თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ქალ-ვაჟი. მარეხმა დაამთავრა თავისუფალი უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გატაცებულია პოეზიით, წერს ლექსებს.

ვაჟი – ივანე კეზუა მხატვარია. გაკეთებული აქვს რამოდენიმე გამოფენა.

პროექტში, რომელიც მარეხმა გააკეთა. „თბილისი და თბილისელები“. სხვა ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად, ივანეს ნამუშევრებიც არის შესული.

მეუღლეს დამთავრებული აქვს სასოფლო, მაგრამ გატაცებულია დიზაინით და ამ სფეროში მოღვაწეობს.

7. თქვენი საყვარელი პოეტი, მწერალი?

სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა პოეტებითა და მწერლებით ვიყავი გატაცებული, მაგრამ გალაკტიონი მუდმივად ჩემი თანამგზავრია.

დოსტოევსკი ჩემი უსაყვარლესი მწერალია. მიყვარს ბაბელი, მარკიზი, რეზო მიშველაძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთანაც დიდი მეგობრობა მაკავშირებდა.

8. თქვენი საყვარელი ლექსი?

შეიძლება ითქვას, რომ საპროგრამო ლექსია „ვალი“.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვირაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.

და სხვა კეკლუცი ქალების დარად
არ შეგისრულდეს ნატვრა არადეს,
არ იყოს ვინმე სიმარტივიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშოს,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში
არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მაერტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

არის ლექსი პატრიარქთან დაკავშირებით, რომელიც ჩემთვის ძვირფასია.

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსოთ სიბრძნის სალარო
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები სევდით ამევსო
მადლობელი ვარ ნუგეშისათვის, მწყემსო კეთილო
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

9. ქალბატონო მაყვალა! რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

ჯერ მინდა მის რედაქტორზე გითხრათ ორი სიტყვა, გასაკვირია როგორ ახერხებს ეს ქალბატონი ამდენს ჩვენს დროში. როდესაც მრავალი ცნობილი ჟურნალი დაიხურა უსახსრობის გამო, ქალბატონი გულნაზი წინ მიიწევს და არ უშინდება წინააღმდეგობებს, ეს ჩვენს დროში გმირობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე მინდა ვუსურვო მთავრობის მხრიდანაც და მეცნიერებიდანაც მეტი თანადგომა და მხარდაჭერა.

10. თუ შეიძლება გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი შემოქმედებიდან?

ადრე პოლიცია კი არა მილიცია იყო. ახალი ჩამოსული ვარ მოსკოვიდან, სადაც პირველად ვნახე ცხოველთა ბაზარი.

ბატონ ნუგზარ ერგემლიძეს მილიციის დღესთან დაკავშირებით შემოქმედებითი საღამო უნდა გაემართა მათ დაწესებულებაში და მეც მიმიწვია ამ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. დადგა ჩემი ჯერიც და აი საკვირველება, ჩემი წაკითხული ლექსის „ცხოველთა ბაზარი“-ს შემდეგ ტაშის მაგივრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ლექსი კი ასეთი იყო:

„ცხოველთა ბაზარი“

და როგორც ჩვენში, აქ ცხოველებშიც,
მეტი ფასი აქვს ძაღლებს ფინიას,
ჩირად ფასობენ აქ უჩინონი
უცქერი ფიქრობ და მეშინია“

11. ქალბატონო მაყვალა! რას გვისურვებთ ახალგაზრდობას.

ჩემო პატარა მეგობარო! ძალიან მინდა, რომ მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში იცხოვროთ, ეს კი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ. ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა და ინტერვიუს ჩაწერა.

ინტერვიუ ლაგოდეხის რესურსცენტრის უფროსთან მანანა ჩიკვაიძე



გამარჯობათ ქალბატონო მანანა! თქვენ ბრძანდებით ქალაქ ლაგოდეხის რესურს ცენტრის ხელმძღვანელი. თუ შეიძლება რომ ჩემი რესპოდენტი იყოთ.

დიდი სიამოვნებით მოგისმენთ და ვეცდები ამომწურავი პასუხი გავცე თქვენს კითხვებს.

1. ქალბატონო მანანა! რით განსხვავდება ჩვენი თაობა თქვენი თაობისაგან?

თქვენი თაობა კარგად არის გარკვეული ახალ ტექნოლოგიებში, ვიდრე ჩვენ, უფრო სწრაფად აზროვნებენ, სწრაფად იღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს ვიდრე ჩვენი თაობა.

2. მოგწონთ თუ არა თქვენი თანამდებობა და რამდენი ხანია ხართ რესურს ცენტრის უფროსი?

მინდა გითხრა, რომ ვარ პროფესიით პედაგოგი, რაც ძალიან მეამაყება. ვმუშაობდი №1 საჯარო სკოლაში, ხოლო 2006 წლიდან ვარ ამ თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე მუშაობა საშუალებას მაძლევს ვიცოდე ლაგოდეხის რაიონის სკოლების მიდწევები. დავეხმარო მათ სხვადასხვა საკითხების გადაჭრაში.

3. გთხოვთ გვიამბოთ თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ორი ვაჟი. უფროსი აიტი მენეჯერია. უმცროსი საბანკო საქმით არის დაკავებულ;ი. ყავს მეუღლე რომელთანაც ერთად „ლიბერთი ბანკში“ მოღვაწეობენ. მყავს შვილიშვილი – ელენე. მეუღლე მედიცინის მუშაკია – თერაპევტი.

4. თქვენ, რომ იღებდეთ გადაწყვეტილებებს რას შეცვლიდითსკოლაში?

გავაუმჯობესებდი სასკოლო ინფრასტრუქურას და გავამკაცრებდი დისციპლინას.

5. რა რჩევას მისცემთ დღევანდელ ახალგაზრდობას?

რაც შეიძლება ბევრი იკითხონ და არ დაკარგონ უქმად დრო.

6. როგორია თქვენი პოზიცია? სკოლაში უნდა იყოს მანდატური თუა არა?

უნდა იყოს. ეს აუცილებელია.

7. სკოლაში უნდა ტარდებოდეს ღონისძიებები თუ არა? რომ დაგპატიჟოთ დაგვესწრებით?

აუცილებლად უნდა ტარდებოდეს. სიამოვნებით მივიღებ თქვენს მოწვევას.

8. როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა სკოლაში საატესტატო გამოცდები, მაშინ როცა იქ მიღებულ ნიშანს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს?

საჭიროა, რადგან ნებისმიერი გამოცდა აწესრიგებს ცოდნის შემოწმებას და ფსიქოლოგიურად აჩვევს სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვას.

9. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ელექტრონული ჟურნალების შესახებ. თქვენ რას ფიქრობთ საჭიროა თუ არა ელექტრონული ჟურნალი?

საჭიროა. ნებისმიერ მშობელს შეუძლია ნახოს თავისი შვილის ნიშნები კომპიუტერის საშუალებით.

10. თქვენი აზრით არის თუ არა ისეთი ბერკეტი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წიგნთან დაახლოებას?

ჩემი აზრით სკოლის ბიბლიოთეკების მხრიდან სხვადასხვა მწერალთან თუ პოეტთან დაკავშირებული საღამოების მოწყობა, წიგნის კვირეულის მოწყობა. თვით ოჯახის წევრებთან ურთიერთთანამშრომლობით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

11. რას უსურვებთ დღევანდელ მე-12 კლასელებს?

რაც შეიძლება მეტი ცოდნის შეძენას საკუთარი მომავლის მოსაწყობად და პროფესიონალიზმს მათ არჩეულ პროფესიაში.

12. ქალბატონო მანანა, ჩემს მეგობარს ბატონმა ჯამბურიამ, რომელიც ლაგოდეხის გამგებელია მერხებთან დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა რომ ეს საკითხი განათლების გადასაწყვეტია. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

დიახ, განათლების სამინისტრო ზრუნავს სკოლებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ეტაპოვრივად ხდება სკოლის ინტერიერის განახლება. ამასთანავე თვით სკოლასაც გააჩნია ხარჯები რომელიც მიმართულია ამ მხრივ.

თამაზი აფაქიძე
ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6-ე კლასის მოსწავლე

ინტერვიუ შ.პ.ს „კელაპტარის“ დამფარსებელსა და მთავარ ქირურგ გიორგი ღობეანიძესთან

ბატონო გია! როგორც ლაგოდეხის და არა მარტო ჩვენი რაიონის, არამედ კახეთში ცნობილ ქირურგს, მინდა დაგისვათ რამოდენიმე კიხვა:

- თქვენ აირჩიეთ ექიმის პროფესია, რა ასაკში გაგიჩნდათ ამის სურვილი და რამ გადაგაწყვეტინათ ეს არჩევანი?

- ექიმის პროფესია სკოლის დამთავრებისას ავირჩიე. პრესტიჟულად ითვლებოდა და ახლობლებმაც მირჩიეს.

- თქვენ გყავთ ორი ვაჟიშვილი, რომლებიც თქვენს კლინიკაში მუშაობენ. რა პროფესიის არიან ისინი?

- გიორგი ეკონომისტია და ჩვენს კლინიკას განაგებს, ხოლო შალვა ქირურგი. მუშაობს ლაპარასკოპიულ ქირურგიაში ლევან ქიმაძესთან ერთად. ფლობს ექოსკოპიასაც.

- როგორ შეაფასებდით შალვა ექიმს?

- ხალხი, პაციენტები შეაფასებენ. ვფიქობ პერსპექტიული ახალგაზრდა ექიმია.

- ბატონო გია! თქვენს მიერ დაარსებული „კელაპტარი“ მრავალი წელია ფუნქციონირებს, სადაც მრავალი მედიცინის წარმომადგენელი მუშაობს. ახორციელებთ თუ არა მედიცინის მხრივ სიახლეებს და რატომ მაინცდამაინც „კელაპტარი“ და არა სხვა?

- მედიცინაში მიმდინარე სიახლეებს ვცდილობთ თვალი მივადევნოთ და რისი შესაძლებლობაც გვაქვს ვნერგავთ კიდეც. მოგეხსენებათ ეს ყველაფერი საკმაო ფინანსებთანაა დაკავშირებული.

სახელი „კელაპტარი“, ვახტანგი სარალიძემ ჩვენმა ანესთეზიოლოგმა შემოგვთავაზა და უკავშირდება ჰოლანდიელი ექიმის ვანტულპის გამონათქვამს: „ვუნათებ რა სხვას, თვითონ ვიწვი“.

-თქვენი მუშაობის შემთხვევაში იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც უძლური არმოჩნდით ამა თუ იმ დაავადებასთან?

- სამწუხაროა მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირია მედიცინაში.

- პროფესიის გარდა რით ხართ დაკავებული და რა არის თქვენი ჰობი?

- ნადირობა ჩემი დიდი ჰობია. მიტაცებს სოფლის მეურნეობაც, კითხვა და სხვა მრავალი.

- ამ წლების განმავლობაში მრავალი კურიოზიც გექნებათ თავს გადახდენილი, თუ შეგიძლიათ ერთ-ერთის გახსენება.

- მე და ბაბუაჩემი წავედით ტყეში სანადიროდ. ძაღლები ამოვსხით, პატრონტაუიც გავიკეთე და აღმოვაჩინე, რომ თოფი სახლში დამრჩა. ახლოს ვიყავით, ჩუმად მანქანით სახლში დავბრუნდი, თოფი წავიღე, მაგრამ ბაბუაჩემს გამოაპარებ რამეს? ქვეყანა შემიყარა...

- ბატონო გია! აქვე მინდა გადაგიხადოთ დიდი მადლობა ჩემი მერი მასწავლებლის განკურნებისთვის და გისურვოთ ჯანმრთელობა და წინსვლა როგორც პირად ცხოვრებაში ასევე თქვენს პროფესიაში.

მე კი ვიტოვებ იმედს, რომ კლინიკა „კელაპტარს“ ყოველთვის ექნება თანადგომა და დიდი სიყვარული არამარტო ჩვენი რაიონის მოსახლეობისა, არამედ ხელისუფლებისაც.

ტარიელ ხარატიშვილი

ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან

მოგესალმებით ბატონო რეზო მე გახლავართ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ტატო ხარატიშვილი, ნორჩი ათინათელი, ვწერ ლექსებს და ვარ სტიქაროსანი.

ძალიან დიდი სურვილი მქონდა თქვენგან ინტერვიუს აღების და ეს დღეც დადგა.

დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს ბიოგრაფიას: დაიბადეთ 1940 წ-ის 1-იანვარს. სკოლა დაამთავრეთ ქუთაისში 1958-წს, შემდეგ დაამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, იქვე მუშაობდით 40-წელი. პარალელურად იყავით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, პროზის სექციის ხელმძღვანელი და რედაქტორი ჟურნალებისა: „კრიტიკა“ და „ნუგეში“, მიღებული გაქვთ უამრავი პრემია, ბრძანდებით „ღირსების ორდენის“ და „ივანე ჯავახიშვილის“ მედლის კავალერი, მიღებული გაქვთ „რუსთაველის“ და „ი. ჭავჭავაძის“ პრემიები, გამოეცით თქვენი 25-ტომეული. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი უბრალოებით.

1) და მაინც ხომ არაფერი გამომრჩა?

ჩემო ტარიელ, არათუ გამოგრჩა, არამედ უფრო მეტიც მითხარი ვიდრე მეკუთვნოდა. იცოდე შენ, არავითარ ჯილდოს და ტიტულს მნიშვნელობა არა აქვს მწერლისთვის და ხელოვანისთვის, თუ ეს ჯილდო მას ნიჭის გამო არ ეკუთვნის. ყველაფერი ჩემი ცხოვრების ეპიზოდებიდან არის, როდის რა პრემია მიმიღია, რა თანამდებობაზე ვყოფილვარ. მთავარი რევაზ მიშველაძის ადგილის გარკვევისთვის, არის ის 25 ტომი, რომელიც ქართველი მკითხველის თაროზე დავდე. მიმდინარე 2014 წელს. ამიტომ დავიწყოთ, რომ შენ ესაუბრები მხცოვან და შენ, როგორც ამბობ დამსახურებულ მწერალს, ნუ იქნები აღფრთოვანებული ჩემი შემოქმედებით, მე ერთი ჩვეულებრივი ქართველი მწერალი ვარ და ერთმანეთს ვესაუბროთ, როგორც მეგობარმა-მეგობარს, კოლეგამ-კოლეგას. მე კარგად ვიცი შენი სახელი და გვარი, ამიტომ დავთანხმდი შენთან საუბარზე, ჩემს უსაყვარლეს მეგობარს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომ ნიჭიერი ყმაწვილი ხარ. აი ეს არის ყველაზე დიდი ეპითეტი, რასაც მე ვეტყოდი შენი ასაკის და ცოტა უფროსი ასაკის ლიტერატორსაც კი.

2. რა ემოცია აღძრავს თქვენში მუზას?

ტარიელ შენ მომავალი პოეტი ხარ და უნდა გითხრა, რომ მუზა ძალიან აბსტრაქტული ცნებაა, ლამაზი სიტყვა კია. სინამდვილეში. არავითარი მუზა არ არსებობს, არავითარი პოეტური ქალღმერთი არ დაგაფრინდება შენ მხრებზე და ჩურჩულს არ დაგიწყებს. მუზა არის მხოლოდ და მხოლოდ განწყობის შექმნა რაიმეს დასაწერად. 100 პროცენტიდან მხოლოდ რამოდენიმე პოეტია, რომელიც ახალ პოეზიას ქმნის, დანარჩენი ერთმანეთის

ლექსების გადამღერებას უნდება. გალაქტიონ ტაბიძე, შოთა ნიშნიანიძე, ლადო ასათიანი და კიდევ თითებზე ჩამოსათვლელი პოეტებისა.

მუზა ძალიან ხელოვნური მცნებაა პროზაიკოსებისთვის. მე ვარ პროზაიკოსი ვწერ: მოთხრობებს, ნოველებს და რომანებს. მე მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვიწყებ წერას, როცა არ შემიძლია არ დავწერო, ჩემთვის მაგიდასთან მიმჯაჭველი არის ამბავი, სიუჟეტი, რომელიც მე მომხიბლავს. ასეთი ამბები ჩემს ყურს ძალიან ხშირად ხვდება. მაგალითად: შეიძლება სრულიად შემთხვევით მივდიოდე იმერეთის, რომელიმე სოფელში და გავხდე მომსწრე იმ სოფლის სკოლადამთავრებული 30 წლის ბიჭი, როგორ დაიღუპა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში და მადლიერმა სოფელმა, როგორ მიანიჭა მისი სახელი სკოლას, მე რომ ჩამოვდივარ იქიდან, ამ შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ, სულ ვფიქრობ, როგორი იყო ეს ბიჭი. ფიქრი ჩემში იბადება მისი ხალასი, უშუალო და ცრემლის მომგვრელი პოეზიიდან, ამ წუთში ეხლაც ამაზე ვფიქრობ, როგორ მოვხაზო ჩემს ნოველაში ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი. ეს არის ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურეს მიმართ, ან შეიძლება ვიღაცამ გიამბოს: ასეთი და ასეთი ამბავი მოხდაო და ამან შეიძლება ჩემში აღძრას განწყობა წერისათვის. გონებაში ეს იხარშება. ნამდვილი მწერლის გონება სულ მუშაობაშია, აი ახლაც, შენ რომ მიზიხარ, ეს ლამაზთვალება, ჭკვიანი ბიჭი მე ვფიქრობ, ნეტავ რა იქნებოდა მე, რომ მქონოდა საშუალება მე-6 კლასის მოსწავლე დავმჯდარიყავი რომელიმე უფროსი თაობის მწერლის წინაშე, როგორ მოვიქცეოდი მე, რას ვკითხავდი და რას მიპასუხებდა იგი. აი ეს არის ეხლა რაც ტრიალებს ჩემს ტვინში ამ შეკითხვებიდან გამომდინარე.

3) თქვენი ფავორიტი მწერალი?

ჩემი საყვარელი მწერალი არის შოთა რუსთაველი. ეს არის მსოფლიოს ყველაზე დიდი პოეტი.

4) თქვენ ბევრი სტუდენტ გაგიზრდიათ, თუ გყოლიათ მწერლობის ნიჭით დაჯილდოვებული სტუდენტ, რომელმაც მთელი ცხოვრება დაგამახსოვრათ თავი?

ძალიან დიდი ხნის წინანდელი ამბავია: 1960 წელს შევედი უნივერსიტეტში, ჯერ ვიყავი ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი, შემდეგ 1966 წლიდან ბესარიონ ჟღენტის შემდეგ, მე ვიყავი ამ წრის ხელმძღვანელი 2006 წლამდე ეს ის წელია, როდესაც წინა მთავრობის „დმსახურებით“ არსებობა შეწყბიტა ერთადერთმა ალმანახმა-რომელიც გამოდიოდა 50 წელი მას ერქვა „პირველი სხივი“ მისი ავტორიც მე ვიყავი. უნივერსიტეტში ჩაკვდა ყოველგვარი ლიტერატურული ცხოვრება. ეხლა 1 წელია, რაც უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, დაგვაბრუნეს ორიოდე ათეული პროფესორი და ნელ-ნელა უნივერსიტეტი ემსგავსება იმ ეროვნულ კერას, რომელიც არსებობდა უნივერსიტეტის დაარსებიდან 1918 წლიდან 2006 წლამდე. 2006 წ-დან 2012 წლამდე იცოდეს ისტორიამ უნივერსიტეტი ფაქტიურად გაუქმებული იყო.

2006 წლიდან იქ პარპაშებდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და ჩემდა სამწუხაროდ დღესაც, ნაციონალური მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი არის უნივერსიტეტის „ფუნქციონერი“, ვერ გაიწმინდა ეს ჩვენი საამაყო ეროვნული კერა, ნაც. მოძრაობის ნარჩენებისაგან, მიუხედავად დღევანდელი რექტორის მცდელობისა. ასე, რომ ჩემო კარგო, მე უამრავი სტუდენტი მყავდა, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ გეტყვით, რომ დღევანდელი მწერალთა კავშირის 80% უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ყოფილი წევრები არიან. მე არ ვიტყვი ჩემს მიერ დაოსტატებული და გაზრდილები არიან მეთქი. დაოსტატება, ლიტერატურულ ვარჯიშში მიხმარება შეიძლება, მაგრამ შენ მისგან პოეტს ვერ შექმნი თუ იგი დაბადებული არ არის პოეტად. არავითარი სკოლა მაგას არ უშველის. ვარჯიშით შეიძლება რაღაც დინეს მიაღწიო, რითმების დაკავშირება, კომპოზიციის კანონები შეისწავლო, მაგრამ პოეტი ვერ გამოვა. კითხულობ ასე ლექს და არის გალექსილი პუბლიცისტიკა. როგორც გალაქტიონი იტყოდა: თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი. ასე, რომ ვინც არ უნდა დავასახელოთ ჩემზე 15-20 წლით უმცროსი მწერალი ყველა ჩემი ნამოწაფარია, მე მათ გვარებს არ ჩამოვთვლი, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთზე უკეთესები არიან, მე ისინი ყველა მახსოვს და ყველა მიყვარს.

5) გთხოვთ მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობის შესახებ, როგორი ბავშვი იყავით, რა გიყვარდათ, რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

რევაზ მიშველაძე, როგორც ბავშვი, ჩემო ტარიელ, ისეთივე ბავშვი იყო, როგორც ყვე-

ლა ბავშვი, სხვაზე მეტად ცელქი ვიყავი, მაგრამ სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ერთი, რამაც გადამარჩინა მე მივდევდი სპორტსაც. 2 თვეში 75 წლის ვხდები. ამასწინათ ჩვენი გამოშვების სურათს ვათვალიერებდი და 47 კურსდამთავრებულიდან 14 ვართ ცოცხალი. ძნელ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება, წუთი-სოფელმა გვაჯანჯღარა და ბევრი გარდაიცვალა. გადრა სპორტისა მიყვარდა კითხვა, ის იყო ჩემი კერპი. შენ გიყვარს სპორტი? მე ყველა ახალგაზრდას ვაძლევ რჩევას, რომ იყოს სპორტით გატაცებული. სპორტი შენში ხსნის ვაჟკაცობას, რაინდობას, სიმამაცეს, შემოქმედებით ძალას გმატებს. ამასწინათ ვკითხულობდი, ფრანგ მწერალს-ანრი მორუას, აქვს დაწერილი: თუ რამ არის კარგი და ზნეობრივი ჩემში, ეს სპორტმა მომცაო. შენ იცოდე, რომ ყველა კარგი მწერალი მსოფლიოში, ვაჟკაცი იყო, ფიზიკური გამძლეობის გარეშე ჭეშმარიტი ლიტერატურა არ იქნებოდა.

მე ვფიქრობ ხანდახან, როგორი ვაჟკაცი შეიძლება ყოფილიყო შოთა რუსთაველი. დიდი ფიზიკური და სულიერი ძალის გარეშე არ დაიწერებოდა „ვეფხის ტყაოსანი“. იქ ერთი სცენაა: ვეფხის და ლომის შებრძოლებისა და მერე ტარიელის ჩარევისა, ვეფხის და ლომის შერკინებაში. ამას მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ადამიანი აღწერდა.

6) თქვენი აზრი სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურის სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებზე.

მე ვიცი, რომ ამჟამად ძალიან სავალალო მდგომარეობაშია ქართული ენის და ლიტერატურეს სწავლება სკოლაში, თუ ძალიან მცირე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში. ეს გამონაკლისი მოდის მხოლოდ ინდივიდ მასწავლებლებზე. თუ მასწავლებელია თვითონ კარგი პიროვნება, პატრიოტი, ქართული ენისა და ლიტერატურის მოყვარული იგი მაინც შესძლებს კარგად შეასწავლოს თავისი საგანი მიუხედავად იმისა, რომ მთელი სისტემა იყო ამის წინააღმდეგი გასულ 9 წლეულში. გასული 9 წლის განმავლობაში გაუქმდა ქართული ენის კოლეგია, ე. ი. ქართული ენის ნორმების დამდგენელი კომისია. იკითხებოდა მხოლოდ შემცირებული პროგრამა. ქართული ენა-ლოიტერატურა შემცირდა მისაღებ გამოცდებზეც.

უამრავი სტატია მაქვს დაწერილი ამის თაობაზე, თუ რიგორ შემცირდა და თანდათანობით გაუქმდა მისაღებ გამოცდებზე ქართული ენა-ლიტერატურის ჩაბარება, იმ ტესტების გამოგონება, ქართული საათების შემცირება სკოლებში, აკრძალვა ნახევრად არალეგალურად სკოლებში გამოჩენილი მწერლების შეხვედრებისა, ემსახურებოდა იმას, რომ არ განვითარებულიყო ქართული კულტურა, მაგრამ განსაკუთრებით პატრიოტმა ადამიანებმა, მაინც შეძლეს გამოეტაცათ, ამ უბედურ დროში, რამდენიმე ქართული ჟურნალი და გაზეთი, რომ მკითხველს ქონოდა სულიერი წყარო. გაუქმდა „ცისკარი“ და „მნათობი“, ეს ტრადიციული ქართული ჟურნალები, ეს ხომ ტრაგედიაა.

7) რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ როლზე, როგორც მომავალი თაობისთვის ასევე ზოგადად.

მე როგორც ვიცი, შენი უფროსი მეგობარია ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, რომელმაც შეძლო ამ უმძიმეს დროში არაჩვეულებრივი ქართული ჟურნალის გამოცემა. მე მიხარია, რომ იქ ერთმანეთის გვერდითაა შენი თაობის დამწყები პოეტებიც და მხცოვანი პოეტებიც.

ეს ისეთი კარგი მაგალითია ლიტერატურული საქართველოს მობრუნებისა, რომ მე როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი, აღფრთოვანებული ვარ. ეს არის ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის საქციელი. დანარჩენი შემდეგ კრიტიკოსებმა იმსჯელონ, რა იყო კარგი და რა უარესი. აი მაგალითად „ნობათი“ და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომ შეიქმნა, მას ისიც კი გაუბედეს, რომ დაეწუნებინათ „დედაენა“, მაგრამ დღემდე მასზე უკეთესი ვერავინ ვერაფერი შექმნა. დედაენა შეუცვლელი წიგნია.

8) ბატონო რეზო მე საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე ლექსების და ჩანახატების წერა, ზოგიერთ ლექსს, რომ დავწერ და რამოდენიმე ხნის შემდეგ წავიკითხავ, აღარც მახსოვს რომ დავწერე, ხან მიკვირს კიდეც ნუთი ეს მე დავწერე? არ ვიცი რა მაწერინებს, ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს რჩევა-დარიგებებს. რას მირჩევდით? თქვენ შეიძლება არ იცნობდეთ ჩემს ლექსებს თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ (წაიკითხა თავისი ლექსი „მოდით სამშობლოს მივუძღვნი ამ ლექსს“).

სიამოვნებით მოგისმინე ჩემო კარგო. უპირველესყოვლისა მიიღე ჩემი მოწონება და მხარზე ხელის დაკვრა. კარგი ბიჭი ხარ, გრძნობ ქართულ სიტყვას, მუსიკალური ხარ, მოგ-

დევს რითმა, გაქვს სათქმელი და ამ სათქმელის გამოხატვის საშუალება. მე მიმაჩნია, რომ შენი სახით ერთი კარგი პოეტი გაეზრდება საქართველოს. გაეზრდება მეთქი, იმიტომ გითხარი, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაო, იკითხო. მე გირჩევ შეეცადო მოკლედ წერო, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგიო“, ეს განსაკუთრებით ლირიკის ავტორებს ეხებათ. თვითონ რუსთაველის პოემა დიდი რომანია, ის სხვა ჟანრია, ის პოტური რომანია. არის ასეთი ლიტერარული ჟანრი, კომპოზიციის გრძნობა. როცა ლექს დაწერ, ერთი ფიქრი დააყოლე თან, რომ იმ თემაზე რაზეც ვწერ, ბევრი ლექსი დაწერილა. სხვის მიერ გაკვალული გზით არ იარო და სენეული ფიქრი, შენეული ფრაზა და შენეული ინტონაცია ჩადო შიგ. ლაკონური აზროვნება, რაც შეიძლება ორიგინალური და ჩემეული ვიყო.

9) დიდი ინტერესთ ვკითხულობ თქვენს ნოველებს, ისინი ჩემთვის სულხა-საბას იგავარაკებივითაა, საიდანაც ძალიან ბევრი სიბრძნის სწავლა შეიძლება, ისინი ისეთი შთამბეჭდავია ჩემთვის, სურვილი მიჩნდება მათ გაგრძელება ჰქონდეთ და სიამოვნებით წავიკითხავდი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ცივმა ღამემ“. თქვენ არ გქონიათ სურვილი რომელიმე ნოველლა გაგეგრძელებინათ?

არ მქონია ნოველური სიუჟეტი ის ისა, რომ მოულოდნელად მთავრდებოდეს. ჯერ ჩემთვის არავის არ მოუმართავს, რომელიმე ნოველა გააგრძელეო. ის კი არა, ხან ვფიქრობ ნამეტანი, ხომ არ ვილაპარაკე მეთქი. მწერალს, რომელსაც წერტილის დასმის გრძნობა არა აქვს ის მწერალი არ არის. ილია ჭავჭავაძეს ჰყავს პერსონაჟი „გლახა ჭიაშვილი“, რომელიც იწყებს და ვერ ამთავრებს, ლაკონურობა, სისხარტე, მკითხველის ყურადღების ბოროტად არ სარგებლობა, ეს არის ჭეშმარიტმა მწერალმა გულის ფიცარზე, რომ უნდა დაიწეროს.

10) თუ ხედავთ მომავალ თაობაში იმის პოტენციალს, რაც საქართველოს სჭირდება.

რა თქმა უნდა, ამას, რომ ვერ ვხედავდე თავს მოვიკლავდი, მაგრამ საქართველომ და ჩვენმა სკოლებმა, ჩვენმა აღმქრდელობითმა სასწავლებლებმა, ბოლო გამოტოვებული, ეროვნული აღზრდის 9 წელიწადი უნდა შეავსოს, რომელიც გამოატოვებინა წინა-საკაშვილის მთავრობამ. დიდი ნაბიჯებით უნდა იაროს, რომ ეროვნული მოქალაქეები აღზარდოს. ეროვნული მოქალაქეები რას ჰქვია? თავის სამშობლოს თავისუფლებისთვის, რომ იბრძვის. თუ ოდესმე სათავეში მოვა თაობა, რომელსაც დარდი არ ექნება, საქართველოს წართმეული მიწების, რომელსაც სურვილი არ ექნება სამაჩაბლო და აფხაზეთის დაბრუნებისა, მე ჩავთვლი, ეს არაეროვნული თაობაა და საქართველოს მომავალი არ უწერია. მაგრამ მე იმედი მაქვს უფლის ნებით ყველაფერი კარგად იქნება.

11) ბატონო რეზო. ჩემი ქართული მასწავლებელმა ქალბატონმა მერი სპანდერაშვილმა ერთხელ სკოლაში ჩამიტარა პერსონალური პოეზიის საღამო, შემდეგ კი ქაბატონი გულნაზის დახმარებით მქონდა თბილისში. თუ უფლის ნება იქნება კიდევ მაქვს სურვილი სასწავლო წლის ბოლოს მქონდეს პოეზიის საღამო და დიდი მოწიწებით მინდა გთხოვოთ ახლავე. იქნებ დრო გამონახოთ და მობრძანდეთ.

სიამოვნებით დავესწრები, კარგი ბიჭი ხარ ძალიან.

12) უღრმესი მადლობა დრო, რომ დამითმეთ. მე ამ ერთი საათის განმავლობაში იმდენი ცოდნა და გამოცდილება მივიღე, ალბათ მთელი ცხოვრება გამყვება.

ტარიელ ხარატიშვილი

ინტერვიუ ლაგოდეხის გამგებელთან კახა ჯამბურიასთან

– გამარჯობათ! მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპრიფილიანი საერთაშორისო აკადემიის "ნორჩი ათინათელი". ინტერვიუ ავიღე ჭიათურის ამჟამინდელი გამგებლის, საჩხერის და ლაგოდეხის ყოფილი გამგებლების, სხვიტორში აკაკი წერეთლის მუზეუმის დირექტორისგან, ბიძინა ივანიშვილის დეიდის ქალბატონ მერისგან, ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენის – რუსუდან გორდეზიანისგან, ჩემი სკოლის დირექტორისგან. დიდი სურვილი მქონდა თქვენც შეგხვედროდით და დამესვა რამოდენიმე შეკითხვა. გთხოვთ გვიამბოთ თქვენი და თქვენი ოჯახის შესახებ.

– კახა ჯამბურია, პასპორტით კარლო, მყავს ოჯახი, მეუღლე ორი შვილი; ერთი არის ცამეტი წლის მეორე ხუთი წლის. ერთი დადის პირველ სკოლაში, შენ სადაც დადიხარ და მეორე პირველ საბავშვო ბაღში. მე ვარ იურისტი და ეკონომისტი, აქამდე ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში, ლაგოდეხში, სამოქალაქო განვითარების ასოციაციაში, მერე გადავედი თბილისში, ვიყავი სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრში და ბოლო პერიოდში თბილისში ვმუშაობდი მუნიციპალური განვითარების ფონდში. ბოლოს ვიყარე კენჭი ლაგოდეხის გამგებლობაზე ხალხმა მხარი დამიჭირა და გავხდი გამგებელი.

– თქვენი ბაბუა კარლო კალაძე და ბებია ნინო ნიკურაძე ღვაწლმოსილი პედაგოგები დაცნობილი და პატივსაცემი ადამიანები იყვნენ. ისინი ჩემი ბაბუის ტარიელ ხარატიშვილის ახლო მეგობრებიც ყოფილან. რამაც ძალიან გამახარა. რა თვისებებით გავხართ ბაბუას?

– ბაბუას თვალებით ვგავარ. მე ბაბუას ვერ მოვესწარი. იგი ადრე გარდაიცვალა 72 წელს. მე 75-ში დავიბადე. თვისებებით, მეუბნებიან უფრო სამართლიანობის კუთხით ვგავარ, ესაა ძირითადი მსგავსება.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლო გეგმები, რისთვისაც ამირჩია ლაგოდეხის მოსახლეობამ, ესაა, რაც შეიძლება მეტი პრობლემები მოვაგვაროთ, ესაა სასმელი წყლის პრობლემა, გზების პრობლემა, სანიაღვრე არხების პრობლემა... და სხვა რაც მუნიციპალიტეტს ეკუთვნის გასაკეთებლად, ეს პრობლემები მოვაგვაროთ. განვითარდეს ჩვენი რაიონი მომავლისკენ და იყოს მოსახლეობა კმაყოფილი. ეს არის ჩემი სამომავლო გეგმები.

– რომელია თქვენი ყველაზე ლამაზი, განხორციელებული ოცნება და ჯერ კიდევ მიურწეველი მიზანი?

– განხორციელებული ოცნება ისაა, რომ ორი შვილი მყავს. ორი ბიჭი მყავს და კიდევ მინდა, რომ ორი გოგო მყავდეს. მიუღწეველი მიზანი ცხოვრებაში არ მქონია. ისეთი მიზანი რომ დამესახა და ვერ მიმეღწია ის იყო, რომ ბავშვობაში მინდოდა ფეხბურთელი გამოვსულიყავი და ვერ გამოვედი, ვთამაშობდი, მაგრამ მშობლებმა არჩიეს რომ სწავლა-განათლებისთვის უნდა დამედო თავი. დავანებე ფეხბურთს თავი და შევედი ვეკუას სკოლაში, ეს არის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა თბილისში, ამის გამო სპორტს შევეშვი.

– რა პერსპექტივებია ხალხის დასაქმებასთან დაკავშირებით ლაგოდეხში?

– ლაგოდეხში ხალხის დასაქმებაზე, ჩვენი მუნიციპალიტეტი მიზანია, ხელი შევუწყოთ გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობას, ბიზნესის განვითარებას, ტურიზმის გან-

ვითარებას, რადგან უფრო მეტი ადამიანი დასაქმდეს ამ სფეროში. ამუშავდება მინი ქარხნები ხილის გადამამუშავებელი, კონსერვატების, სადაც შეიძლება მოსახლეობის დასაქმება. ეს არის პერსპექტივაში და ამისთვის უნდა ვიშრომოთ მეტი, რომ შევუქმნათ პირობები ბიზნესის განვითარებას.

– ლაგოდეხელ ბავშვებს და მოსახლეობას დიდ პრობლემას უქმნის მაწანწალა ძაღლები. არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც შეუძლებელია ქუჩაში უშიშრად გავლა. თუ გაქვთ რაიმე ღონისძიებები ამასთან დაკავშირებით?

– მაწანწალა ძაღლების პრობლემა ყველა რაიონშია, ეს საერთოდ ქვეყნის პრობლემაა და როგორც სხვაგან ასე ჩვენთანაც მოგვარდება იგი.

– "ნორჩი ათინათელები" ვცდილობთ ჩვენი ჟურნალების გავრცელების მასშტაბების გაზრდას. ჟურნალი შემეცნებითია და ძალიან ბევრი სიახლის მომტანია მოსწავლეებისათვის. თქვენ თუ გაქვთ სურვილი ჟურნალი "ათინათი" შევიდეს ლაგოდეხის სკოლებში?

– ლაგოდეხის სკოლებში რომ შევიდეს ჟურნალი "ათინათი" მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, პირიქით კარგიც იქნება, გააჩნია რა კუთხით შევა ამ სკოლებში. ჩვენ თუ ბიუჯეტიდან მოგვიწევს ამ თანხის გადახდა ამ ეტაპისათვის ეს თანხები ბიუჯეტში არა გვაქვს, მაგრამ თუ სკოლა ჩათვლის საჭიროდ რომ შეიძინოს ჟურნალი, ეს კარგი იქნება.

– ბატონო კახა, ვიცი, რომ ძალიან ბევრი საქმე გაქვთ მოსაგვარებელი, თქვენ ერთი ხართ და მთელი რაიონის მოსახლეობა თქვენ მოგმართავთ თავისი პრობლემებით. მაგრამ მე ერთი საჭირბოროტო საკითხის დაყენებასაც ვბედავ, იმიტომ, რომ ეს ჩვენი თაობის მომავალ სწორად განვითარებას ეხება. მე და ჩემი კლასელები, მოსწავლეების უმრავლესობა, ვსხედვართ ჩვენი ასაკისთვის შეუფერებელ მერხებზე, მე უკვე მაქვს პირველი ხარისხის ხერხემლის გამრუდება. თუ თქვენ ამ პრობლემას მოაგვარებთ, ჩათვალეთ, რომ მომავალი თაობის წინაშე ვალი უკვე მოხდილი გაქვთ.

– რაც შეეხება სკოლებს და მერხების მოწყობას, ეს ჩვენს პრეროგატივაში არ შედის. სურვილიც რომ გვქონდეს, რომ შევიძინოთ მერხები და სკამები ამის იურდიული საშუალება არა გვაქვს. ეს არის განათლების სამინისტროს პრეროგატივა და განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს ამაზე. მე, როგორც ვიცი დაგეგმილია სხვადასხვა სკოლების რეაბილიტაცია და ახალი აღჭურვილობით მომარაგება.

– რას უსურვებთ ჟურნალ"ათინათს" და მომავალ თაობას?

– ჟურნალ "ათინათს" ვუსურვებ, რომ რაც შეიძლება მოძლიერდეს, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით დაიბეჭდოს და გავრცელდეს მოსახლეობაში და იყოს ისეთი ჟურნალი, რომ მოქალაქეებს მოსწონდეთ და მოწადინებული იყვნენ ამ ჟურნალის ყიდვაზე, თვითონ "ნორჩი ათინათელები", ვინც სტატიებს წერთ ამ ჟურნალში, გაგეგრძელებინოთ წერა. მეც ვწერდი სტატიებს ძირითადად სპორტზე, მაგრამ არ გამიგრძელებია ეს საქმე, მაგრამ დღეს გამგებელი ვარ. თქვენ გექნებათ ცხოვრება წინ და ეს გამოცდილება გამოგადგებათ მომავალში, გისურვებთ კარგ მომავალს და წარმატებებს ცხოვრებაში.

– გმადლობთ რომ დრო დაგვითმეთ.

თებრონე მაისურაძე

ინტერვიუ ზურაბ გასიტაშვილთან

მოგესალმებით ბატონო ზურაბ, მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისაო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის №3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე: თებრონე მაისურაძე. თუ შეიძლება, გამაცანით თქვენი პიროვნება.

მე გახლავართ ზურაბ გასიტაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

რომელი რაიონიდან ხართ?

მე დავიბადე ქალაქ ხაშურში.

ვიცი, რომ ხართ რექტორის მოადგილე, კითხულობთ თუ არა ლექციებს?

კი, ვკითხულობ ლექციებს, უფრო მეტად მაგისტრებთან და დოქტორანტებთან.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ორი.

ვინ არიან თქვენი მშობლები?

ჩემი მშობლები არიან: მამა, აკაკი არჩილის ძე გასიტაშვილი და დედა, მარიამ სამსონის ასული მძინარაშვილი.

რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არის XX საუკუნის გამოჩენილი პიროვნება. მე ამ სიტყვას, გამოჩენილს, არ ვამბობ ზოგადად, ის, ნამდვილად ასეთი იყო. მე ადრეც ვთქვი და დღესაც გავიმეორებ, რომ გავა საუკუნეები და ბევრი ჩვენგანი დავიწყებას მიეცემა, ჯუმბერ ლეჯავას პიროვნება კი დარჩება ქართველი ხალხისა და ახალგაზრდობის საამაყო პიროვნებად, რომელსაც ჰქონდა უნიკალური სპორტული ნიჭი და ამავე დროს, იყო დიდი მოგზაური.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ უწევდით დახმარებას გეპეის ადმინისტრაცია?

რა თქმა უნდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა ბატონი ჯუმბერისათვის. მას უნივერსიტეტში გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური ცენტრი, სადაც ყველანაირი პირობები ჰქონდა შექმნილი ყოველდღიური მოღვაწეობისათვის. ბატონი ჯუმბერის მეგობრები არიან: ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი ხემძღვანელები. ესენი არიან: ბატონი არჩილ ფრანგიშვილი, ზურაბ წვერაიძე, შალვა ნაჭყებია, ივანე გორგაძე... ბატონ რექტორს ბებია ლეჟავა ჰყავდა და ორმხრივ უყვარდა ბატონი ჯუმბერი, როგორც გამოჩენილი და საყვარელი ადამიანი, ასევე, როგორც ნათესავი

რას აფასებთ ყველაზე მეტად მოზარდ თაობაში?

გულწრფელობას.

თქვენ როგორი მოსწავლე იყავით?

რთული. როცა I კლასში ვიყავი, ჩემმა მშობელმა კლასის დამრიგებელს, ქალბატონ ნინა რუხაძეს, ჰკითხა, როგორ იქცევაო, მან უპასუხა: მთელი გაკვეთილი ბურდღუნებსო. ასეთი მოსწავლე ვიყავი. Iსე, როგორც მოსწავლე, ცუდი არ ვიყავი, ვერ ვიტყვი, რომ ფრიადოსანი გახლდით თუმცა მათემატიკაში და ფიზიკაში, ნამდვილად, წარმატებული და ძლიერი ვიყავი. ჰუმანიტარული საგნებიც მომწონდა, თუმცა მამაჩემივით ძლიერი არ ვყოფილვარ.

წარმოიდგენდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გარდაცვალებას ამ ასაკში?

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ძლიერი სულის კაცი, რომელმაც გაუძლო ძალიან ბევრ და დიდ პრობლემებს, ამ ასაკში გარდაიცვლებოდა. იგი სიკვდილის წინაშე არაერთხელ მდგარა, თუმცა უფლის წყალობით, ის გადარჩა. ის გრძნობდა, რომ მარტო მისი ნებისყოფა კი არა, უფლის წყალობაც იყო, მისი გადარჩენის მიზეზი. სიმართლე გითხრათ, ჯუმბერი მე ვერ წარმომედგინა მოხუცებული. ის უნდა წასულიყო ისე, როგორც წავიდა. უფალმა იგი წაიყვანა ლამაზი და მარად ახალგაზრდა. ასეთი დარჩება ის ჩვენს ხსოვნაში, ორიგინალური და ძლიერი პიროვნება.

ხართ თუ არა იმ ფილმით კმაყოფილი, რომელიც გადაიღო ჯუმბერ ლეჟავას აკადემიამ?

ბრწყინვალე ფილმია, და ვთვლი, რომ ის უნდა იყოს ქართული საინფორმაციო სივრცის ფართო გაშუქების საგანი. ამ ფილმმა თითქოს ძველ დროში დამაბრუნა. დღევანდელ საზოგადოებას სულიერება გვაკლია. პატრიარქი მუდამ ბრძანებს, რომ ნეგატიური ინფორმაციით არ უნდა ვაწუხებდეთ ადამიანებს, მათ სწორედ ასეთი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ,როგორიც ეს ფილმია. ლამაზი მუსიკის ფონზე, სულიერად შემოდის ბატონი ჯუმბერის პიროვნება და კიდევ უფრო სამაგალითო და საამაყო თვითოეული ჩვენგანი-

სათვის. ეს ფილმი ყოველთვის კარგს მოუტანს და სამაგალითო იქნება ქართველი საზოგადოებისათვის

დღეს ჯუმბერ ლეჟავა აღარ არის, გააგრძელებთ თუ არა მის აკადემიასთან თანამშრომლობას?

რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ. ჩვენ არ დავივიწყებთ ბატონი ჯუმბერის სახელს და გადავცემთ მომავალ თაობებს. არ დავივიწყებთ მის პიროვნებას, რომ ჩვენც არ დაგვივიწყონ. როგორც ერთ-ერთ იგავში გვხვდება: კაცი მამას ხის ჯამს გამოუთლის და მაგიდიდან მოშორებით დასვამს, ჭურჭელს აღარ დაგვიმტვრევ და შენი უგემური ჭამით ჭამას აღარ შეგვაზიზღებო, ცოტა ხანში დაინახავს, თავის შვილი ხის ჯამს თლის, მამა ჰკითხავს: - რას აკეთებო? შვილი პასუხობს: - რომ დაბერდები, შენთვის დამჭირდებაო. ზუსტი ინტერპრეტაციით შეიძლება ვერ ვყვები, მაგრამ, ამ იგავის დედააზრი ისაა, რომ "რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო". ჩვენ უნდა შეგვეძლოს, ადამიანების დაფასება, არამარტო გარდაცვალების შემდგომ, არამედ მათ სიცოცხლეშივე, რათა ჩვენც დაგვაფასონ.

კითხვები, რომლებიც უნდა დამესვა და ვერ დავსვი, ხომ არაფერს დაამატებდით თქვენი პიროვნების შესახებ?

ჩემს პიროვნებაზე არ არის საუბარი ამ შემთხვევაში. მე კიდევ ერთხელ მინდა მივესალმო, თქვენს ინიციატივას, რომ. ბატონი ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრება კიდევ უფრო ფართოდ გააშუქოთ ქართული საზოგადოების წინაშე.

გმადლობთ, რომ მიმიღეთ და გამონახეთ დრო ჩემთან შესახვედრად.

ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ურთიერთობა.

ინტერვიუ ლევან ბაბუხადიასთან

მოგესალმებით, ბატონო ლევან. მე გახლვართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისაო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის №3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე: თებრონე მაისურაძე. როგორ მოხვდით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში?



მოგესალმებით. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, შევეცდები, რომ ვიყო კარგი რესპოდენტი. რაც შეეხება, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში მოხვედრას. ამ აკადემიის პრეზიდენტის, ქალბატონი გულნაზის ძმა, ბეჟან ხარაიშვილი იყო ჩემი თანაკურსელი, რომელიც ნაადრევად გარდაგვეცვალა. გარკვეული წლების შემდეგ, ქალბატონმა გულნაზიმ თვითონ მოგვნახა და, რომ იტყვიან, გვერდში დამიყენა. შურს, რომ თავისი ძმის მაგივრობა გავუწიო და მეც, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვცდილობ, რომ ქალბატონ გულნაზისთან ვიყო ახლოს და ხელი შევუწყო, მაგრამ ეს დიდი პატივი ცოტა მეუხერხულება კიდეც.

იქნებ გვიამბოთ რამე თქვენი და ბატონი ბეჟანის ურთიერთობაზე.

მე და ბეჟანი, სტუდენტობის პირველი წლებიდანვე, ვიყავით ძალიან ახლო მეგობრები და ბევრი მოსაგონარი მაქვს. რა თქმა უნდა, დამავიწყდა კიდეც, სხვადასხვა რაღაცები, მაგრამ ბეჟანთან დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. ჩვენი ახალგაზრდობის ამბავს გავიხსენებ. ბეჟანი, სხვათაშორის, დაბადებული იყო ახალ წელს და ყოველთვის თავის ახლობლებს და თანაკურსელებს გვიწვევდა ხოლმე, ახალ წლის მეორე დღეს. ერთხელაც, ასეთი წვეულების დროს, ადრე მივედი, რომ დავხმარებოდი ბეჟანს და გაკვირვებული დავრჩი. მაგიდა გაწყობილი იყო ისე ლამაზად, რომ კარგ დიასახლისსაც კი შეშურდებოდა. როცა ვკითხე, თუ ვინ მიეხმარა, მან სიცილით მითხრა, რომ არავინაც არ მიხმარებია, თვითონ გაამზადა ყველაფერი. გარდა იმისა, რომ გემრიელი კერძების კეთება იცოდა, რაღაც ლამაზად გაწყობა, ფხალეულზე მრგვლად დაჭრილი ხახვები, რა-

ღაც გულებივით ჰქონდა დაწყობილი და თებშებზე ლამაზად სამ-სამი ბროწეულის მარცვალი ჰქონდა ჩადებული. როდესაც გოგონები მოვიდნენ, ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ სუფრის სილამაზით. ასე უყვარდა სილამაზე, ლექსი, პოეზია და საერთოდ სიცოცხლით იყო სავსე, მაგრამ სამწუხაროდ ნაადრევად წავიდა ჩვენგან.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება თქვენი წარსული საქმიანობა, იქნებ გვითხრათ რამე?

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვეწეოდი საგამომცემლო საქმიანობას. დიდი ხანი ვმუშაობდი ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში რომელსაც შემდეგ სამშობლო ეწოდა. შემდეგ ვმუშაობდი ასავა-დასავალში და ალიაში როცა ეს გაზეთები დაფუძნდა. იქ ვიყავი გამომცემლობის დირექტორი შემდეგ მოვხვდი საბავშვო ჟურნალ დილაში სადაც საკმაო ხანი ათი წელი ვიმუშავე. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსოვს და ჩემთვის ბევრი კარგი მოსაგონარი მაქვს რადგან ვაკეთებდი საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას. ამ ბოლოს კი ჩამოვაყალიბე ახალი ჟურნალი ხატი, რომელიც მალე გამოვა. ეს ჟურნალი საბავშვო იქნება და მიეძღვნება მათ სულიერ აღზრდას.

რა ადგილი უჭირავს თქვენ შემოქმედებაში ბავშვებს და მომავალ თაობას?

მე დიდი ხანია როგორც იცით ვემსახურები ბავშვების ესთეთიკურად აღზრდას მათთვის ვწერდი და ვმუშაობდი. მომავალშიც ვაპირებ ვწერო და ვიცხოვრო ბავშვებისთვის რადგამ მათ დიდი ადგილი უჭირავთ ჩემს ცხოვრებაში. მე მყავს სამი შვილიშვილი და მინდა მათ და საერთოდ მომავალ თაობას დავუთმო ჩემი შემოქმედება.

მე ვიცი რომ თქვენ წერთ ლექსებს და მოთხრობებს როგორია თქვენი მუშაობის სტილი?

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, თუმცა მაინდამაინც პროდუქტიული არ ვარ, სამწუხაროდ ბევრ ლექსებს არ ვწერ. უფრო მეტად ამ ბოლო დროს მოთხრობებზე გადავედი. ვცდილობ რომ ლექსიც და მოთხრობაც ლაკონურად, სხარტად და რაც შეიძლება მარტივი ენით ვწერო და ვაღწევ კიდეც ამას.

ბატონო ლევან ამ ბოლო დროს ლექსი ხომ არ დაგიწერიათ ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნისადმი მიძღნილი და თუ წაგვიკითხავთ?

ბეჟანზე სულ რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი. ერთი ჩვენი სტუდენტობის დროს დავწერე რომელიც თვითონ ბეჟანსაც ძალიან მოსწონდა. მერე მისი საფლავის საეტაფიო ლექსი დავწერე. მისი გარდაცვალების შემდეგ ვერიდებოდი მასზე ლექსების დაწერას. მოთხრობებიც მაქვს მიძღვნილი მაგრამ ამ ბოლოს ძალაუნებურად გაჩნდა ჩემში სურვილი მასზე დამეწერა ერთი პატარა ლექსი:

ჩემს ძველ მეგობარ ბეჟან ხარაიშვილის
შემომიარე ჩემს ძველ ბინაში
და ახლა უკვე ბებრულად ჩავსხდეთ,
მაგრამ ვაი რომ ჭაბუკად დარჩი
და სულში იქნებ ვედარც კი ჩაგწვდე
გამიადვილე შენთან წამოსვლა
ისე მიამბე ზეცის ამბები
მე კი ლექსები უნდა შეგიქო
თუმცა არ გიყვარს დითირამბები
შენი სტრიქონი ისევ ცინცხალობს
და ნერვებივით თრთიან რითმები
ნეტავ თუ მართლა ხარ ასე ახლოს
თუ ლექსნარევი ღვინითა ვთვრები.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

სამომავლო გეგმები ძირითადად დაკავშრებულია ახალ ჟურნალთან. მინდა რომ ჟურნალი გახდეს პოპულარული და სასარგებლო ბავშვების სულიერი აღზრდისათვის.

რას უსურვებთ ჟურნალ ათინათს?

ათინათი უკვე ძალიან პოპულარული და სქელტანიანი ჟურნალი გახდა. მასში ბევრი ცნობილი ავტორი იბეჭდება. მივესალმები ათინათის წამოწყებას ნორჩი ჟურნალისტების ჩართვას, ძალიან კარგი წამოწყებაა როგორც შემოქმედებითი ასევე ჟურნალისტური განვითარებისთვის ახალგაზრდა თაობაში. ვუსურვებ რომ ეს საქმე გაგრძელდეს, ასევე ავტორთა წრეც უფრო გაზრდილიყოს და საერთოდ მინდა რომ ათინათი იყოს წარმატებული და პოპულარული ჟურნალი.

მადლობა რომ მიმიღეთ და გამონახეთ დრო ჩემთან შესახვედრად.

ინტერვიუ ჯუმბერ ხარაიშვილთან

მოგესალმებით ბატონო ჯუმბერ მე გახლავარ ლაგოდეხის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე თებრონე მაისურაძე. თქვენი პიროვნება გავიცანი ჟურნალ ათინათიდან თქვენ სპეციალობით ეკონომისტი ბრძანდებით თუ შეიძლება მიამბეთ თქვენი წარსულის შესახებ. რატომ აირჩიეთ ეს დარგი და რა იყო საფუძველი ამ დარგში რომ მოღვაწეობა გაგეგრძელებინათ?

წარმოშობით საჩხერის რაიონის სოფელ ისიდან ვარ. დავამთავრე საჩხერის რაიონის სოფელ ჭავლის საშუალო სკოლა. მიუხედავად იმისა რომ ძალიან მინდოდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწყობა, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით ჩავაბარე სამედიცინოზე, ამაში ხელი შამიწყო იმ ფაქტმაც, რომ საშუალო სკოლა დავამთავრე მედალზე. მაგრამ რატომღაც გულმა კვლავ გამიწია პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ და იმ წელსვე გადავედი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, სპეციალობით ავტომობილები. 1959 წელს დავამთავრე მუშაობა დავიწყე თბილისის ავტოშემკეთებელ ქარხანაში. ამის პარალელურად დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ეკონომიკის ფაკულტეტი.

რა გაკავშირებთ ქალაქ ჭიათურასთან?

მართალია საჩხერის რაიონში დავიბადე მაგრამ ჩემი ბავშვობის და ყრმობის წლები ჭიათურაში გავატარე, რადგან მთელი ნათესაობა ძირითადად ჭიათურაში მყავს. ვმუშაობდი რიგით ინჟინრად ჯერ საჩხერის ავტო-სათავსო საწარმოში, 1975 წელს კი ჭიათურა-საჩხერის ავტო-სათავსო საწარმოების გაერთიანების დირექტორი გავხდი. სულ ტრანსპორტში ვმუშაობდი 35 წელიწადი.

როგორც ჩემთვის ცნობილია ძალიან უყვარხართ ამ რაიონის ხალხს . როგორ მოიპოვეთ ეს სიყვარული?

ჩვეულებრივი მუშაკი ვიყავი. ვხელმძღვანელობდი ერთ ერთ წამყვან დიდ სატრანსპორტო საწარმოს, რომელიც ამარაგებდა არამარტო ჭიათურას, არამედ მთელ საქართველას სამშენებლო და სამრეწველო მასალებით. რადგან საჩხერისა და ჭიათურის ქვიშა და საერთოდ საამშენებლო მასალები საუკეთესოა.

ბატონო ჯუმბერ მიუხედავად იმისა რომ ეკონომისტი ხართ უცნაური გაყოფა გცოდნიათ. კერძოტ მეტს სხვას აძლევდით და ნაკლებს თქვენთვის იტოვებდით. რატომ ვერ გამოიყენეთ თქვენი მათემატიკური ნიჭი სათქვენოდ?

თქვენ წეღან მკითხეთ თუ რატომ ვუყვარვარ ჭიათურის რაიკომში ყველას. პირველ რიგში ვიყავი თავდადებული შრომაზე და რათქმა უნდა წარმოების წინსვლაზე. მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა და ჩემი ნომერ პირველი მიმართულება იყო იქით რომ წინ წამეყვანა წარმოება და ამავე დროს კარგად ყოფილიყვნენ ჩემი თანამშრომლები. სწორედ ამ მიზეზით გაერთიანების ერთერთ კრებაზე, როდესაც ჭიათურის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი გვესწრებოდა, ჩემს თანამშრომლებს გამოვუცხადე, რომ ვისაც ორი წლის შემდეგ არ ექნებოდა სახლკარი მოწესრიგებული ჩემ წარმოებაში ვერ იმუშავებდა, რადგან თუ ადამიანს საკუთარ სახლში არ აქვს წესრიგი, იგი საწარმოშიც ვერ იქნებოდა მოწესრიგებული. შევპირდი რომ ყველანაირად შეუწყობდი ხელს. ვეხმარებოდი ტრანსპორტით მშენებლობა იქნებოდა თუ მგზავრობა და ყოველთვის ყურადღებით ვექცეოდი. ამან განაპირობა ხალხის ჩემდამი სიყვარულიც და სტიმული მისცა ჩემ თანამშრომლებს, რის გამოც წარმოებაშიც და ოჯახშიც გაათმაგებულად დაიწყეს შრომა. არ მოგვკლებია რესპუბლიკური თუ საკავშირო დროშები. მოსკოვში სამრეწველო გამოფენაზეც ვიყავით თორმეტი წლის განმავლობაში, ვიყავით მოწინავეთა რიგებში არა მარტო რესპუბლიკაში არამედ საბჭოთა კავშირშიც.

თქვენ იყავით ჭიათურის მერიც ამის შესახებ რას გვეტყვით?

ზვიად გამსახურდიას პერიოდში შემომთავაზეს ჭიათურის საკრებულოს თავმჯდომარეობა. 1992 იანვარს გადააყენეს ზვიად გამსახურდია, მაგ დროს ხალხმა მოითხოვა ჩემი ქალაქის ხემძღვანელად არჩევა, მეც დავთანხმდი 9 თვე ვიმუშავე შემდეგ კენჭი ვიყარე დე-

პუტატობაზე, თუმცა გაიმარჯვა უფრო მეტად დამსახურებულმა, აწ განსვენებულა ექიმმა გოგი კიკნაძემ. მას შემდეგ ბიზნესში ვარ ჩართული.

როგორც ვიცი თქვენ პარლამენტშიც იყავით ეს რომელი წლები იყო?

პარლამენტში მე დეპუტატი არ ვყოფილვარ. მქონდა შემოთავაზება პარლამენტში თუმცა უარი განვაცხადე, არ მინდოდა პარლამენტის წევრობა.

რამდენი შვილი გყავთ ბატონო ჯუმბერ?

მე მყავდა 4 ბიჭი. ერთი გარდამეცვალა 1997 წელს, სამი დღეს სახეზეა

როგორ მამას უწოდებთ თქვენ თავს?

მიუხედავად იმისა რომ შვილის გარდაცვალებით გულდაკოდილი მამა ვარ, მაინც ბედნიერ მამად ვთვლი თავს.

რამდენი შვილიშვილი და შვილთაშვილი გყავთ?

ცხრა შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი მყავს.

როგორც ვიცით გუშინ შეგეძინათ შვილთაშვილი რა დაარქვით მას?

დიახ გუშინ პატარა გოგონა შეგვეძინა, მშობლებმა სესილი დაარქვეს.

რას იტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?

ეს პიროვნება მოვლენა იყო ჩვენი ერისათვის, მას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც იდეალურ პირვნებას. იშვიათად იბადება მსოფლიოში ადამიანი, რომელიც ერს გაუთქვავს სახელს თავისი დიდი მიღწევებით, გინესის რეკორდებით, მოგზაურობით და თავისი ბუნებით.

რას იტყვით ჟურნალ ათინათზე?

ჟურნალი ათინათი არის ერთერთი საუკეთესო ჟურნალი ქართულ ჟურნალებს შორის. პირველი ჟურნალიდანვე ძალიან მომეწონა და დავინტერესდი, მასში არის სტატიები სარწმუნეობაზე, პოეზიაზე, პროზაზე, ისტორიაზე და სხვა. განსაკუთრებით მომწონს ახალგაზრდა თაობის ჩართულობა ამ ფერხულში. ძალიან მიხარია რომ გვეზრდება განათლებული და პატრიოტული სულის თაობა. ეს ჟურნალ ათინათის დამსახურებაა და იმედია ასე გაგრძელდება მომავალშიც.

დიდი მადლობა ბატონო ჯუმბერ რომ გამონახეთ დრო და ჩემთან გასაუბრება ისურვეთ. დღეს საკმაოდ წარმატებული დღე მქონდა ინტერვიუ ჩავწერე ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან ბატონ ზურაბთან. მწერალთან და პოეტთან, საბავშვო ჟურნალის რედაქტორთან ბატონ ლევან მარუხატიასთან. ასევე ინტერვიუს მოცემის სურვილი გამოთქვეს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა. მადლობა უფალს და თქვენ, რომ ამხელა პიროვნებებმა პატარა ბავშვს დამითმეთ ეს დრო.

მე თავად დიდი მადლობა ასეთი დაფასებისათვის.

ნანა სხირტლაძე
რუსთავის №11 სკოლის მოსწავლე

ინტერვიუ მწერალ ვაჟა მიროტაძესთან

ამ კედლებში საქვეყნო საქმე კეთდება...

ჩვენი ინტერვიუ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის კაბინეტში შედგა.

თავდაპირველად ვღელავდი, მაგრამ ქალბატონმა გულნაზიმ დამამშვიდა,-ინტერვიუერი საოცრად თბილი და თავმდაბალი პიროვნებაა და მორიდებაც ვძლიე...

- გავიცნოთ ერთმანეთი,-მითხრა ვაჟა მიროტაძემდა ხელი გამომიწოდა...

- ბატონო ვაჟა, როდის და სად დაიბადეთ?

- საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, იმერეთში, კერძოდ ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში, 1957 წლის 25 თებერვალს.

- 25 თებერვალს?

- მიგიხვდით, თქვენ ალბათ 1921 წლის 25 თებერვალთან გაავლეთ პარალელი, იმ 25 თებერვალთან რუსეთმა რომ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ რას იზამ, ასეა, ოღონდეს კი არის, რომ ბავშვობიდანვე გამიმძაფრდა ეროვნული გრძნობები, თუმც ამის გამო ცხოვრებაში არაერთხელ შემექმნა პრობლემები...

- რას გულისმობთ?

- თუნდაც 1978 წლის 14 აპრილს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზევსწავლობდი, ჩემს უნივერიტეტელ მეგობრებთან ერთად ლამის შევეწირეთ ჩვენი სახელმწიფო ენის დაცვას...

- არ გეშინოდათ?

- ისეთი მუხტი გვქონდა და რაც მთავარია უიშვიათესი მოტივაცია, შიშს რას დაგიდევდით. უნდა გენახათ როგორი იყო იმ დღეებშიმშობლიური ენის დასაცავად ერთ მუშტად შეკრული ხალხი, რომელმაც იძულებული გახადა საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგიური მანქანა უკან დაეხია და ბოროტ განზრახვაზე ხელი აეღო...

- თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახსენეთ...

- დიახ, უნივერსიტეტში გასული საუკუნის 70-იან წლებში ვსწავლობდი, იგი ჩემთვის ყველაფერია. უნივერსიტეტმა უფრო მეტად აღმანთო ჩემი ქვეყნის და ხალხის სიყვარულით, შემძინა დაუვიწყარი პედაგოგები და მეგობრები საქართველოს ყოველ კუთხეში, უნივერსიტეტმა ისე, როგორც მშობელმა დედამ უშურველად და უანგაროდ მომცა ყველაფერი,რაც ადამიანს სჭირდება ცხოვრებაში...

- ლექსებს მაშინაც წერდით?

- რა თქმა უნდა, ლექსებს და პატარ-პატარა მოთხრობებს, უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრე არსებობდა ცნობილი კრიტიკოსის, ბესარიონ ჟღენტის დაარსებული. კვირაში ერთხელ ახალგაზრდა მწერლები პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში ვიკრიბებოდით და იქ ეწყობოდა ლიტერატურულიგანხილვები, შემდეგ კი მოწონებული ნაწარმოებები უნივერსიტეტის ყოველწლიურ ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში' იბეჭდებოდა. დღემდე მეამაყება, რომ „პირველსხიველი" ვარ.

- პირველი ლექსი, ან მოთხრობა როდის გამოაქვეყნეთ?

- იყო ასეთი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი". ჰოდა, პირველი ლექსი „დედა" იქ დამიბეჭდეს. მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი. მანამდე რამდენიმე მოთხრობა გავუგზავნე ბატონ რეზო ინანიშვილს. ეს 1971 წელს იყო, როცა 14 წლის ვიყავი, პასუხმაც არ დააყოვნა და ამ ღვთივკურთხეულმა კაცმა და მწერალმა ისეთი თბილი წერილი გამომიგზავნა, თანაც იმხანად გამოცემული მისი წიგნიც მოაყოლასახსოვრად, რომ დღემდე იმათზე ძვირფასი რამ არ გამაჩნია.

- მაინც რა მოგწერათ ასეთი?

- შემაქო, კარგი „ჩაწიკწიკებული" ქართულით წერო, მერე ამ თავის წიგნზე „საღამო ხნის ჩანაწერებზე" ასე წამიწერა:

„ვაჟა მიროტაძეს,

იმედით, რომ როცა დავაჟკაცდება, ამაზე კარგ წიგნს მომიძღვნის საკუთარი წარწერით...

რ. ინანიშვილი.

შემდეგ, როცა ბატონი რეზო რუსთაველის სახელობის ლიტერატურულ პრემიაზე წარადგინეს, ჟურნალ „ახალგაზრდა ჟურნალისტში", რომელიც მაშინ ძალიან პოპულარული იყო, გამოვაქვეყნე რამდენიმე წერილი მის შემოქმედებაზე. ძალიან გაეხარდა, მადლობელი ვარო, ამაზე დიდი სიხარული რა უნდა მქონოდა...

- ამაზე მეტი სიხარული რა უნდა მქონოდაო, - ამბობთ და ვერ დაგეთანხმებით, თქვენ ხომ ლადო ასათიანის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი ბრძანდებით, განა ნაკლებად სასიხარულო იყო ეს ფაქტი თქვენს ცხოვრებაში?

- მართალია ლადო ყოველი ქართველისათვის საფიცარი პოეტია, ასე არის ჩემთვისაც, მეამაყება, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართულ ლიტერატურაში მისი სახელობის პრემიით აღინიშნა, ეს მოხდა 2003 წელს, პრემია მომენიჭა ლექსების წიგნისთვის"ცრემლში გაცრილ მიწას ვტირი".

- რამდენი წიგნის ავტორი ბრძანდებით?

- დღემდე პოეტური და პროზაული ნაწარმოებების ექვსი კრებული მაქვს გამოცემული.

- თქვენი საყვარელი მწერლები...

- ჯოისი,ჰემინგუეი, სელინჯერი,აიტმატოვი, ილია ჭავჭავაძე, ინანიშვილი...

- პოეტები

- პეტეფი, ესენინი, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, ლადო ასათიანი...

- საბავშვო ლიტერატურაზე რას იტყოდით?

- საბავშვო ლიტერატურა ბავშვებისათვის იგივეა, რაცდედის რძე. თუ ერს საბავშვო ლიტერატურა არ აქვს და მისით არ კვებავს მომავალ თაობას ის დაღუპულიაო, -ამბობენ და ვეთანხმები...

- მაშინ, თქვენი საყვარელი საბავშვო მწერლები დაგვისახელეთ...

- უცხოელებიდან მარკ ტვენი, დაუვიწყარი საბავშვო ნაწარმოებები აქვთ ილიას, აკაკის, ვაჟას, ეკატერინე გაბაშვილს, შიო მღვიმელს, არნო ონელს,როდიონ ქორქიას, ჩვენს დროშიმაყვალა მრევლიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, ისევ და ისევ რეზო ინანიშვილს, რომელთა ლექსებზე და მოთხრობებზე იზრდებოდა ჩემი თაობა.ბედნიერებაა, როცა ერს ამდენი სახალხო მწერალი ჰყავს, სახალხოს მე ვუწოდებ ყველა იმ შემოქმედს, ვისი ხმაც მკითხველის, განსაკუთრებით კი პატარა მკითხველების გულამდე მიდის.ბავშვს ხომ ვერ მოატყუებ და არც უნდა სცადო, უხერხემლო ნაწარმოებს ბავშვები არ წაიკითხავენ და მათ დამახსოვრებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

- ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ იცნობდით?

- ძალიან კარგად, ნათელი დაადგეს მის სულს, ბატონი ჯუმბერი ბრძანდებოდა ერში გამორჩეული კაცი-პიროვნება. იშვიათად ნახავდით ასეთ თავმდაბალ, ზრდილ და განათლებულ მამულიშვილს.ჭაბუა ამირეჯიბი გავიხსენოთ: ქვეყნის გარეთ, შენი სამშობლოს დესპანი ხარო, ჰო, ასე იყო ამ შემთხვევაშიც, მსოფლიო მოგზაურმა, პირნათლად მოიხადა ვალი თავის ქვეყნის წინაშე დასაქართველოს სახელი რომ იტყვიანშორს გასტყორცნაგააჯირითა, რითაცმიზანმიმართული ნაბიჯი გადადგა ქვეყნისა და საკუთრივ მისი უკვდავებისაკენ...

- როგორ შეაფასებთ მისი სახელობის აკადემიის მოღვაწეობას?

- აქ, ამ კედლებში დიდი საქმე კეთდება, საქვეყნო საქმეშიქართველებს არასოდეს არ აკლდათ ენთუზიაზმი, მაგრამ ის ვეებერთელა ტვირთი, რომელიც აკადემიის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა წამოიკიდეს, არ არის ადვილი სატარებელი, თუმც უფლის ნებით და შეწევნით აკადემიის ხელმძღვანელის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის,შრომისმოყვარე კოლექტივის გამჭრიახობითა და შესაშური მონდომებით ყველაფერი კეთდება ჩვენი მომავალის დასაოსტატებლად, საკეთილდღეოდ. ვიცი, რომ ბევრი თქვენნაირი ნიჭიერი ბავშვია აქ შემოკრებილი, ვიცი, რომ ჟურნალი „ათინათი“ თქვენს შემოქმედებას დიდ ყურადღებას უთმობს, ამ საოცრად თბილ ატმოსფეროში, ბრწყინვალე პედაგოგებთან,უფროს მეგობრებთან, იწრთობა თქვენი კალამი, მომავალი ნონეშვილების, დუმბაძეების და სხვათადასხვათა, რომელიც მჯერა ახლო მომავალში სხვა ძალას და ელვარებას შეიძენს, რითაც ძალიან იამაყებს ჩვენი ქვეყანა. ყველა თქვენგანს, ვინც ახლა ფრთიანდებით აკადემიის კედლებში გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

- გმადლობთ, ბატონო ვაჟა, საინტერესო იყო თქვენთან საუბარი, მაგრამ შევეხეთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს,ბევრი დაგვრჩა სასაუბრო, როგორც გალაკტიონი ბრძანებდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“. როგორც მწერალი და კარგი რესპოდენტი გვეთანხმებით თუ არა, რომ ჟურნალის მომდევნო ნომერში თქვენი ინტერვიუ უნდა გაგრძელდეს...

- დიდი სიამოვნებით...

- მადლობელი ვარ. თქვენც გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ...

- გმადლობთ...

გიორგი აბაშიძე

ინტერვიუ ზალიკო გამყრელიძესთან

- მოგესალმებით, ბატონო ზალიკო. მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, თბილისის 30-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე გიორგი აბაშიძე.

- მოგესალმები, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ნიჭიერი ბავშვების სტუმრობა.

- მეც და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გვინდა ახლოს გაგიცნოთ. ***რას გვეტყოდი თქვენი პიროვნების შესახებ?***

- მე გახლავართ ზალიკო გამყრელიძე, წარმოშობით რაჭველი. დავამთავრე ნიჟნინოვგორდის უნივერსიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო ფაკულტეტი. მას შემდეგ სულ კულტურის სფეროში ვმოღვაწეობ. წლების განმავლობაშ ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაშ. რამდენიმე წლის წინ ჩემს მეგობრებთან ერთად დავაარსე ხელოვნების კოლეჯი და ახლა მას ვხელმძღვანელობ.

- რამდენი წელია, რაც თქვენი კოლეჯი არსებობს?

- ოთხი წელია კოლეჯს ვხელმძღვანელობ და ვფიქრობ, რომ ვაკეთებ კარგ საქმეს, ვემსახურები ჭეშმარიტ ხელოვნებას.

- როგორც ვიცი, კოლეჯი მრავალპროფილურია. კერძოდ, რა სპეციალობების შესწავლა შეუძია აქ მსურველებს.

- დიახ, ჩვენი კოლეჯი მრავალპროფილურია. ჩვენ ვასწავლით რეჟისურას, ვოკალს, მონტაჟის რეჟისურას, კრიმინალისტიკას, გვაქვს ტურიზმის გიდის მიმართულებით, ვამზადებთ დიზაინერებს, მუსკოს რეპედიტორებს, კორესპოდენტებს...

- შემდეგი დასაქმების მხრივ რა ბედი ელით თქვენს სტუდენტებს? თუ არიან თქვენი კოლეჯის კუსდამთავრებულები დასაქმებული?

- ჩვენ ვცდილობთ და ძირითადად ვახერხებთ კიდეც მოვამზადოთ პროფესიონალური სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, თუ თვითონაც მოინდომებენ, აუცილებლად დასაქმდებიან. ჩვენი კურსდამტავრებულთა 80% ნამდვილად დასაქმებულია. მათი უმრავლესობა წარმატებულია თავის პროფესიულ საქმიანობაშ. ეს ძირითადად ითქმის ხელოვნების ფაკულტეტისა და კრიმინალისტიკის სპეციალობების კურსდამთავრებულებზე.

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან ჩვენს კოლეჯშიც. მაგალითად, ლიკა ჩხეტიანი ახალგაზრდობასთან ურთიერთობების მენეჯერი, ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია.

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ თუ აქვთ მოპოვებული წარმატება თქვენს სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს?

- ჩვენი სტუდნეტები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აღწევენ წარმატებებს. გამოვყოფდი ხელოვნების ფაკულტეტს, რომლებმაც ესპანეთში მიიღეს მონაწილეობა კონკურსში და გრანარი ჩამოიტანეს. სხვათა შორის, ამ ანსამბლს ხელმძღვანელი ლაშა ჯოხაძე ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია.

- რას გვეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას შესახებ?

- ჯუმბერ ლეჟავა იყო ძალიან დიდი პიროვნება, დიდი პატრიოტი. ყველამ და მითუმეტეს მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მისი ღვაწლის შესახებ. როგორც ვიცი, ჯუმბერი იყო გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მან მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას. ისეთ ქვეყნებში კი ჩაიტანა ჩვენი სახელი, სადაც საერთოთ არ გაეგონათ საქართველო. ჩვენ ყველამ დიდი პატივი უნდა მივაგოთ მის ხსოვნას.

- ალბათ, თქვენი სტუდენტებისთვის მეტად საინტერესოა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა. აქვთ თუ არა მათ ამის საშუალება?

- როგორც ავღნიშნე წლების განმავლობაში ვმუშაობდი ფილარმონიაშდა ბევრ ხელოვანთან მეგობრობა მაკავშრებს. აქედან გამომდინარე ისინი ჩვენი კოლეჯის სტუმრებიც

ხშირად არიან. მაგალითისათის ჩვენი სტუმრები იყვნენ ვაჟა აზარაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი და სხვები, რომლებმაც არაერთი თბილი საღამო აჩუქეს ჩვენს სტუდენტებს.

- ახლა თქვენი ოჯახი გაგავაცანით!

- მყავს მეუღლე და სამი შილი. ორი სტუდენტია, ერთი აბიტურიენტი. ერეკლე ჩვენი კოლეჯის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტია, უფროსი სანკპეტერბურგში სწავლობს.

- თანამშრომლობთ თუ არა ჟურნალ „ათინათში“?

ძალიან ვაფასებ იმ დიდ შრომას, რასაც ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ქ-ნი გულნაზი ხასიაშილი ეწევა.

- რას უსურვებდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას პირველ რიგში ვუსურვებ ჯანმრთელობას და მშვიდ ცხოვრებას, კარგად და საფუძვლიანად სწავლას. ადამიანი რა სპეციალობასაც აირჩევს, ძალიან კარგად უნდა შეისწავლოს, ამავე დროს კარგად უნდა შეისწავლოს და დაიცვას თავისი ტრადიციები. რა თქმა უნდა ცხოვრება წინ მიდის და თანამედროევეობაც იცვლება, მაგრამ ყველაფერი ახალი ჯანსაღ ტრადიციებზე უნდა დაშენდეს. ყოფილიყავით ყოველმხრივ ჯანმრთელი და განათლებული თაობა.

- დიდი მადლობა.

ინტერვიუ როლანდ დუმბაძესთან

მოგესალმებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის” ნორჩი ათინათელი. თბილისის 30-ე საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე გიორგი აბაშიძე. ინტერვიუ როლანდ დუმბაძესთან.

როდის აღმოგაჩნდა თხატვის ნიჭი?

ხატვის ნიჭი ააღმომანდა ბავშვობიდან.მეზობელი მყავდა მხატვარი, ყოველდღე შევდიოდი მასთნ და ვუყურებდი როგორ ხატავდა ისე გაცვიფრებული ვიყავი მისი შემოქმედებით დაღამებას ვერ ვგებულობდი.როცა ხატვას მორჩებოდა,დამაჯენდა და მეც მახატინებდა.. აქიდან გამიჩნდა სურვილი მხატვარი გამოვსულვიკავი.

სად სწავლობდით?

ჯერ ვსწავლობდი სამხატვრო სკოლაში, შემდეგ სამხატვრო ტექნიკუმში,ბოლოს კი დავამთვრე სამხატვრო აკადემია.

რამდენი შვილი გყავთ?

ორი გოგონა მყავს, ერთი საზვარგარეთ ცხოვრობს

უყვართ თუ არა თქვენს შვილებს ხატვა?

ჩემი ერთი გოგოონა სხათაშორის ძალიან კარგად ხატავს. გამოფენაც კი ქონდა მოსკოვში,შემდეგ გათხოვდა და დროებით დაანება თავი ხატვას.

თქვენ თუ ასწავლით ბავშვებს ხატვას?

კი რა თქმა უნდა,მოსკოვში მქონდა ბავშვების სტუდია, იქ ვასწავლიდი ხატვას სხავადასხვა ასაკის ბავშვებს.

ბავშვების ხატვა გიყვართ?

რა თქმა უნდა,ჯერ -ჯერობით მარტო ჩემი შვილიშვიები მყავს დახატული

რომელია ტქვენი ყველაზე საყვარელი ნამუშევარი?

როგორც დედას უყვარს შვილები ერთნაირად ისე მხატვარს უყვარს თავისი ნამუშევრები,ასე რომ ვერც ერთს ვერ გამოვყოფ.

რას იტყვით ახალგაზრდა მხატვრებზე?

დღევანდელი მხატვრები ძალიან ნიჭიერები არიან .მე ძალიან განვიცდი რომ გასაქანი არა აქვთ საზვარგარეთ გაიტანონ თავისი ნამუშევრები,ვინაიდან მხატვარს სჭირდება ასპარეზი.

რაზე მუშობთ?

მალე მექნება გამოფენა საქართველოში ,კერძოდ ქარვასლაში და ამით ვარ დაკავებული.

ვინ არიან თქვენი ნახატების შემფასებლები?

ჩემი ნახატების შემფასებლები არიან ჩემი მეუღლე და ჩემი შვილები.

რას გვირჩევდით ვისაც ხატვა გვიყვარს?

ბევრი ხატეთ, ძალიან ბევრი ნამდვილი დიდი მხატვრები გამოხვალთ

გიორგი გამეზარდაშვილი



ინტერვიუ ნუგზარ მიროტაძესთან

(ჭიათურის რესურს ცენტრის უფროსი)

– ბატონო ნუგზარ, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე გიორგი გამეზარდაშვილი. გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება.

– სიამოვნებით, მე ვარ ნუგზარ მიროტაძე, როგორც აღნიშნეთ, განათლებით პედაგოგი, წლების განმავლობაში ვმუშაობდი პედაგოგად, ახლა კი ვხელმძღვანელობ, 2006 წლიდან, ჭიათურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს, პროფესიით ქიმიკოსი.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ "ათინათს"?

– ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ ამ ბოლო პერიოდიდან, უნდა ვაღიარო სამწუხაროდ, რაც

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს დავუახლოვდი, მხოლოდ ამის შემდეგ.

– გსურთ თუ არა, რომ ჭიათურის სკოლებში დაინერგოს ჟურნალი "ათინათი"?

– დაინერგოს ფართო ცნებაა, უკვე გადავდგით ამისაკენ ნაბიჯი და ჭიათურის რამდენიმე ათეულმა სკოლამ უკვე გამოიწერა.

– იცნობთ ჯუმბერ ლეჟავას?

– რა თქმა უნდა, მქონდა შესაძლებლობა ჩემდა საბედნიეროდ, იგი იყო ამ კაბინეტშიც და დიდი სიამოვნებით ვესაუბრებოდი. დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ის იყო ღმერთკაცი!

– როგორი ბავშვები მოგწონთ?

– თავისუფალი, მიზანდასახული, რომ იციან რა უნდათ, რისი უფლება აქვთ და რისი მოვალეობა.

– თქვენ როგორი ბავშვობა გქონდათ?

– საკმაოდ კარგი. ჩემი ბავშვობა იყო ძალიან კარგი.

– ცელქი ხომ არ იყავით?

– კი.

– გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ.

– ადრე დავოჯახდი. 18 წლისას უკვე შვილი მყავდა. მყავს ორი ქალიშვილი მეუღლე... და ხუთი შვილიშვილი, შვილები ორივე დაოჯახებულია, ერთს ჰყავს ორი შვილი, მეორეს – სამი. ვზრდი მესამე შვილიშვილს ჩემთან, როგორც ჩემს შვილს, ახლა არის მეათე კლასში.

– როგორია თქვენი მუშაობის განვლილი წლები?

– განვლილი წლები როგორ შევაფასო, ახლა ეს ცოტა ძნელია, მაგრამ თავიდან რომ მქონდეს შანსი, ისევ ქიმიკოსობას ავირჩევდი და უფრო მეცნიერებაში წავიდოდი, იმიტომ რომ მეცნიერებაში ვიყავი და მერე წამოვედი, გარკვეული მიზეზების გამო. ეს ძალიან საინტერესოა.

– საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა გაქვთ, როგორ უმკლავდებით პრობლემებს?

– კარგი კოლექტივი მყავს, გვერდით მდგომები, კარგი დირექტორები და მათი ერთად დგომით ქალაქის ხელმძღვანელობა, სამინისტრო და მათი ურთიერთკავშირით დაუძლეველი არაფერია.

– რას მოყვებით თქვენი რესურს ცენტრში შემავალი სკოლებისა და მათი დირექტორების შესახებ?

– დირექტორების ორმოცდაათმა პროცენტმა ახლა გაიხანგრძლივა დირექტორობის პერიოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვეს შესარჩევ კონკურსებში, გასაუბრებებში და დღეს და წინა დღეებში მოხდა მათი ლეგიტიმირება და გაუგრძელდათ ვადა ექვსი წლით. ეს ძალიან კარგია. დანარჩენებიც აპირებენ, რომ ჩააბარონ გამოცდები. არიან ძალიან შრომისმოყვარენი, კეთილი და მცოდნე ადამიანები.

– რა განვითარებას ხედავთ განათლების სისტემაში?

– განათლება ისეთი დარგია, რომელიც ყოველთვის განვითარებადია, ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ განათლებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ნებისმიერ ეტაპზე ის იქნება განვითარებადი. გუშინაც პრემიერ მინისტრმა და ჩვენმა განათლების მინისტრმა განიხილეს პერსპექტიული ანუ სამომავლო განათლების განვითარების გეგმა, რომელიც ისახავს დაწყებით, საშუალო უმაღლეს და სამეცნიერო დონეზე უწყვეტი განათლების პრინციპს და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩემი შვილიშვილი მინდა რომ პედაგოგად გადმოვიბირო და წამოვიყვანო.

– ეთანხმებით თუ არა მასწავლებლების სერტიფიცირებას?

– სერტიფიცირება თავისთავად საშინელება არაა, შეიძლება სერტიფიცირების ერთი საფეხურის გავლის შემდეგ აღარ მოგვწონოს და შეიცვალოს უფრო პროგრესულით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან თავის დროზე გარკვეული როლი არ ითამაშა, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენ დაგვენახა, რომ ის გზა არ იყო, ვთქვათ ძალიან მართებული, მაგრამ დადებითი იყო გარკვეული კუთხით და გადავედით სხვა საფეხურზე, თუნდაც მასწავლებელთა საფეხურებრივ კლასიფიკაციაზე, რაც თავისთავად სტიმულს იძლევა, ძალიან დიდ სტიმულს, პედაგოგისათვის.

– ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი სულხან მახათაძე, ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის აკადემიკოსი გახლავთ, როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?

– ეს ძალიან ძნელია შეაფასო ასეთი დიდებული ადამიანის საქმიანობა, მით უმეტეს ჩვენ რაიონში სულ ორი წელია რაც დაბრუნდა, მაგრამ ეს დრო საკმარისია. იგი არის უაღრესად განათლებული ადამიანი, რომელიც მუდამ მზად არის ნებისმიერ ადამიანს გაუწიოს შესაბამისი დახმარება. ის ქალაქისთვის მომართული პიროვნებაა. დიდი ენერგიის და განათლების მქონე ადამიანია.

– ვის დაასახელებდით ძლიერ პოეტად ჭიათურის რაიონში?

– ამ მხრივ შეიძლება გამიჭირდეს, სკოლაში იყო კუკური დეკანოიძე. ახლა სკოლაში აღარაა. მე მახსოვს იგი, მისი თავმდაბლობით, უსაზღვროდ უყვარს რასაც წერს და რასაც აკეთებს. მას თავისი სამყარო აქვს.

– რას უსურვებდით ჟურნალ "ათინათს"?

– როგორც ყველა ქართულ გამომცემლობას, ვუსურვებდი ბევრი მკითხველი ჰყავდეს, იყოს ძლიერი, კარგი ახალგაზრდობა გამოზარდოს თავისი შინაარსიდან გამომდინარე. მე რაც შემეძლება გვერდით დაგიდგებით. დიდი პატივია თქვენნაირი ადამიანების მობრძანება სკოლებში. ადრე გვახსოვს, ცისკრის გამოწერაზე რიგები იდგა და ჯიხურებიდან იტაცებდნენ ჟურნალებს. ახლა იკლო მკითხველმა, იმიტომ რომ ცხოვრებამ წაიღო დიდი ენერგია. ახლა თქვენ დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ.

– დიდი მადლობა!

დიანა შუბითიძე

ინტერვიუ ვაჟა შუბითიძესთან

(ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარესთან)

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის"„ნორჩი ათინათელი".

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო

სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე დიანა შუბითიძე.

გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება

მე გახლავართ ვაჟა შუბითიძე 55 წლის.

რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ორი შვილი, გოგონამ უკვე დაამთავრა ტექნიკური უნარების პიარის სპეციალობა, ბიჭი სწავლობს ბიზნეს ადმინისტრირებაზე. ახლახან შეგვეძინა პირველი შვილიშვილი ანიტა პატარა გოგონა.

გიყვართ ბავშვები?

ძალიან რა თქმა უნდა.

როგორი მოსწავლე იყავით?

მე ვფიქრობ რომ ცუდი მოსწავლე არ ვიყავი ნამდვილად, ფრიადოსანი არ ვყოფილვარ თავიდან ბოლომდე და არც ოქროს მედალზე დამიმთავრებია სკოლა, მაგრამ ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, ანუ კარგი მოსწავლე ვიყავი. იმ პერიოდში ხდებოდა საშუალო არითმეტიკულით ქულების დათვლა და ოთხნახევარი ქულა მოვაგროვე ადესტატისათვის.

ამჟამად სად მუშაობთ?

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერიის ფაკულტეტზე ვარ პოლიტოლოგიის კათედრის გამგე,იმავდროულად ვარ ხაშურის საკრებულოს ახლადარჩეული თავჯდომარე, ამირჩიეს ოთხი თვის წინ, 2014 წლის ივლისში.

რა სპეციალობის ბრძანდებით?

სპეციალობით ვარ ისტორიკოსი,მაგრამ ვმუშაობ არა მარტო საქართველოს ისტორიის და კულტურის სფეროში, არამედ პოლიტიკური მეცნიერების სფეროში. ჩემ დროს პოლიტოლოგია აკრძალული იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაშინ გაჩნდა საშუალება, რომ პოლიტოლოგია ან პოლიტიკური მეცნიერებები წაგვეკითხა. დავიწყეთ ჩვენ თვითონ შესწავლა და შემდეგ ბავშვებისათვის სწავლება, ნელ-ნელა დავსპეციალდით ამ განხრით, ახლა უკვე გვაქვს პოლიტოლოგიის კათედრა, მე გახლავართ ამ კათედრის გამგე ტექნიკურ უნივერსიტეტში.

რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებაზე?

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო უნიჭიერესი პიროვნება და ძალიან დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის, იმდენად დიდი პატრიოტი, რომ თავისი ქვეყნის სახელის განთქმის მიზნით და იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ქართველები რაოდენ უშიშარი და ვაჟკაცი ხალხია, მან მთელი მსოფლიო შემოიარა ველოსიპედით, 9 წელი მოანდომა მსოფლიოს შემოვლას, ხანდახან დადიოდა ისეთ ადგილებში სადავ მონადირეებიც კი უფრთხიან გავლას. მან ეს გააკეთა დიდი სიყვარულით თავისი პროფესიისადმი, თავისი ხალხისადმი.ეს დასაფასებელია და ნამდვილად მისი სახელი არ უნდა იქნას დავიწყებული საქართველოში.

იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

აქამდე არ ვიცნობდი, ახლა სიამოვნით გავეცნობი და გავხდები მისი აქტიური მკითხველი.

ჟურნალი „ათინათი“ დანერგილია თბილისის,რუსთავის,ჭიათურის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში, სასურველია დაინერგოს ქალაქ ხაშურის ბიბლიოთეკაში და სკოლის ბიბლიოთეკებში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

რადგანაც კარგი ჟურნალია, ბუნებრივია მასზე მოთხოვნილება იქნება და მე გავაცნობ ამ ჟურნალს ჩვენი რაიონის სკოლებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს. იმედია რომ ისინი სათანადოდ გააკეთებენ იმას, რასაც სხვა რაიონები აკეთებენ,ანუ გამოიწერენ ამ ჟურნალს, დაინტერესდებიან იქ დაბეჭდილი მასალებით, რომელიც სასარგებლოა ბავშვებისათვის და არა მარტო ამ ბავშვებისათვის.

ამაყობთ თქვენი გვარით?

რა თქმა უნდა ვამაყობ, ჩვენი გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია, საქართველოში 8000-ამდე შუბითიძეა, მე გახლავართ ამ დიდი, მრავალრიცხოვანი გვარის თავჯდომარე. პატრიარქმა გვაკურთხა სამებაში, გვაქვს ჩვენი დროშა და გერბი, ბუნებრივია ვმართავთ შეკრებებს.

ჩვენმა გვარმა 5000 ხმაზე მეტი შესძინა ქართულ ოცნებას 2011 წლის არჩევნებში.

იმავდროულად არის ძალიან მშრომელი ხალხი, კეთილსინდისიერი, პატიოსანი, რა თქმა უნდა თითო-ოროლა ცუდი ყველა გვარში გამოერევა, მაგრამ მასიურად შრომისმოყვარე ადამიანები არიან, შემიძლია ვთქვა, რომ თავის სამშობლოზე, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ხალხია შუბითიძეები.

იცნობთ თუ არა საჩხერის რაიონს?

რა თქმა უნდა ვიცნობ, ვარ ნამყოფი, ჩემი გვარის ფუძე არის ამ რაიონიდან, კერძოდ სოფელ ჭალოვანიდან.ბუნებრივია სხვა რომ არაფერი დიდო აკაკი აქაა დაბადებული და კიდევ ბევრი სხვა ცნობილი პიროვნება. მაგალითად ვიქტორ დოლიძე, იყო უდიდესი მეცნიერი, ემიგრაციაში გარდაიცვალა, ძალიან დიდი პიროვნება, რომელსაც აქვს უნიკალური გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე და ჩემს წიგნში „ყველა დროის ასი უდიდესი ქართველი“, ეს კაცი შეყვანილი მყავს როგორც ერთ-ერთი უდიდესი ქართველი,რა თქმა უნდა აკაკიც მყავს შეყვანილი ამ წიგნში, მაგრამ ვიქტორ ნოზაძე ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება იყო.

ასევე საჩხერელი იყო ბევრი მეცნიერი, აკადემიკოსი. მაგალითად, მუხრან მაჭავარიანი მას მე პირადად ვიცნობდი და ფოტოებიც მაქვს მასთან ერთად გადაღებული, აგრეთვე ჯულხა ნაადირაძე და სხვები.

ბევრ საჩხერელს ვიცნობ და ძალიან დიდი შთაბეჭდილების ვარ ამ ადამიანებზე, იმედია მომავალშიც გავიცნობ ღირსეულ საჩხერელებს.

რას აფასებთ ყველაზე მეტად მოზარდში?

მოზარდი სასურველია იყოს ნიჭიერი და კეთილზნეობრივი, უზნეო ადამიანი რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს არავის არ სჭირდება.ასევე აუცილებელია შრომა და მონდომება, ბევრს ააქვს ნიჭი, მაგრამ ამ ნიჭს ფლანგავს და ვერ იყენებს, ტყვილად ყრის.

ნიჭი არის, რომ წარმოვიდგინოთ ვაშლი კანი ხომ არის თხელი, ხოლო შიგთავსი შრომაა, ანუ უფრო მეტი შრომა საჭირო, ნიჭიერი ადამიანი თუ მშრომელიცაა აუცილებლად მიაღწევს წარმატებას. თუ შრომა არ უყვარს მხოლოდ ნიჭით შორს ვერ წავა, სადღაც შუა გზაზე გაჩერდება და დიდად ვერ გამოაჩენს თავს.ვფიქრობ რომ ქართველებს ამ ბოლო დროს ძალიან დაგვაკლდა ეს, შრომას მოუკელით და იოლი ცხოვრების წესზე გადავედით, ვცდილობთ რომ უშრომელად მივაღწიოთ მატერიალური კეთილდღეობას, უდარდელად და ციდან ჩამოვარდნილივით, ასე არ გამოვა, ასე ერი ვერ იცხოვრებს და ვერც მომავალი თობა აღიზრდება ღირსეულად.

ყველა ვისაც დიდი წარმატება აქვს მსოფლიოში უმძიმესი შრომის და ბრძოლის ფასად მიაღწია ამას და ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ ძალიან დიდი შრომა მოგვიწევს თუ გვინდა, რომ ძლიერი და წამყვანი ქვეყანა ვიყოთ მსოფლიოში.

რას უსურვებთ მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ პირველ რიგში რა თქმა უნდა მშვიდობას,საქართველოს და

ქართველ ხალხს არ დასცალდა თავისი ნიჭის გამოჩენა, რადგან მუდამ მის გარშემო მტრები იყო შემოსეული.მტრები ჩვენს ტერიტორიაზე გადიოდნენ და გამოდიოდნენ, საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსოფლიოში და ყველა იმპერია, აქეთ წამოვიდა, ერთადერთი ესპანეთის იმპერია არ წამოვიდა, რადგან ესპანეთს არ ჰქონდა ინტერესი ჩვენს მიმართ,მათი ინტერესი თურქეთისჯენ იყო მიმართული, თორემ შეიძლება ესპანელებიც კი წამოსულიყვნენ აქ.

დანარჩენი ყველა დამპყრობელი, რომიდან დაწყებული, ირანი, არაბები, მონღოლები, თურქ-სელჩუკები,სპარსეთი, შემდეგ რუსეთი. ახლაც ბევრ ქვეყანას აქვს მადა,მათ შორის დიდ ქვეყნებს, რომლებიც ხანდახან ვითომ მეგობრობას გვეფიცებიან, სინამდვილეში ჩვენ დიდად არ ვაადარდებთ. ამ ქვეყნებს აქვთ ჩვენდამი დიდი ინტერესი და ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერები, თუ არ ვიქნებით ძლიერები და მომზადებულები. ეს ნიშნავს იმას რომ შეიძლება დაგვიპყრონ და დაგვიმონონ. რასაც ამერიკელი ან რუსი აკეთებს ორჯერ მეტი უნდა გააკეთოს ქართველმა, იმიტომ რომ ორჯერ მეტად ნიჭიერია, ორჯერ მეტად მცოდნეები უნდა ვიყოთ,მაშინ ვაჯობებთ ამ ხალხს. თუ არადა 15 ქვეყანა გაქრა ჩვენს გარშემო და შეიძლება ასე გავქრეთ ჩვენც.

ამიტომ, მოგვიწევს დიდი შრომა მომავალ თაობასთან ერთად, თუ თქვენ ამ შრომას შეძლებთ, ნიჭიერება ქართველ ხალხს არ აკლია,თანაბარ პირობებში, პირველ რიგში ქართველი ბავშვი სჯობია ამერიკელსაც, გერმანელსაც, ინგლისელსაც და რუსსაც, ვისაც გინდა ყველას თუ იმას იმავე პირობებში ჩააყენებ, რომელშიდაც სხვა ქვეყნის ბავშვები არიან, ამიტომ ქართველა არც მოხერხება აკლია, არც ეშმაკობა, არც წინდახედულება,მთვარის რომ ქართველებს და ეს ყველაფერი უკვე მიღწეულად არ ჩავთვალოთ,ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მისაღწევია.

ჩვენ მიზანი უნდა გვქონდეს დასახული, რომ ვიყოთ ძლიერი ქვეყანა და აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების დიდება.ამას მომავალი თაობა შეძლებს ძალიან დიდი შრომის და გარჯის შედეგად. ომი ომი არ არის მარტო შრომაც ომია, ამ ომში როგორც ილია ამბობდა „დაიარაღებული ხალი უფრო იმარჯვებს, ვიდრე დაუიარაღებელი“. ცოდნა უფრო გაიმარჯვებს ვიდრე უცოდინარი. რაც შეიძლება ფულით და ძალით ვერ წაგვართვეს ის შეიძლება შრომით, სწავლით და ცოდნით წაგვართვან, ამიტომ ნუ გვგგონია რომ რაც გვაქვს ეს ყველაფერი მუდამ გვექნება, ამის შენარჩუნებას შრომა და გარჯა უნდა.

ჯერ წიგნი მერე კომპიუტერი. საჭმელს რომ მიირთმევ და მერე დესერტს დააყოლებ, ასე უნდა იყოს სწავლა და მერე კომპიუტერი, მარტო კომპიუტერით ვერაფერ ცოდნას ვერ მიიღებ, შეიძლება ცოდნაც მიიღო და საჭორაოთაც გამოიყენო, ამიტომ უნდა ეცადოთ კომპიუტერით ცოდნა მიიღოთ, ყველაზე ღირსეული ამ ქვეყანაზე არის ცოდნა. ყველაზე ძლიერი ის არის ვისაც დიდი ცოდნა აქვს დაგროვილი.

დიდი მადლობა რომ გამონახეთ დრო და ასე საინტერესოდ გვესაუბრეთ

ნინო ჭიღლაძე
აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის
1 საჯარო სკოლის V კლასის წარჩინებული მოსწავლე.

ინტერვიუ საჩხერის გამგებელ ბატონ მალხაზ ბაზაძესთან

ზამთარია იმერეთში, თბილი და უთოვლო ზამთარი... თითქოს ბუნებამ ხალხის გასაჭირი გაიზიარა და უთოვლო და უპრობლემო ზამთარი მოგვივლინა, თუმცა ჯერ ადრეა, პრობლემას კი რა გამოულევს ცოცხალ კაცს, ისიც იმერეთში, მაგრამ ხალისიანი და გულღია იმერლები ყველაფერს იტანენ, იმედით მხოლოდ მომავლის იმედით. ვიცით გვყავს ადამიანი, რომელიც გასაჭირს გაუიოლებს ხალხს.

სკოლის ეზოდან გამოვედით და გამგეობისკენ გავეშურეთ. გზად მიმავალთ თავს ბებერი ციხე მოდინახე დაგვცქერის იდუმალი მზერით, დღეს ქონგურგადამსხვრეული, წელში გატეხილი და მაინც ზვიადი და ამაყი... რამდენი ჭირვარამის მომსწრეა ციხე, რამდენი მტერი და დუშმანი მოიგერია, ბოლოს კი მიწისძვრამ გატეხა წელში, საუკუნეობით გულში ჩახუტებული ლოდები გამოგლიჯა და გული გაუტეხა ციხეს... დგას და ელოდება... რას ან ვის, თვითონაც არ იცის...

ერთხელ კლასი ლაშქობაზე მყავდა წაყვანილი ციხეზე. უკან დაბრუნებისას, როცაუკვე ქვემოდან კიდევ შევათვალიერეთ ჩვენი რაიონის გვირგვინი და დაგორებულ ლოდებთან შევჩერდით, ერთმა პატარა ბიჭმა ლოდის ნატეხი ხელში აიღო, გულში ჩაიხუტა და თქვა: - მე ამ ქვიდან პატარა ეკლესიას გამოვთლი და ძალას მომცემს მოდინახე აღვადგინოო, --თვალზე ცრემლი მომადგა... ის ჯერ პატარაა, მე-9 კლასელი, ჯერვერ აღადგენს, ნეტავ თუ ახსოვს ეს გულიდან ამოძახილი?.. ვერ აღადგინა, მაგრამიმ დიდი სიყვარულით ნათქვამს გულში ნაპერწკალი რომ არ დაეტოვებინა, არ შეძლებოდა, ნაპერწკალი მშობლიურის სიყვარულისა, რომელსაც გაღვივება და ბევრი სულის ბერვა სჭირდება.

კურთხეულია ქართული მიწა,წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია ჩვენი მამული, მათი ძალით და მადლით მოვედით აქამდე, გვეამაყება იმერლებს, საჩხერლებს, რომ ჩვენს მიწაზე აღიზარდნენ უდიდესი ადამიანები, მარტო აკაკი გვეყოფოდა, სხვა რომ არავინ ვახსენოთ, ისიც გვეამაყება, რომ მთაწმინდის პანთეონის წმინდა მიწას ჩვენს რაიონში გაზრდილი ყველაზე მეტი პატრიოტი ჰყავს გულში ჩახუტებული, ამ კურთხეული მიწის ღირსნი გახდნენ ისინი...

გამგეობის შემობას მივადექით, რაიონის გამგებლისგანს-ბატონ მალხაზ(ბაჩო) ბაზაძისგან გვინდა ავიღოთ ინტერვიუ. იგი ღიმილით შეგვხვდა და სიამოვნებით დაგვთანხმდა.

გამარჯობათ! - მე გახლავართ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის 1 საჯარო სკოლის მე-5 პირველი კლასის მოსწავლე ნინო ჭიღლაძე. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან სტუმრობა და საუბარი. დიდი მადლობა თქვენ იმისთვის, რომ გამონახეთ დრო. მაქვს სურვილი, რამდენიმე კითხვით მოგმართოთ: ***გთხოვთ გვიამბოთ თქვენი ოჯახის შესახებ.***

მყავს ოჯახი - მეუღლე და სამი შვილი, უფროსი თორმეთი წლისაა, მომდევნო გოგონაა 10 წლის, პატარა კი 7 წლის. მყავს დედა, მამა და ერთი და, რომელსაც თავის ოჯახი ჰყავს.

როგორც ვიცით, თქვენ ჩვენი სკოლა დაამთავრეთ და ძალიანაც გიყვართ იგი. გთხოვთ გაიხსენოთ სკოლის ცხოვრება.

დიახ, მართლა ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ბევრი გასახსენებელი მაქვს, ახლაც ხშირად ვიკრიბებით კლასელები, 1988 წელს დავამთავრეთ სკოლა, ძალიან კარგი კლასი გვქონდა,ცელქებიც ვიყავით,ყველაზე მაგრებიც ვიყავით, შატალოც გვქონია (იცინის), წარმატებებიც, მედალოსანიც გვყავდა, ძვირფასი მასწავლებლები გვასწავლიდნენ, დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა, გული მტკივა მათ გამო... მე ეს სკოლაში სტუმრობისასაც აღვნიშნე სექტემბერში.

რა იყო ის, რამაც ყველაზე მეტად გაგახარათ ცხოვრებაში და რა არის ის, რაც ყველაზე რთული შესასრულებლად მიგაჩნიათ?

ყველაზე მეტად შვილების ამ ქვეყნად მოვლინებამ გამახარა, უფლის საჩუქარია შვი-

ლი და მშობლისთვის დიდი ბედნიერება, სამი შვილი მაჩუქა ღმერთმა. სირთულეს რაც შეეხება, ცხოვრება სავსეა სირთულეებით, მაგრამ არ უნდა შეუშინდეს კაცი და უნდა იბრძოლოს მიზნისთვის, ისიც დაიხსომე, რომ გვიანი არასოდეს არაა! ხშირად გამიგონია, რაღა დროს ჩემი სწავლაა და ამისთანები, რა ასაკშიც არ უნდა იყო შენი თავის თვითრეალიზაცია უნდა მოახერხო.

2015 წელი აკაკის წლადაა გამოცხადებული, ბუნებრივია,ჩვემნარაიონმა მეტი უნდა იტვირთოს. რა გეგმები გაქვთ ამ ღონისძიებისთვის? ხომ არ აღდგება მოდინახე მანამდე?

დიახ, იუნესკოს ეგიდით 2015 წელი აკაკის წლად გამოცხადდა, აღინიშნება დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი, გვაქვს შექმნილი კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველ ორ კვირაში ვიკრიბებით და გვაქვს საკმაოდ აქტიური თემები,ეს ეხება ინფრასტრუქტურულ პროექტს, აკაკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი უნდა გაკეთდეს,ჩასმულია და გაგზავნილი მუზეუმის რეაბილიტაციისპროექტი, რაზეც გარკვეული თანხმობა მივიღეთ,მეც იმედს ვამყარებ,კარგი ნაბიჯები გადაიდგა, ვნახოთ რით დაგვეხმარებიან.

რაც შეეხება მოდინახეს, სხვათა შორის დღეს გავამზადე პროექტი და ხართაღრიცხვა,რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადავუგზავნეთ. მარტო ციხის აღდგენას 700 ათასი ლარი სჭირდება,ამას კიდევ ეშველება,შეიძლება გამოინახოს ეს თანხა, მაგრამ ციხემდე მისასვლელი გზაა პრობლემა, რომელიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ვნახოთ, იქნებ გაჩნდეს იმედი.

ახლახან თქვენი ძალისხმევით სოფელ ჭალოვანში გაიხსნა ძიუდოს კლუბი, დაიგო ბეტონის გზა და ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაობი. იქ ჩემი დედულეთია და ხალხი დიდი მადლიერებით მოგიხსენიებთ. თუ გიდგათ მხარში სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი დავით შუბითიძე?

დიახ, მე აღფრთოვანებული ვარ იმ ხეობით და იქ მცხოვრებლებით, რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატს, მისი ძალისხმევით ბევრი რამ კეთდება, თავისი საკუთარი სახსრებით უამრავს აკეთებს, მან თავისი საკუთარი შვილების ძვირადღირებული ტატამიც კი სოფელს ჩამოუტანა და ძიუდოს კლუბს აჩუქა, მას უყვარს თავისი ხალხი და ბევრი სასიკეთო საქმე აქვს დაგეგმილი. მე ვისურვებდი, რომ ბევრი მიმდევარი ჰყავდეს მას!

2014 წლის 15 სექტემბერს საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელი, თქვენ იცით ამის შესახებ. ხომ არ არის ხარჯები პოეტის ბიუსტისათვის?

მე ახლახან ვიყავი იქ, ამის თაობაზე ჯერ არ მოუმართავთ და თუ დასვამენ ამ საკითხს, აუცილებლად გავუწევ გარკვეულ წილ დახმარებას.

იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

დიახ, რამდენიმე ნომერი მაქვს ნახული.

დიდი მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო მსოფლიო მოქალაქე. ამჟამად იგი გარდაცვლილია. თუ იცნობდით მას პირადად?

არა, სამწუხაროდ მას პირადად არ ვიცნობდი, თუმცა მისი დაუჯერებელი ამბები წამიკითხავს და მომისმენია. მართლაც, უდიდესი შემართება უნდა გაგაცნდეს, რომ შეძლო ის, რაც ბატონმა ჯუმბერმა გააკეთა!

ჩვენ სკოლაში შემოსულია ჟურნალი „ათინათი“, იგი სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათისაა. ბავშვების უმრავლესობა იცნობს ამ ჟურნალს, სასურველია დაინერგოს რაიონის ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში ჟურნალის შესვლა. თქვენი აზრი ამის შესახებ.

კარგი იქნება, რაც მეტი შემეცნებითი მასალა მიეწოდებათ ბავშვებს, ამაზე თავად სკოლის ხელმძღვანელობაც უნდა დაინტერესდეს.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

ადრე კერძო სექტორში მიწევდა მოღვაწეობა და იქ სხვა სიტუაციაა. ძალიან ძნელია იყო საჯარო სამსახურში და ხალხი იმედს ხედავს შენში. მოსვენება არ მაქვს, როცა რაიმე საკითხს ვერ ვაგვარებ, ახლაც სასწრაფოდ მოსაგვარებელია სოფელ წმანში ელექტროობის საქმე, მოსახლეობა უშუქოდაა. ამ ჩამონათვალში (გვიჩვენებს სქელი ფურცლების დასტას) სამი ათასამდე რაიონის მცხოვრებია, რომლებიც მიწისძვრისაგან დაზარებულები არიან და სხვადასხვა კატეგორიის დახმარება ესაჭიროებათ. ალბათ ჩემძე მეტად არავის გაეხარდება ამ საქმის გაკეთება და თუ ეს შევძელი ალბათ გმირი ვიქნები.

რას გვისურვებთ მომავალ თაობას?

ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, იყავით მიზანდასახულები და ბეჯითები, არასოდეს შეუშინდეთ სირთულეებს –- შეუსრულებელი არაფერია, მთავარია მონდომება და ბრძოლა ამ მიზნის მისაღწევად. მე მჯერა, რომ თქვენ ჩვენზე ძლიერები იქნებით.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დროის დათმობისა და კეთილი სურვილებისათვის, მეც გისურვებთ თქვენი დასახული მიზნების ასრულებას ხალხის საკეთილდღეოდ.



მოდი ნახე

ხატია ღამბარაშვილი

ინტერვიუ ზურაბ წვერაიძესთან

– მოგესალმებით ბატონო ზურაბ, მე გახლავარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი, საერთაშორისო,აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქარელის 2 საჯარო სკოლის მოსწავლე ხატია ღამბარაშვილი.

– ბატონ ჯუმბერს ძალიან უყვარდა პატარები, ამიტომ,ჩვენ ნორჩმა ათინათელებმა გადავწყვიტეთ მისი მეგობრებისგან ავიღოთ ინტერვიუ.წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

– რათქმა უნდა არა.

– გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება.

– მე გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი ზურაბ წვერაიძე.

– როგორ დაახასიათებდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

– ჯუმბერ ლეჟავას დახასიათება რამოდენიმე სიტყვით შეუძლებელია,იგი იყო ჩემი ძალიან ახლო მეგობარი. 1961 წლიდან ერთად მოვდივართ...ჯუმბერი იყო უნიჭიერესი სტუდენტი.სანამ ჩვენს ფაკულტეტზე ჩააბარებდა, მანამ სწავლობდა მოსკოვში ფიზიკა-ტექნიკურ უნივერსიტეტში. ეს იყო და დღესაც არის ერთ-ერთი წამყვანი ინივერსიტეტი.მაგრამ მამა ადრე გარდაეცვალა, მეორე კურსზე იყო როდესაც დედაც გარდაეცვალა და მან ვეღარ შეძლო სწავლის გაგრძელება.იძულებული გახდა დაბრუნებულიყო. აქ მამიდასთან იყო და თავიდან ჩააბარა ჩვენს ფაკულტეტზე.იგი იყო უნიკალური პიროვნება თავისი თვისებებით.შეიძლება ითქვას რომ ცხოვრების ბოლომდე დარჩა მიამიტ ბავშვად, მაგრამ,საიდან ჰქონდა ამდენი ძალა და ძლიერება გინდაც გონებრივი, გინდაც ფიზიკური,ეს ამოუცნობია.

– სიცოცხლეშივე გაიხსნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია. რა აზრის ხართ ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა ამის გაკეთება აუცილებელი იყო. სამწუხაროდ ასეა ჩვენთან, სანამ ადამიანი ცოცხალია წინააღმდეგობის, უაზრო წინააღმდეგობის გადატანა უხდება და მისი დაფასება ხდება მხოლოდ გარკვეულ წილად მისი გარდაცვალებს შემდეგ.თუმცა ბუნებრივია ხალხის სიყვარული ჯუმბერს თავისი ცხოვრების არცერთ ეტაპზე არ აკლდა.მითუმეტეს მას შემდეგ რაც ეს საარაკო გმირო ჩაიდინა.მხედვალობაში მაქვს მისი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.მე არ მეგულება არცერთი ქართველი, რომელსაც არ ჰქონოდა ინტერესი იმ მწირი ინფორმაციით რომელიც მოგვეწოდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, სად იმყოფებოდა ჯუმბერი რა გააკეთა, რა ამბები გადახდა და ბუნებრივია ეს მისი დამსახურება და ღვაწლი უფრო დაფასდება ამის შემდეგ.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ ათინათს?

– კი ვიცნობ, რამოდენიმე ნომერი მაქვს კიდეც. ქალბატონი გულნაზის წყალობით ძალიან საინტერეო და რაც მთავარია მართალი ჟურნალია.

– ნახეთ ფილმი ჯუმბერ ლეჟავაზე?

– კი.

– რამდენი შვილი გყავთ?

– ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

– ცელქი ბავშვები გიყვართ?

– ძალიან, ბავშვი თუ ცელქი არ არის მისგან ძალიან ცოტა რამეს უნდა ველოდეთ.

– ხომ არაფერს დაამატებდით?

– ძალიან სასიამოვნია რომ ჯუმბერის შესახებ პატარა ასაკიდანვე დაინტერესდით და ეს ინტერესი თქვენ თანატოლებს გადაედება და ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ჯუმბერის უზარმაზარი შრომა, ნიჭი, გამძლეობა თქვენი საშუალებით უფრო მეტდ დაფასდება იმიტომ, რომ ის რითაც შევიწროვებული იყო ბატონი ჯუმბერი სიცოცხლის პერიოდში ეს უკვე მოხსნილი იქნება და თქვენ უფრო ობიექტურად და ლამაზად დააფასებთ მის შემოქმედებას და მის ნიჭსა და ყველაფერს რაც მან გააკეთა და რაც მან დატოვა.

– მადლობთ, რომ გამონახეთ დრო და მომისმინეთ.

ინგა შუბითიძე

ინტერვიუ სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჭხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორთან ბატონ უჩა ბარბაქაძესთან!

-გამარჯობათ! მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის" ნორჩი ათინათელი.

ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ინგა შუბითიძე.

-შეიძლება რამოდენიმე კითხვა დაგისვათ?

-დიახ!

-თუ შეიძლება მიამბეთ რამე თქვენ მშობლებზე?

-დიახ, დედა-მაშურა კაპანაძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდა ჭალოვანის საჯარო სკოლაში. მამა-გრიგოლ ბარბაქაძე რუსული ენისა და ლიტერატურის მას-

წავლებელი (სასწავლო ნაწილის გამგე ორი ათეული წლის განმავლობაში) ასწავლიდა ამავე სკოლაში.

-რა პერიოდს მოიცავს ის დრო, რაც თქვენ დირექტორად მოღვაწეობთ?

-უჩა ბარბაქაძე: 2007 წლიდან ვარ 2013 წლამდე არჩეული დირექტორი, ხოლო 2014 წლიდან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

-რამდენი შვილი გყავთ? ვინ არიან ისინი? ვინ არის თქვენი მეუღლე?

-მყავს ორი შვილი თამარ ბარბაქაძე. (ფინანსისტი). ბერიკა ბარბაქაძე. (სტუდენტი). მყავს აგრეთვე პატარა შვილიშვილი ელენე. მეუღლე მადონა კირთაძე. (მასწავლებელი).

-უახლოეს პერიოდში რა სიახლეები მოხდა სკოლაში?

-წელს ჭალოვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, უნიჭიერესი ქართველი პოეტის -ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ამ შესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით სკოლას სტუმრობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პიროვნებები. მარტო ბატონი რევაზ მიშველაძისადა ქალბატონი მაყვალა გონაშვილის სახელის დასახელება რად არ ღირს...

-რა შთაბეჭდილების ბრძანდებით ახლად არჩეული დავით შუბითიძის პიროვნებაზე?

-უკვე ორი თვეა სკოლაში ფუნქციონირებს უფასო ჭიდაობა (ძიუდოს) სპორტული სექცია, სადაც ჩაბმულია 50 ბავშვი.

მოძიებული იქნა ეროვნული ბიბლიოთეკიდან წიგნები, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად.

ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ ჭალოვანის თემის, მაჟორიტარ დეპუტატ, ბატონ დავით შუბითიძეს.

- რას გვეტყვით ჭიდაობა (ძიუდოს) ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ დავით ქევხიშვილზე?

- ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის, ბატონ დავითზე

სკოლას შეჰპირდა სპორტული ინვენტარით აღჭურვას.

- რას მოგვახსენებთ ჭალოვანის საჯარო სკოლაში აღზრდილი ცნობილი სახეების (ჯუმბერ ხარაიშვილი, ელგუჯა ნოზაძე) შესახებ?

-აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანასოფლელების ბიზნესისა და ქველმოქმედების ბატონების, ელგუჯა ნოზაძისა და ჯუმბე ხარაიშვილის ყურადღება სკოლის მიმართ.

- რას იტყვით თქვენი პედაგოგიური კოლექტივის შესახებ, ხომ არავის გამოყოფდით?

სკოლას ჰყავს სერთიფიცირებული პედაგოგები:

საღერაშვილი ლეილა
შუბითიძე ირინე
ხარაიშვილი ხათუნა

-სკოლას ჰყავს უდიდესი დამსახურების მქონე პედაგოგები:

რუსუდან მაჭარაშვილი
იზოლდა ხარაიშვილი
დემურ ხარაიშვილი
რუსიკო ხარშილაძე
ქეთევან ხუციშვილი

ცარო ჩხეტიანი, რომელიც წელს „გავაცილეთ" ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლიდან.

ქალბატონი, რუსუდან მაჭარაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორად. იგი დღესაც ენერგიულად მუშაობს, მისგან ვღებულობთ რჩევა-დარიგებას.

-თქვენი მოსწავლე ახალგაზრდობა იცნობს თუ არა ჟურნალ „ათინათს"?

-სკოლის კოლექტივი და მოსწავლეები ყურადღებით ეცნობა ჟურნალ „ათინათს" და მოუთმენლად ელიან ყოველ მომდევნო ნომერს.

-აპირებთ თუ არა მასთან თანამშრომლობას?

-დიახ!

-რას გვეტყვით თვითონ ჭალოვანის სკოლაზე?

საჩხერის რაიონი სოფელი ჭალოვნი რაიონულ ცენტრს 30 კმ არის დაშორებული. სოფელი მთიანია, ულამაზესი მდინარე, ძირულა, კიდევ უფრო ლამაზს ხდის, მაგრამ მკაც-

რი კლიმატური პირობები სოფელს სირთულეს უქმნის. მართალია ამ ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, წესრიგდება იმფრასტრუქტურა მაგრამ სოფელში პრობლემებს რა გამოლევს.

ჭალოვანის საჯარო სკოლის შენობა, რომელიც კეთილმოწყობილია, ქველმოქმედმა ბიძინა ივანიშვილმა უსახსოვრა ოთხი წლის წინ სოფელს.

სკოლამ მცირეკონტიგენტიანია, ბავშვები შორი მანძილიდან ფეხით დადიოდნენ და მკაცრ კლიმატურ პირობებს, ძლიერ ზამთარს უმკლავდებოდნენ, უკვე სამი წელია ბავშვებს ტრანსპორტი ემსახურება, რაც სახელმწიფოს მხრიდან მეტად სასიკეთო საქმეა.

ყოველივე ამ სასიკეთო ძვრებს დაემატა ისიც ,რომ საქმეში აქტიურად ჩაერთო სოფლის დებუტატი, ბ/ნ დავით შუბითიძე. იგი მხარში უდგას როგორც სოფლის მცხოვრებთ, ასევე სკოლის ცხოვრების განვითარებას.

სწორედ დებუტატისა და ამავე სოფლის მკვიდრის , ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის ,ძალისხმევით ჭალოვანის საჯარო სკოლას ეწოდა - პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელი.

და ეს ყველაფერი არარის კიდევ მეტის ძიებაში არიან სკოლის მხარდასაჭერად როგორც რაიონის ხელმძღვანელობა ,ასევე დებუტატი ბ/ნ დავითი,ქალბატონი გულნაზი და მათთან ერთად მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა : ბ/ნ რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ლევან ბაბუხადიამ,ნადარაიამ სწორედ ქალბატონი გულნაზის ძალისხმევით გაიცვნეს ჭალოვანის საჯარო სკოლა.

რაიონის ხელმძღვანელობის, სპორტის ჭიდაობა - ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს ქევხიშვილის მხარდაჭერით, სკოლაში გაიხსნა უფასო სპორტული სექცია, რომლის სულის ჩამდგმელიც ბატონი დავითია. ბავშვების, მშობლების, პედაგოგების უდიდესი მადლიერება სიტყვითაც ვერ გამოიხატება.

ყველა სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად ორიოდე სიტყვით სოფლის სასულიერო ცხოვრებაზეც მინდა მოგითხროთ. 80 წლიანი პაუზის შემდგომ სასულიერო ცხოვრება აღდგა და ბიზნესმენ ელგუჯა ნოზაძის ხელშეწყობით სოფელს მღვდელი, მამა იოსები,ემსახურება. სოფლის ცხოვრებაში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებების გამო სკოლის თანამშრომლები და სოფლის მაცხოვრებლები დიდ მადლიერებას გამოხატავენ.

ჭალოვანის ძიუდოს სპორტული კომპლექსი

გვანცა კვიციანი

ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან

ბატონო ელგუჯა, მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშრისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. თბილისის 147–ე სკოლის მოსწავლე გვანცა კვიციანი.

–ბატონო ელგუჯა, სად გაატარეთ ბავშვობა?

–საჩხერის რაიონ, სოფელ–ლიჩში, ძირულის ხეობაში.

–თქვენი ბავშვობის პერიოდიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

–ჩემი ბავშვობის პერიოდი იყო ძალიან რთული პერიოდი. მე დავიბადე ომამდე, (მეორე მსოფლიო ომამდე) და ამდროს დიდი გაჭირვება იყო 1950 წლამდე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ნათელი მოეფინა ქვეყანას და მე ბავშვობა გატარებული მაქვს იმ დროს რომელიც ახლახანს გითხარით.

–ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

–მამა იყო სეით გიორგის ძე ნოზაძე, ხოლო დედა იყო მარიამ ხარაიშვილი დომენტის ასული.

–რამდენი დედმამიშვილი იყავით?

–ექვსი

–თქვენი საყვარელი საქმიანობა?

–შრომა.

–სკოლის პერიოდში ცელქი იყავით?

–ამბობენ რომ ცელქი ვიყავი, მაგრამ მე არ ვეთანხმები.

–გაგვაცანით თქვენი ოჯახი!

–დედ–მამა უკვე გაგაცანით, ახლა გადავალ შვილებზე მყავს 2 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ასევე მყავს მეუღლე და 6 შვილიშვილი.

–რამდენი შვილიშვილი გყავთ?

–როგორც მოგახსენეთ 6. 3 გოგო და 3 ბიჭი.

–შვილიშვილებიდან ხომ არ გამოარჩევდით რომელიმეს, რაიმე ღირსებით?

–ისე ყველა ერთნაირად მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვარჩევდი ყველაზე პატარას, გიორგის. გიორგი ნოზაძეს, რომელიც თავისუფალ დროს სულ დამყვება და აინტერესებს რას ვსაქმიანობ. ინტერესიანი ბავშვია საერთოდ და კარგადაც სწავლობს. სწავლით ყველა კარგად სწავლობს, მაგრამ ეს გამოკვეთილად.

–სხვა ანალოგიური ბიზნესებიდან, თქვენი ბიზნესი რითია გამორჩეული და რატომ?

–თუ დეტალებში გაინტერესებს, აუცილებლად გეტყვით. მე თავიდან ვმუშაობდი თბილისის მეტროპოლიტენში და ბოლო 8 წელიწადი ვიყავი კავშირგაბმულობის მთავარი ინჟინერი. ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, გამიკეთეს კუჭის ოპერაცია და ექიმებმა მირჩიეს, რომ მეტროში არ დავბრუნებულიყავი და ეს არის ამის შემდეგ წამოწყებული ბიზნესი. რაღაც ხომ უნდა გამეკეთებინა და მოვიფიქრე, რომ ამ დარგში დამეწყო მუშაობა. მე ეს გადავწყვიტე მაშინ, როდესაც დაიწყოკ ერძო საკუთრება, 1988 წელს, მაგრამ მანამდე რომ აგეშენებინა ან გაგეკეთებინა რამე დაგიჭერდნენ, სწორედ ასეთი კანონები იყო მაშინ. კერძო მესაკუთრეობა რომ გამოცხადდა, აი, მაშინ მოვედი აქ. რაც შეეხება კითხვას თუ რითია ჩემი საქმიანობა გამორჩეული, ახლა აგიხსნით ამას. მე თავიდანვე დიდ ყურადღებას ვაქცევდი ხარისხს და ასეა დღესაც, ცნობილი არის ესეიგი ჩვენი ქათმის ხორცი მე არ ვმალავ მაგას ვაწერ ჩემს ბრენდს (გვარს) და ყველამ იცის, რომ ეს ჩემი წარმოებულია. ხარისხი გამოირჩევა!

–თქვენი ქველმოქმედებიდან გამომდინარეა საჩხერის რაიონის ძირულის ხეობაში უშურველად დათესილი უამრავი სიკეთე. რა განცდები გაქვთ როდესაც დიდ სიკეთეს თესავთ?

–მე ვერ გეტყვი, რომ რამე განსაკუთრებული და გამორჩეული სიკეთე დამეთესოს. ჩვენს ხეობაში უამრავი სიკეთე მაქვს გაკეთებული, მაგრამ არა სხვაგან. ვინაიდან მე მიყვარს ჩემი სოფელი და ვცდილობ, რომ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დავეხმარო, ხოლო რაცშეეხება ქველმოქმედებას, მაგის ჩამოთვლას დიდ ხანს მოვანდომებთ.

–ძირულის ხეობაში ბოლო პერიოდში თქვენი დახმარებით ხომ არაფერი გაკეთებულა მოსწავლე ახალგაზრდების სასიკეთოდ?

–განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით იმას რომ ძიუდოს სასწავლებელი გაიხსნა და ვეხმარები იმ ადამიანებს, რომ იქაური ბავშვები იყვნენ დაკავებულები და ჯანსაღი ცხოვრების წესით რომ იცხოვრონ.

–ჭალოვანის საჯარო სკოლა გახდა სახელობითი, თუ იცით ამის შესახებ და როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– ნამდვილად ვიცი, ყველაფერი შეთანხმებული იყო ჩვენთან წინასწარ ვიცოდი, ეს ადამიანი დამსახურებული იყო და დაიმსახურა კიდეც ეს ადგილი. ამ საჯარო სკოლას რომ დარქმეოდა ბეჟან ხარაიშვილის სახელი.

– კიდევ რას გვეტყოდით აღნიშნულ სკოლაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესების შესახებ?

– უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადოთ ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ ასეთი თანამედროვე ევროპული სკოლა არის ჩვენს ხეობაში, კერძოდ, ის სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი თავის დროზე, მაგრამ ეს სკოლა ისეთი კი არ იყო ახლა რომ არის. ახლა არის თანამედროვე ევროპული სტანდარტის, თავისი ინფრასტრუქტურით და ყველაფრით. მე ძალიან მიხარია, დიდი ხანია იქ რომ ვიყავი, შეიძლება ვთქვათ რომ მე მეორედ დავიბადე. მე ძალიან მომწონს ახალგაზრდები, თუ როგორი ჩამოყალიბებულები არიან.

– როგორ შეაფასებთ რაიონისა და ადგილობრივი, ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობას?

– ახლა, დღევანდელ პირობებში, შედარებაც არ შეიძლება წარსულთან, მე მგონი ყველაფერი პოზიტიურია და კარგია.

– ხომ არ იცნობთ ჭალოვანის სკოლის დირექტორს და თუ იცნობთ რას გვეტყვით მის შესახებ?

– ჭალოვანის სკოლის დირექტორი არის არაჩვეულებრივი ადამიანი. მისი მშობლები ჩემი მასწავლებლები იყვნენ. განსაკუთრებით გამოვყოფ ქალბატონ მაშურას, რომელიც მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას. ის ძალიან კარგი ადამიანია და მშობლებიც ძალიან კარგი ჰყავდა.

– თუ იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას

– მხოლოდ ტელევიზორით.

– არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია და თუ გსმენიათ ამის შესახებ?

–ამის შესახებ თქვენგან ვიცი, ხოლო რაც შეეხება ჯუმბერ ლეჟავას მე მას დიდ პატივს ვცემ და შემიძლია ჩავთვალო, რომ ის დიდი გმირი იყო.

– იცნობთ ჟურნალ „ათინათს"?

– არა, ნაკლებად.

– ხომ არ გაგვანდობთ, უახლოეს პერიოდში რა ქველმოქმედებას გეგმავთ?

– ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ აუცილებლად დავეხმარები ჩემს ხეობას.

– რას უსურვებთ ჩვენს ჟურნალს და მთლიანად საქართველოს ახალგაზრდობას?

– ჟურნალსა და ახალგაზრდობას ვუსურვებ კეთილდღეობას, კარგ ცხოვრებას, ყველაფერს საუკეთესოს.

თამარ ტყეშელაშვილი



ინტერვიუ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე — ფრიდონ ბურდულთან

– გამარჯობა! მე ვარ თამარ ტყეშელაშვილი, "ნორჩი ათინათელი" თუ შეიძლება გაგვეცანით, პირველ რიგში.

– გამარჯობათ, მე გახლავართ ფრიდონ ბურდული, ამ ეტაპზე საგარეჯოს საკრებულო ს თავმჯდომარე.

– ხართ თუ არა დაოჯახებული?

– კი.

– საოცნებო ქალაქი, სადაც იცხოვრებდით ?

– საგარეჯო.

– რა გახსოვთ და რა არასოდეს დაგავიწყდებათ თქვენი ბავშვობიდან?

– ძალიან რთული შეკითხვაა, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი კარგი მახსოვს, რომელიც არ დამავიწყდება. კონკრეტულად რამის თქმა ცოტა გამიჭირდება, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ ჩემი სკოლა, სკოლის წლები.

– რა იყო თქვენი ოცნება და აგიხდათ თუ არა ეს?

– ოცნების ასრულება, საერთოდ, ცოტა ძნელია ამ ცხოვრებაში. რაღაც ამიხდა, რაღაც ვერახდება, ჩემი ოცნება იყო, გამოვსულიყავი კარგი ადამიანი და რამდენად ამიხდა ეს, არ ვიცი, ეს უნდა სხვამ შეაფასოს, ჩემო კარგო.

– ყველაზე დიდი ტკივილი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ?

– ეს სულ ახლახანს იყო, დედის გარდაცვალება.

– ვიზიარებთ! შეცვლიდით თუ არა რამეს თქვენს ცხოვრებაში?

– ალბათ არა!

– როგორი ხასიათი გაქვთ?

– სერიოზული შეკითხვაა, (იცინის) რა გითხრათ, მე მგონია, რომ საკმაოდ მტკიცე ვარ და ამავე დროს მომთმენი და ლოიალური, ხასიათი ეს ერთი ფაქტორი არ არის, ხასიათი შედგება კომპლექსისგან.

– როგორი ადამიანია თქვენთვის მისაბაძი?

– თამრიკო, თქვენ როგორც გასწავლიან სკოლაში, შესაბამისად აღიქვამთ კიდეც, ამ ყველაფერს, როგორიც უნდა იყოს მისაბაძი ადამიანი. ჩემთვის თვისებრივად მისაბაძია ქართველი კაცი, ისტორიულად ქართველი კაცი, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი, თავისი სამშობლო, უყვარს სტუმარი, როცა საჭიროა იბრძვის, შრომობს, როცა საჭიროა ქეიფობს... (შეიძლება ცოტა უხეში გამონათქვამია) ასეთი ადამიანია ჩემთვის მისაბაძი, მე რამდენად ვარ ასეთი, არ ვიცი, მაგრამ მისაბაძი ნამდვილად არის.

– რას გვეტყვით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ ?

– ჩემი სამომავლო გეგმები... აქამდე ექიმი გახლდით, ახლაც ექიმი ვარ და ადამიანის ჯანმრთელობა იყო ჩემთვის მთავარი. პროფესია არ იცვლება, ახლაც იგივეა, მაგრამ ცოტა უფრო ფართო კონტექსტში. ჩემი საკრებულოში ყოფნისას ჯანმრთელობასთან ერთად, მეტნაკლებად ადამიანთა მდგომარეობა შევცვალო ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და თანადგომით.

– რა სპეციალობის ბრძანდებით ?

– ექიმი-კარდიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. 1982 წლიდან 2012 წლამდე ვმუშაობდი თბილისში. კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვიყავი 20 წელი, მეცნიერ თანამშრომლად. ვმუშაობდი ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში, ექიმ-კარდიოლოგად და ბოლოს საგარეჯოში, ვიდრე საარჩევნო ბატალეაში ჩავებმებოდი.

– ექიმები სხვაგვარი, ფაქიზი სულის ადამიანები არიან, ალბათ ძნელია საკრებულოში მუშაობა?

– ყველა ექიმის სახელით გიხდით მადლობას ამ სიტყვებისათვის. საქმე იმაშია, რომ ერთი ეტაპი უნდა დამთავრდეს და უნდა მოვიდეს სხვა ხალხი, რომელიც სხვაგვარად მიუდგება ამ საკითხს, ადამიანებზე ზრუნვას გაიხდის მთავარ სამოქმედო გეგმად.

– რის გაკეთებას აპირებთ რაიონში კულტურის სფეროში?

– გვყავს ჯგუფი, რომელიც კულტურულ ღონისძიებებს კურირებს. ორი დღის შემდეგ არის პრემიერა თეატრში, არის ხატვის წრე, საჭადრაკო წრე... საერთოდ მე მიმაჩნია, როდესაც რაიონში მოდიხარ იქ კულტურა სულია და სული თუ დაკარგეთ არაფერი არ გამოვა. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური გაკეთდება იმისთვის, რომ სულიერება არ დაიკარგოს. სულიერების დედა კულტურაა. მე ვიცი გამგებლის დამოკიდებულება, ამ საკითხისადმი. კულტურა უნდა აღორძინდეს. 27 სექტემბერს იყო ღონისძიება ლეონიძის სახელობის მუზეუმში. მუნიციპალიტეტმა და საკრებულომ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მე მაქვს სიგელი, პატრიარქის ხელმოწერით. ამ სულიერებას უნდა გავუფრთხილდეთ და შევინახოთ, ასეთი ლამაზი მომავალი თაობისთვის, რათა მათ იცოდნენ ვისი გორისანი არიან.

– უდაბნოს შესახებ რას იტყვით?

– უდაბნოში ჩავატარეთ დასუფთავების აქცია, ჩემი პირადი მონაწილეობით, საკრებულოს წევრები მყავდნენ წაყვანილი. მოვახატინე სკოლა, უდაბნოს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი კარიბჭე, ყველაზე მოშორებული ქართული სოფელი, რომელიც აზერბაიჯანის საზღვარზეა და მას სხვანაირი ფუნქციური დატვირთვა აქვს. გეგმაში გვაქვს გარეჯის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ძალა არ დავიშუროთ ამ კულტურული ძეგლის საკადრისად მოსავლელად. გარდა ამისა, გვაქვს ინფრასტრუქტურული პროექტები, წყლის მომარაგების გასაუმჯობესებლად. მთავრდება ტენდერი, აღსდგება საირიგაციო სისტემა. წელს მისახლეობა ძალიან დაზარალდა გვალვის გამო, მოსავალი ვერ მიიღო. თუმცა ამ ეტაპზე, ჯერ თვალშისაცემი გაუმჯობესება არ გვაქვს, თუმცა მომავალს ოცნებით და იმედით შევყურებთ. მაქსიმალურად შეეცდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მატერიალური და კულტურული ცხოვრების აღორძინებას.

– თქვენ რაიონს ჰყავს ცნობილი პოეტი დავით ტიგინაშვილი, რომლის ლექსები იბეჭდება ჟურნალ "ათინათში" სასურველია სკოლებშიც და ბიბლიოთეკებშიც შევიდეს ეს ჟურნალი, რას ფიქრობთ ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?

– ვეთანხმები, ალბათ უნდა შევიდეს.

– აკადემია ატარებს ჟუმბერ ლეჟავას სახელს. მე ამ აკადემიის ჟურნალის ნორჩი "ათინათელი" ვარ, თქვენ გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ ამ ჟურნალთან ?

– თქვენი აქ მობრძანება და ჩვენი შეხვედრა უკვე იმისი დადასტურებაა, რომ სურვილი გვაქვს ამ თანამშრომლობის.

– ბატონ ჯუმბერზე გადავიღეთ ფილმი, რომლის გაგრძელებასაც ვაპირებთ. თქვენ თუ ისურვებთ მონაწილეობას?

– ეს რთული შეკითხვაა, იმიტომ რომ, თავად ბატონ ჯუმბერს სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ საერთოდ, ყველას გაგვიგია მის შესახებ, ასეთ კაცის შესახებ საუბარი სასიამოვნოცაა. ალბათ უნდა ვისაუბროთ, უფრო დეტალურად, მისი მიღწევების შესახებ.

– რა რჩევას მოგვცემდით ჩვენ თაობას, ბავშვებს?

– პირველ რიგში იმას, რომ ქვეყანა უნდა გიყვარდეთ, მშობლები უნდა გიყვარდეთ, სწავლა უნდა გიყვარდეთ, ადამიანი უნდა გიყვარდეთ და მუშაობა უნდა გიყვარდეთ.

– დიდი მადლობა რომ დაგვითმეთ დრო.

– თქვენ მადლობა, მობრძანებისათვის!

მერი ბერაძე



უჯარმა: კონსტანტინე ღოღელიანი — მერი ბერაძე

– გამარჯობათ. მე გახლავართ თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე, მერი ბერაძე, ნორჩი "ათინათელი", ჩემი მიზანია გავიზარდო ჟურნალისტად და ცნობილ სახეებთან შეხვედრებით მივიღო პრაქტიკული ცოდნა, გთხოვთ გამაცნოთ თქვენი პიროვნება.

– ღოღელიანი კონსტანტინე. ვარ საგარეჯოს რაიონის საკრებულოს წევრი, უჯარმიდან წარდგენილი დეპუტატი. მყავს მეუღლე და სამი შვილი, ველოდები ახლა მეოთხეს, ორი გოგო მყავს, ერთი ბიჭი და მეოთხესაც ბიჭს ველოდებით.

– რა როლს ასრულებდა უჯარმა, როცა დამპყრობლების შემოსევები იყო?

– უჯარმა იყო V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, საზაფხულო რეზიდენცია, უჯარმის ციხე-სიმაგრე.

– რომელი სალოცავები იყო და არის ამჟამად უჯარმაში?

– უჯარმა, მოგეხსენებათ არის ისტორიული, ძირძველი სოფელი და გვაქვს უამრავი სალოცავი. თვითონ სოფელში არის კვირაცხოვლის სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, არის საგვარეულო სალოცავები, საყდრები, დათუნაშვილების სალოცავი, ნინიკელაშვილების, აბელაშვილების...

– თუ ფუნქციონირებს რომელიმე ეკლესია და ვინ აქცევს მას ყურადღებას?

– დღეისათვის უჯარმის ეკლესია ფუნქციონირებს და ეს დიდი დამსახურებაა ბატონი კარლო ნადირაშვილის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გვაქცევს ყურადღებას.

– რამდენი სკოლაა უჯარმაში?

– უჯარმაში არის ერთი საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

– რამდენი ბიბლიოთეკაა სოფელში?

– სოფელში გავქვს ორი ბიბლიოთეკა. ერთი არის სკოლაში, მეორე სასოფლო ბიბლიოთეკა, გამგეობის შენობაში, რომელიც დღეისათვის თითქმის გაუქმებულია.

– თქვენ, როგორც დეპუტატს, გაქვთ თუ არა სურვილი ჟურნალი "ათინათი" დაინერგოს სკოლაში და ბიბლიოთეკაში?

– კი, რა თქმა უნდა, აუცილებლად, სწორედ ამიტომ ვხვდებით ერთმანეთს..

– თქვენი სამომავლო გეგმები.

– სამომავლო გეგმები დიდია, ვნახოთ, როგორ გავუძღვებით ამ საქმეს. გვინდა დავეხმაროთ სკოლას, საბავშვო ბაღი გვაქვს სავალალო მდგომარეობაში და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. ვეცდებით სოფლისთვის, ახალგაზრდობისთვის გავაკეთოთ სასიკეთო, რაც კი შეგვიძლია.

– ჩვენი სკოლის "ნორჩ ათინათელებს" სურვილი გვაქვს უჯარმის სკოლის მოსწავლეებთან დავმეგობრდეთ, თუ დაგვეხმარებით ამაში?

– კი, რა თქმა უნდა. მე მყავს ორი ქალიშვილი, ერთი არის 13 წლის, მეორე 12 წლის... მოსწავლეები და მეც დიდი სიხარულითმივესალმებით ამ წინადადებას.

– უჯარმაში რომელი გვარებია უფრო ხშირად გავრცელებული?

– ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი გვარია სოლიძე, რევაზიშვილი, ნიკოლოზაშვილი და აბელაშვილი. უჯარმა ისტორიული სოფელია და ძირითადი გვარები ადგილობრივია. არიან ჩამოსახლებულნი. მაგალითად არის ავალიშვილების სალოცავი და გვარიც არსებობდა. ჩვენც ჩამოსახლებულები ვართ, ბაბუაჩემი. არიან ქისტაურები, ჩაჩაურაშვილები, ილურიძეები, საერთოდ მოსახლეობა ხუთას კომლამდეა, შემოგარენის ჩათვლით.

– დიდთოვლობისას ბავშვებს უჭირთ სკოლაში სიარული?

– ჩვენ სოფელში არ არის მაინცდამაინც დიდთოვლობა, ბავშვებს ეს პრობლემა არა აქვთ.

– რა არის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი?

– მოსახლეობის ძირითადი შემოსავალია მესაქონლეობა, არის სამხედრო ნაწილი და მასში დასაქმებული ნაწილი, მემინდვრეობა ნაწილობრივ, ჩვენ ნახევრად მაღალმთიან რეგიონს მივეკუთვნებით და მევენახეობისთვის პირობები არაა.

– რამე ლეგენდას ხომ ვერ გაიხსენებდით უჯარმასთან დაკავშირებით?

– უჯარმის ციხესთან, თუ ყოფილხართ, ასასვლელში არის სვეტი, შესასვლელის მარჯვენა მხარეს ეს სვეტი გამონგრეულია. არსებობს ასეთი ლეგენდა, ვახტანგ გორგასალს ლითონის ბურთი ჰქონია, ადიოდა ხაზინის მთაზე, ბურთს ისროდა და გალავანს გადააცილებდა-ხოლმე. როცა დაიჭრა თქვა; ავალ მთაზე და ამ ბურთს გამოვისვრი, თუ გადავაცილებ გადავრჩები-ო... როცა გადმოისროლა ბურთი ვერ გადააცილა, გალავანს მოხვდა და მაშინ გამოინგრა.

– თქვენ თვითონ თუ გაქვთ შეკითხვები ჩემთან?

– კი, როგორ არა მაქვს, თქვენი სამომავლო გეგმები, რა პროფესია აირჩევთ სკოლის დამთავრების შემდეგ?

– სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ პროფესია არ მაქვს არჩეული, ძალიან ბევრი რამ მინდოდა, მაგრამ კონკრეტულად ჯერ არ გადამიწყვეტია. ყველა საგანს ვსწავლობ უმაღლეს დონეზე, ვარ ათოსანი, მიყვარს ისტორია, ქართული, ფიზიკაც მიყვარს, უცხო ენებიც, რუსული...

– ძალიან კარგია! მე ამ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, მაშინ იყო რვაწლიანი სკოლა. აქ იდგა სამხედრო ნაწილი და ჩვენთან სწავლობდნენ რუსებიც, გვერდიგვერდ ვსწავლობდით, ეს სკოლა მშობლიურ სკოლად იქცა მათთვისაც. ქართულიც ისწავლეს და დღესაც გვაქვს მათთან ურთიერთობა.

– რას გვისურვებთ მომავალში?

– მომავალში გისურვებთ წარმატებებს. პირველ რიგში გისურვებთ გამთლიანებულ, გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებას, ჯანმრთელობას. თაობას ვუსურვებ იყვნენ ქართველები სულით და ხორცით, იყავით ქართული ტრადიციების მიმდევრები და დამცველები, ისეთი ადამიანები, როგორიც საქართველოს ეკადრება და შეეფერება. ჩემი სურვილი იქნებოდა თუ ახალგაზრდები უფრო მეტს იმუშავებდნენ სკოლებში, უმაღლესებში. ქართველებს როგორც შეეფერებათ ისე იქცეოდნენ ქუჩაშიც, შენ რომ გიყურებ, ვიცი ნამდვილი ქართველი იქნები, ჩამოყალიბდები ნამდვილ ადამიანად... საერთოდ თაობას დახმარება სჭირდება. ყველა თუ არ ჩაერია ამ პროცესში, ქართველობა მარტო სახელი დარჩება. გაჭირვებამ, მშობლების საშოვარზე გადახვეწამ, ბავშვებზე იმოქმედა. არიან ოჯახები, საიდანაც დედა წასულია საზღვარგარეთ, მამა ვერ უვლის შვილებს და ბავშვები ქუჩაში რჩებიან. სადაც შედარებით არ არის ასეთი გაჭირვება, იმ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები სულ სხვანაირები არიან, უფრო ტრადიციების მიმდევრები, უფრო ზრდილობიანი, იციან მშობლების პატივისცემა, სიყვარული... საქართველოში ძირითადად ეს არის პრობლემა, სოციალური მდგომარეობის გამო ვერ აქცევენ მშობლები ყურადღებას შვილებს. მე მადლობას მოვუხდი ჩვენს ხელისუფლებას იმაში, რომ აღარ არის ძალადობა. აღარ იჭერენ, აღარ უსმენენ. მე კარგად ვიცი თავისუფლების ფასი და მჯერა, ვინც თავისუფლების ფასი არ იცის ის ადამიანი არ არის. დღეს საქართველოში არის თავისუფლება, თუმცა ხალხი უფრო მეტს მოელოდა. ხელისუფლებას უნდა შევახსენოთ, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს, ეკონომიური, სოციალური მდგომარეობა გამოსწორდება. გული არ უნდა გაიტეხოთ, უმადურები არ უნდა ვიყვნეთ. ადამიანზე ზრუნვა უპირველესია, პირადად მე, რაც ყველაზე მთავარი მოვასწარი, საცხოვრებელი სახლებისათვის ფართობი გამოვყავით, სადაც შეიძლება დასახლდეს ოჯახი და ნაკვეთი ჰქონდეს, ახალი ოჯახები მომრავლდეს.

– თქვენ ოჯახში რომელ ქართულ ტრადიციას მისდევთ?

– ვცდილობთ ყველა ქართული ტრადიცია შევინარჩუნოთ და დავიცვათ! ძალიან დიდ როლს ასრულებს ეკლესია და ეს მადლი არ უნდა დავკარგოთ.

– დიდი მადლობა!

ლექსო ფეიქრიშვილი

ინტერვიუ დავით შუბითიძესთან

მინდა დავიხარჯო ხალხისთვის, ასე საუბრობენ თქვენზე ბატონო დავით, დავინტერესდი თქვენი პიროვნებით და მინდა მოგმართოთ რამოდენიმე კითხვით შეიძლება?

ჯერ გამეცანით თქვენ ვინ ხართ, ასე პატარას რა კითხვები უნდა გქონდეთ ჩემთან, ეს მართლაც წარმოუდგენელია ჩემთვის.

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი „ათინათელი“ ლექსო ფეიქრიშვილი.

გიყვართ პატარები?

ძალიან, მათ გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ისინი არიან ჩემი ხვალინდელი დღე და ჩემი ცხოვრების მიზანი.

რამდენი შვილი გყავთ?

გეტყვით... მყავს სამი შვილი, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი.

პატარები არიან?

არა, პატარები აღარ ეთქმით, ორი სკოლის მოსწავლეა და ერთი ბაღში დადის.

სპორტი უყვართ?

ძალიან, კარატეში ვარჯიშობენ და საკმაოდ სერიოზულ წარმატებასაც აღწევენ.

სოფელი გააქვთ?

კი, ჩემი სოფელი ჭალოვანია, ეს სოფელი საჩხერის რაიონს ეკუთვნის, მაღალმთიანი სოფელია, მდინარე ძირულის ჰაერის გასუფთავებულ ადგილებში მიხდება ფიქრი, იმაზე თუ რა შეიძლება გააკეთოს თითოეულმა ადამიანმა მომავლისათვის... მე პირადად, ჩემი მონდომებითა და თითოეული ჩემი თეთრის გაღებით ავაშენე ეკლესია, რომელსაც მოძღვარი ჰყავს. ეკლესია ატარებს წმინდა ნინოს სახელს. ამ დიდ საქმის გაკეთებაში ხელს მიწყობს ბატონი ელგუჯა ნოზაძე.

ჭალოვანის სკოლას მიენიჭება ბეჟან ხარაიშვილის სახელი, ეს მართლაც პოეტის სულის უკვდავებაა. სკოლაში გაიხსნა სპორტული წრე (კერძოდ ძიუდოს ვარჯიშობები დაახლოვებით 50-ზე მეტი მოზარდი, რაშიც პატარა წვლილი მეც მიმიძღვის).

იცნობთ ჟურნალ „ათინათის“?

ძალიან კარგად ეს ახალი სტილით დანერგილი შემეცნებითი ჟურნალი თავის ლამაზ სიტყვას იტყვის მომავალი თაობისათვის.

დიდი მადლობა ბატონო დავით, რომ დამით ეთ დრო და რამოდენიმე კიტხვაზე ჩემთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი გამეცით.

ლანა მაჭარაძე

ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან

სიცოცხლის მტრედი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან აკადემიაში, მართლაც და უფლით სასწაულები ხდება, ამ უქონელ და გაუტანელ დროში. ეს მე არც უნდა მიკვირდეს, რადგან კედლიდან ჟანა ხვიჩიას ხელით შესრულებული მამა გაბრიელის ხატი მიღიმის, თითქოს მამხნევებს, ძალას მმატებს...

აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი“ 13-ე ნომერი, დედაოსთან მოხვდა, მისი ყურადღება მიუქცევია ამ სიტყვებს:

„მიკვირს კეთილს რად არ მხედავთ,
რად არ გინდათ შეამჩნიოთ სიბრძნე.
დამინახეთ, მე ვარ ქართვლის დედა,
„ათინათში“ ჩემი მადლი იგრძენთ...
ცისარტყელა მომეხვევა ტანზე,
ვიცი ერთ დროს გამიტაცებს ცაში
ვიჯირითებ მთვარის შუქის რაშზე,
ვიცი ცრემლად დაიღვრებით მაშინ...“

ამ ლექსის მთელ სიგრძეზე ჩახატული იყო, ბატონი რეზო (ემელიანის) ხელით შექმნილი წმინდა ნინოს ხატი. წმინდა ნინოს მადლმა დააკავშირა ყველასათვის უცნობი დედაო ჩემთან, დედაო ყოველდღე მლოცავს და მმოძღვრავს სიკეთითა და სითბოთი.

დეკემბრის სუსხიან დღეს აკადემიაში, სამი სხვადასხვა ასაკის ქალბატონები მეწვია, პატარა ლანას თან ახლდა დედა და ბებია. ლანამ სკამზე მოიკალათა თვალი, თვალში გამიყარა, ამოსუნთქვის საშუალებაც არ მომცა და კითხვები თოვლის ფანტელებივით მომაფინა მტკივნეულ გულზე:

– თქვენ ბევრი ბავშვები გაგიზრდიათ?

– დიდახ, ჩემო პატარავ მე შენნაირი ანგელოზები გამიზრდია თანაც ძალიან ბევრი.

– რა ჯიდლოები გაქვთ მიღებული?

– ჩემი ჯილდო ყველაზე დიდი შვილებია, ჩემი დავითი და ჩემი გელა, მერე შვილიშვილები: თამარი, ლევანი, თეონა, ნანა და ვახტანგი. თუმცა დამსახურებებიც ბევრი მაქვს მაგრამ, ეს არაფერია ადამიანი თუ მოინდომებს თუ ნებისყოფა ეყოფა აუცილებლად მიაღწევს მიზანს, მიუღწეველი არაფერია, მიუღწეველი მხოლოდ შვილებია, თუ ღმერთს არ უნდა არ გაქცევს დედობის ღირსად. ხდება პირიქითაც, მოგცემს შვილს, გაგაზრდევინებს, დაგაპურებინებს და მაშინ წაიყვანს შენგან როცა უფალი საჭიროდ ჩათვლის.

– რა დარდიანად საუბრობთ, მითხარით რა არის ამის მიზეზი?

– ეჰ, ანგელოზო შენ ამას ვერ გამიგებ კიდეც რომ გითხრა, ჩემს გულის ქვაბში ძალიან დიდი დარდია, რომელიც დღედაღამე ცრემლით იფუფქება, მოდი ამაზე არ ვისაუბროთ კარგი?... ჩემთვის ლამაზ დღეებს მაშინ ჰქონდა შნო და ლაზათი, როცა ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი, ტანზე მემოსა, ახლა გული მაქვს, სევდიანი, ცივი, ნაზამთრი, მე გამახარებს ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.

– ძაიან სევდიანათ საუბრობთ? მე კი მინდა მოგეფეროთ.

– მომეფერე მოდი, ჩაგიკრა გულში და ჩაგეხუტო, საყვარელო, შენ ჩემი სულის ფერია გახდები დღეიდან.

– როდესაც თქვენ ქუჩაში გაგივლიათ და გაჭირვებული დაგინახავთ შეგცოდებიათ?

– ძალიან გულს მტეკნს ხელგამოწვდილი ხელები, დახმარებას, რომ ითხოვენ, რატომღაც ისეთებიც დამინახია, რომელბიც საეჭვოთაც ჩამითვლია. ისე პირველად როცა ეს მასიური არ იყო საქართველოში ისე ძალიან განვიცადე, ლექსიც კი დავწერე

„ხელგამოწვდილი წინ რომ შეგხვდება
და კრძალვით გეტყვის დამეხმარეო...
სირცხვილის ალი წვამს და ედება,
ზიზღით ნუ ეტყვი გამეცალეო.
იქნებ არააქვს წამალის ფული,
ან დახმარება გთხოვა დისათვის.
ვინ იცის როგორ ატკივდა გული,
შემიწყალეო გთხოვა ძმისათვის...

იშვიათია პოეტს, რომ ჰქონდეს
შემირცხვენიხარ მცირე არ მისცე...
შიმშილით გული რომ შეგიღონდეს,
დაუხმარებლად არ გამოიქცე.
უკანაკსნელი თეთრიც გაიღე,
უსულგულოს კი არ გარქმევ პოეტს
მცირე ნაღველი სახლში წაიღე
და კიდობანში შეგიშვებს ნოე."

– რა იყო თქვენთვის სატანჯველი წუთები?

– ჩემი ტკივილი, ბავშვნობიდანვე დაიწყო, დედაჩემს ჰყავდა რვა დედმამიშვილი, რომლებიც, ზოგი ავარიით, ზოგიც ომს შეეწირნენ და ამიტომ დედა შავებს ატარებდა მთელი სიცოცხლე, მე ამას ბავშურად კი არა დიდი ადამიანივით განვიცდიდი, დედა თუ არ ჭამდა საჭმელს, მეც მშიერი ვრჩებოდი ერთხელ მახსოვს, მამამ წყენის კილოთი მიმართა: შენ გიდარდო თუ ეს ბავშვი, ხომ ხედავ, რა დღეშიაო და დედამ თავს ძალა დაატანა და ერთი ნაჭერი ვიჩინა ძლივს მოციცქნა. ჰოდა მახსენდება ჩემი წარსული... და ზოგჯერ მეღიმება კიდეც, როცა ბავშვებში თამაშის საშუალება მომეცემოდა, მათთან მხიარული ვიყავი, ვცეკვავდი, მღეროდი, წარმოდგენებს ვმართავდი.

– კარგად სწავლობდი?

– ძალიან კარგად, რა შესაძლებლობა მქონდა მთლიანად ვიხარჯებოდი.

– ახლა ქუჩაში ბიჭები, რომ იგინებიან ჩემი დედაო, ამაზე რას იტყვი?

– ამაზე საშინელება არაფერი გამიგონია მთელი ჩემი სიცოცხლის წლების გადასახედიდან, ამაზეც მაქვს ლექსი დაწერილი ხალხურ მოტივზე

დაჭრილ გული გაქვს მამულო,
თუმცა გესმები მალამოდ...
ო, გული მტკივა მალი-მალ
დაწერე რამე კალამი,
ვაჟაის მთები გამწყრალან,
სტუმარს არ ვასმევთ ღვინოსა..
ენა ყავისგან დამწვარა,
ხშირად ვივიწყებთ მირონსა...
დაგვიწყებია „გამზრდელი",
და აღზრდილებზე ვბრაზდებით...
დაგვილოცნია გზა გრძელი,

შორს წასულ შვილებს გავცქერით.
ვეჭიბ მათ აღზრდა დავაკლეთ,
და არ ვივარგეთ დედებმა
ჩემი დედაი, მესმის და...
გულს ეკალივით მედება.
შვილნო, ისმინეთ ვედრება,
რომ არ ვიტიროთ დედებმა...
მოყვარეს პირში უძრახეთ,
ასეთი შვილი გვერგება,
თუ მაინც აღზრდა დაგაკლდათ.
პასუხი ვაგოთ დედებმა.

–ანუ თქვენ დედებს ადანაშაულებთ?

– დიახ! ჩემო პატარამ დედამ უნდა გაზარდოს შვილი, დედა სიგარეტს, რომ ეწევა შვილს რა უნდა უთხრას, შენ არ მოწიო?..ამაზეც დავწერე მტკივნეული სიტყვები:

ქალებო, სიგარეტს ნუ მოსწევთ,
თბილისი იხრჩობა კვამლში.
ამ სენით იცოდეთ ერს მოსპობთ
გადაიჩეხებით ხრამში.

– ადამიანს, რომ უჭირდეს დაეხმარები?

– აუცილებლად, არც დავფიქრდები, მახსენდება ერთი მტკივნეული დღე... ერთმა ქალბატონმა მაწყენინა, გზაში მას ბილეთი აუღე. ამით დიდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ რაღაცა ადამიანური იყო ალბათ ჩემი საქციელი, უფრო მეტიც წელს, ქალბატონმა ყამარ ბლიაძემ ურეკში წამიყვანა, იქ დავრწმუნდი, რომ მე ადამიანის დასახმარებლად სიცოცხლესაც საფრთხეში ჩავაგდებ. იქ ზღვაში მამაკაცი იხრჩობოდა და გადავარჩინე, ამ ამბავს ეხლაც იხსენებენ ურეკში.

სიცოცხლე კვლავ მინდა, მინდა დავიხარჯო ჩემი ხალხისათვის:

დაღლილ სულს ვუყურებ ნატანჯს და დაფლეთილს
ნეტავი ეს ბედი, კიდევ რას მპირდება
სიცოცხლე არ მოდის, არასდროს დაკვეთით
არადა კვლავ მაინც ო, როგორ მჭირდება

– ია თუ მოგირწყიათ?

– არასოდეს. ია, თოვლის წყლით საზრდოობს. ასეც ამბობენ ია, დედის ცრემლებით ამოდისო.

– წლევანდელ წელს რითი გამოყოფდით?

– წელს მწერალთა კავშირის მხარდაჭერით, განათლების სამინისტროს დადგენილებით და ჭალოვანის საჯარო სკოლის პედკოლექტივის მოთხოვნით, საჩხერის რაიონის ჭალოვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ჩემი აწგარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ანუ ბეჟან ხარაიშვილი ფენიქსივით აღდგა და მისი სული დალოცვას, მის მხარდამჭერებს, ალბათ ყველაზე მეტად ამ დიდი საქმის იდეის ავტორს ბატონ დავით შუბითიძეს.

– მეტი კითხვები არ მაქვს, დიდი მადლობა.

ლაგოდეხის რაიონის № 1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა

შემოქმედება

ანასტასია ბეგიაშვილი

ადამიანი, რომელიც დააკლდა ლაგოდეხს

ერთ სხვისთვის ჩვეულებრივ, მაგრამ ჩემთვის არაჩვეულებრივ დღეს, ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მერი სპანდერაშვილმა, რომელიც გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ნამდვილი წევრი, შემოგვიტანა საკონფერენციო თემების სათაურები და მე მომმართა: „ტასო, შენ ხელოვანი ბებიის შვილი ხარ, ხომ არ აირჩევდი თემას „ადამიანი, რომელიც დააკლდა ლაგოდეხს“ . მე ჯერ გავოგნდი, შემდეგ გავაანალიზე რას ითხოვდნენ ჩემგან და სიხარულით დავთანხმდი.

ქვეყანაზე ყოველტვის არსებობენ ადამიანები, რომელთა სიცოცხლე მხოლოდ ერთი პიროვნების სიცოცხლეს კი არ ნიშნავს, არამედ მთელი ერისას. ასეთი ადამიანები სამარადისოდ აღიბეჭდებიან ხალხის მეხსიერებაში და გარდაცვალების შემდეგაც სათანადო პატივისცემით სარგებლობენ. რა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ გამორჩეულ ადამიანებზე, ყურადღებას ვამახვილებთ მათ განვლილ ცხოვრებაზე, მათ ღირსებასა და პატიოსნებაზე, პატრიოტიზმზე. სწორედ ამის გათვალისწინებით გვექმნება შთაბეჭდილება მათზე.

გამორჩეული ადამიანი აუცილებელი არ არის მთელი ქვეყნის მასშტაბით იყოს ცნობილი, იგი შესაძლოა პატარა სოფელში, რაიონში ან ქალაქში ცხოვრობდეს და სწორედ აქ, მის მშობლიურ მიწაზე თესავდეს სიკეთესა და ნუგეშს. სწორედ აქ აიმედებდეს უნუგეშოდ დარჩენილ მეზობელს, მეგობარსა და უბრალო ნაცნობს.

(ანასტასია ბეგიაშვილი)

პიროვნება, ვიზეც საუბარს ვაპირებ, სწორედ ასეთი ადამიანია. იგი პატარა ლაგოდეხის მკვიდრი იყო. ლაგოდეხის, რომელმაც წლების შემდეგაც შემოინახა მისი სახელი. ეს პიროვნება ანასტასია კონსტანტინეს ასული ეგიაშვილი გახლდათ, ჩემი პაპიდა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი დახასიათებისას სუბიექტური ვიქნები. რაც შეეხება ობიექტურობას, ამას ალბათ ყველაზე უკეთ მომავალი შეაფასებს. მე სწორედ ამ ღირსეული ქალბატონის მოსახელე ვარ. მართალია პირადად არ ვიცნობდი, თუმცა მეამაყება, რომ მისი სახელი დამარქვეს. ნათესავებში ანასტასიას მამაჩემი ძალიან ჰყვარებია, სწორედ ამიტომ უთხოვია, რომ შვილისთვის მისი სახელი დაერქმია, რაც მამაჩემს შეუსრულებია კიდეც. ამ ფაქტის გამო მეც მადლობელი ვარ ჩემი მშობლების. რა თქმა უნდა, რთულია ადამიანზე საუბარი, როდესაც მას საერთოდ არ იცნობ, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა სხვების მიერ მონაყოლის, კეთილგანწყობისა და შთაბეჭდილებების დაგროვებამ შეძლო ჩემს წარმოსახვაში ანასტასია ბეგიაშვილის სახის გაცოცხლება.

ანასტასიას შემოკლებით ტასოს ეძახდნენ, ასე მომმართავენ მეც. პირველად, როდესაც მის შსახებ შევიტყვე, 5 წლის ვყოფილვარ. მშობლებთან ერთად საფლავზე მისულს

ქვაზე ამომიკითხავს წარწერა: „ანასტასია კონსტანტინეს ასული ბეგიაშვილი“. როგორც მეუბნებიან ძალინ გამკვირვებია, რადგან სიტყვა სიტყვით ემთხვეოდა ჩემს ინიციალებს. სწორედ მაშინ ამიხსნეს, თუ ვინ იყო იგი და რატომ მერქვა მისი სახელი. რა თქმა უნდა 5 წლის ბავშვისთვის რთულია გააანალიზოს ის პასუხისმგებლობა, რაც აკისრია, თუმცა წლების გასვლის შემდეგ ვგრძნობ ამას და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მინდა ისეთივე ღირსეულად ვიცხოვრო, როგორც ჩემმა პაპიდამ. იგი ჩემთვის მისაბაძი ადამიანია. ადამიანი, რომელთანაც მსგავსება ჩემთვის საამაყო და გასახარი იქნებოდა. ხშირად მეუბნებიან, რომ ვგავარ მას, რაც სიხარულით მივსებს გულს.

ნათქვამია პიროვნება ოჯახის შიგნით ამოიცნობაო, რადგან სწორედ ოჯახში მჟღავნდება ადამიანის ხასიათი, გარეთ კი შედარებით შელამაზებული ფორმით წარსდგება ხოლმე. თუმცა ეს ადამიანი ერთნაირად სათნო იყო ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებენ ნათესავები. მათ მიმართ იგი ყოველთვის გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა, ზრუნავდა მათზე და კეთილი რჩევით სწორ გზას უჩვენებდა. ანასტასია პაპიდა იყო ღირსეული ქალი, ღირსეული დედა და მეუღლე. მისმა შვილებმაც სათანადოდ გააგრძელეს დედის გზა. გახდნენ ღირსეული მშობლები, შეინახეს დედის სახელი, აღზარდეს წარმატებული შვილები და სულიერი სიმშვიდე მოუპოვეს მას.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ანასტასია ემსახურებოდა ხალხს. იდგა მათ სამსახურში და ცდილობდა საკუტარი წვილი შეეტანა მათ კეთილდღეობაში. ახალგაზრდობიდანვე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იყო „კომკავშირის მდივანი“, „აღმასკომის თავმჯდომარე“, „რაიკომის მდივანი“, ბოლოს კი განათლების გამგე.

სწორედ განათლებაში ხედავდა ხსნას, ამიტომაც განსაკუთრებით პატივს სცემდა განათლებულ ადამიანებს. თავადაც უაღრესად განათლებული იყო. გამოირჩეოდა კომუნიკაბელურობით, გულისხმიერებით.

დღეს, როდესაც ჩემს სახელს იგებენ, ყველა მეკითხება ვინ იყო ჩემთვის ანასტასია ბეგიაშვილი? პასუხის გაცემის შემდეგ, ყოველთვის სუნთქვა შეკრული ველოდები, თუ რას იტყვიან მასზე. თუმცა ჯერ აუგი არავის დასცდენია, რაც ძალიან მახარებს. მისგან მნიშვნელოვანი საჩუქარი მაქვს დატოვებული; სახელი და ფორტეპიანო.ეს უკანასკნელი დიდი სიყვარულით დაუტოვებია მამიდაჩემისთვის, რომლის წასვლის შემდეგ იგი ოჯახში დარჩენილა. ამ ფორტეპიანოს „ტასოს პიანინო“ ერქვა. გავიდა წლები და მას ახლაც იგივე სახელი ჰქვია. მასზე მართლაც ტასო უკრავს, ოღონდ უმცროსი.

ვთვლი, რომ ანასტასია ბეგიაშვილი იყო პიროვნება, რომელიც ნამდვილად დააკლდა ლაგოდეხს. იგი 1985 წელს 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლომდე იყო სამაგალითო მუშაკი, რომელიც არასდროს გახვეულა სამსახურებრივ გაუგებრობაში, არცერთი ადამიანი არ დაუტოვია ისე, რომ წლების შემდეგაც კი საყვედური ეთქვათ მასზე. უფალს ვევედრები, რომ მისი სული ისეთივე ნათელი და მშვიდი ყოფილიყოს, როგორც თავად იყო.

ნიკა ჯანაშვილი
(ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე)

ერისკაცი-დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს ქოჩო ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის ოჯახში. ადრე დაობლებული 8 წლის დიმიტრი უფროსმა ძმამ ქაიხოსრომ სემინარიაში მიაბარა. ბეჯითი მოსწავლე მალევე გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. 1830 წელს დიმიტრიმ გიმნაზია დაამთავრა და თავადაზნაურობის დეპუ-

ტატთა საბჭოში თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. 17 წლის ახალგაზრდა ოთხ საგანს ასწავლიდა სკოლაში, ამავე ასაკში იგი დაუკავშირდა ქართველ მამულიშვილებს და შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა. რის გამოც შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს ხუთი წლით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო სამოხელეო სამსახური. ტარგმნიდა, წერდა პუბლიცისტურ წერილებს. იღწვოდა თბილისის პირველი ბიბლიოთეკის დაარსებისთვის. მალევე მოჰკიდა ხელიოჯახის შექმნას და ცოლად შეირთო ნინო ჭილაშვილი. დუშელი მემამულის, გენერალ გიორგი ჭილაშვილის ქალი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიმიტრი ყიფიანი მიხვდა, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება შედეგს არ გამოიღებდა. საჭირო იყო მოჩვენებითი „ერთგულებით“ სამშობლოსთვის სასარგებლო ქართული საქმის კეთება. ამ გადაწყვეტილებით მან მალევე მიაღწია დიდ თანამდებობებს. „არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერი საათი, მაგარი და მტკიცე სულით იგი მხნედ ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე, კი არა როგორც ჩინოვნიკი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და დაუცხრომელი მოღვაწე.“ წერდა ვალერიან გუნია.

დიმიტრი ყიფიანს ასევე კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობაც ერის წინსვლის საქმეში. „სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზეაღავლენს და ღირსჰყოფს დაუსაბამობასთან მიახლოებისა... განათლება ყველას გვაწონასწორებს.“ ამბობდა იგი.

როდესაც საქართველოში ქართული ენის დევნა-შევიწროება გამოიკვეთა, დიმიტრი ყიფიანმა მკაცრად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. არ მისცა უფლება რუსეთს დაეგმოთ ენა რომელზედაც ლაპარაკობდნენ: „ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც გვიქადაგეს ჩვენ ქრისტიანობა და რომელიც ვერ შემუსვრეს: ლანგთემურმა, შაჰაბასმა და ნადირშაჰმა.

დიმიტრი მეოცნებე კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს იმ დროს, როცა ბატონყმობის გაუქმების კანონზე მუშაობს და მაშინაც, როცა ისეთი ბანკის შექმნას ცდილობს, სადაც დამგირავებელს მამულს არამც და არამც არ გაუყიდიან. დიმიტრის უმტკიცებენ, არწმუნებენ, ეკამათებიან და იგი მარცხდება, მაგრამ მის მარცხს ერთი თვისება აქვს - ყოველთვის იწვევს თანაგრძნობას.იგი, კანონმორჩილი და შემსრულებელი, მაინცდამაინც არ უკვირდება, სინამდვილეში ვის ემსახურება. ცდილობს იყოს ქართველი პატრიოტიც და რუსი მოქალაქეც, მაგრამ ამ ორი სამსახურის შეთავსება შეუძლებელი ხდება მაშინ , როდესაც საქმე ეხება ქართულ ენას, საქართველოს ღირსებას. ამ დროს დიმიტრი დაუნდობელია და მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს რუს მოხელეებს. იგი არა მარტო სიტყვით იბრძვის, არამედ საქმითაც: აარსებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და მისი პირველი თავმჯდომარეა. „არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თუ სხვანი სულ მისი ინიციატორობით არის დაწყებული“- წერს მის შესახებ აკაკი წერეთელი. უამრავი დავიდარაბის მიუხედავად, დიმიტრი დარწმუნებულია, რომ პატიოსანი შრომა დაუფასდება და მშვიდი სიბერე ექნება, მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა...

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა ამავე სასწავლებლის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ამ ამბით აღშფოთებულმა საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ, დაწყევლა და შეაჩვენა ლაღიაშვილი და მასთან ერთად მთელი ქართველი ხალხი. დიმიტრიმ რომ ეს ამბავი გაიგო, ხაშურიდან დეპეშა გამოუგზავნა ეგზარქოსს: „ხმები მოგაწერენ თქვენ, რომ დაწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მარტოოდენ სიყვარულსა და სატნოებას. თუ ეს ყველაფერი მართალია, მეუფეო, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან.“ ასეთი რჩევა მისცა მან პავლეს. ცხადია ასეთ სიტყვვებს არავინ არ აპატიებდა და მისი საქმე უშიშროებას გადასცეს. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, სამი ორდენით დაჯილდოვებული, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი დიმიტრი ყიფიანი ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო შემდეგ სტავროპოლში გადაასახლეს. „პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობით ვამთავრებ.“ უთქვამს აკაკისთვის.

1887 წლის 24 ოქტომბერს იგი ვერაგულად მოკლეს. ღამით მის ოჯახში ჯალათი შეიპარა. თავში ურო ჩაარტყა და მოკლა. „ ის ტვინი რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის ძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს.“ წერა აკაკი წერეთელი.

დრეს 21-ე საუკუნეში, როდესაც ქართულმა ეკლესიამ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა და უწოდა: „წმინდა დიმიტრი სამშობლოსთვის წამებული,“ უცნობია ბევრი ქართველისთვის. 2014 წელი ამ პიროვნების წლად გამოცხადდა. რაც ჩემი აზრით ძალიან სასიხარულოა. ქართველმა ხალხმა უფრო კარგად უნდა გაიცნოს ასეტი ადამიანები. მას რომ არ ჩაეცვა თავის დროზე „რკინის აბჯარი“ ვინ იცის დრეს სად იქნებოდა საქართველო და საერთოდ იარსებებდა თუ არა იგი.

მარი გოგოლაძე
(№1 საჯარო სკოლა 11 კლასის მოსწავლე)

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

დაფიქრდა ღმერთი და შექმნა ამ ქვეყანაზე დედამიწა-სამოთხე. ეს სამოთხე აავსო ყველა სიკეთით. მარტო ხომ არ იქნებოდა და შექმნა ადამი და ევა.ნებივრობდნენ ისინი ღვთის ბოძებულ სამოთხეში, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და ცოდვა ჩაადენინა ადამსა და ევას: განრისხდა ღმერთი, გამოყარა ისინი სამოთხიდან და თან დამოძღვრა: გაამრავლეთ კაცთა მოდგმა და აკეთეთ სიკეთე, იშრომეთ და შეინახეთ თქვენი თავი, ამისთვის დედამიწაზე ყველაფერიაო. გამრავლდა დედამიწაზე ხალხი და გამრავლდა შური და ბოროტება, მკვლელობა, ომები. ამ ყველაფერს არ უჩანს ბოლო, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ყოველივე ამას განიცდიან, გულთან მიაქვთ და გამოსავალს ეძებენ. ასეთ ადამიანთ რიცხვს უთუოდ მიეკუთვნება ჩემი პაპა ელდარ ხმალაძე.

დაიბადა 1937 წლის 4 ივნისს. ადრე დაობლდა. მისი მამა ალექსანდრე ხმალაძე 1939 წელს გაიწვიეს ჯარში, საიდანაც პირდაპირ ფრონტზე გააგზავნეს. მას შემდეგ არანაირი ცნობა აღარ მოსულა. ფაქტიურად პაპა გაზარდა ორმა ქვრივმა ქალმა დედამ და ბებიამ, წვალებასა და უქონლობაში.რომ წამოიზარდა მუდმივად ფიზიკური შრომა უწევდა მარტო კაცს ოჯახის შესანახად. თავს არ ზოგავდა და შრომას არ თაკილობდა, მაგრამ გულში მუდამ სწავლაზე ფიქრობდა და ჩუმი სიჯიუტით მიიწევდა მიზნისკენ. ოქროს მედალზე დაამთავრა ლაგოდეხის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მოუწია და გაიწვიეს ჯარში. პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და კიდევ ერთი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. მან ჯარში თან წაიღო სახელმძღვანელოები, რათა ემეცადინა მისაღები გამოცდებისთვის. დროებით გამოუშვეს პირობით, რომ თუ წრმატებით ჩააბარებდა გამოცდებს, ვადაზე ადრე გაათავისუფლებდნენ. მართლაც, მან ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და გახდა სტუდენტი. შემდეგ საბუთები გადაიტანა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და აიღო ჟურნალისტის დიპლომი. სტუდენტობაც გაჭირვებაში გაატარა, მაგრამ არ შეშინდა. შესაშურად მიზანსწრაფული ადამიანი იყო. იგი მაგალითია ჩემთვის. უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. ჰქონდა შეთავაზება კათედრაზე დარჩენისა, მაგრამ მარტოხელა დედა ვერ მიატოვა.

(ალექსანდრე ხმალაძე)

წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხში რადიორედაქტორად. გატაცებული იყო ფოტორეპორტიორობით. იღებდა და ამზადებდა შთამბეჭდავ ფოტოებს.

ამ პერიოდში შეხვდა იგი თავის მომავალ მეუღლეს, მოეწონა, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და მთელი ცხოვრება სიამტკბილობაში გააატარეს. შეეძინათ ორი ქალიშვილი, მათგან ოთხი შვილიშვილი. უაღრესად კარგი მეუღლე იყო, კარგი მამა, კარგი ხელმძღვანელი.

მუშაობდა განათლების სისტემაში და თავისი წვლილი შეიტანა ამ დარგის აღორძინებაში. მთელი თავისი შეგნებული კაცობა მიუძღვნა ადამიანობას ემსახურა სიკეთეს და სიმართლეს. სულით და გულით პატრიოტი ადამიანი იყო და გული შესტკიოდა სამშობლოს მომავალზე. გულისნადებს ხშირად ლექსით გადმოსცემდა:

თავი მოგვაქვს მსოფლიოში
კულტურით და ეთიკით
ტყუილად და მუქთად ჯდომით,
გვინდა ვიყოთ ღმერთივით.
ჭორაობით, ჩასაფრებით
საქმეს წინ ვერ წავიყვანთ
დამოუკიდებლად ყოფნას
ალბათ, ცვენ ვერ ავიტანთ...
დიახაც, უჭირს სამშობლოს
ზოგიერთების ხელში,
ზეცაში ნასროლ სიტყვებით
ამოგვიყვანეს ყელში.
სიტყვას როცა თან არ ახლავს
ნაღდი საქმე, პრაქტიკა
საჭიროა, რომ დროულად
შევიცვალოთ ტაქტიკა.
ქართველებო დროა მოვრჩეთ
ერთმანეთის გინებას,
ჭკვიანსა და საქმის მცოდნეს
ფართო მივცეთ დინება.

პაპა იყო ადამიანი, რომელიც ყველა თაობის ადამიანს ემეგობრებოდა, უყვარდა პატარები, აფასებდა და პატივს სცემდა უფროს თაობას.

ის უეცრად გარდაიცვალა. მახსოვს არ წყდებოდა ხალხის ნაკადი და თბილი სიტყვების ნიაღვარი მის მიმართ. დრესაც ვგრძნობ, რომ მის მიერ გაკვალულ გზაზე დავდივარ. ვგრძნობ იმ სითბო ნარევი სინანულის გაელვებას, რაც მისი დაკარგვითაა გამოწვეული, იმ ხალხის თვალში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება მათან. იგი

დააკლდა ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, უბანს, ქუცას და თამამად შემიძლია ვთქვა იგი დააკლდა ქალაქს. მე კი მიჩნდება სურვილი, რომ უკვალოდ არ გავქრე ამ ქვეყანაზე:

„და თითქოს თოვლით, ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს
და ღმერთ ვთხოვთ: ღმერთო გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენ ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს.“

საბა ლობჟანიძე

ნიღაბი

ნიღაბი-თითქოს ერთი ჩვეულებრივი სიტყვაა, კონკრეტული მნიშვნელობითა და დამოუკიდებელი განსაზღვრით. წესით ადამიანი მას ერთ საგნად უნდა მოიაზრებდეს , რომელსაც შემდგომ თავადვე მოუძებნის დანიშნულებას, თუმცაეს ასე არ არის. თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ნიღაბი მასკარადზე, კარნავალსა და მეჯლისზე გამოიყენება მეტი ინტერესისა თუ იდუმალებისთვის. მას საგანგებოდ არჩევენ სხვადასხვა გამოსახულების მიხედვით და სასურველი ფორმის ნიღბით „შენიღბულნი“ უადარდელად ატარებენ დროს. ნიღბისგან არის წარმომდგარი სიტყვა შენიღბვა, რაც თავისთავად ამ კონკრეტულ სიტუაციაშიც სახის დამალვის, იდუმალების, არარეალურის შექმნასთან ასოცირდება. რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით ნიღბის გამოყენება არაფერ ცუდს არ მოასწავებს, პირიქით გართობის ერთ-ერთი საშუალებაა და დადებითი ენერგიის გარრმავებას უწყობს ხელს. თუმცა არსებობს მისი არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოგენებაც, რაც თავის მხრივ, რეალური სახის დაფარვას, სიყალბეს, თვალტმაქცობასა და თამაშს გულისხმობს. რა თქმა უნდა, გასაგები იქნება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, არა როგორც საგანთან, არამედ როგორც საგნის აღმნიშვნელ სიტყვასთან, რომელიც მოსწყდება ამ საგანს და ახალ დანიშნულებას მიიღებს.

როგორც უკვე ვთქვით, შენიღბვა სიტყვა ნიღბიდან გამომდინარეობს და რაიმეს დაფარვას, დამალვას ნიშნავს. ეს იმდენად გაითავისა საზოგადოებამ, რომ დღეს მოსახლეობის უმეტესობა, სწორედ ასე, შენიღბული ცხოვრობს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

„ნირაბი“ და შენიღბვა არ არსებობს მხოლოდ ერთი სახით, ერთი მიმართულებით. იგი არც ასაკშია შეზღუდული, არც სქესში, არც პროფესიაში და არც ეროვნებაში. ცხოვრებაში ერთხელ მაინც ალბათ ყველა ჩვენგანი ინიღბება, ირგებს ისეთ ნიღაბს, რომელიც მისთვის კონკრეტულ ვითარებაში ხელსაყრელი ანდა მოსახერხებელია. ეს შესაძლოა ბავშვობის ასაკშიც დაგვემართოს, სრულიად აუღელვებლად მივიწებოთ „არარეალური სახე“ და მასთან ერთად გავატაროთ გარკვეული დრო. უკეთეს შემთხვევაში ადამიანი ახერხებს ამ სახისგან გათავისუფლებას, უარეს შემთხვევაში კი იგი ისე ეწებება, რომ რეალურ სახეს უკარგავს და ასე ყალბი, არაბუნებრივი ნიღბით განაგრძობს ცხოვრებას. ამის გათვალისწინებით ნიღაბი, ჩემი აზრით შეიძლება იყოს რამდენიმე კატეგორიის: 1. პროფესიული, 2.ნება-სურვილის, 3. იძულებითი, 4. სავალდებულო.

„პროფესიული ნიღაბი“ ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. იგი კონკრეტულ ინდივიდზეა მორგებული, მისი სპეციალობის გათვალისწინებით. შენიღბვა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ პროფესიებში როგორიცაა: პოლიტიკოსი, სახელმწიფო მმართველი, მსახიობი, მომღერალი და სხვა პროფესიის ადამიანი, რომელიც ყურადღების ცენტრში ექცევა.

„პოლიტიკური ნიღაბი“ ყველაზე კარგად მორგებული ნიღაბია, რადგან მისი სიყალბის დანახვას ხშირად თვეები ან წლები სჭირდება. პოლიტიკოსი შესაძლოა რამდენიმე ნიღაბსაც იყენებდეს თავის მოღვაწეობის განმავლობაში, თუმცა ამას ისე აკეთებდეს, გარშემომყოფების არა თუ გაღიზიანებას, არამედ აღფრთოვანებასაც კი იწვევდეს. სწორედ ამ

„ნიღბებზე“ კარგად მორგებული და გათვლილი „მასკარადებით“ იქმნება სახელმწიფოებში პოლიტიკური ცხოვრება.

ელჩი, მინისტრი, პრეზიდენტი გარკვეულ წილად კარგავს რეალურ სახეს და სხვადასხვა სახით ჩნდება აუდიტორიის წინაშე. მასში იმდენად არის გამჯდარი შენიღბვის პროფესია, რომ საკუთარი სახე თავადაც დაკარგული აქვს. „პოლიტიკურ ნიღაბს“ ირგებს ადამიანი იმის გამო, რომ უფრო მეტი ნდობა მოიპოვოს საზოგადოებაში და შესაბამისად აიმაღლოს ავტორიტეტი, რათა შემდგომში უხეშად რომ თქვათ, იზრუნოს თავის „სკამზე“. ამას იგი ცრუ დაპირებით ახერხებს. საოცნებო ადგილის ხელში ჩაგდების შემდეგ კი უმეტესს ივიწყებს.

„პოლიტიკური ნიღაბი“ ემოციების საოცარი სიძლიერით გამოვლინებაა. უმოქმედობასა და უსამართლობასთან მებრძოლი ინდივიდია. რეალური მისწრაფებებითა და ადამიანი იერით, თუმცა ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში თავისუფლდება ნიღბისგან და საცოდავად ქცეულ, დაპატარავებულ, ჩია სინდისად აგრძელებს ცხოვრებას.

„პროფესიული ნიღაბი“ თავის მხრივ სავალდებულოცაა. იმის გათვალისწინებით , რომ სახელმწიფო სხვადასხვა სამსახურის მხრებზე დგას, ეს იქნება პოლიცია, მედიცინა, განათლება თუ სხვა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია დასაფარი, თუნდაც იმიტომ, რომ მისი გამოაშკარავება საზოგადოებისთვის არის მავნებელი. ამის გამო ინიღბებიან ექიმები, როდესაც მომდიმარი სახით ცდილობენ საზოგადოების გადარწმუნებას, იმის თაობაზე, რომ რაიმე ცუდი ელით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ეპიდემია მძვინვარებს. ამის გამო ეწებება ნიღაბი პოლიციას, როცა კრიმინალის შემცირებულ მაჩვენებელზე აკეტებს კომენტარს, მაშინ, როდესაც ყოველ მეორე დღეს ხდება დანაშაული. ჩემი აზრით შენიღბვა ამ შემთხვევაში გამართლებულია, იგი პანიკის, შიშის აღმოფხვრისთვისაა საჭირო და აქედან გამომდინარე „სავალდებულო ნიღბების“ კატეგორიაში გადის.

მეორე, ყველაზე გავრცელებული და პრობლემური ნიღაბი „ნება-სურვილის“ ნიღაბია, მას ადამიანი საკუთარი მისწრაფებისთვის იყენებს. ასეთი პიროვნებები ცრუ სახით ცდილობენ საზოგადოებაში დამკვიდრებას. ისინი მუდმივად იტყუებიან, მხოლოდ იმის გამო, რომ გაცილებით უკეთესები გამოჩდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან. ხშირად მათ ერთი ნიღაბი არ აკმაყოფილებთ და რამდენ პიროვნებასთან უხდებათ ურთიერთობა, იმდენივე სახეს ღებულობენ. ეჭვი არ არის,რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ნიღაბი დაიმსხვრევა, თუმცა სანამდე იგი მთელია მანამდე ბევრის დათესვა შეუძლია, თუმცა მისი ნაყოფი მხოლოდ სიცრუე და ორპირობა შეიძლება იყოს.

„იძულებითი ნიღაბი“, ასეთ კატეგორიას განეკუთვნება, როდესაც შენ თავად არ გაქვს სურვილი, თუმცა სიტუაციიდან გამომდინარე იძულებული ხარ მოირგო ხელსაყრელი ნიღაბი და წარსდგე საზოგადოების წინაშე. მაგალითად ჟურნალისტი, ის შესაძლოა სულაც არ ეთანხმებოდეს ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებს და თვლიდეს კიდეც, რომ ეს ტელევიზია არაჯანსაღ პროდუქტს სთავაზობს მაყურებელს, თუმცა უფროსის დაჟინებული მოთხოვნით თავადვე მტკნარ სიცრუეს სთავაზობდეს მას. ხშირად ადამიანი „იძულებით ნიღაბს“ სამსახურის შენარჩუნების, კონფლიქტების თავიდან აცილებისა თუ უბრალოდ „ყრუ-მუნჯის“ პრინციპით ცხოვრების გამო ირგებს.

რაც შეეხება „სავალდებულო ნიღაბს“ მასზე უკვე ვისაუბრეთ, რომ იგი გარკვეულწილად „პროფესიულ ნირაბს“ უტოლდება.

ამრიგად, ნიღაბი არ არის მხოლოდ კონკრეტული საგნის კონკრეტული სახელწოდება. იგი გაცილებით მეტია, როდესაც წყდება ამ საგანს და სხვა დანიშნულებას იღებს.

გახსენება

ახლა იგი ცათა სასუფეველშია

ვახტანგ თორაძის მიერ სიცოცხლის ბოლო წუთში დაწერილი სიტყვები:

* * *

ჩემო გელა!

უცნაური იყო მანგლისში ჩვენი შეხვედრა თუმცა ამ შეხვედრის შედეგად ჩვენ ძმობას და მეგობრობას სამარადისო საფუძველი ჩაეყარა. არასდროს დამავიწყდება ჩემს გვერდზე დგომა დედაჩემის სასაფლაოს დაცვისას.

მე შენ მიყვარდი ნამდვილი ძმური სიყვარულით, რამეთუ მე ძმა არ მყავდა და ეს სიყვარული ალბად შენზე გადმოვიტანე.

მივდივარ და გლოცავ შენი სიკეთით და მადლით, ვიცი სანამ შენ ცოცხალი იქნები ერთ ჭიქას ყოველთვის წამიქცევ. მაშ გამარჯვებით ჩემო ძამიკო.

შენი ვახო.
1/XI 2014წ.

* * *

ჩემო მარიამო!

ჩემო ულამაზესო გოგო! მაპატიე რომ ვერაფერი მოგეცი და ვერც ის დიდი სითბო გაგრძნობინე რისი ვალდებულიც ბაბუა არის.

კარგო გოგო, მივდივარ იმ ქვეყნად და გიბარებ:

1. იყავი მართალი სხვისი არაფერი არ გინდა, მხოლოდ შენი შრომით შეძენილი შეირგე.
2. სხვას ცუდი არ გაუკეთო, არ დაიბოღმო, ღმერთი მაღალია და ყველას თავის სამაგიეროს მიუზღავს.
3. გიყვარდეს მტერი შენი არ შეაჩვენო, ეს ძნელია მაგრამ შენ უნდა შესძლო.
4. გიყვარდეს შენი ქვეყანა და ქმარ-შვილი. თუ სურვილი გექნება ერთ ბიჭს ვახტანგი დაარქვი.
5. ჩემი და ნინოს სახელი არ შეარცხვინო, ჩვენ ორივემ პატიოსნად გავლიეთ ეს წუთისოფელი. მაშ ასე ბედნიერებას გისურვებ ჩემო თვალის ჩინო, ჩემო ლამაზო მარიამო.

შენი ბაბუა...
1/XI 2014წ.

* * *

ჩემო ბადრი!

ჩვენ საკმაოდ გვიან გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ დაძმობილება და დამეგობრება თურმე ყველა ასაკში შეიძლება.

ჩვენ უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, ნუცუბიძეზე ბევრი გაჭირვება გადაგვიტანია, მაგრამ დრომ ვერა დააკლო ჩვენს მეგობრობას.

მე ბედნიერი ვარ რომ მყავდა შენისთანა ძმა და მეგობარი.

გისურვებ კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს, და სანამ შენ იქნები ჩემი ჭიქა იქ სავსე იქნება.

აბა გამარჯვებით.

შენი ვახო.
1/XI 2014წ.

* * *

ჩემო ლია!

შენ გვიანდელი შეძენილი ჩემი დაიკო ხარ. შენ კარგად იცი თუ რამდენ კარგ რამეს უნდა გიმადლოდე შენ.

მე იმედი მაქვს, რომ შენს ლოცვებში ყოველთვის მომიხსენიებ.

არ დაგიმალავ სიცოცხლე კიდევ ძალიან, ძალიან მინდოდა, მაგრამ არ დამაცალა იმ ოხერმა მიქელამ — „გეყო ქვეყანა დაამძიმეო“ ვიგონებ ჩვენ ყველას ერთად გატარებულ დღეებს და მივტირი მას.

ჩემო დაიკო გისურვებ ბედნიერებას.

შენი ძმა ვახტანგ თორაძე
1/XI 2014

* * *

ჩემო ლულუ!

მართალია მე და მყავდა მაგრამ ჩემი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენ იყავი. ჩვენ ერთი გვქონდა ჭირი და ლხინი.

რომელი ერთი მოვიგონო, რა არ გადაგვხდენია თავს, მაგრამ ჩვენ და ძმობას არ შეხებია.

მე შენ მიყვარდი დიდი ძმური სიყვარულით, რაზეც ვიღებდი სამაგიერო სიყვარულს, მაშ ასე ბედნიერებას გისურვებ ჩემო დაიკო.

ვ. თორაძე
1/XI 2014წ.

მირანდა ფიკლაურის მოგონება

ძალიან მენატრები ჩემო ერთადერთოიმედო,სივარულო და სიცოცხლევ. აი უკვე ერთი წელი გავიდა 26 ოქტომბერს რაც მოულოდნელად მიგვატოვე და ცათა სასუფეველში დაიდე ბინა. დრო მკურნალიაო ამბობენ, მაგრამ არ დაიჯერო ეს ყველაზე დიდი ტყუილია.რაც დრო გადის მით უფრო ძლიერ მენატრები. უშენობას ვერ ვეგუები ,მინდა მოხვიდე ჩემთან და ძლიერად ჩამიკრა გულში,როგორც იცოდი,როგორც გიყვარდა ყელში კოცნა. ვცდილობ შენს თანატოლებთან ურთიერთობას მაგრამ არ გამომდის,ყოველ მათგანში შენ გხედავ,ჩემს თვალწინ შენი ნაღვლიანი თვალები მთხოვენ შველას-გადამარჩინეო,მაგრამ როგორც ჩანს უძლური აღმოვჩნდი შენს წინაშე და ვერ გიშველე,ჩემო მირანდა ყველას ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.თავს იმითღა ვინუგეშებ,რომ შენზე ლექსებს ვწერ,რომელშიც ყველა ჩემს გულისტკივილზე,დარდსა და მოანტრებაზე გესაუბრები.

ჩემო „შაპიტო“ -ასე გეძახდა შენი დედიკო. გულნაზი ბებოს უშუალო დახმარებით და თანადგომით გიწყობთ ხსოვნის საღამოებს, შენთვის უცნობი ფოეტები, რომლებიც ასევე თანაგიგრძნობენ შენ თავიანთი ლექსებით გეფერებიან, ქალბატონი ლამზირა შეყილაძე,თამარ ჯაჭვაძე, ბატონი სერგი ლომაძე,კახა ბაციკაძე, რომელმაც შენს ერთ-ერთ საღამოზე შესანიშნავად შეასრულა შენდამი მოძღვნილი სიმღერა. შენს მაგივრად ყველას უღრუმეს მადლობას ვწირავ ესოდენ დიდი პატივისცემისა და დაფასების შენდამი. ვიცი რომ შენ ყველაფერს ხედავ და გესმის. ყველას იფარავ ბოროტებისგან და ლოცავ ლურჯი ზეციდან.

მირანდა შენს პირველ ხსოვნის საღამოზე, რომელიც დიდი სამების ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო 22 თებერვალს შენი დაბადების დღის აღსანიშნავად, მოულოდნელად ჩემს ფეხებთან გაჩნდა თეთრი მტრედი, მაშინვე გამოველაპარაკე და ვუთხარი მირანდა შებ ხარ, აქ მოფრინდი რომ შენდამი მოძღვნილ საღამოს დაესწრო, მერე აფრინდა ეს მტრედი და შენს დაიკოს, მარიამს დააჯდა მხარზე, მას შეეშინდა და ხელი აიქნია, მტრედი კი აფრინდა, არ გეწყინოს უცბად ვერ მიხვდა, მაგრამ ძალიან მალე გააცნობიერა რომ ეს შენ იყავი . შენს საღამოს ესწრებოდა ყველა შენი მეგობარი,კლასელი,პედაგოგი, რომლებიც ასევე გულისტკივილით გიხსენებდნენ. ყველას ძალიან ატკინე და დასწყვიტე გული შენი უეცარი წასვლით. დღემდე არ წყდება შენს საფლავზე შენი მეგობრების და პედაგოგების ნაკადი. ხშირად მოდიან თაიგულებით და გინთებენ თაფლის წმინდა სანთლებს.

9 აპრილს კი გულნაზი ხარაიშვილმა აკადემიაში მოგიწყო ხსოვნის საღამო, იმ აკადემიაში სადაც შენი სიმღერა ყველას გულში სწვდებოდა, მღეროდი ქსოვრელებთან ერთად დუდუკებზე სულ სევდიან და დარდიან სიმღერებს. ყოველი შაბათ-კვირის გათენებას მოუთმენლად ელოდი, რომ წასულიყავი აკადემიაში რეპეტიციაზე, სადაც შენი ელდარი მასწავლებელი გელოდებოდა მედუდუკე ბიჭებთან ერთად. სწორედ შენი ელდარი მასწავლებელი და შენი ბიჭები – ასე მიმართავდი ხოლმე მათ, იყვნენ მოწვეულნი ამ საღამოზე და დუდუკების კვნესით დათო ფირცხელაურმა წაიკითხა შენდამი მოძღვნილი ლექსები. ჩემო მილალუკა, ასე მოგმართავდი შენ მოფერებით . მე არ დავიღლები, არც მომბეზრდება შენთან საუბარი, მაგრამ და-

ნარჩენს შემდეგი ნომრისთვის გადავდებ. კიდევ უამრავ ლექსს დაგიწერ იქამდე სანამთ ვალში სინათლე მექნება და კალმის ხელში ჭერას შევძლებ. არ მოგაკლებ ხსოვნის საღამოებს რომელსაც სათავეში უდგას ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, უდიდესი პოეტი და ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი. სწორედ შენს დაბადებისდღეზე 22 თებერვალს, დიდ სამებაში, შენს პირველ ხსოვნის საღამოზე მოგიძღვნა ქალბატონმა გულნაზიმ შესანიშნავი ლექსი, რომელშიც მან შენი დიდი სიყვარული და პატივისცემა აღწერა ყველას და ყველაფრის მიმართ, ასევე შენი სიყვარული სოფლის „ლიჩის“ ბუნებაც ლამაზად დაგიხატა.

ასევე 9 აპრილის საღამოზე ბატონმა სერგი ლომაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი საღამო არ ახსოვს აკადემიას, ეს ნამდვილი შექსპირის ტრაგედია და შედევრიაო, რაზეც უღრუმეს მადლობას ვუხდი ქალბატონ გულნაზის, რომ ასეთი საღამო მოაწყო. ჩემო პატარა ბელურა გთხოვ აუცილებლად, ყოველთვის ახლოს იყავი გელა და კოკა ბიძიასთან, ბაბუა ბეჟან ხარაიშვილთან, ვიცი შენ ეს არ შეგეშლება, დარწმუნებული ვარ რომ მათაც შეაყვარე თავი და გულში ჩაგიხუტეს,უკვე მათ გვერდით ხარ და ერთად ლოცავთ სრულიად საქართველოს,ჩვენს პატრიარქს უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს, ჩვენს მეუფე თადეოზს(მირიან იორამაშვილი) და ყველა მეგობარს,ახლობელს,დედმამიშვილს,მშობლებს და ყველას.

ყველას ძალიან დააკლდი და ატკინე გული. დაე შენი ნათელი თაფლის სანთელივით გაუძღვეს ყველას, შენი დაუვიწყარი სახელი ყველას გულში დარჩება მარად. ჩემო ერთადერთო და განუმეორებელო მირანდა, მინდა შენთან საუბარი დღეს ჩემი ლექსით დავასრულო, რომლის მელოდიის დაწერის შემდეგაც ის სიმღერად გადაიქცევა.

„მტკვარზე მიცურავს ის ძველი ტივი,
ისევ ქეიფობს ყარაჩოღელი,
გარიჟრაჟისას ისმის ჰანგის ხმა
სად ხარ მირანდა ... ბებო მოგელის
ძველი თბილისის უბნებში დარდით,
დავეხეტები მარტოდ ფიქრებში,
შენი სიმღერა ქუჩებში დადის
მე შენ დაგეძებ,ხელში მიქრები.
მტკვარზე ნარნარად მიცურავს ტივი,
და ქსოვრელებიც იქვე არიან
იეთიმ გურჯის ლამაზი ლექსით
საათნოვას ჰანგით მღერიან.
დუდუკი კვნესის, შენ ხმას არ იღებ,
ცრემლად ვიღვრები შენ რომ გიყურებ,
ვხედავ ცის თახი დიდ კარებს მიღებს
შენი სიმღერით ციდან მაპურებ.
მტკვარზე მიცურავს ის ძველი ტივი
და ქსოვრელებიც ხომ აქ არიან
დუდუკი კვნესის,კვლავ შენ მოგელის
შენთან სიმღერა მონატრებია.“

შენი საყვარელი ბებო, მირანდა ხოდელიძე.

ნონა სხირტლაძე.

გიორგი ნებიერიძე – წავიდა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი, რომელსაც ცრემლის წვეთები მოჰყვა. გიგონებთ გიორგი და გული სევდით გვევსება – ნუთუ მართლა აღარ მოხვალ. არა, გვჯერა, რომ მოხვალ. მოხვალ და გაგვახარებ, ყოველი შემთხვევისთვის მე ასე მჯერა. შენი დედიკო ნონა.

მილოცვა

ჯუმბერ ლეჟავა

ვახტანგ გაჩეჩილაძე
ექიმი ოფთალმოლოგი, სახელმწიფო მრჩეველი.

ერის სინდისი – ზნეობრივი რაინდი

ყოველ ერს თავისი სამაგალითო გმირი ჰყავს, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, რომელიც გამოხატულია, როგროც ლეგენდებში, აგრეთვე ეროვნულ ზნეობრივ იდეოლოგიაში.

ჯუმბერ ლეჟავა – საუკუნის მსოფლიო მოქალაქე, დიდი სპორტმენი და სამაგალითო მოქალაქე, გინესის რეკორდებში გამარჯვებული, ცნობილი მოგზაური და მსოფლიო მშვიდობის დესპანი, მან ეროვნული დროშით ათეული წლების განმავლობაში, მსოფლიოს რამოდენიმეჯერ შემოუარა, ქვეყნის ენა, კულტურა და მისი ტრადიციები პლანეტის მოსახლეობას გააცნო.

ჯუმბერ ლეჟავას, ქვეყნის წინაშე ღირსებითა და სიამაყით განუზომელი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, ცნობილია რომ მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა უდიდესი გამოცდაა, რომელიც ითხოვს დიდ ნებისყოფას და სულის სიძლიერეს.

ჯუმბერ ლეჟავა უფლის მიერ რჩეულთა-რჩეული იყო, რომელმაც ვაჟკაცურად გადაწყვიტა ყველა უმძიმესი წლები, როგორც პირადი ოჯახური, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პრობლემები.

სამშობლოს სამსახურს მიუძღვნა ყველაზე საუკეთესო მისთვის იმ წლებში მოღვაწეობა, ქვეყნის გამთლიანებისათვის დაუღალავი უდიდესი ძალისხმევა, ზრუნვა უპირველეს ყოვლისა – ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის, მან ბრწყინვალედ იცოდა ქვეყნის ისტორია, როგორც ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ათეულობით წიგნი ჰქონდა გამოცემული, თუ როგორ უნდა აღზდილიყვნენ ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობა.

ჯუმბერ ლეჟავა იყო გამორჩეული დახვეწილი ინტელიგენტი, განათლებული, უშუალო, უბუროტო, სიკეთის მთესველი და მაძიებელი, ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, უღალატო მეგობარი და დიდი პიროვნება, ადამიანი რომელიც სიკეთით და სილამაზით სიცოცხლეს ულამაზებდა და უხანგრძლივებდა გვერდთ მყოფთ, მან დატოვა უზარმაზარ სიყვარული და ერთგული კაცთმოყვარე და მართალი კაცის, დიდი მართლმადიდებლის სახელი. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა, ღმერთმა მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს მისი კეთილი და ლამაზი სული.

თბილისი. 2014 წელი.



ნოდარ ბერიძემ მოგზაურობა გააგრძელა ჯუმბერ ლეჟავას სულის საპატივსაცემოდ. ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია გზას ულოცავს ბატონ ნოდარს და უსურვებს იმ მისიის შესრულების განხორციელებას, რაც მიზნად ჰქონდა ბატონ ჯუმბერის დასახული.

ჩემო საყვარელო გულნაზი! გილოცავ დაბადების დღეს!

ძალიან მიყვარხარ. შენთან გატარებული დღეები ყოველთვის მაგონდება. კარგ ხასიათზე ვდგები როცა შენზე ვფიქრობ, თუმცა ბოლო წლები სევდიანია.

ყოფილიყავი მუდამ ჯანმრთელი ენერგია და ძალა შეგენარჩუნებინოს სიცოცხლის ბოლომდე. პოეტური სამყაროს მწვერვალები დაგეპყროს. შენ როგორც გინდა ისეთი შვილიშვილები აღზრდილიყვნენ. და შენი სევიდიანი გული გაეხარებინოთ.

ჩემთვის შენ ხარ ქართველი ქალის ნიმუში. თავდადებული მეუღლე, მოსიყვარულე დედა, მოალერსე და კეთილი ბებია.

სულ ლამაზი და სიყვარულით სავსე გულით მენახო.

შენგან ბევრი რამ მაქვს შესწავლილი: მოთმინება. (გაბრაზების დროს). ყოველთვის ტკბილ სიტყვას, დამამშვიდებელს, კარგ ხასიათზე მოგყავს ადამიანები: მიუხედავად იმისა, რაც შენ თავს გადაგხდა.

უამრავი რამის დაწერა შემიძლია შენზე, მაგრამ ლექსად დრომ შემეძლოს დაწერა უკეთესია.

როცა ამას ვწერდი ძალიან მტკიოდა თირკმელი, შეიძლება შეცდომებიც იყოს ნაწერში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საათს შევხედე და დამთავრებისას აღმოვაჩინე, რომ უკვე ყრუდ მტკიოდა ისე აღარ მაწუხებდა. შენი სულის დამსახურებაა, რადგან ალბათ იმ დროს ჩემზე ფიქრობდი.

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი.”

კლარა.
05.05.2014 წ.

ჩემო საყვარელო მეგობარო კლარა, გმადლობთ ამ სიტყვებისთვის. გეიმედებოდე და გჯეროდეს, მუდამ ვიქნები შენი დამფასებელი. და ახლა მე, პირიქით, გილოცავ დაბადების დღეს და ვისურვებ: შენი ჯანმრთელობით რომ გამახარო.

გულნაზ ხარაიშვილი
04.11.2014 წ.

ყამარ ბლიაძე

ჩემს მარიამს

(დაბადების დღე – 2 ოქტომბერი)

დაბადების დღეს გილოცავ,
ჩემო ჭკვიანო მარი,
მადლობა უფალს, მიბოძა
ძვირფასი საჩუქარი.

გისურვებ ლამაზ მომავალს,
უფლის გზით იყავ მავალი,
სილამაზესთან შერწყმული
სულიც გქონოდეს მაღალი.

გიყვარდეს შენი ქვეყანა,
სიკეთე თესე მრავალი,
გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,
დილის მზე ამომავალი.

მე კი – შენს ყამარ ბებიას
მსურს, შემისრულო წადილი,
რომ ღირსეულად ატარო
ქართველი ქალის მანდილი.

ბედაგოგლუბა მიკლაძეს ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია ულოცავს ახალ წელს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს.

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი” არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru
შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:
თიბისი ბანკი
საბანკო კოდი – TBCBGR 22
მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.”
ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო”. გარეკანის მესამე გვერდზე მთავარანგელოზი მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

სარჩევი

ხატმწერები: ***გიორგი ლარიაშვილი***
ძლეთის წმინდა გიორგი *3*
გულნაზ ხარაიშვილი
*** (მომიშუშდეს... იქნებ მართლაც დიდი დაღი...) 4

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად 5

პოეზია

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)
მზეო მაღალო 6
ზღვაო 6
გაჭირვებულთა კეთილისმყოფლებს 6
მთები 7
მზესთან სულ ახლოს იდგნენ სვანები 7
წმინდანები 7
ვაჟას ჩარგალში 7
ფშაველს 7
მამა დიმიტრი
მზის ყანა 8
ნინო კაბადოკიელს 8
არაგვს 8
ღუდას ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია 8
* * * (ისევ მოისმის კვნესა და ოხვრა...) 8
მე და ჩემი ეთერი 8
რუსუდან-ანასტასია კალანდაძე
უმშვენიერეს ქალბატონს 9
ლამაზიც რჩება უსიყვარულოდ 9
დედაშვილობა 9
კახა ბაციკაძე
* * * (დღეს პოეზიის ღამე იქნება...) 10
მშვენიერება 10
რუსთაველი 10
ლურჯი ჯოხი 11
პირამიდები 11
მაყვალა გონაშვილი
აღსარება 12
ფერისცვალება 12
რაც ჩემი და შენია 13
* * * (მე მეშინია შენი დაკარგვის...) 13
* * * (აქციები... მაქციები...) 13
ვაჟა ეგრისელი
დიდი პაემანი 14
ბახტრიონი
* * * (პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხველი...) 14
ზის და მკარნახობს 14
შეხედეთ ზეცას 15
*** * * (**ეალერსება ჩემი მზერა...) 15
*** * * (**მე უნდა მოვკვდე...) 15
მზის ეკლესია 15
მარინე ცხვედიაშვილი

მონატრება....16
ნატვრა აღდგომის ღამეს....16
მანდილი....16
ერთგულება....17
ქეთევან ნათელაძე
* * * (ქარია გარეთ, არსად არ ხარ, ჩემთანაც არ ხარ...)....18
* * * (ჯერ არასოდეს ვყოფილვარ ასე...)....18
შენს ხსოვნასთან....18
შენ რომ გამაცილე შენიდან... 19
მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ... 19
ვახო კამკამაძე
* * * (პირველად რომ ვიხილე შენი სილამაზე...)....20
წარსულს ვიგონებ 20
სიყვარულის ისტორია 21
ის ჩემს სიტყვებს მგონი არც ისმენს....21
სისულელეა გულახდილობა....21
ლამზირა შეყილაძე
* * * (მინდა ავფრინდე, არ მიშვებს მიწა...)....22
* * * (სიცოცხლევ ჩემო, დარდის წამალო...) 22
ყველას გვეყოფა 22
დილის ცისკარი....22
* * * (როდესაც გელი დრო ითვლის წამებს...)....22
* * * (მომკლა ამდენმა წვალებამ...)....22
სიცრუის ომი 22
* * * (შური სიყვარულს არასდროს ეძებს...)....23
გიჟო, გეხუმრე 23
რით იმსახურებ ამდენს?! 23
* * * (მასწავლებელო, მზე ხარ ბრიალა...) 23
შეგხვდა სამძიმო ეპოქა 23
მას ეყვარები განა?!....23
დედას 23
პეტრე ჯაჯანიძე
* * * (ვით გაელვება, ქუხილის ხმაზე...) 24
ჯულიანა 24
პოეტთა სუფრა 24
იმერეთში 25
ტაბიძის ქუჩა....25
* * * (არც მახრჩობდა არც მიყვარდა...)....25
* * * (კვლავ მომენატრა ვარდის სურნელი...) 25
* * * (ამქვეყნად ვისაც დაუხია ყოფნის გრაფიკი...)....25
* * * (დარჩი ნალექით ხსნადი ყავიდან...) 25
უშანგი მოსიაშვილი
გულის ტკივილი....26
მეფე ფარნავაზი....26
შალვა ილურიძეს 26
ტაშისკარი....27
ვახტანგ გორგასალი 27
შალვა ილურიძე
ქარჩოხის ბრძოლა....28
სერგი ლომაძეს 28
კაფია 28
ტარიელ ხალხელაურს 29
ერეკლე გასვიანს 29
დათო ახლოურს....29
მიმოზა ცანავა

ნარცისი....30
პეპელა....30
ღიღილო....30
ჩვენ ვართ საქართველო!....31
მოწყვეტილი ყვავილი ვარ...31
ქრიზანთემა....31
გულნაზ ხარაიშვილი
ვიცი....32
გამოვათენე....32
ღრუბლების ფარა....32
შემოდგომაა....32
დიდო კორიფევ....32
მთვარეს....32
დავადება ხარ....33
ნიღაბი....33
ახლა ვიცი....33
მთელი სიცოცხლე....33
ვიფიქრე....33
ნდობის სანთლები....33
შენ გაახარე....33
რაც მაწუხებს....34
შენ დედისერთავ....34
იწამე....34
წვიმის ცრემლები....34
* * * (გაუფერულდა... არაფერი არ მინდა შენგან....)....34
ლერი ბუიღლიშვილი
მიძინების ეკლესია....35
გახსენება....35
დედა....35
ლიანა ოსიაშვილი–მელიქიძე
რეზო ჩხეიძეს....36
მეუფე თადეოზს....36
მაყვალა გონაშვილს....36
სერგი ლომაძეს....36
კახა ბაციკაძეს....36
დავით ტიგინაშვილს....36
ქეთი ნათელაძეს....37
ნუგზარ ნადარაიას....37
რევაზ მიშველაძეს....37
გვანცა ხარაიშვილს....37
ვაჟა დოლბაიას....37
ნანა სხირტლაძეს....37
გულნაზ ხარაიშვილს....37
გოგიტა მელიქიძეს....37
არასდროს....38
ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს....38
ღმერთო!....38
რადგან ყველას მიჯობს ჩემი....38
ხალხი, ზეცა, მთა და მდელო....38
ღმერთო! შენ ხომ მოწყალე ხარ....38
დამოლოცე საქართველო!....38
ბელა ნავდარაშვილი

ნაკვალევი 38
ოთარ მჭედლიშვილი
შემოდგომის გზები....40
ო, ესმერალდა 39
დავით ტიგინაშვილი
მშობლებს! 40
მთვარე დაეშვა გომბორზე!....41
გამოიღვიძე, ზაფხულო 41
რა დრო დაგვიდგა... 41
გამაგრდი, ჩემო ბერმუხავ....41
ბეჟან ხარაიშვილი
* * * (ისევ გინატრე ყვავილობისას...) 42
სიზმარი....42
* * * (ცა რომ მტრედისფერობს) 42
სიყვარული იწყებოდა ასე....43
ეს ცხოვრება....43
სხვაობა 43
გამოთხოვება 43
* * * (ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და...)....43
ნუგზარ ხუციშვილი
ლეგენდა სიყვარულის მთაზე ქ ა ლ ი ა ყ ვ ა ნ ა 44
პირველი სიყვარული....47
კაფია 47
პასუხი 47
შვილის წერილი....47
ОЖИДАНИЕ 48
პოეტებს 48
თეთრი ღამე....49
ჩანაწერი უბის წიგნაკიდან....49
ილიას....49
რეალობა 49
ანა ჯავახიშვილი
ბუხარმა ამოსუნთქა შმორი და სინესტე 50
პილატე!....50
მე გიცანი! 51
რა ცა... თვითონ მიწა წვიმს....51
ელგუჯა სხირტლაძე
* * * (მებრძოლე...) 52
* * * (რა უღიმღამოდ გარბიან წლები...) 52
* * * (თუ მესვრი, პირდაპირ გულში მიმიზნე...)....52
* * * (ნეტავ სადა ხარ ბედნიერო) 53
* * * (სიტყვით მნათეო,გამანათე...) 53
დედას 53
მე მაპატიე....53

ხაბაჯშვო განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)
გიორგის სიზმარი 54
ბატონ რევაზ ჩხეიძეს....55

პროზა

რეზო მიშველაძე
რას ამბობს ბატონ რეზო მიშველაძის ნოველებზე 56
პროფესორი ლუარა სორდია....57
სერგი ლომაძე

რევაზ მიშველაძე — 75 61
ლამარა გერგედავა
დაბრუნება 64
სერგი ლომაძე
მეფე-პოეტის დღე იყალთოში 65
ახალი საბავშვო ჟურნალი — „ხატი“ 68
გელა სულაძე
მაყვალა გონაშვილი 70
გელა (გიორგი) ლარიაშვილი
მთვარეული ჩანახატი 72
ნანა პაიაშვილი
ფიქრი 73
სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე
ცნობა-დაკონკრეტება 74
ჯგუფ „ზღვარის“ ბოლო დროინდელი გამარჯვების შესახებ 74
სერგი ლომაძე
„წიგნის მეგობრების“ წარმატება რუსთავში 75
გულნაზ ხარაიშვილი 77
ვფრთხილობდი 78
ლამზირა შეყილაძე 78
ღია გაკვეთილი ქ.რუსთავის №7 საჯარო სკოლის Iგ კლასში 78
ირმა ჩაჩხიანს 79
წინამძღვარი არქიმანდრიტი მელქისედეკი
როგორ გაძარცვეს შუშანიას მონასტერი პატრიარქის სახელით 79
შორენა ზახუტაშვილი
ეეპ ეორგიან შპირიტ!!! 81
თამარ თედიაშვილი
უძველესი დამწერლობა 83
ცინარი ხმიადაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №174 საჯარო სკოლა 84
„ნატვრა“ 85

წერილები

ტიტე მოსია
ბიბლიის ავტორები ქართულ ჰაგიოგრაფიაში 86
ლუარა სორდია
განცდა და გონმეტყველური განჭვრეტა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში 88
სერგი ლომაძე
„სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ 95
მანანა კვატაია
„პორტრეტთა“ ენიგმური სივრცეებიდან 98
ვაჟა მიროტაძე
მარცვალ-მარცვალ უნდა ვეძებდეთ 101
შალვა ილურიძე
„ბოლელი“ 103

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ცრემლში ნალესი ხმალი... 104
გიორგი ბეჟიტაშვილი
«რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომი და სამხედრო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში» 106

ეკონომიკა

სულიკო თავბერიძე
ინდივიდის, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართება 113
ვალერი მოსიაშვილი, ნათია ცარციძე

ახალი მიდგომები საბანკო მენეჯმენტში 117
ჯუმბერ ხარაიშვილი
საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების რეტროსპექტივა 122
ვანო შუშტაკაშვილი
ოფშორული საბანკო ცენტრების წარმოშობა და განვითარების ტენდენციები 125

ხელოვნება

ნელი კვახაძე-ჯამრიშვილი
ბუმბულით შესრულებული უნიკალური შემოქმედება 129
ჟანა ხვიჩია
თექაზე შესრულებული ნამუშევრები 131

ნორჩი ათინატელები

ესსეები

ირაკლი ჯიგანია
დავაფასოთ სიცოცხლე.... ნარკოტიკი საწამლავია.... 133
ანი ჩიტაია
ემიგრანტები 133
ლუკა შედანია
წმინდანი ოქროს ვერძის ქვეყნიდან 134
ნინო გოგატიშვილი
როგორ წარმომიდგენია ძლიერი ადამიანი? 135
ქეთევან სხირტლაძე
როგორ წარმომიდგენია ძლიერი ადამიანი? 135

თარგმანები

ანი მელაძე
El escorpión y la tortuga Sulkhan-Saba Orbeliani 136
ნათია გვაჯაია
ბრიტანელი თინეიჯერების სამუშაო ცხოვრება 136

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი
ჩემი პატარა მეგობრები 137
მარიამ ცანავა
ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას! 137
გვანცა ალავერდაშვილი
ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას 137
ირაკლი დარსალია
ჩემი სამშობლო 138
ტატო ლაგვილავა
დედა!.. 139
ნიკოლოზ პაპულაშვილი
,,დედა“ 139
ალექსანდრე კალანდია
მარტოობა... 139
დემნა ლომიძე
ცხოვრება... 140
ქეთევან ტყებუჩავა
სიყვარული 140
ალექსანდრე ლეთოდიანი
ლამაზი ცრემლები 140
ეკატერინე ქვარაია

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა... 141
საბა ლაგვილავა
„გამარჯობა სოხუმო“ 141
დიმიტრი ნაჭყებია
„გამარჯობა სოხუმო“ 141
ლიზი ლომსაძე
„გამარჯობა სოხუმო“ 142
ლადო ზაქარეიშვილი
,,გამარჯობა სოხუმო”.....142
მარიამ ტყეშელაშვილი
მირანდუხტ.....142
მარიამ გურასპაული
„ლამაზი ცრემლები“ 143
ნიკოლოზ მარჯანიძე
შორი თეთრი მწვერვალი 143
გიორგი მიქაცაძე
„ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“ 144
ვალერ ხაზალია
ბუნება 144
მარიამ ტყებუჩავა
წელიწადია დროები.....144
გიორგი ქევხიშვილი
ზამთრის სურათი ზაფხულში.....145
მარიამ კეკელია
ზამთარი... 145
ანა ასაბაშვილი
ზამთარი.....145
ალექსი ფეიქრიშვილი
* * * (ათინათის კარიპჭე...) 146
* * * (მიყვარს ჩემი თბილისი...).....146
* * * (მე მინდა რომ ქართველები...).....146
* * * (ჰეი, სამშობლო ლამაზო...) 146
* * * (მე არაფრის მეშინია....).....146
იზოლდა მასურაშვილი
სულ სხვა ზაფხული.....147
დედის ტკივილი.....147

ინტერვიუ

ეკატერინე მარშანია
ინტერვიუ ვაჟა აზარაშვილთან 149
თამაზ აფაქიძე
ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან.....151
ინტერვიუ ლაგოდეხის რესურსცენტრის უფროსთან მანანა ჩიკვაიძე.....154
თამაზი აფაქიძე
ინტერვიუ შ.პ.ს „კელაპტარის“ დამაარსებელსა და მთავარ ქირურგ გიორგი ლობჟანიძესთან 155
ტარიელ ხარატიშვილი
ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან 156
ტარიელ ხარატიშვილი
ინტერვიუ ლაგოდეხის გამგებელთან კახა ჯამბურიასთან.....160
თებრონე მაისურაძე
ინტერვიუ ზურაბ გასიტაშვილთან 161
ინტერვიუ ლევან ბაბუხადიასთან 163
ინტერვიუ ჯუმბერ ხარაიშვილთან 165
ნანა სხირტლაძე

ინტერვიუ მწერალ ვაჟა მიროტაძესთან....166
გიორგი აბაშიძე
ინტერვიუ ზალიკო გამყრელიძესთან....169
ინტერვიუ როლანდ დუმბაძესთან....170
გიორგი გამეზარდაშვილი
ინტერვიუ ნუგზარ მიროტაძესთან....171
დიანა შუბითიძე
ინტერვიუ ვაჟა შუბითიძესთან....173
ნინო ჭიღლაძე
ინტერვიუ საჩხერის გამგებელ ბატონ მალხაზ ბაზაძესთან....176
ხატია ღამბარაშვილი
ინტერვიუ ზურაბ წვერაიძესთან....178
ინგა შუბითიძე
ინტერვიუ სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორთან ბატონ უჩა ბარბაქაძესთან!....179
გვანცა კვიციანი
ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან....182
თამარ ტყეშელაშვილი
ინტერვიუ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე — ფრიდონ ბურდულთან....184
მერი ბერაძე
უჯარმა: კონსტანტინე ღოღელიანი — მერი ბერაძე....186
ლექსო ფეიქრიშვილი
ინტერვიუ დავით შუბითიძესთან....188
ლანა მაჭარაძე
ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან....189

ლაგოდეხის რაიონის № 1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ფემოკმედება

ანასტასია ბეგიაშვილი
ადამიანი, რომელიც დააკლდა ლაგოდეხს....192
ნიკა ჯანაშვილი
ერისკაცი-დიმიტრი ყიფიანი....194
მარი გოგოლაძე
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს....195
საბა ლობჟანიძე
ნიღაბი....197

გახსენება

ვახტანგ თორაძე
ახლა იგი ცათა სასუფეველშია....199
მირანდა ხოდელიძე
მირანდა წიკლაურის მოგონება....200
ნონა სხირტლაძე.
გიორგი ნებიერიძე....201

მილოცვა

ვახტანგ გაჩეჩილაძე
ჯუმბერ ლეჟავა ერის სინდისი — ზნეობრივი რაინდი....202
ჩემო საყვარელო გულნაზი! გილოცავ დაბადების დღეს!....203
ყამარ ბლიაძე
ჩემს მარიამს....203

ავტორთა საყურადღებოდ....204

ჟურნალ „ათინათის” დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია

რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი – ნუგზარ ნადარაია

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი –პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
ლევან ბაბუხადია
ანა ბოდბელი
თამარ ჯაჭვაძე, აკადემიის წევრი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
ნათია მოსიძე.

საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ზეინაბ ბეჟიტაშვილი – ფილოლოგი, აკადემიის წევრი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური
სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში”.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21
0341 22 72 87
790 65-79-21

სააბიტურიენტო – საატესტატო მომზადების ცენტრი GIC

GIC აბიტურიენტებისთვის (XII კლასის მოსწავლეები, XII კლასდამთავრებულები)

- წარმატებით ჩაბარებული ეროვნული გამოცდები
- გარანტირებული სტუდენტობა

GIC საშუალო საფეხურის (X-XII კლასის) მოსწავლეებისთვის

- წარმატებით დაძლეული განათლების საშუალო საფეხური
- მყარი საფუძვლის შექმნა ეროვნული გამოცდებისთვის

GIC საბაზო საფეხურის (VII-IX კლასის) მოსწავლეებისთვის

- საბაზო ცოდნის შეძენა, რომელიც მომავალი წარმატების საფუძველია
- ყველა სასკოლო საგნის წარმატებით დაძლევის საშუალება

GIC დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მოსწავლეებისთვის

- გახანგრძლივებული ჯგუფი 13-00 საათიდან 18-00 საათამდე
- მშობლის ინტერესების და ბავშვის საჭიროებების მაქსიმალური თანხვედრა

GIC მაგისტრანტებისთვის

- საუკეთესო შედეგები სამაგისტრო გამოცდებზე

Georgian Intellectual Choice
საქართველოს ინტელექტუალური არჩევანი

საუკეთესო შემოთავაზება –
ყველა საგანი ერთ ცენტრში !

მის: თბილისი, წერეთლის ქ. N 1
მის: რუსთავი, მაჩაბლის ქ. N 3

ტელ: 577 211 805; 597 775 376
E-mail: gic_centr@yahoo.com